

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი სადოქტორო

პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

ზაზა ადანაია

„უსინათლო აბიტურიენტების საგანმანათლებლო–საკონსულტაციო
საჭიროებები და პროფესიული არჩევანი (პროფესიული განათლების
მაგალითზე)“

განათლების მეცნიერებების დოქტორის (PHD)აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი რუსუდან სანაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ლუდმილა მiasნიკოვა

უსინათლო აბიტურიენტების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებები და პროფესიული არჩევანი "პროფესიული განათლების მაგალითზე"

შინაარსი

შესავალი _____	5
თავი პირველი – სპეციალური განათლების ისტორიული ასპექტები ____	13
1.1 შესავალი _____	13
1.2 განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის პირველი პერიოდი _____	16
1.3 განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეორე პერიოდი _____	20
1.4 განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მესამე პერიოდი _____	24
1.5 განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეოთხე პერიოდი _____	29
1.6 განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეხუთე პერიოდი _____	34
1.7 რეზიუმე _____	40
თავი II უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და შრომითი მოწყობის ისტორია საქართველოში _____	46

2.1 შესავალი	46
2.2 სახელობო სწავლება თბილისის უსინათლო ბავშვთა სასწავლებელში (უსინათლოთა პროფესიული განათლების პირველი ეტაპი 1890- -1923 წლები)	48
2.3 უსინათლოთა ორგანიზებული დასაქმება, „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების“ დაარსება (პირველი ნაბიჯები, 1923-1936 წლები)	55
2.4 უსინათლოთა პროფესიული განათლების აქტუალიზაცია და რეფორმა საბჭოთა სასკოლო განათლებაში (უსინათლოთა პროფესიული განათლების მეორე ეტაპი 1925- -1935 წლები)	59
2.5 უსინათლოთა პროფესიული განათლება და დასაქმება წარმოებებში (უსინათლოთა პროფესიული განათლების მესამე ეტაპი 1938- -1991 წლები)	63
2.6 პროფესიული განათლების აღორძინება თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში (1960-ანი- -1980-ანი წლები)	80
2.7 კრიზისი მეოცე საუკუნის 90-ან წლებში	86
2.8 რეზიუმე	87
თავი III უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელები	89
3.1 შესავალი	89
3.2 გერმანია-უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი	92
3.3 ესპანეთი-უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი	99
3.4 საფრანგეთი-უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი	104
3.5 დიდი ბრიტანეთი-უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი	109

3.6 საბერძნეთი-უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი _____	113
3.7 ამერიკის შეერთებული შტატები-უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი _____	116
3.8 რუსეთის ფედერაცია-უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი _____	120
3.9 საქართველო-უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი _____	125
3.10 რეზიუმე _____	129
კვლევითი ნაწილი, კვლევის აღწერა _____	135
პროფესიული განათლების უსინათლო აბიტურიენტების (აპლიკანტების) პროფესიული არჩევანი _____	142
უსინათლო სტუდენტების ჩართულობა პროფესიული განათლების პროცესში _____	153
უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების გავლენა ამ კატეგორიის პირთა პროფესიულ კარიერაზე _____	172
პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა მონაწილეობის საკითხის შესწავლა დარგის ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე _____	185
დასკვნები და რეკომენდაციები	194
გამოყენებული ლიტერატურა _____	204
დანართი N1 _____	208
დანართი N2 _____	218
დანართი N3 _____	237
დანართი N4 _____	254
დანართი N5 _____	263

შესავალი

„კაცობრიობა, ადრე თუ გვიან, დაამარცხებს სიბრმავესაც, სიყრუვესაც და გონებასუსტობასაც, მაგრამ იგი ბევრად უფრო ადრე დასძლევს მათ პედაგოგიური და სოციალური თვალსაზრისით, ვიდრე სამედიცინო და ბიოლოგიური გზით“, – ლ.ს. ვიგოდსკი.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა, თუ საგანმანათლებლო პროცესებმა მსოფლიოში გლობალური ხასიათი მიიღო. სხვა ფაქტორებთან ერთად, ამას ხელი შეუწყო ინფორმაციაზე წვდომის ზრდამ. მრავალი ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებას უკვე აღარ არსებობს. შეიქმნა ვითარება, როდესაც ერთის მხრივ, გაჩნდა ინფორმაციის მოპოვების ახალი საშუალებები, გაფართოვდა პროფესიების სპექტრი, წარმოიშვა დასაქმების ახალი შესაძლებლობები, ხოლო მეორეს მხრივ, შრომის ბაზარზე გამწვავდა კონკურენცია. სახე იცვალა საკუთრივ შრომის ბაზარმაც. მან გლობალური მასშტაბი შეიძინა. გლობალური საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით, სხვადასხვა სახელმწიფოების შრომის შიდა ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ, ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა არა მხოლოდ ამ სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის, არამედ სამუშაოს იმ მაძიებლებისთვისაც, რომლებიც ამ ქვეყნების ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ. შრომის ბაზარი, ინფორმაციის მოპოვებისა და გაცვლის თვალსაზრისით, უფრო გახსნილი გახდა. გაფართოვდა არეალი სამუშაოს მაძიებელთათვის. არსებული ვითარება სამუშაოს მაძიებლებისაგან მოითხოვს მეტ მობილურობას, ცვალებად ეკონომიკურ გარემოსთან ადაპტირებისათვის საჭირო მზაობას და მუდმივად ზრუნვას პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მსოფლიო მასშტაბით განვითარებულმა ეკონომიკურმა პროცესებმა გავლენა მოახდინეს სახელმწიფოების საგანმანათლებლო პოლიტიკაზე. ამ თვალსაზრისით,

თანამედროვე პერიოდში, უფრო მეტი ყურადღება ეთმობა პროფესიული განათლების საკითხს. ამ დარგში დაინერგა არა ერთი ნოვაცია. შეტანილი იქნა სწავლების თანამედროვე მეთოდები და მიდგომები. წარმოებს ახალი, მანამდე არ არსებული, პროფესიების სწავლება. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ მთელი ცხოვრების განმავლობაში ისწავლონ, აიმაღლონ პროფესიული კვალიფიკაცია ან დაეუფლონ ახალ სპეციალობას. ამგვარი შესაძლებლობის არსებობა მათ ეხმარებათ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში. მსურველებს გააჩნიათ იმის საშუალება, რომ ცხოვრების განმავლობაში დაეუფლონ რამოდენიმე პროფესიას. იყვნენ მომზადებულნი შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევების მისაღებად. მოერგონ საბაზრო კონიუნქტურას.

საქართველო სუვერენული სახელმწიფოა. იგი მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრია. მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ჩვენს ქვეყანაზეც ახდენს გავლენას. საქართველოშიც, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, აქტუალურია პროფესიული განათლების საკითხი. ამ კუთხით, ჩვენს ქვეყანაშიც შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. განათლების დარგი რეფორმის პროცესში იმყოფება. ეს გარემოება ეხება საკუთრივ პროფესიულ განათლებასაც. არაერთგვაროვანია რეფორმის მიმდინარეობასთან და მის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით გამოთქმული შეფასებები და მოსაზრებები. სახეზეა პროფესიული განათლების განვითარების ტენდენცია, გადაიდგა ნაბიჯები განათლების პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების ინკლუზიის მიმართულებით, მაგრამ ამასთანავე, არსებობს პრობლემები, რომელთა მოგვარებაც აუცილებელია იმისათვის, რათა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების პროცესი გახდეს მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული.

ზოგადად, არავისთვისაა ადვილი შრომის ბაზარზე სტაბილური მდგომარეობის მოპოვება და შენარჩუნება. განსაკუთრებით ძნელია ეს უსინათლოებისათვის. სასტარტო პირობები მათთვის გაცილებით უარესია.

ქვეყანაში მცხოვრებ უსინათლოთა დიდ უმრავლესობას არ გააჩნია, თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი, პროფესიული განათლება. უსინათლოებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ მათაც ისევე, როგორც სხვა ადამიანებს, ჰქონდეთ სრულფასოვანი პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა.

საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში დეკლარირებულია შემდეგი პრინციპები: "ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია~ ("საქართველოს კონსტიტუცია"- მუხლი 14); "ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება" ("საქართველოს კონსტიტუცია"- მუხლი 35).

1948 წელს "გაერთიანებული ერების ორგანიზაციის" მიერ მიღებულ აქტში "ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია" ნათქვამია: "ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, თავისი ღირსებითა და უფლებით" ("ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია"- მუხლი 1). "ყველას აქვს განათლების უფლება"- "ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი" ("ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია"- მუხლი 26).

2006 წლის 13 დეკემბერს "გაერთიანებული ერების ორგანიზაცია"-მ მიიღო "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია", რომელსაც შემდგომში საქართველოც შეუერთდა. ამ დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ "მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებას განათლებაზე. ამ უფლების დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში რეალიზებისათვის, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობას" ("შ.შ.მ. პირთა უფლებების კონვენცია"- მუხლი 24).

ამგვარად, საქართველოს სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, რომ შექმნას პირობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მათ შორის უსინათლოთა, განათლებისათვის. ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ინკლუზიური განათლების განვითარების საკითხი. ისევე, როგორც განათლების დარგის სხვა სექტორებში, პროფესიულ განათლებაშიც აქტუალურია სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების ინკლუზიის თემა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, პროფესიულ განათლებაში ჩაერთვნენ უსინათლო ადამიანებიც. პროფესიული განათლების მიღების თვალსაზრისით, ამ კატეგორიის პირებისათვის, შემცირდა ბარიერები და შეიქმნა ახალი შესაძლებლობები. საქართველოს პროფესიული განათლების გზამკვლევაში აღნიშნულია: დღესდღეისობით, პროფესიული განათლება საქართველოში რეფორმის პროცესშია და მისი განვითარების მიმართულება ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების ფილოსოფიას. საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში (2013-2020) ხაზგასმულია პროფესიული განათლების სივრცეში სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის მნიშვნელობა ("საქართველოს პროფესიული განათლების გზამკვლევი").

მისასალმებელია, რომ პროფესიული განათლების დარგში ცდილობენ გაითვალისწინონ უსინათლო სტუდენტების სპეციალური საჭიროებები. ამის გარეშე, უსინათლოებს ძალიან გაუმწიკვლებოდათ პროფესიული განათლების მიღება. შენარჩუნებული უნდა იქნას განვითარების ტენდენცია. ამიტომ, კვლავაც საჭიროა ზრუნვა იმ პრობლემების მოგვარებისათვის, რომლებიც საგრძნობლად აბრკოლებს უსინათლოების ინკლუზიას პროფესიულ განათლებაში. ხშირ შემთხვევაში, ეს დაბრკოლებები უკიდურესად არასასურველ გავლენას ახდენენ უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესზე, რაც შემდგომში აისახება ამ კატეგორიის პირთა პროფესიული კარიერის განვითარებაზე. პროფესიული განათლება, როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულად უსინათლო

ადამიანებთან მიმართებაში, მჭიდროდ უკავშირდება დასაქმებას. ასეა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც კი წარმოდგენილია პროფესიული განათლება და იგი ხელმისაწვდომია უსინათლოებისთვისაც. დღესდღეობით, ამგვარი მოლოდინი და მიდგომაა საქართველოშიც, ხოლო იმაზე, თუ როგორია სინამდვილე, მკაფიოდ მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული წინასწარი სამუშაოების შედეგად გაირკვა, პროფესიული სასწავლებლების ექვსი უსინათლო კურსდამთავრებულიდან დღეისათვის არცერთი არაა დასაქმებული იმ სპეციალობით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლა. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამგვარი შედეგის განმაპირობებელ მიზეზებს უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესშიც ჰქონდეს ადგილი.

როგორც უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესის სრულყოფისათვის, ასევე აღნიშნული კატეგორიის პირების პროფესიული კარიერის წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელია ზრუნვა იმ პრობლემების მოგვარებისათვის, რომლებიც აფერხებენ პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოების ჩართვას, მონაწილეობას და შემდგომში მათი პროფესიული კარიერის განვითარებას. ამისათვის: უნდა შეიქმნას შესაძლებლობები უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადებისათვის; მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი პროფესიული სწავლა-სწავლების პროცესში უსინათლოთა ფორმალური მონაწილეობის შემთხვევები; საჭიროა, რომ ეს პროცესი გახდეს მიზანმიმართული და უსინათლოთა დასაქმებაზე ორიენტირებული.

წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში გათვალისწინებული კვლევა ეხება უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებულ პრობლემებს. კვლევის თემატიკა მოიცავს ისეთი მოწყვლადი ჯგუფის საგანმანათლებლო ინტერესებსა და საჭიროებებს, როგორცაა საქართველოში მცხოვრები უსინათლოები. საკვლევი თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი შეიცავს პროფესიულ განათლებაში უსინათლოთა დამაბრკოლებელ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ კატეგორიის პირთა ინკლუზიას პროფესიული განათლების პროცესში და მათი სოციალური, ეკონომიკური, თუ საზოგადოებრივი

მდგომარეობის გაუნმჯობესებას. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღემდე საქართველოში უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების თაობაზე, სამეცნიერო კვლევა არ ჩატარებულა და აკადემიური ხასიათის მქონე ნაშრომი არ გამოქვეყნებულა. კვლევა წარმოადგენს საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლების შემაფერხებელი პრობლემების შესწავლისა და სიტუაციური ანალიზის პირველ ცდას. წარმოდგენილი კვლევა აქტუალურია იმ მიზეზითაც, რომ იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პრობლემები უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში, პროფესიული განათლების უსინათლო აბიტურიენტების (აპლიკანტების) საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებები და პროფესიული არჩევანი, პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობა, უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების გავლენა ამ კატეგორიის პირთა პროფესიულ კარიერაზე.

არის გლობალური პრობლემა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ვიზუალური კომუნიკაციის უნარის შეფერხების გამო, უსინათლო ადამიანებისათვის გარკვეულწილად შეზღუდულია საგანმანათლებლო და შრომითი შესაძლებლობები. უსინათლოებისთვის პრობლემატურია ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება იმ სპეციალობებში, რომელთა დაუფლებისათვისაც აუცილებელია ვიზუალური კომუნიკაციის უნარი (მხედველობა). იმ სპეციალობების ჩამონათვალი, რომელთა სრულფასოვანი დაუფლებაც უსინათლოებს ხელეწიფებათ, არც ისე ვრცელია, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეულწილად შეზღუდულია პროფესიული არჩევანი. ამ მოცემულობის შეცვლა დღეისათვის შეუძლებელია. თუმცა, თანამედროვე პირობებში, სავსებით შესაძლებელია ამ გლობალური პრობლემით გამოწვეული ზოგიერთი საფრთხის ნეიტრალიზაცია. ამისათვის კი, ჩვენი თვალსაზრისით, უწინარესად საჭიროა ქვემოთ მოცემული ორი პრობლემის მოგვარება.

კვლევის საგანს წარმოადგენს პრობლემები უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში. კვლევისათვის შერჩეული გვაქვს შემდეგი ორი პრობლემა:

1) არასაკმარისად გაანალიზებული პროფესიული არჩევანი, რომელიც შეიძლება გააკეთოს პროფესიული განათლების უსინათლო აბიტურიენტმა (აპლიკანტმა).

2) პროფესიული სწავლა-სწავლების პროცესში უსინათლო სტუდენტის (ბენეფიციარის) ფორმალური მონაწილეობა.

არასაკმარისად გაანალიზებული არჩევანის საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ უსინათლო აბიტურიენტმა, შესწავლისა და შრომითი მოწყობის მიზნით, შეიძლება აირჩიოს პროფესია, რომლითაც სწავლის დასრულების შემდგომ, ვერ დასაქმდება, რადგან შრომის ბაზარზე ვერ იქნება კონკურენტუნარიანი. პროფესიული სწავლა-სწავლების პროცესში უსინათლო სტუდენტის ფორმალური მონაწილეობის საფრთხეში იგულისხმება სიტუაცია, როცა ნათელი ხდება, რომ პროფესიული სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული უსინათლო სტუდენტი, შესაბამისი მხარდაჭერის არქონის გამო, პრაქტიკულად ვერ ეუფლება არჩეულ სპეციალობას და პროცესში მისი მონაწილეობა შემოიფარგლება, მხოლოდ ფორმალური წარმომადგენლობით. კვლევა პირდაპირ დაკავშირებულია ამ საფრთხეების ნეიტრალიზაციის საკითხებთან.

წარმოდგენილი კვლევის ობიექტად განვიხილავთ შემდეგ სამ საკითხს:

პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების პროფესიული არჩევანი;
პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობა;
უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების გავლენა ამ კატეგორიის პირთა პროფესიულ კარიერაზე.

კვლევის მიზანია: უსინათლო აბიტურიენტების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებებისა და პროფესიული არჩევანის საკითხის კვლევა პროფესიული განათლების მაგალითზე.

კვლევის ამოცანებია: არსებული სიტუაციისა და დაგროვილი გამოცდილების ანალიზი - მეორადი ინფორმაციის დამუშავება, სხვა ქვეყნებში აპრობირებული უსინათლოთა პროფესიული განათლების მოდელების განხილვა, პროფესიული განათლების პროცესში ჩართული უსინათლოების სპეციალური საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებების უზრუნველყოფის საკითხის შესწავლა,

თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტის მომზადება, ინტერვიუების ჩატარება პროფესიული განათლების ბენეფიციარ უსინათლოებთან და პროფესიული განათლების დარგის ექსპერტებთან, მონაცემთა კლასიფიკაცია.

ძიებითი კვლევისა და მეორადი ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა ჰიპოთეზა: არადამაკმაყოფილებელია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა ჩართულობის ხარისხი და გარკვეულ წილად შეზღუდულია უსინათლოთა პროფესიული არჩევანი.

კვლევა წარმოადგენს საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლების შემაფერხებელი პრობლემების შესწავლისა და სიტუაციური ანალიზის პირველ ცდას. კვლევის შედეგად მივიღებთ სიახლეს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: შესწავლილი იქნება უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესში არსებული პრობლემატური საკითხები და უსინათლოთა პროფესიულ განათლებაზე ისეთი საფრთხეების გავლენა, როგორებიცაა – არასაკმარისად გაანალიზებული პროფესიული არჩევანი და პროფესიული სწავლა-სწავლების პროცესში უსინათლო სტუდენტის ფორმალური მონაწილეობა; მიღებული მონაცემების საფუძველზე, შემუშავდება რეკომენდაციები უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის; მოხდება უსინათლოთა პროფესიული განათლების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის სამიზნე ჯგუფებია: პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტები, პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტები, პროფესიული განათლების მქონე უსინათლო პირები და პროფესიული განათლების დარგის ექსპერტები.

კვლევისათვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი - შემთხვევის შესწავლა-ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ.

თავი პირველი- სპეციალური განათლების ისტორიული ასპექტები

1.1 შესავალი

კაცობრიობის ისტორია ცხადყოფს, რომ განათლება არის ის ქვაკუთხედი, რომელსაც ეფუძნება ადამიანის, როგორც ინდივიდის ჩამოყალიბება, მის მიერ საკუთარი ბუნებისა და გარემომცველი სამყაროს აღქმა და შემეცნება, ადამიანთა საზოგადოებების ორგანიზება და განვითარება, კაცობრიობის მიერ შექმნილი კულტურული ფასეულობები, ტექნიკური პროგრესი, თუ სამეცნიერო მიღწევები. ათასწლეულების მანძილზე, მათთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით, ადამიანები მოპოვებულ ცოდნას გადასცემენ შთამომავლობას, აანალიზებენ ისტორიულ გამოცდილებას, ქმნიან და აუნმჯობესებენ ცოდნის მოპოვების, მისი ათვისებისა და გადაცემის ორგანიზებულ სისტემებს. კაცობრიობის განვითარების კვალდაკვალ ორგანიზებული განათლების სისტემებში ადამიანთა სულ უფრო ფართო ფენები ერთვებიან. დროთაგანმავლობაში გამოინახა გზები იმისათვისაც, რომ ორგანიზებული განათლების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიცემოდათ განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებსაც. უსინათლოებისათვის, ყრუ-მუნჯებისთვის, გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირებისათვის და განვითარებაში გარკვეული სპეციფიკის მქონე სხვა კატეგორიის ადამიანებისათვის შეიქმნა ადაპტირებული საგანმანათლებლო საშუალებები და მათი საჭიროებების შესაბამისად ორგანიზებული საგანმანათლებლო სისტემები.

მოცემულ თავში შევეცდებით შეძლებისამებრ განვიხილოთ სპეციალური განათლების ნაციონალური სისტემების ფორმირებისა და განვითარების ისტორიის ზოგიერთი ასპექტი. სპეციალური განათლების ნაციონალური სისტემების ფორმირება და განვითარება, ყველა ისტორიულ პერიოდში, დაკავშირებულია ისეთი სახის განმაპირობებელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ, თუ სოციო-კულტურულ და საგანმანათლებლო ფაქტორებთან, როგორებიცაა: ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მოწყობა, სახელმწიფოსა და საზოგადოების

ღირებულებითი ორიენტაცია, სახელმწიფო პოლიტიკა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების მიმართ, კანონმდებლობა საგანმანათლებლო სფეროში, პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების დონე, მსოფლიო ისტორიულ-პედაგოგიკური პროცესები და სხვა.

„სპეციალური განათლების სისტემა არის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც წარმოიქმნება და ვითარდება, როგორც მისი ანუ სახელმწიფოს ღირებულებითი ორიენტაციისა და საზოგადოების კულტურული ნორმების ასახვისა და რეალიზების განსაკუთრებული ფორმა“ (Н.Н. Малофеев- „Специальное образование в России и за рубежом Часть I Западная Европа“ შესავალი- გვ. 2.) .

სპეციალური განათლების სისტემის განვითარების ისტორიის ყოველი ეტაპი დროში შეესაბამება განვითარებაში გარკვეული სპეციფიკის მქონე პირების მიმართ, სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულების ევოლუციის პერიოდს. ხარისხობრივი გარდაქმნები და სპეციალური განათლების სახელმწიფო სისტემის ფორმირების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა, ისევე როგორც, გარდაქმნები ყოველი ცალკე აღებული ეტაპის ფარგლებში, განისაზღვრება სოციო-კულტურული ფაქტორებით. სპეციფიკური გონებრივი ან ფიზიკური განვითარების მქონე ბავშვების სწავლების ისტორიის გაგება და ახსნა, ასევე სპეციალური განათლების ეროვნული სისტემის განვითარების საფუძვლიანი პროგნოზირება შეუძლებელია, თუ ისტორიული ფაქტები განხილული იქნება ცივილიზაციის განვითარების სოციო-კულტურული დეტერმინანტების მომცველი კონტექსტის გარეშე.

„განვითარებაში გადახრების მქონე პირებისადმი სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულების ევოლუციის, ანტიკური ხანიდან თანამედროვე პერიოდის ჩათვლით, ისტორიის კვლევა საშუალებას იძლევა გამოიყოს ამ პროცესის მიმდინარეობის ხუთი პერიოდის გამმიჯვნელი გარდამტეხი მნიშვნელობის მახასიათებლები. პერიოდიზაცია მოიცავს დროის ორიათასხუთას წლიანი ხანგრძლივობის მქონე, საზოგადოებრივი განვითარების გზას,

სიძულვილიდან და აგრესიიდან- შემწყნარებლობამდე და პარტნიორობამდე. გამოვლენილი ხუთი პერიოდის პირობით საზღვრებს წარმოადგენენ განვითარებაში გადახრების მქონე პირების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების არსებითი ცვლილების პრეცედენტები. ყველა ევროპულმა ქვეყანამ გაიარა ეს პერიოდები. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ პერიოდების გავლის თვალსაზრისით, ევროპის ქვეყნებს შორის შეინიშნება გარკვეული განსხვავება. ეს გამოიხატება იმაში, რომ არ არის პერიოდიზაციის ისტორიული თარიღების ზუსტი თანხვედრა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მსგავსია ისტორიული კონტექსტი და შინაარსობრივ-ფაქტობრივი მახასიათებლები. (Н.Н. Малофеев- „Специальное образование в России и за рубежом Часть I Западная Европа“ შესავალი- გვ. 3.) .

ზოგადად უსინათლოთა განათლება და კონკრეტულად უსინათლოთა პროფესიული განათლება სპეციალური განათლების სისტემის შემადგენელი ნაწილია და ამ კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, მიზანშეუწონელია უსინათლოთა ორგანიზებულ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. უსინათლოთა პროფესიული განათლების ორგანიზება სწორედ სპეციალური განათლების ფორმატში წარმოებდა და ამდენად, საინტერესოა, თუ ისტორიულად როგორ მიმდინარეობდა სპეციალური განათლების სისტემების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი.

მოცემულ თავში შევეცდებით ვუპასუხოთ ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: რამდენი ისტორიული პერიოდისაგან შესდგება განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე (განვითარებაში გადახრების მქონე) ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის პროცესი? რა უმთავრესი მახასიათებლები გააჩნია თითოეულ პერიოდს? როგორია თითოეული პერიოდის სოციო-კულტურული კონტექსტი? როგორია პრეცედენტების მნიშვნელობა განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის პროცესში?

1.2 განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის პირველი პერიოდი

განვითარებაში ფიზიკური, თუ მენტალური გადახრების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის პირველი პერიოდის საწყისად, პირობითად, შეგვიძლია მივიჩნიოთ ანტიკური ხანის სახელმწიფო მოღვაწის ლიკურგის ლეგენდარული კანონების ძალაში შესვლა. ამ კანონების სულისკვეთება ასახავდა ანტიკური საზოგადოების განწყობას ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების მიმართ (**„Древние цивилизации“ = „ Ancient civilizations“ /Под общ. ред. Г. М. Бонгард-Левина. - М.: „Мысль“, 1989.- გვ. 479.)**).

პირველი პერიოდის ზედა ზღვრად, ასევე პირობითად, შეიძლება მიჩნეული იქნას მეთორმეტე საუკუნე იმდენად, რამდენადაც ამ ასწლეულში დაარსდა ევროპაში ბრმებისათვის პირველი სახელმწიფო თავშესაფრები.

მონარქების ინიციატივით, საქველმოქმედო დაწესებულებების შექმნა, შეიძლება შეფასებული იქნას, როგორც სახელმწიფოს მიერ, მისი მმართველის სახით, ჯანმრთელობადაზიანებული ადამიანებისათვის დახმარების გაწევის აუცილებლობის გაცნობიერების პრეცედენტი, რომელიც მოწმობს ამგვარი ადამიანების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების ცვლილებას. ლიკურგის კანონების ძალაში შესვლიდან, რომელიც არასრულფასოვანი ადამიანების მოსპობას ითვალისწინებდა, შეჭირვებული ქვეშევრდომების დახმარების მიზნით, საერო ხელისუფლების პირველ საქველმოქმედო ინიციატივებამდე გავიდა ორიათას წელზე მეტი. განვიხილოთ აღნიშნული პერიოდის მახასიათებლები ევროპული ცივილიზაციის განვითარების კონტექსტში. ანტიკურ ეპოქაში ტრაგიკული გახლდათ ჯანმრთელობის დაზიანების მქონე ადამიანების ხვედრი. ისინი არ ითვლებოდნენ მოქალაქეებად, ხოლო მათი სტატუსი უთანაბრდებოდა მონისას. ამ მხრივ, ზოგ შემთხვევაში, გამონაკლისი დაშვებული იყო იმ

ადამიანების მიმართ, ვინც დასახიჩრდა სამშობლოსათვის ან გაბატონებული ფენის ინტერესებისათვის ბრძოლაში. ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე ადამიანს ელოდა ფაქტობრივი მოკვდინება ან სამოქალაქო სიკვდილი- სრული უუფლებობა. კანონი ახდენდა მათ დისკრიმინაციასაც კი, ვინც პრივილიგირებულ ფენას მიეკუთვნებოდა, ყოფდა რა საზოგადოების ელიტარულ ნაწილს, აღიარებულ სრულფასოვან ადამიანებად და არ აღიარებულ არასრულფასოვან მოქალაქეებად (**Н.Н. Малофеев- „Специальное образование в России и за рубежом Часть I Западная Европа“ გვ. 9.**).

ანტიკურ ხანაში, თავისუფალი და ჯანმრთელი ადამიანების საზოგადოებრივ ინსტიტუტებში არანაირი ფაქტობრივი გავლენა არ ჰქონდა ჯანმრთელობადაზიანებულ მათი თანამოქალაქეების თვალსაზრისს. ახალი იდეალები, ახალი ღირებულებები, ახალი შეხედულება ადამიანზე და მისი ცხოვრების აზრზე, მოიტანა ქრისტიანულ სარწმუნოებრივ საფუძველზე დამყარებულმა სწავლებამ. მან დაამკვიდრა ისეთი ცნებები როგორებიცაა: მოყვასის სიყვარული, თანაგანცდა, სულიერი სოლიდარობა და სხვა. გულმოწყალება შერაცხული იქნა ქრისტიანისათვის არამხოლოდ სათნოებად, არამედ მოვალეობადაც.

ადვილი არ იყო ქრისტიანული საზრისის დამკვიდრება ხალხში და იმ დროინდელი საზოგადოებრივი აზროვნების ასპარეზზე (**„Антология педагогической мысли христианского Средневековья“ М. 1994 . ტ.1. გვ. 399.**).

წარმართული შეხედულებები საუკუნეების განმავლობაში განაპირობებდა ჯანმრთელობის დაზიანების მქონე ადამიანების მიმართ დამკვიდრებული სტერეოტიპების სიცოცხლისუნარიანობას. ამგვარი სტერეოტიპები აისახებოდა შუა საუკუნეების კანონმდებლობაშიც. როგორც ცნობილია, იგი ძირითადად, რომის სამართალს ემყარებოდა, რომელშიც დაკანონებული იყო ფიზიკური, თუ გონებრივი ხასიათის შეზღუდვების მქონე ადამიანების უუფლებობა. ქრისტიანული რელიგიის გაძლიერებასთან ერთად, საზოგადოებრივ სარბიელზე

გამოდიოდნენ მის წიაღში აღმოცენებული ორგანიზებული ჯგუფები. ისინი მიზნად ისახავდნენ ქრისტიანული იდეების ამქვეყნიურ ცხოვრებაში განხორციელებისაკენ სწრაფვას. სხვადასხვა მონასტრებთან იქმნებოდა ქრისტიან ბერთა საძმოები. თანდათანობით იხვეწებოდა ამ ორგანიზაციების სტრუქტურები. ისინი აარსებდნენ უპოვართა თავშესაფრებს, სამკურნალო დაწესებულებებს, აგროვებდნენ სახსრებს გაჭირვებულთა დახმარებისათვის. ნელა, მაგრამ ევროპაში მაინც იცვლებოდა დამოკიდებულება განვითარებაში გადახრებისა და ჯანმრთელობის დაზიანების მქონე ადამიანების მიმართ. დროთაგანმავლობაში იშლებოდა წარმართული აზროვნებით ფორმირებული სტერეოტიპები. ქრისტიანული ქველმოქმედება იძენდა ინსტიტუციონალურ სახეს. საეკლესიო საძმოების საქველმოქმედო საქმიანობის პოპულარიზაციის პარალელურად, ერშიც ანუ ხალხშიც, მკვიდრდებოდა ქრისტიანული ერთობისა და ღვთის წინაშე თანასწორობის გამომხატველი მსოფმხედველობა. ასწლეულები დასჭირდა იმას, რომ ევროპას გაეარა გზა უპოვართათვის პირველი სამონასტრო თავშესაფრების გახსნიდან – ასეთი სახის საერო თავშესაფრების დაარსებამდე. სახელმწიფო მმართველების ნებითა და ძალისხმევით, ბავარიასა და საფრანგეთში გაიხსნა თავშესაფრები ბრძოლაში დაბრმავებული რაინდებისათვის. დროთაგანმავლობაში, ბრმათა თავშესაფრების, დავრდომილთა სახლებისა და ლეპროზორიუმების მოწყობა, საეკლესიო საძმოებთან ერთად, საერო-სამოქალაქო ხელისუფლების ზრუნვის საგანიც გახდა. პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ ასეთი სახის ქველმოქმედება უკვე აღარ იყო მხოლოდდა ეკლესიის პრეროგატივა. უპოვართა, დავრდომილთა, საპყართა და ბრძოლაში დაჭრილთა მოვლა-პატრონობა, თანდათანობით, საერო ხელისუფლების ინტერესის სფეროში მოექცა. ამრიგად, ნელა, მაგრამ განუხრელად იცვლებოდა საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებისადმი. ამ დამოკიდებულების ევოლუციის მიმდინარეობისათვის დამახასიათებელია სტერეოტიპული აზროვნების მკვეთრი ზეგავლენა. ეს გარემოება მკაფიოდ შეინიშნება შუა საუკუნეებში. თუმცა გარდატეხა მაინც მოხდა და შუა

საუკუნეების დამლევსათვის ევროპულ სახელმწიფოებში და საზოგადოებებში სტერეოტიპების გავლენა თანდათანობით იკლებს.

„განვითარებაში გადახრების მქონე პირების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის პირველი პერიოდის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობდა საზოგადოებრივი აზრის განვითარება აგრესიიდან და სიძულვილიდან- შემწყნარებლობის აუცილებლობის გაცნობიერებამდე. (Н.Н. Малофеев- „Специальное образование в России и за рубежом Часть I Западная Европа“ გვ. 31.) .

1.3 განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეორე პერიოდი.

ფიზიკური და გონებრივი პრობლემების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეორე პერიოდის განმავლობაში, რომელიც მეთორმეტე მეთვრამეტე საუკუნეებს მოიცავს, დასავლეთი ევროპის სახელმწიფოებმა გაიარეს გზა სამკურნალო და თავშესაფრის დანიშნულების მქონე დაწესებულებების გახსნის საქმეში ცალკეული მონარქებისა და ქალაქების ხელისუფალთა ინიციატივებიდან სახელმწიფო და კერძო საერო თავშესაფართა სისტემის ჩამოყალიბებამდე. აღნიშნულ პერიოდში, დამოკიდებულება ინვალიდებისადმი, მათ შორის ინვალიდი ბავშვებისადმი, წინა საუკუნეებთან შედარებით, უდავოდ უკეთესობისაკენ იცვლებოდა, მაგრამ ეს პროცესი ნელა და რთულად მიმდინარეობდა. რენესანსის ეპოქაში გასაქანი მიეცა მეცნიერულ აზროვნებას. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე ადამიანებისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესებას. რეფორმაციამ, როგორც მოვლენამ, ეკლესიის დამოკიდებულება ამგვარი ადამიანების პრობლემებისადმი უფრო ჰუმანური გახადა.

„ჰუმანიზმისა და ანტროპოცენტრიზმის იდეები ადგილს იმკვიდრებდა ევროპელთა ღირებულებების სისტემაში და ცვლიდა მათ წარმოდგენებს ადამიანზე და მის ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. ამან კი, თანდათანობით, გამოიწვია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან დაკავშირებით მანამდე არსებული შეხედულებების ცვლილება. რელიგიურ-იდეოლოგიური და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა „რეფორმაცია“, რომლის წიაღშიც კიდევ ერთი ქრისტიანული რელიგიური მიმართულება „პროტესტანტიზმი“ იშვა, ევროპის რიგი სახელმწიფოებისათვის განვითარების იდეოლოგიის საფუძველი გახდა. ამ სახელმწიფოებმა, რომლებმაც აღიარეს პროტესტანტიზმი, კაცობრიობას შესთავაზეს ქველმოქმედების ახალი მოდელები. (Лютер М. – „К советникам всех

городов земли немецкой О том, что им надлежит учредить и поддерживать христианские школы“ //Школа и педагогическая мысль

средних веков, Возрождения и начала Нового времени (Исследования и материалы) М. 1991. გვ. 193- -221.) .

ევროპული ცივილიზაციის განვითარების ახალ ეტაპზე, განმანათლებლობის ეპოქაში, განვითარებაში გადახრების მქონე რიგი პირები აღწევენ საკუთარ სამოქალაქო რეაბილიტაციას. მათზე არამხოლოდ ზრუნავენ, არამედ განათლებასაც აძლევენ. პირველ ხანებში, ევროპის კონტინენტის სხვადასხვა რეგიონებში შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე ბავშვების განათლების კუთხით, დაგროვილი წარმატებული გამოცდილება ვერ გახდა სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემის ორგანიზების საფუძველი. მხოლოდ, ევროპის ერთერთ ქვეყანაში, საფრანგეთში, სენსორული დარღვევების მქონე ადამიანების სამოქალაქო უფლებების და სტატუსის ახლებური გააზრების შედეგად გახდა შესაძლებელი პარიზში პირველი სახელმწიფო სპეციალური სკოლების დაარსება. 1770 წელს გაიხსნა სკოლა ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის, ხოლო 1784 წელს კი-უსინათლოებისათვის. **(Корнетов Г.Б.- „Всемирная история педагогики“ Учебное пособие. - М.: Изд. во Рос. открытого унта РОУ. 1994. გვე. 140.) .**

დიდი ფრანგული რევოლუცია, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციით, ფრანგებისთვის საფუძველი გახდა იმისა, რომ ახლებურად შეეფასებინათ ინვალიდების სტატუსი“.

„ადამიანები იბადებიან თავისუფალნი და არიან თანაბარუფლებიანნი მთელი ცხოვრების განმავლობაში“, - (მუხლი 1- ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია). ამ ფრაზით შევა ევროპა განვითარებაში გადახრების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მესამე პერიოდში.

ფიზიკური და გონებრივი პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ, მონარქების, სახელმწიფოს სამოქალაქო-საერო ხელისუფლების დამოკიდებულების კოორდინალური ცვლილება, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, გახდა წინა საუკუნეებში მიმდინარე მრავალი სოცო-კულტურული პროცესის

შემაჯამებელი რეზულტატი. პროტესტანტულ ქვეყნებში, სახელმწიფოს პატრონაჟის ქვეშ, ჩნდება და ძალას იკრებს საერო ქველმოქმედება. მეორე პერიოდის განმავლობაში ყალიბდება საზოგადოებრივი ქველმოქმედების ნორმები და წესები. ფორმირებას იწყებს სახელმწიფოების სოციალური პოლიტიკა. სასკოლო განათლების განვითარებამ, უნივერსიტეტების დაარსებამ, წიგნების ბეჭდვამ ხელი შეუწყო მეცნიერების განვითარებას, ევროპელთა საერთო კულტურული დონის ამაღლებას და ბავშვების განათლებისადმი მოქალაქეთა ინტერესების გაღვივებას. ჰუმანიზმის იდეების გავლენით, ევროპის მოსახლეობის ცალკეული ფენებისა და ჯგუფების მიერ თავისუფლების მოპოვების კონტექსტში, უფრო ლმობიერი ხდება ინვალიდების მიმართ დამოკიდებულებაც. თავისუფალი სეკულარული აზროვნების გაფურჩქვნის პირობებში შეიცვალა საზოგადოებრიობის გავლენიანი ნაწილისა და მონარქების შეხედულებები სენსორული დარღვევების მქონე მოქალაქეების პრობლემებისადმი. ამ გარემოებამ კი, შესაძლებელი გახადა მათზე გავრცელებულიყო საკანონმდებლო ინიციატივები განათლების სფეროში. ინდივიდუალური სწავლების გამოცდილებამაც, თავის მხრივ, გავლენა იქონია სენსორული დარღვევების მქონე ბავშვების განათლებასთან დაკავშირებული წარმოდგენების ცვლილებაზე.

ამრიგად, ევროპაში ყრუმუნჯთა და უსინათლოთა პირველი სკოლების დაარსებას წინ უძღვოდა წარმატებები სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირების საქმეში, საერო ხელისუფლების განმტკიცება, საკანონმდებლო დონეზე პიროვნული თავისუფლების დაცვის მხარდაჭერა, საუნივერსიტეტო და სასკოლო განათლების პროცესის ორგანიზების გაუნმჯობესება. ეს პერიოდი ხასიათდება საქველმოქმედო საქმიანობაში ჩართული ადამიანების რაოდენობის ზრდითაც.

თუ წარმოდგენილი პერიოდის დასაწყისში ქველმოქმედებით ძირითადად დაკავებულნი იყვნენ საეკლესიო წოდებისა და ხარისხის მქონე პირები, ამავე პერიოდის დასასრულისათვის საქველმოქმედო საქმიანობაში ორგანიზებულად ჩაერთვნენ მოქალაქეთა ჯგუფები, საერო სახალხო გაერთიანებები და სახელმწიფო ხელისუფლება. ევროპის მოწინავე ნაწილს თითქმის ექვსი საუკუნე

დასჭირდა იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის დახმარების გაწევის აუცილებლობის გაცნობიერებიდან, სააზროვნო გზით, მისულიყო ამ პირთა თუნდაც ნაწილისათვის განათლების შესაძლებლობების გაფართოებისათვის ზრუნვის მიზანშეწონილობის გაცნობიერებამდე. (Н.Н. Малофеев- „Специальное образование в России и за рубежом Часть I Западная Европа“ გვ. 52.) .

1.4 განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მესამე პერიოდი

ფიზიკური და მენტალური პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მესამე პერიოდი მოიცავს დროის მონაკვეთს, მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე. ამ დროის განმავლობაში მსოფლიოს რიგმა სახელმწიფოებმა გაიარეს გზა სენსორული დარღვევების მქონე ბავშვების სწავლების შესაძლებლობების არსებობის გაცნობიერებიდან ასეთი ბავშვების განათლების უფლების ცნობამდე. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან აქტუალური გახდა ამგვარი საჭიროების მქონე ბავშვებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო სკოლების ქსელის ორგანიზების საკითხი. წარმოდგენილი პერიოდის დასაწყისად შეიძლება მიჩნეული იქნას ყრუმუნჯთათვის და უსინათლოებისთვის პირველი სასწავლო დაწესებულებების გახსნა, ხოლო დასასრულად კი- ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში სავალდებულო დაწყებითი განათლების კანონის მიღებისა და ასევე სენსორული და ინტელექტუალური დარღვევების მქონე ბავშვების განათლებაზე შესაბამისი საკანონმდებლო აქტების გავრცელების თარიღი. დასავლეთი ევროპის შემთხვევაში, ეს მოხდა მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის.

ევოლუციის მესამე პერიოდი ხასიათდება სენსორული დარღვევების მქონე ბავშვების მიმართ დამოკიდებულების კოორდინალური ცვლილებით, რაც განპირობებული იყო ახალი ჰუმანური შეხედულებების განმტკიცებით განვითარებაში დარღვევების მქონე პირების სამოქალაქო უფლებების აღიარებასთან დაკავშირებით. ამგვარი შემობრუნება სახელმწიფო პოლიტიკაში და საზოგადოებრივ ცნობიერებაში, მომზადებული იყო რენესანსისა და განმანათლებლობის ეპოქის დიდი მოაზროვნეების მიერ. გადამწყვეტი როლი შეასრულა ადამიანისა და მოქალაქის უფლებების ფრანგულმა დეკლარაციამ.

კანონზომიერია, რომ დამოკიდებულების ევოლუციის სწორედ მესამე პერიოდში, ევროპის რიგ ქვეყნებში, ხდება სპეციალური განათლების ნაციონალური სისტემების მშენებლობის პროცესის დაწყება.

განვითარებაში შეფერხების მქონე პირების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის პირველ და მეორე პერიოდებში ამ პირების სამოქალაქო სტატუსი ისეთი გახლდათ, რომ ფიზიკური და მენტალური დარღვევების მქონე ბავშვების სასკოლო განათლების საკითხი აქტუალური არ იყო. იმ პერიოდებში, ჯერ კიდევ არ არსებობდა საკმარისი წინაპირობები, ჩვეულებრივი საგანმანათლებლო სისტემის პარალელურად, სპეციალური საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზებისათვის. მესამე პერიოდში, საკანონმდებლო დონეზე, პირველად შეიცვალა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატუსი. ევროპის უმრავლეს ქვეყანაში აღიარებულია მათი უფლება განათლების მიღების შესახებ. დიდი მეცნიერების ოცნებები რეალურ ცხოვრებაში იწყებენ განხორციელებას. სენსორული დარღვევების მქონე ბავშვების სწავლება უკვე აღარ იყო ეგზოტიკური სიახლე. დასრულდა პრეცედენტების დრო და დაიწყო სპეციალური განათლების ნაციონალური სისტემების მშენებლობა. ეს შესაძლებელი გახდა უწინარესად იმიტომ, რომ საკანონმდებლო დონეზე აღიარებული იქნა ინვალიდების უფლება გარანტირებული სოციალური დახმარებისა და განათლების მიღების თაობაზე და ასევე – სახელმწიფოსა და საზოგადოების პასუხისმგებლობა ამ უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ევროპის ზოგ ქვეყანაში მიიღეს ნორმატიული აქტები სპეციალური განათლების შემოღების შესახებ.

1817 წელს დანიაში მიიღეს აქტი ყრუ-მუნჯთა სავალდებულო დაწყებითი განათლების თაობაზე. 1842 წელს შვეციაში მიღებული იქნა კანონი სავალდებულო დაწყებითი განათლების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მინიმალურ გადასახადს ღარიბი ან მატერიალურად არასაკმარისად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვების სწავლისათვის. 1873 წელი, საქსონია კანონი უსინათლოების, ყრუმუნჯების, გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვების

სავალდებულო განათლების თაობაზე. 1881 წელს ნორვეგიაშიც იქნა მიღებული ყრუ-მუნჯთა სავალდებულო განათლების კანონი. ერთი წლის შემდეგ ნორვეგიაში ასევე მიიღეს კანონი გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვების განათლების შესახებ. 1884 წელს პრუსიაში ძალაში შევიდა ცირკულარი დამხმარე კლასებიდან მატერიალურად არასაკმარისად უზრუნველყოფილი და პედაგოგიურად არასათანადოდ მხარდაჭერილი ბავშვების გამოყვანის თაობაზე. შვეციაში კანონი დაწყებითი განათლების შესახებ, ერთმანეთისაგან განასხვავებს ღარიბ, და გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვებს. ამავე ქვეყანაში 1889 წელს ამოქმედდა კანონი ყრუ-მუნჯთა სავალდებულო რვაწლიანი განათლების შესახებ.

1892 წელს პრუსიაში ძალაში შევიდა ცირკულარი, რომელიც ადასტურებდა დამხმარე კლასების ქსელის გაფართოვების აუცილებლობას. ინგლისში ყრუ-მუნჯთა და უსინათლოების სავალდებულო დაწყებითი განათლების თაობაზე კანონი 1893 წელს მიიღეს. 1896 წელს შვეცია საკანონმდებლო დონეზე მხარს უჭერს გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვების განათლების უზრუნველყოფის საკითხს და იღებს შესაბამის კანონს. 1899 წელს ინგლისში იღებენ კანონს უსინათლო, ყრუ-მუნჯი და გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვების სავალდებულო განათლების შესახებ. 1900 წელს საფრანგეთშიც შევიდა ძალაში კანონი დამხმარე კლასებისა და სკოლების ორგანიზების თაობაზე. ამ საერთო ტენდენციას ბელგია 1914 წელს შეუერთდა. ამ ქვეყანაში დაამტკიცეს კანონი გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვების სავალდებულო სწავლების შესახებ, რომლის მიღების შემდგომაც მოხდა გონებაჩამორჩენილი ბავშვებისათვის სახელმწიფო სკოლების გახსნის ინიცირება. 1920 წელი ნიდერლანდებში ძალაში შედის დებულება ყრუ-მუნჯი, უსინათლო და გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვების სავალდებულო განათლების თაობაზე. იტალიაში, კანონი ყრუ-მუნჯების სავალდებულო სწავლების შესახებ, მიღებული იქნა 1923 წელს.

ამავე პერიოდში ხდება სპეციალური განათლების ეროვნული სისტემების ჩამოყალიბება ავსტრიაში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში, დანიაში, საფრანგეთში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში. **(Рубинштейн М.М. - „Специальное**

образование в развитии" Сб. ст. /Под ред. К. Рейсвека /Пер. с англ. (თარგმნილია ინგლისურიდან რუსულად) СПб, 1996. გვ. 401.).

დაიწყო რა ყველა ბავშვის სავალდებულო განათლების პროცესი, სახელმწიფო იძულებული გახდა შეექმნა პარალელური საგანმანათლებლო სისტემები იმ ბავშვებისათვის, რომლებიც ვერ ასწრებდნენ დადგენილ ვადებში საგანმანათლებლო სტანდარტების ათვისებას. მეოცე საუკუნის დასაწყისი, ეს არის სპეციალური განათლების ნაციონალური სისტემების ჩამოყალიბების დრო. ეს სისტემები ითვალისწინებდნენ შემდეგი სამი კატეგორიის ბავშვების განათლებას: ყრუმუნჯები, უსინათლოები და გონებრივი ჩამორჩენის მქონეები. განვითარებაში გამოხატული გადახრების მქონე სხვა ბავშვები იმყოფებოდნენ საეკლესიო და საერო ქველმოქმედების მეურვეობის ქვეშ.

ყველა ევროპულმა ქვეყანამ განვლო თავისი გზა სპეციალური განათლების სისტემის მშენებლობის თვალსაზრისით. ამ სისტემებს შორის გარკვეული განსხვავებაც შეინიშნება, მაგრამ გაცილებით მეტია მსგავსება და ეს გახლავთ; კანონის მიღება საყოველთაო სავალდებულო განათლების შესახებ, სენსორული გადახრების მქონე ბავშვების განათლების უფლების აღიარება და კანონის მოქმედების გავრცელება ყრუმუნჯ, უსინათლო და გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვებზე, სპეციალური საგანმანათლებლო სისტემის რეგულირების მინიმალური საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის შექმნა, სახელმწიფო საბაზო სასწავლო გეგმები, რეგიონული სასწავლო გეგმები, სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების კომპლექტაციის პრინციპები, სახელმწიფო სპეციალური სკოლების ფინანსირების წყაროებისა და პრინციპების განსაზღვრა ნაციონალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე, აგრეთვე მათი საკანონმდებლო გამყარება, საქველმოქმედო ფონდების, არასახელმწიფო ორგანიზაციებისა და ასოციაციების პარალელური ფუნქციონირება განათლების სფეროში.

ამრიგად, ევროპულმა სახელმწიფოებმა თითქმის ორასი წელი მოანდომეს გზის გავლას სენსორული დარღვევების მქონე ბავშვების სწავლების შესაძლებლობების არსებობის გაცნობიერებიდან ასეთი ბავშვების განათლების

უფლების ცნობამდე და პარალელური საგანმანათლებლო სისტემის (სპეციალური განათლების სისტემის) შექმნის აუცილებლობის აღიარებიდან ასეთი კატეგორიის ბავშვებისათვის საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებამდე.

1.5 განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეოთხე პერიოდი

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ამავე საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე, ანუ მეოთხე პერიოდის განმავლობაში, მსოფლიოს რიგი სახელმწიფოები გაივლიან გზას ყრუ-მუნჯებისათვის, უსინათლოებისათვის და გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირებისათვის სპეციალური განათლების მიცემის აუცილებლობის გაცნობიერებიდან იმ აუცილებლობის აღიარებამდე, რომ განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს განათლების მიღების შესაძლებლობა. ამ პერიოდში მიმდინარეობდა სპეციალური განათლების ნაციონალური სისტემების დახვეწა, ახალი ტიპის სპეციალური სწავლებებისა და სპეციალური სკოლების ჩამოყალიბება, სკოლამდელი და სკოლის შემდგომი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსების პროცესი. სხვადასხვა ქვეყნებში იხსნებოდა სკოლები: ყრუ-მუნჯთათვის, სმენადაქვეითებულებისათვის, უსინათლოებისათვის, მცირემხედველებისათვის, ყრუ-მუნჯი უსინათლოებისათვის, მეტყველების დარღვევების მქონეებისათვის, ფიზიკური დაზიანებების მქონეთათვის, მრავალმხრივი დარღვევების მქონეთათვის, პრობლემური ქცევის მქონე ბავშვებისათვის, მათთვის, ვინც ხანგრძლივი ვადით იმყოფება საავადმყოფო რეჟიმზე, ასევე სპეციალური სკოლები სამეცნიერო კვლევების ეროვნულ ცენტრებთან. მეოთხე პერიოდის დასაწყისი განისაზღვრება დროის იმ მონაკვეთის შესაბამისად, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში, მიღებული იქნა და ძალაში შევიდა კანონი საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლების შესახებ და ამასთან ერთად, აქტები განვითარებაში გადახრების მქონე ბავშვების სავალდებულო განათლების თაობაზე.

მიუხედავად არსებითი განსხვავებებისა, მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის, ევროპის მრავალ ქვეყანაში შეიქმნა სპეციალური განათლების სისტემა და დაისახა მისი განვითარების პერსპექტივები. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო, განვითარების პროცესი სერიოზულად შეფერხდა. სისხლის მღვრელი და

დამანგრეველი პირველი მსოფლიო ომისა და შემდგომი რევოლუციებისა და სამოქალაქო ომების შედეგად, სპეციალური განათლების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული მრავალი პროექტი შეჩერდა. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, ევროპის სახელმწიფოების უმეტესობამ არა თუ განავითარა მიღწეული შედეგები, არამედ სპეციალური განათლების სისტემების ფუნქციონირების გაუნმჯობესების თვალსაზრისით, შეამცირეს კიდევ ძალისხმევა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაკლებად ეხებათ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს, სადაც ეროვნული თვითშეგნების ზრდა, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა და ნაციონალური სახელმწიფოების მშენებლობა, ნაყოფიერი ნიადაგი იყო ზოგადად, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებისა და კერძოდ კი, სპეციალური განათლების სისტემების წარმატებული განვითარებისათვის.

გამოსცადა რა პირველი და მეორე მსოფლიო ომები, საკონცენტრაციო ბანაკები, გენოციდი, ნგრევა და მილიონობით ადამიანის დაღუპვა, თუ დასახიჩრება, კაცობრიობის ცივილიზებულმა ნაწილმა ახლებურად შეხედა ადამიანის, როგორც ინდივიდის, თავისთავადობას, მისი სიცოცხლის მნიშვნელობასა და ფასეულობას. სიცოცხლე, თავისუფლება, ღირსება, ადამიანის უფლებები ცნობილი იქნა უზენაეს ფასეულობად. სახელმწიფოებმა მშვიდობის შენარჩუნებისა და კაცობრიობისათვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის მიზნით, გააერთიანეს ძალისხმევა. 1945 წელს შეიქმნა „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“. 1948 წელს მიღებული იქნა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. ჟენევის 1945 და 1949 წლების კონვენციები, ეს და სხვა აქტები, რომელთა უმთავრესი მიზანიც ადამიანის უფლებების დაცვა გახლავთ, უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო 1950 წელს ადამიანის უფლებების დაცვის საერთოევროპული დეკლარაციის მიღებისათვის.

ევროპაში ძლიერდება ინტეგრაციული პროცესები. 1957 წელს დასავლეთის ქვეყნები, რომლებშიც იგულისხმება აგრეთვე კანადა და ამერიკის შეერთებული შტატებიც, თანხმდებიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებში მჭიდრო

თანამშრომლობაზე და ამ დროიდან მოყოლებული, სულ უფრო ხშირად შეინიშნება შეხედულებათა მსგავსება განათლებისა და კულტურის განვითარების პროცესების სტიმულირების თაობაზე. დემოკრატიული ქვეყნები აყალიბებენ საერთო ხედვას განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანების უფლებების დაცვის შესახებ, რაც აისახება 1961 წელს მიღებულ „ევროპის სოციალურ ქარტიაში“. ამ დოკუმენტის მეთხუთმეტე მუხლში დადასტურებულია ფიზიკური და გონებრივი პრობლემების მქონე ადამიანების პროფესიული მომზადების, შრომისუნარიანობის აღდგენისა და სოციალური რეაბილიტაციის უფლებები. განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე პირების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციაზე მეტყველებს 1969 წელს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ მიერ მიღებული „სოციალური პროგრესისა და განვითარების დეკლარაცია“.

ახალ სოციო-კულტურულ კონტექსტში მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან და სამოცდაათიან წლებში, ეკონომიკური აღმავლობის ტალღაზე და დასავლურ სამყაროში ლიბერალურ-დემოკრატიული გარდაქმნების ფონზე, მსოფლიო მასშტაბით, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განათლებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საკითხებს. კიდევ უფრო იხვეწება განვითარებაში გადახრების მქონე ბავშვების გამოვლენის დიაგნოზირებისა, აღრიცხვიანობის წარმოებისა და სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწაფეთა კონტინგენტის დაკომპლექტების მექანიზმები. არსებითად იცვლება და უნმჯობესდება კლასიფიკაცია, გამოიყოფა სპეციალური განათლების საჭიროების მქონე ბავშვების ახალი კატეგორიები. შემდგომ ამისა, ასეთი საჭიროების მქონე ბავშვების კატეგორიას მიაკუთვნებენ არამხოლოდ უსინათლო, ყრუ-მუნჯ და გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენის მქონე, არამედ- ემოციური პრობლემების მქონე და დევიანტური ქცევის ბავშვებსაც. შესაბამისად, იხვეწება სპეციალური განათლების ჰორიზონტალური სტრუქტურა, იზრდება სპეციალური ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობაც, ასევე იქმნება სკოლანდელი და სკოლის შემდგომი განათლების

დაწესებულებები. ამასთან ერთად, აქტიურად იწყებს ფუნქციონირებას სოციალურ მუშაკთა ინსტიტუტები, სოციალური დახმარებისა და განვითარებაში გადახრების მქონე ბავშვების მშობლების კონსულტირების სამსახურები. იზრდება, აგრეთვე სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ორგანიზაციებისა, თუ მშობელთა კავშირების რაოდენობა.

ამრიგად, მოცემულ მეოთხე პერიოდში, ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, სპეციალური განათლების ნაციონალური სისტემების განვითარების საერთო ტენდენციებად შეიძლება ჩაითვალოს: სპეციალური განათლების საკანონმდებლო საფუძვლების დახვეწა-განმტკიცება, ასევე-სკოლების სახეობათა და სპეციალური სწავლების ტიპების დიფერენციაცია. განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე პირებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეოთხე პერიოდის დასასრულად შეიძლება მიჩნეული იქნას „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ მიერ „გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირების უფლებებისა“ (1971 წელი) და „ინვალიდთა უფლებების შესახებ“ (1975 წელი) დეკლარაციების მიღება.

დასახელებულმა საერთაშორისო აქტებმა იურიდიულად გააუქმეს ადამიანების ცნობიერებაში რამოდენიმე ათასწლეულის განმავლობაში არსებული შეხედულება, რომელიც არ განიხილავდა სხვა ადამიანებთან თანასწორად განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე პირებს. მოცემული მეოთხე პერიოდის დასასრულისათვის ადგილი აქვს სპეციალური ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვისა და მასში მოსწავლე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადაყვანის პირველ პრეცედენტებს. ამგვარი პრეცედენტები, შემდგომში გავლენას მოახდენს მრავალი ქვეყნის სპეციალური განათლების სისტემაზე, რაც გამოხატული იქნება იმით, რომ სახელმწიფოები კოორდინალურად გადახედავენ განათლების ამ სფეროში წარმოებულ სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას და დაიწყება განვითარებაში გადახრების მქონე პირების საგანმანათლებლო იზოლაციიდან საგანმანათლებლო ინტეგრაციაზე

გადასვლის პროცესი. ასე დაიწყება მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეხუთე პერიოდი, რომლის ძირითადი მიმართულება იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვა განათლების პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეშვეობით.

1.6 განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეხუთე პერიოდი

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოებში საბოლოოდ დაიმსხვრა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან საკანონმდებლო სფეროში გაბატონებული სტერეოტიპული მიდგომები, რომლებიც სხვა პირებთან შედარებით, უფლებრივად არათანასწორ მდგომარეობაში აყენებდა სენსორული, ფიზიკური, თუ მენტალური დარღვევების მქონე ადამიანებს. აღიარებული იქნა არამხოლოდ ადამიანების თანაბარუფლებიანობა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და განვითარების განსხვავებული მახასიათებლების მიუხედავად, არამედ ასევე – მათი უფლება თავად აირჩიონ გზები და საშუალებები განათლების მიღებისათვის.

„განვითარებაში გადახრების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეხუთე პერიოდში ყალიბდება შეხედულება, რომ ადამიანთა საზოგადოება წარმოადგენს მიკრო სოციუმების ერთობას, რომელთა ერთმანეთთან თანასწორუფლებიან ურთიერთობაზეც დამოკიდებულია კაცობრიობის პროგრესი. (Н.Н. Малофеев – „Специальное образование в России и за рубежом“ Часть I Западная Европа“ გვ. 87.) .

ინვალიდების სოციალური და პედაგოგიური ინტეგრაციის იდეები მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან, რაიმე ნიშნით ადამიანების დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის თანახმად, რეალიზდება და ვითარდება ღია სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში და ლიბერალურ-დემოკრატიული ხასიათის რეფორმების კონტექსტში. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა ხელს უწყობს ადამიანებს შორის ურთიერთობების აგების ახალი კულტურის ჩამოყალიბებას. ამ ფართო ანტიდისკრიმინაციულ კონტექსტში, სპეციალური სკოლები და მითუმეტეს სკოლა-ინტერნატები გარკვეულ წილად, მიჩნეული იქნა, როგორც სეგრეგაციული დაწესებულებები და ამასთან ერთად,

სპეციალური განათლების სისტემებიც განხილული იქნა დისკრიმინაციის გარკვეული ელემენტების შემცველ სტრუქტურებად. (**Winser M. A. The History of Special Education From Isolation to Integration. - Washington: D.C. Gallaudet University Press, 1993.**).

ერთგვარი პარადოქსია, რომ განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის წინა ანუ მეოთხე ეტაპზე, ამგვარი პირების განათლების ხელშეწყობის მიზნით, საზოგადოება იბრძოდა სპეციალური ტიპის სასწავლო დაწესებულებების ორგანიზებისათვის, ხოლო მეხუთე პერიოდის დასაწყისიდან კი, ანუ სულ რაღაც ათეული წლის გასვლის შემდგომ, ბავშვის სწავლა სპეციალური ტიპის სკოლაში განხილული იქნა, როგორც მისი უფლებების დარღვევა და მისთვის გარკვეული სოციალური იარაღის მიკვრა. ასეთი მიდგომის განმაპირობებელი უმთავრესი შეხედულება გახლავთ, რომ ყველა ბავშვმა და ზრდასრულმა ადამიანმა უნდა მიიღოს მისი ინტერესებისა და უნარების შესაბამისი განათლება, ხოლო სახელმწიფომ, ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე, უნდა შექმნას სათანადო პირობები და შესაძლებლობები იმისათვის, რათა ნებისმიერი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი იყოს განათლების მიღება იქ, სადაც მას ამისი სურვილი, მონაცემებთან ერთად და ამისთვის საჭირო პირობები ექნება. რაც შეეხებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს, სახელმწიფო უზრუნველყოფს მათთვის განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნას.

„იუნესკოს“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ 1991 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტში „წინასწარგანწყობები ინვალიდების მიმართ და მათი დისკრიმინაცია (თავი მესამე)“ ასახულია მსოფლიოს სახელმწიფოების საზოგადოებების აზრი: „უმრავლეს შემთხვევაში, ინვალიდობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას, დისკრიმინაციას, აი, რა უშლის ხელს ბავშვს მიიღოს განათლება საერთო საგანმანათლებლო სისტემაში. რიგ შემთხვევებში, საკანონმდებლო ნორმებით ინვალიდი ბავშვისთვის სავალდებულო ხდება სპეციალური ტიპის

სკოლაში სწავლა, რაც ოფიციალურ სეგრეგაციას წარმოადგენს“. (**Review of the Present Situation of Special Education. - ED - 91 /ws/ 58. - Unesco, 1991. - 150p.**) .

მეხუთე პერიოდის დასაწყისად მიჩნეულია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ მიერ „გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირების უფლებათა დეკლარაციის“, „ინვალიდების უფლებათა დეკლარაციისა“ და მათ შემდგომ, სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ ანტიდისკრიმინაციული, საგანმანათლებლო და ინვალიდთა უფლებების შესახებ კანონების მიღება. მაგალითად: შვეცია- „გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირებისათვის დახმარების კანონი“ (1980 წელი), დიდი ბრიტანეთი- „აქტი განათლების შესახებ“ (1981 წელი და 1995 წელი), ნიდერლანდები- „დროებითი კანონი სპეციალური განათლების შესახებ“ (1985 წელი) .

მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების სისტემების განვითარების წამყვანი ტენდენცია გახლავთ ასეთი ბავშვების ჩართვა საგანმანათლებლო ინტეგრაციულ პროგრამებში. სწავლების ინტეგრაციულ ფორმებზე გადასვლა, მათი ჯანმრთელობის დაზიანების სიმძიმის მიუხედავად, გამონაკლისის გარეშე, ყველა ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფორმატში შეყვანა, საგანმანათლებლო სტრუქტურებისა და გარემოს ადაპტაცია ბავშვების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად, სწრაფვა ყველა ადამიანის უფლებების დაცვისაკენ, ეკონომიკური აღმავლობის პირობებში ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარების მცდელობა, საქველმოქმედო მოძრაობის გაფართოვება და გაძლიერება, ეს და სხვა თანამდევი პროცესები, წინააღმდეგობრივი მახასიათებლებითა და უპირატესობებით, საფრთხეებითა და შესაძლებლობებით, მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოებისა და საზოგადოებრიობის დემოკრატიზაციის შედეგია.

ის რაც ადრე ფასდებოდა, როგორც საყოველთაო განათლების ერთერთი ღირსება (სპეციალური ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის

ზრდა და სპეციალური განათლების სისტემაში რაც შეიძლება მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ჩართვა) მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან უკვე ნეგატიურად არის შეფასებული. ბავშვის სპეციალურ სკოლაში ან მითუმეტეს სპეციალურ სკოლა-ინტერნატში შეყვანა ამ პერიოდში აღიქმება, როგორც მისი იზოლაცია მშობლებისაგან და სრულფასოვანი ცხოვრებისაგან. „იუნესკოს“ ექსპერტები ყურადღებას ამახვილებდნენ, რომ უმთავრესი იყო ინვალიდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თავს იჩენს არასასურველი მოვლენები და ფსიქოლოგიური ბარიერები. ინვალიდებისათვის სამყარო ბარიერების გარეშე, ამ იდეით ანთებული საზოგადოებრიობა ხელს უწყობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინტეგრაციის პროცესს და ემხრობოდა სპეციალური ტიპის სასწავლო დაწესებულებების ოდენობის შემცირებას.

განვითარებაში გადახრების მქონე, უფრო თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების მეხუთე ანუ თანამედროვე პერიოდი ოთხი ათეული წლის წინ დაიწყო და კვლავაც გრძელდება. ღია საზოგადოების გაცხადებული მაშტაბური მიზნების რეალიზაციის თანამედროვე პერიოდში უკვე შეინიშნება გარკვეული წინააღმდეგობები. ერთის მხრივ, ვრცელდება სწავლების ინტეგრაციული მიდგომები, რომლებიც ემყარება უმცირესობათა უფლებების დაცვისა და მათი სოციალური ინტეგრაციის იდეას, ხოლო მეორეს მხრივ, ინტეგრაციული სწავლების ზოგი შედეგი კრიტიკული განხილვის ობიექტი ხდება. უკვე დაწყებულია დისკუსია იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია და სასარგებლოა ინტეგრაციული სწავლება ამ პროცესში ჩართული ზოგიერთი კატეგორიის ბავშვებისათვის. მშობლებისა და სპეციალისტების მნიშვნელოვანი ნაწილი ინტეგრირებული სწავლების ამგვარი გზით განვითარების წინააღმდეგია. წარმოდგენილი მეხუთე პერიოდი გახლავთ

პერიოდი ღია თარიღებით. დღეისათვის ძნელია იმის თქმა, თუ როდის და როგორ დასრულდება იგი. ძნელია იმის პროგნოზირება, თუ როგორი ცვლილება შეიძლება განიცადოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ადამიანების პრობლემების შესახებ დღეს არსებულმა შეხედულებებმა. რა გზით განვითარდება სპეციალური განათლების პროცესი? გაგრძელდება, თუ არა-სტრუქტურების დიფერენციაცია საგანმანათლებლო სისტემაში? იქნება, თუ არა-განათლების მიმღები ბავშვებისათვის და მათი მშობლებისათვის გარანტირებული სხვადასხვა პედაგოგიური სისტემების არჩევის უფლება? ამ კითხვებზე პასუხების გაცემისათვის საჭიროა კიდევ გარკვეული დრო.

ამრიგად, სპეციალური განათლების სისტემა გახლავთ სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც წარმოიქმნება და ვითარდება, როგორც მისი ანუ სახელმწიფოს ღირებულებითი ორიენტაციისა და საზოგადოების კულტურის ნორმების რეალიზების განსაკუთრებული ფორმა. თანამედროვე ეტაპზე, სპეციალური განათლების განვითარების თვალსაზრისით, არსებულ ყველა წინააღმდეგობას და საპირისპირო ტენდენციას გააჩნია ღრმა სოციო-კულტურული ფესვები და სავსებით განსაზღვრული ისტორიული ასაკი და ამ სისტემის განვითარების გზის არჩევანი ყოველთვის იქნება დამოკიდებული არა მხოლოდ მისი შემქმნელების მეცნიერულ შეხედულებებზე, არამედ იგი ასევე დამოკიდებული იქნება: ღირებულებით ორიენტაციაზე, პოლიტიკურ სიტუაციაზე, სახელმწიფოს ეკონომიკურ შესაძლებლობებზე და საზოგადოების მიერ მიღებულ კულტურულ ნორმებზე.

თანაბარი უფლებებიდან თანაბარი შესაძლებლობებისაკენ, ინსტიტუციონალიზაციიდან ინტეგრაციისაკენ. ასეთი გახლავთ განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ანუ სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეხუთე პერიოდის ძირითადი მახასიათებლები. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების განათლების პროცესში ამ ორი მიმართულების პოლარიზაცია და

ერთმანეთისაგან რადიკალურად გამიჯვნა არაპროდუქტიული და მიზანშეუწონელია. სპეციალური განათლების პროცესის განვითარებისათვის საჭიროა ორივე მიმართულება, როგორც ინსტიტუციონალიზაცია ასევე ინტეგრაცია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ორივე მიმართულება იქნას გამოყენებული მისი საჭიროებისა და დანიშნულების შესაბამისად.

1.7 რეზიუმე.

ჩვენ შეძლებისამებრ განვიხილეთ სპეციალური განათლების ორგანიზებისა და განვითარების ზოგი ისტორიული ასპექტი, გამოვყავით განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის ხუთი პერიოდი, შევხეთ თითოეული პერიოდის სოციო-კულტურულ კონტექსტსა და მახასიათებლებს, ყურადღება გავამახვილეთ სენსორული, თუ ფიზიკური დარღვევების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციისათვის პრეცედენტების მნიშვნელობაზე.

სენსორული დარღვევების მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის თაობაზე მსჯელობამ აჩვენა, რომ ეს პროცესი შეიცავს განვითარების ხუთ პერიოდს და იგი მთლიანობაში დაახლოებით 2500 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. დამოკიდებულების ევოლუციის ყოველ პერიოდს გააჩნია საკუთარი სპეციფიკა და მახასიათებლები. პირველი პერიოდის საწყისად, პირობითად, შეგვიძლია მივიჩნიოთ ანტიკური ხანის სახელმწიფო მოღვაწის ლიკურგის ლეგენდარული კანონების ძალაში შესვლა. ამ კანონების სულისკვეთება ასახავდა ანტიკური საზოგადოების განწყობას ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების მიმართ. პირველი პერიოდის ზედა ზღვრად, ასევე პირობითად, შეიძლება მიჩნეული იქნას მეთორმეტე საუკუნე იმდენად, რამდენადაც ამ ასწლეულში დაარსდა ევროპაში ბრმებისათვის პირველი სახელმწიფო თავშესაფრები.

ამრიგად, ნელა, მაგრამ განუხრელად იცვლებოდა საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებისადმი. ამ დამოკიდებულების ევოლუციის მიმდინარეობისათვის დამახასიათებელია სტერეოტიპული აზროვნების მკვეთრი ზეგავლენა. ეს გარემოება მკაფიოდ შეინიშნება შუა საუკუნეებში. თუმცა გარდატეხა მაინც მოხდა და შუა საუკუნეების დამლევისათვის ევროპულ სახელმწიფოებში და საზოგადოებებში სტერეოტიპების გავლენა თანდათანობით იკლებს.

„განვითარებაში გადახრების მქონე პირების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის პირველი პერიოდის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობდა საზოგადოებრივი აზრის განვითარება აგრესიიდან და სიმულვილიდან- შემწყნარებლობის აუცილებლობის გაცნობიერებამდე.

მეორე პერიოდის განმავლობაში ყალიბდება საზოგადოებრივი ქველმოქმედების ნორმები და წესები. ფორმირებას იწყებს სახელმწიფოების სოციალური პოლიტიკა. ჰუმანიზმის იდეების გავლენით, ევროპის მოსახლეობის ცალკეული ფენებისა და ჯგუფების მიერ თავისუფლების მოპოვების კონტექსტში, უფრო ღმობიერი ხდება ინვალიდების მიმართ დამოკიდებულებაც. თავისუფალი სეკულარული აზროვნების გაფურჩქვნის პირობებში შეიცვალა საზოგადოებრიობის გავლენიანი ნაწილისა და მონარქების შეხედულებები სენსორული დარღვევების მქონე მოქალაქეების პრობლემებისადმი. მეორე პერიოდი ხასიათდება საქველმოქმედო საქმიანობაში ჩართული ადამიანების რაოდენობის ზრდითაც.

თუ წარმოდგენილი პერიოდის დასაწყისში ქველმოქმედებით ძირითადად დაკავებულნი იყვნენ საეკლესიო წოდებისა და ხარისხის მქონე პირები, ამავე პერიოდის დასასრულისათვის საქველმოქმედო საქმიანობაში ორგანიზებულად ჩაერთვნენ მოქალაქეთა ჯგუფები, საერო სახალხო გაერთიანებები და სახელმწიფო ხელისუფლება. ევროპის მოწინავე ნაწილს თითქმის ექვსი საუკუნე დასჭირდა იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის დახმარების გაწევის აუცილებლობის გაცნობიერებიდან, სააზროვნო გზით, მისულიყო ამ პირთა თუნდაც ნაწილისათვის განათლების შესაძლებლობების გაფართოვებისათვის ზრუნვის მიზანშეწონილობის გაცნობიერებამდე.

ფიზიკური და მენტალური პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მესამე პერიოდი მოიცავს დროის მონაკვეთს, მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე. ამ დროის განმავლობაში მსოფლიოს რიგმა სახელმწიფოებმა გაიარეს გზა სენსორული დარღვევების მქონე ბავშვების

სწავლების შესაძლებლობების არსებობის გაცნობიერებიდან ასეთი ბავშვების განათლების უფლების ცნობამდე.

წარმოდგენილი პერიოდის დასაწყისად შეიძლება მიჩნეული იქნას ყრუმუნჯთათვის და უსინათლოებისთვის პირველი სასწავლო დაწესებულებების გახსნა, ხოლო დასასრულად კი- ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში სავალდებულო დაწყებითი განათლების კანონის მიღებისა და ასევე სენსორული და ინტელექტუალური დარღვევების მქონე ბავშვების განათლებაზე შესაბამისი საკანონმდებლო აქტების გავრცელების თარიღი.

მესამე პერიოდში, საკანონმდებლო დონეზე, პირველად შეიცვალა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატუსი. ევროპის უმრავლეს ქვეყანაში აღიარებულია მათი უფლება განათლების მიღების შესახებ. დიდი მეცნიერების ოცნებები რეალურ ცხოვრებაში იწყებენ განხორციელებას. სენსორული დარღვევების მქონე ბავშვების სწავლება უკვე აღარ იყო ეგზოტიკური სიახლე. დასრულდა პრეცედენტების დრო და დაიწყო სპეციალური განათლების ნაციონალური სისტემების მშენებლობა. ეს შესაძლებელი გახდა უწინარესად იმიტომ, რომ საკანონმდებლო დონეზე აღიარებული იქნა ინვალიდების უფლება გარანტირებული სოციალური დახმარებისა და განათლების მიღების თაობაზე და ასევე- სახელმწიფოსა და საზოგადოების პასუხისმგებლობა ამ უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ამავე საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე, ანუ მეოთხე პერიოდის განმავლობაში, მსოფლიოს რიგი სახელმწიფოები გაივლიან გზას ყრუ-მუნჯებისათვის, უსინათლოებისათვის და გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირებისათვის სპეციალური განათლების მიცემის აუცილებლობის გაცნობიერებიდან იმ აუცილებლობის აღიარებამდე, რომ განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს განათლების მიღების შესაძლებლობა. ამ პერიოდში მიმდინარეობდა სპეციალური განათლების ნაციონალური სისტემების დახვეწა, ახალი ტიპის სპეციალური სწავლებებისა და

სპეციალური სკოლების ჩამოყალიბება, სკოლანდელი და სკოლის შემდგომი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსების პროცესი.

1957 წელს დასავლეთის ქვეყნები, რომლებშიც იგულისხმება აგრეთვე კანადა და ამერიკის შეერთებული შტატებიც, თანხმდებიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობაზე და ამ დროიდან მოყოლებული, სულ უფრო ხშირად შეინიშნება შეხედულებათა მსგავსება განათლებისა და კულტურის განვითარების პროცესების სტიმულირების თაობაზე. დემოკრატიული ქვეყნები აყალიბებენ საერთო ხედვას განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანების უფლებების დაცვის შესახებ, რაც აისახება 1961 წელს მიღებულ „ევროპის სოციალურ ქარტიაში“.

მეოთხე პერიოდში, ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, სპეციალური განათლების ნაციონალური სისტემების განვითარების საერთო ტენდენციებად შეიძლება ჩაითვალოს: სპეციალური განათლების საკანონმდებლო საფუძვლების დახვეწა-განმტკიცება, ასევე- სკოლების სახეობათა და სპეციალური სწავლების ტიპების დიფერენციაცია. მეოთხე პერიოდის დასასრულისათვის ადგილი აქვს სპეციალური ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვისა და მასში მოსწავლე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადაყვანის პირველ პრეცედენტებს. ამგვარი პრეცედენტები, შემდგომში გავლენას მოახდენს მრავალი ქვეყნის სპეციალური განათლების სისტემაზე, რაც გამოხატული იქნება იმით, რომ სახელმწიფოები კოორდინალურად გადახედავენ განათლების ამ სფეროში წარმოებულ სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას და დაიწყება განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე პირების საგანმანათლებლო იზოლაციიდან საგანმანათლებლო ინტეგრაციაზე გადასვლის პროცესი.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ანუ მეხუთე პერიოდის დასაწყისში, მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოებში საბოლოოდ დაიმსხვრა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან საკანონმდებლო სფეროში გაბატონებული სტერეოტიპული მიდგომები, რომლებიც სხვა პირებთან შედარებით, უფლებრივად არათანასწორ

მდგომარეობაში აყენებდა სენსორული, ფიზიკური, თუ მენტალური დარღვევების მქონე ადამიანებს. აღიარებული იქნა არამხოლოდ ადამიანების თანაბარუფლებიანობა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და განვითარების განსხვავებული მახასიათებლების მიუხედავად, არამედ ასევე – მათი უფლება თავად აირჩიონ გზები და საშუალებები განათლების მიღებისათვის.

ერთგვარი პარადოქსია, რომ განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის წინა ანუ მეოთხე ეტაპზე, ამგვარი პირების განათლების ხელშეწყობის მიზნით, საზოგადოება იბრძოდა სპეციალური ტიპის სასწავლო დაწესებულებების ორგანიზებისათვის, ხოლო მეხუთე პერიოდის დასაწყისიდან კი, ანუ სულ რაღაც ათეული წლის გასვლის შემდგომ, ბავშვის სწავლა სპეციალური ტიპის სკოლაში განხილული იქნა, როგორც მისი უფლებების დარღვევა და მისთვის გარკვეული სოციალური იარაღის მიკვრა.

მეხუთე პერიოდი გახლავთ პერიოდი ღია თარიღებით. დღეისათვის ძნელია იმის თქმა, თუ როდის და როგორ დასრულდება იგი. ძნელია იმის პროგნოზირება, თუ როგორი ცვლილება შეიძლება განიცადოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ადამიანების პრობლემების შესახებ დღეს არსებულმა შეხედულებებმა.

თანაბარი უფლებებიდან თანაბარი შესაძლებლობებისაკენ, ინსტიტუციონალიზაციიდან ინტეგრაციისაკენ. ასეთი გახლავთ განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ანუ სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის მეხუთე პერიოდის ძირითადი მახასიათებლები. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების განათლების პროცესში ამ ორი მიმართულების პოლარიზაცია და ერთმანეთისაგან რადიკალურად გამიჯვნა არაპროდუქტიული და მიზანშეუწონელია. სპეციალური განათლების პროცესის განვითარებისათვის

საჭიროა ორივე მიმართულება, როგორც ინსტიტუციონალიზაცია ასევე ინტეგრაცია.

ამრიგად, როგორც განვითარებაში სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციისა და სპეციალური განათლების სისტემების ჩამოყალიბების ისტორიის ზოგიერთი ასპექტის განხილვამ გვაჩვენა, ამ თვალსაზრისით, კაცობრიობას მდიდარი ისტორიული გამოცდილება გააჩნია. თავის მხრივ, ეს ისტორიული გამოცდილება უმნიშვნელოვანესია აღნიშნული პროცესების შემდგომი განვითარებისათვის. იგი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ უსინათლოთა ზოგადი და პროფესიული განათლების ისტორიაც, ამ საერთო ისტორიული გამოცდილების ნაწილია. ამ საგანმანათლებლო მიმართულებების ჩამოყალიბება და განვითარება ვერ მოხდებოდა სპეციალური განათლების სისტემის არსებობის გარეშე. უსინათლოთა განათლება მომავალშიც სპეციალური განათლების სისტემებისა და მოდელების ფარგლებში განვითარდება. მისი განვითარებისათვის კი, უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ევოლუციის, ასევე სპეციალური განათლების სისტემების მუშაობის გამოცდილება.

თავი II უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და შრომითი მოწყობის ისტორია საქართველოში

2.1 შესავალი

ნაშრომის ამ ნაწილში შევეცდებით მოკლედ, რეტროსპექტული რაკურსით, განვიხილოთ საქართველოში უსინათლოთა პროფესიული სწავლებისა და შრომითი მოწყობის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. საკუთრივ, უსინათლოთა განათლების ისტორია ჩვენს ქვეყანაში და ამ კონტექსტში უსინათლოთა პროფესიული განათლება, თავისთავად საინტერესო თემაა ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის. ჩვენი მიზანი არ გახლავთ მოცემული საკითხის ფუნდამენტური შესწავლა. ამჯერად, ვეცდებით წარმოვაჩინოთ მისი ზოგიერთი ასპექტი, გავიხსენოთ ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ეს ისტორია, განვიხილოთ ფაქტები და მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლების განვითარებაზე და შევაფასოთ ისინი დღევანდელი გადმოსახედიდან.

მე-19 საუკუნის დამდეგიდან საქართველო რუსეთის იმპერიამ დაიპყრო და რამდენიმე გუბერნიის სახით, იმპერიის ფარგლებში მოაქცია. ასე გრძელდებოდა 1918 წლამდე. შემდგომ ამისა, იყო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიანი პერიოდი, რასაც ქვეყნის ძალადობრივი გასაბჭოება და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეყვანა მოჰყვა. ამ ისტორიულმა პერიპეტიებმა, რაღა თქმა უნდა, თავისი კვალი დაატყო ქვეყნის განვითარებას. პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ სოციალური პროცესები, ჩვენს მიერ მონიშნულ პერიოდში, საქართველოში მისი დომინიონი ქვეყნის კარნახით იმართებოდა. ასე ხდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროშიც. ამავე ჭრილში უნდა განვიხილოთ საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და დასაქმების ისტორიაც. აუცილებლად აღსანიშნია რუსი და საბჭოთა ტიფლოპედაგოგების დამსახურება და ღვაწლი მსოფლიო ტიფლოპედაგოგიკის განვითარების საქმეში. რუსეთის იმპერია და შემდგომ

საბჭოთა კავშირი, უსინათლოთა განათლების ორგანიზების თვალსაზრისით, მე-19 საუკუნის 70-ანი წლებიდან მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოების რიგში ითვლებოდა. უსინათლოთა განათლების ამ საერთო ისტორიაში საქართველოსაც აქვს შეტანილი თავისი წვლილი.

მოცემულ თავში ჩვენ ვისაუბრებთ საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლების ასწლოვან ისტორიაზე, რომელიც მოიცავს პერიოდს, მე-19 საუკუნის 90-ანი წლებიდან მე-20 საუკუნის 90-ან წლებამდე. შევხებით ამ კატეგორიის პირთა შრომითი მოწყობის საკითხის გადაწყვეტის ისტორიულ გამოცდილებას. შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვებს, რომლებიც ლოგიკურად ჩნდება საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და ამ კატეგორიის პირთა დასაქმების ისტორიასთან დაკავშირებული თემების განხილვისას.

რა ეტაპებს მოიცავს უსინათლოთა პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში?

რა გზებით ხორციელდებოდა საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლება?

რა მექანიზმები იყო გამოყენებული უსინათლოთა შრომითი მოწყობისათვის?

როგორ უკავშირდებოდა ერთმანეთს ჩვენს ქვეყანაში უსინათლო ადამიანების პროფესიული განათლება და მათი დასაქმება?

ეს, ის აქტუალური საკითხებია, რომელთა გარშემოც განვითარდება შემდგომი მსჯელობა.

2.2 სახელობო სწავლება თბილისის უსინათლო ბავშვთა სასწავლებელში (უსინათლოთა პროფესიული განათლების პირველი ეტაპი 1890- -1923 წლები)

დავიწყით თავიდან, ესეიგი იქიდან, როცა საქართველოში საფუძველი ჩაეყარა უსინათლოთა ორგანიზებულ განათლებას. სწორედ იმ დროიდან იღებს სათავეს უსინათლოთა პროფესიული განათლებაც. როგორც ცნობილია, უსინათლოთა განათლების შემდეგი ორი მიმართულება, სასკოლო და სახელობო (ანუ პროფესიული), მე-18 საუკუნის მიწურულიდან, პარალელურ რეჟიმში, ფუნქციონირებდა და ვითარდებოდა ევროპის სახელმწიფოებში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში გახსნილ უსინათლოთა სასწავლებლებში. და, აი, მოვიდა დრო და მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოშიც გაიხსნა უსინათლოთა სკოლა. იგი პირველი უსინათლოთა სასწავლებელი იყო სამხრეთ კავკასიაში და ერთ-ერთი- მე-19 საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერიაში გახსნილ ამ ტიპის 24 სკოლას შორის.

მოგვაქვს ამონარიდი გიორგი რევაზიშვილის ბროშურიდან, სადაც მოთხრობილია თბილისში უსინათლოთა სასწავლებლის დაარსების შესახებ და რომელიც სრული სახით, გამოიცა თბილისში 2012 წელს სათაურით- „თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ისტორიიდან“:

„მე-19 საუკუნის დამლევსათვის, გაძლიერდა ქართველი ინტელიგენციის საქველმოქმედო მოძრაობა ამგვარი სასწავლებლის დასაარსებლად. ნინო ალექსანდრეს ასული აბაშიძე-ბუგაევსკაიას, გიორგი ალექსანდრეს ძე ტარსაიძისა და სხვათა აქტივობას 1888 წელს მხარს უჭერს კავალერიის გენერალ შერემეტიევის ქვრივი ევდოკია ბორისის ასული შერემეტიევა, რომელიც მოვლინებული იყო თბილისში, როგორც პეტერბურგის მზრუნველთა საბჭოს რწმუნებული. იგი დეტალურად გაეცნო მდგომარეობას კავკასიაში, სადაც ამ დროისათვის ათიათასამდე უსინათლო იყო აღწერილი, და დაასკვნა, რომ საჭირო იყო კავკასიის მზრუნველთა საბჭოს შექმნა, რაც 1889 წლის ნოემბერში სისრულეში იქნა მოყვანილი. საბჭომ თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩია ე. ბ. შერემეტიევა, რომლის უშუალო ხელშეწყობით იმავე წელს თბილისში გაიხსნა

უსინათლოთა სასწავლებელი 30 მოსწავლისათვის.“. (გიორგი რევაზიშვილი- „თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ისტორიიდან“ ნარკვევი- გვ.- 7. თბილისი- 2012 წელი.) .

უსინათლოთა სახელობო სწავლებას თბილისის სასწავლებელში იმთავითვე უდიდეს ნიშნელობას ანიჭებდნენ. ამ სასწავლებლის მესვეურები კარგად იცნობდნენ, უსინათლოთა განათლების ორგანიზების კუთხით, რუსეთის იმპერიაში, ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ დროისათვის დაგროვილ გამოცდილებას. ამ მხრივ, ალბათ ერთ-ერთი გამორჩეული იყო ქალბატონი ნინო აბაშიძე ბუგაევსკაია. მისი კომპეტენციის შესახებ, გ. რევაზიშვილის ნაშრომში ვკითხულობთ:

„არსებობს ცნობა, რომ სასწავლებლის პირველი ინსპექტორი (დირექტორი) ნინო აბაშიძე- ბუგაევსკაია გახდა. შემდგომ წლებში იგი უფრო ხშირად არის მოხსენიებული საარქივო მასალებში, როგორც სასწავლებლის უფროსი ინსპექტორი, საერთო საგნისა და ხელობის მასწავლებელი.

უსინათლო ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეში დაოსტატების მიზნით, იგი მივლინებული ყოფილა პეტერბურგში ალექსანდრე მარინსკის სასწავლებელში.“. (გიორგი რევაზიშვილი- „თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ისტორიიდან“ ნარკვევი- გვ.- 10. თბილისი 2012 წელი.) .

მოტანილი ფრაგმენტიდან, მხოლოდ იმაში კი არ ვრწმუნდებით, რომ ქალბატონ ნინო აბაშიძე ბუგაევსკაიას ჰქონდა საქმისთვის შესაფერი კომპეტენცია და კვალიფიკაცია, არამედ იმაშიც, რომ უსინათლოებისათვის ხელობის სწავლებას სკოლაში ჯეროვანი ყურადღება ეთმობოდა, რადგან თავად დირექტორი გახლდათ ხელობის მასწავლებელი. სამწუხაროდ, უცნობია, თუ კონკრეტულად რა ხელობას ასწავლიდა იგი.

გ. რევაზიშვილი ჩამოთვლის მასწავლებლებს და საგნებს, რომლებსაც ისინი ასწავლიდნენ:

„დ. იმერეტინსკაია (საერთო საგნები და ხელსაქმე), ნ. ი. მესხიევა (მუსიკა), ზ. ი. ჩხიკვაძე (სიმღერა, გუნდი), გ. მაჩაბელი, მისიონერი მღვდელი, ს.

გოროდცევი (ღვთისმეტყველება), ი. აბულიანცი (ღვთისმეტყველება, სომხური გრამატიკა), გ. პალი (კალათების წვნა)“. (გიორგი რევაზიშვილი- „თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ისტორიიდან“ ნარკვევი- გვ.- 12. თბილისი- 2012 წელი.) .

ამ ცნობიდან ვიგებთ, რომ სკოლაში ისწავლებოდა ხელობები- ხელსაქმე და კალათების წვნა, ასევე მუსიკა და გუნდში სიმღერა. ეს ბოლო ორი სპეციალობა, მუსიკა და გუნდში სიმღერა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დროინდელ საბაზრო კონიუნქტურას და საზოგადოების მენტალობას, შეგვიძლია გავიზიაროთ მოსაზრება, რომ უსინათლოებისათვის ხელობა უფრო იყო, ვიდრე შემოქმედებითი მწვერვალებისაკენ მიმავალი გზა. ამ ჩამონათვალიდან ისიც ჩანს, რომ სასწავლო საგნები იმ დროისათვის დამკვიდრებული მოწინავე სტანდარტების მიხედვით იყო შერჩეული.

სკოლას გააჩნდა სასწავლო რეჟიმისა და პანსიონში ცხოვრების შინაგანაწესი. შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე რეგულირდებოდა მოსწავლეთა ქცევა, გაწერილი იყო თითქმის ყველაფერი რაც კი, უკავშირდებოდა სასწავლო პროცესსა და საყოფაცხოვრებო აქტივობებს. საგნობრივი სწავლებისა და სასწავლებლის ცხოვრების ორგანიზების მაღალი სტანდარტი დასტურია იმისა, რომ სკოლის ხელმძღვანელობა კარგად იცნობდა, უსინათლოთა განათლების ორგანიზების საკითხთან დაკავშირებით, იმ დროისათვის გამოქვეყნებულ, გერმანელი, ფრანგი, რუსი, თუ სხვა ტიფლოპედაგოგების ნაშრომებს.

უინტერესო არ იქნება დღის განრიგის გაცნობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ უსინათლოები თბილისის სკოლაში: “ადგომა, დაბანა და ჩაცმა 7 სთ-დან 7 სთ. 30 წუთამდე; დილის ლოცვა და საუზმე- 7 სთ. 30 წუთიდან 8 სთ-სა და 30 წუთამდე; საწოლის მოწესრიგება- 8 სთ. 30 წუთიდან 9 სთ-მდე; გაკვეთილები: 9-დან 12 სთ-მდე; სადილი- 12 სთ-ზე; დასვენება-გასეირნება- 2 სთ-მდე; გაკვეთილები- 2-დან 4 სთ-მდე; სამხარი- 4 სთ-ზე; დასვენება- 5 სთ-მდე; სიმღერისა და ფიზკულტურის გაკვეთილები- 5-დან 7 სთ-მდე; ვახშამი- 7 სთ. 30 წთ-ზე; ფეხსაცმლის გაწმენდა- 8 სთ. 30

წთ-მდე; საწოლის მომზადება- იგივე დროში; ლოცვა, დაძინება- 8 სთ. 30 წთ-ზე. “. (გიორგი რევაზიშვილი „თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ისტორიიდან“ ნარკვევი- გვ.- 13. თბილისი 2012 წელი.) .

1900 წელს ავლაზარში მტკვრის სანაპიროზე ააშენეს უსინათლოთა სასწავლებლის ახალი შენობა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. გაუნმჯობესდა მოსწავლეთა პანსიონი და საყოფაცხოვრებო პირობები, დაემატა სასწავლო საგნები, რომელთაგან რამდენიმე სკოლის ახალ შენობაში გადასვლამდეც ისწავლებოდა, მაგრამ ახალმოსახლეობის შემდგომ მათი სწავლება სტაბილურად წარმოებდა გაწერილი პროგრამების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გამოყენებით ხელობებს. ასეთი მიდგომა საჭირო გახდა იმისათვისაც, რომ ნაკეთობები, თუ სხვა სახის ნაწარმი, რასაც მოსწავლეები ამზადებდნენ ბაზარზე გასაყიდად გაჰქონდათ და დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა მათ ხარისხს. ამ გზით, სკოლის ბიუჯეტში დამატებითი სახსრები შედიოდა. ამასთანავე, მოსწავლეების ანგარიშებზეც ირიცხებოდა მათ მიერ გაკეთებული ნაკეთობების გაყიდვიდან შემოსული თანხები და მათ შეეძლოთ ამ სახსრების განკარგვა საკუთარ მეურვეებთან ან სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. ხოლო მას მერე, რაც მოსწავლე სრულწლოვან ასაკს მიაღწევდა, მას უფლება ეძლეოდა თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ დაეხარჯა.

შეიძლება, თუ არა, მიჩნეული იქნას ასეთი მუშაობა უსინათლოთა შრომითი მოწყობის ჩანასახოვან ფორმად?

ამ შემთხვევაში, მართალია საქმე გვაქვს, გარკვეული სახით, უსინათლოთა შრომითი მოწყობის ორგანიზების მცდელობასთან, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს ადამიანის დასაქმებასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. მოსწავლეები პანსიონის კმაყოფაზე არიან, საკუთარი ნაწარმის გაყიდვით მიღებული შემოსავალი არ არის იმდენი, რომ მათ თავი ირჩინონ, დასაქმებას არა აქვს სტაბილური ხასიათი და რაც მთავარია, მოსწავლეებს არ შეუძლიათ, მოცემულ ვითარებაში, მათ დასაქმებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.

ყოველივე ამის გამო, მოცემული შემთხვევა ვერ განიხილება, როგორც უსინათლოთა შრომითი მოწყობის ფაქტი, მაგრამ დასაშვებია მისი შეფასება, როგორც უსინათლოთა დასაქმების მიმართულებით საქართველოში განხორციელებული პირველი ორგანიზებული ქმედება.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს თბილისის უსინათლო ბავშვთა სასწავლებელში პრიორიტეტი მიენიჭა ისეთი სახელობო სპეციალობების სწავლებას, როგორებიცაა: ჭრა-კერვა, დართვა, გადასაფარებლების ქსოვა, ჯაგრისების კეთება; ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კალათების წვნა, ხელსაქმე, მუსიკა, როგორც ზოგადი საგანი და გუნდში სიმღერა მანამდეც ისწავლებოდა. გარდა ამისა, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ბავშვებს, აგრეთვე ვიოლინოზე და ფორტეპიანოზე დაკვრასაც ასწავლიდნენ. ყოველივე ამას, ვიგებთ გ. რევაზიშვილის ზემოთ აღნიშნული ნაშრომიდან (გიორგი რევაზიშვილი- „თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ისტორიიდან“ ნარკვევი- გვ.- 16- -17. თბილისი 2012 წელი).

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ტიფლისის უსინათლოთა სკოლა სასწავლო პროცესის ორგანიზების თვალსაზრისითაც განვითარდა. გატარებული იქნა დონისძიებები მოსწავლეთა სასწავლო დისციპლინის კორექტირების კუთხით. მოსწავლეთა პასუხისმგებლობის დონის ამაღლებისა და აკადემიური მიღწევების გაუნმჯობესების მიზნით, შემოღებული იქნა საგნობრივი გამოცდები. ვნახოთ შესაბამისი ამონარიდი გ. რევაზიშვილის ნაშრომიდან:

„გამოცდების შედეგად 35 მოსწავლე დაკომპლექტდა ექვს კლასად. უმცროსთა მოსამზადებელ კლასში იყო 2 მოსწავლე; 2 მოსწავლე- უფროსთა მოსამზადებელ კლასში; 3 პირველ კლასში; 3 მეორე კლასში; 4 მესამე კლასში; ხოლო სახელოსნოში უნდა ესწავლა 21 ბავშვს.“. (გიორგი რევაზიშვილი- „თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ისტორიიდან“ ნარკვევი- გვ.- 26. თბილისი 2012 წელი.) .

1900 წლის 28 მაისს ჩატარებული გამოცდების მონაცემები და შედეგები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლის მესვეურებმა, წინა წლებთან შედარებით, მეტი

ყურადღება დაუთმეს აკადემიური დისციპლინების სწავლების დონის ამაღლების საკითხს, მაგრამ ამასთანავე, უმთავრეს პრიორიტეტად მაინც დარჩა სახელობო სწავლება (თანამედროვე ტრანსკრიბციით- პროფესიული განათლება). მონაცემებიდან ჩანს, რომ 21 ბავშვი ისწავლის ხელობას ანუ მიიღებს პროფესიულ განათლებას. ეს ტენდენცია შემდგომშიც გაგრძელდა. დრომ დაადასტურა ასეთი მიდგომის მიზანშეწონილობა.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებელი უმეტესად საკმარისად უზრუნველყოფილი იყო სახსრებით, როგორც შემოწირულობების, ასევე სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე, რასაც მოსწავლეთა ნაკეთობების გაყიდვის შედეგად მიღებული მცირე შემოსავალიც ემატებოდა, სკოლა პერიოდულად მაინც განიცდიდა მატერიალურ შეჭირვებას, რაც მეტწილად პოლიტიკური არასტაბილურობით უფრო იყო განპირობებული. გაჭირვების ჟამს კი, მოსწავლეებს სწორედ სკოლაში ნასწავლი ხელობით გაჰქონდათ თავი.

თუკი, 1900-იანი წლების პირველ ნახევარში, ჯერ კიდევ ხერხდებოდა სწავლების მეტ-ნაკლებად მაღალ დონეზე წარმართვა, მომდევნო წლებში სულ უფრო პრობლემატური ხდებოდა არამხოლოდ სწავლების დონისა და ხარისხის შენარჩუნება, არამედ თვით შენობაშიც კი, სასწავლო ფართის დაკარგვის რეალური საფრთხე დადგა. მოსწავლეთა და პედაგოგთათვის პირობები გაუარესდა. ერთი შეხედვით, ჰუმანურმა აქტმა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ოფტალმოლოგი ტარსაიძე და მისი კოლეგები სკოლის შენობის ბაზაზე თვალის კლინიკას ამუშავებდნენ და მრავალ ადამიანს ეხმარებოდნენ კიდევ, გამოიწვია სასწავლო პროცესის სერიოზული შეფერხება. კლინიკის ინტერესებმა გარკვეულწილად დათრგუნა სკოლის ინტერესები. ამას დაერთო 1905-1907 წლების პოლიტიკური მოვლენები და შემდეგ- პირველი მსოფლიო ომი, თანამდევი სიდუხჭირით. ყოველივე ამან, საგრძნობლად შეამცირა მოსწავლეთა კონტინგენტი.

1918-1921 წლების პირველი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილობის გამო, სკოლაც მეტ-ნაკლები რეგულარულობით ფუნქციონირებდა. ეკონომიკურად და პოლიტიკურად სუსტ სახელმწიფოს, მისი მესვეურების ჰუმანური განწყობის მიუხედავად, არ შეეძლო უსინათლოთა სასწავლებლისათვის ქმედითი დახმარების გაწევა. წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგაც, ბევრი არაფერი შეცვლილა უკეთესობისაკენ. სტაბილიზაციის გარკვეული ელემენტები შეინიშნება 1922 წლის დამლევიდან, როცა ბოლშევიკებმა საქართველო (აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში) საბჭოთა კავშირში შეიყვანეს. სწორედ იმ მძიმე პერიოდში გამოადგა ბევრ უსინათლოს თბილისის უსინათლოთა სასწავლებელში შექმნილი სახელობო ცოდნა. რამდენიმე მათგანი ჯაგრისებს ამზადებდა და თავს მათი გაყიდვით ირჩენდა. სხვებმა კალათების წვნასა და გასაღებას მიყვეს ხელი. ზოგიც ქუჩაში სიმღერითა და დუქნებში დაკვრით ინახავდა თავს. თუმცა მხოლოდ ეს, რა თქმა უნდა საკმარისი, ვერ იქნებოდა თავის გასატანად და ქალაქის ქუჩებში მომრავლდნენ უსინათლო მათხოვრები. და იმ დროს, როცა დაღმასვლის შეჩერება თითქოს შეუძლებელი ჩანდა, უსინათლოებს შორის გამოჩნდა ლიდერი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და ხელი მოჰკიდა უსინათლოების შრომითი მოწყობის საქმეს.

სასკოლო-სახელობო მომზადება გახდა ის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც, შეიქმნა უსინათლოთა დასაქმების საშუალება. ის გარემოება, რომ უსინათლოთა სკოლაში ჯერ კიდევ ისწავლებოდა ჯაგრისების გაკეთება ერთადერთი ხელის შემწყობი პირობა იყო მათი შრომითი მოწყობისათვის. მართალია, ძალიან დაკნინებული სახით, მაგრამ მაინც, ჯერკიდევ არსებობდა უსინათლოთა სახელობო სწავლება, რომლის მასწავლებელიც გახდა უსინათლოთა ორგანიზებული დასაქმების ინიციატორი.

2.3 უსინათლოთა ორგანიზებული დასაქმება, „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების“ დაარსება (პირველი ნაბიჯები, 1923- -1936 წლები)

„1923 წელს თბილისის უსინათლოთა სკოლის ჯაგრისების მასწავლებლის ავთანდილ ციხიშვილის ინიციატივით შეიქმნა უსინათლოთა კოლექტიური შრომის საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც, რა თქმა უნდა, სკოლის კურსდამთავრებულები შედიოდნენ. ჯგუფმა თავის თავზე აიღო უსინათლოთა ორგანიზებისა და მათი საზოგადოებაში თვითდამკვიდრების (დღევანდელი ტერმინოლოგიით საზოგადოებაში ინტეგრაციის) საქმე.“. (ნოდარ მამაცაშვილი- „საქართველოს უსინათლოთა კავშირი 85“ ნარკვევი- გვ.- 11. თბილისი- 2011 წელი) .

როგორც ყველა ახალ წამოწყებას, მათ საქმესაც მრავალი დაბრკოლება შეხვდა. იმ პერიოდში, ქვეყანაში საყოველთაო გასაჭირი იდგა. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ უსინათლოთა სიდუხჭირე მაინცადამაინც არავის აშფოთებდა. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს იმ გარემოებას, რომ თბილისში და სხვა ქალაქებში მცხოვრები უსინათლოების უმეტესობა თავს ირჩენდა წვრილი ვაჭრობითა და საკუთარი ხელით დამზადებული წვრილმანების გაყიდვით. მათ შორის, ბევრი იძულებული ხდებოდა ქუჩაში სამათხოვროდ გასულიყო. ავთანდილ ციხიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბებული უსინათლოთა კოლექტიური შრომის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს ჯაგრისების დამზადება და გაყიდვა. მათ ორი უმთავრესი პრობლემა ჰქონდათ: ჭირდებოდათ პროდუქციის დასამზადებელი ნედლეული (კალაპოტები, ძუა, მავთული, ჯაგარი), სამუშაო ფართი და ინვენტარი.

ნოდარ მამაცაშვილის ნაშრომში „საქართველოს უსინათლოთა კავშირის ისტორია“ შეტანილია „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების“ ერთ-ერთი უხუცესი წევრის, აწ გარდაცვლილი, ბატონი პეტრე ყარსიმაშვილის ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო მუშაობა უსინათლოთა კოლექტიური შრომის

საინიციატივო ჯგუფმა. ბატონი პეტრე თავად არ შესწრებია ამბავს და სხვათა მონათხრობზე დაყრდნობით გადმოსცა მაშინ მომხდარი:

„ერთ ღამეს ავთანდილ ციხიშვილს გაუთავისუფლებია ოთახი, შეუტანია სამუშაო მაგიდები, საკუთარი ფულით ნაყიდი 4 კილო ჯაგარი, კალაპოტები და მეორე დილით ახალგაზრდები: ლადო მიქელაძე, ვასილ არსოევი, ვ ბატლერი, ნ. ალოიანი და სხვები მუშაობას შესდგომიან. ეს რომ სკოლის დირექტორს უნახავს, სულ ცოფები უყრია, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გამხდარა, მილიციაში (საბჭოთა ხანაში პოლიციას ერქვა მილიცია) გაქცეულა. მოსულა ათკაციანი ოპერატიული ჯგუფი, მაგრამ ისევ უკან წასულა სიმღერით მომუშავე უსინათლოები რომ უნახავთ. აბა, მუშაობისა და სიმღერისათვის ხომ არ დააპატიმრებდნენ ხალხს.“. (ნოდარ მამაცაშვილი- „საქართველოს უსინათლოთა კავშირი 85“ ნარკვევი- გვ.- 11. თბილისი 2011 წელი).

იმავე ავტორის ნაშრომში კიდევ ერთი მოგონება გვხვდება, რომელიც უსინათლოთა კოლექტიურ შრომაში უშუალოდ ჩართულ პირს, ქალბატონ პელაგია სეხნიაშვილს ეკუთვნის. იგი იხსენებს: „ხუთი კილო ჯაგარი, კარგად მახსოვს, ავთანდილმა იყიდა ვიღაცა მუშისაგან. დავამზადეთ ჯაგარი და იმით დავიწყეთ. რას შვებოდა იგი? ვიმუშავებდით რამეს, წაიღებდა ბატლერი ლეიბა, გაყიდდა ყოველ დღე. ამ ფულსა მოაგროვებდა ავთანდილა და შაბათ-კვირად მოგვცემდა-ხოლმე.“. (ნოდარ მამაცაშვილი- „საქართველოს უსინათლოთა კავშირი 85“ ნარკვევი გვ.- 13. თბილისი 2011 წელი).

მაშ, ასე, 1923 წელს შეიქმნა უსინათლოთა ორგანიზებული დასაქმების პირველი პრეცედენტი საქართველოში. მართალია, ამას წინ უძღვოდა გარკვეული ავანტურა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა როგორც ამბობენ-ხოლმე: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. უსინათლოთა კოლექტიური შრომის საინიციატივო ჯგუფში გაერთიანებულმა ადამიანებმა 1926 წელს დააფუძნეს „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება“ რომლის გამგეობის პირველი თავმჯდომარეც ავთანდილ ციხიშვილი გახდა. მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული თანამედროვე პერიოდის ჩათვლით, „საქართველოს უსინათლოთა

საზოგადოება“ არის ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები უსინათლოების ძირითადი დამსაქმებელი.

ამ საზოგადოების დაარსებისთანავე, მისი უმთავრესი ამოცანა გახდა უსინათლოთა შრომითი მოწყობა. საზოგადოების დაფუძნებიდან მალევე, ავთანდილ ციხიშვილი და მისი თანამოაზრეები ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდნენ. მაგრამ, თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ დაბრკოლებები გადალახული იქნა და მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების შუა ხანისათვის, „საზოგადოება“ უკვე ავტორიტეტულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. „საზოგადოების“ გაძლიერების პარალელურად იზრდებოდა დასაქმებულ უსინათლოთა რაოდენობა. ორგანიზაციის ფორმირებისა და განვითარების პირველი ათწლეულის შესახებ, ნოდარ მამაცაშვილი წერს: „ცალკეულ ენთუზიასტთა ძალისხმევა საკმარისი არ იყო. სახელმწიფო სუფსიდიები არ არსებობდა. ორგანიზაციის დამფუძნებლები გრძნობდნენ, რომ გარედან შემოწირულობათა გარეშე სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდნენ. გადაწყდა, რომ გამოეცხადებინათ ეგრეთწოდებული „სამდლიური“. ეს უკიდურესი ნაბიჯი იყო იმდროინდელი პირობებიდან გამომდინარე. სამი დღის განმავლობაში თბილისის ქუჩებში შეამჩნევდით კომკავშირულ აქტივისტებს ხელში ყუთებით და მკერდზე წარწერით: “დაეხმარეთ უსინათლოთა საზოგადოებას“.

ამავე დროს, მაშინდელი ალექსანდრეს (ამჟამად ცხრა აპრილის) ბაღის შესასვლელში იდგა ყუთი, სადაც შეწირულობა გროვდებოდა. საკმაოდ სოლიდური თანხა შეგროვდა, რამაც შესაძლებელი გახადა ახალი საამქროების გახსნა.

1927 წელს, თბილისის საქალაქო აღმასკომმა უსინათლოებს ავლაბარში გამოუყო პატარა დარბაზი, რომელშიაც უსინათლოთა საზოგადოებამ გახსნა ჯაგრისების საამქრო. საბრუნავი თანხა საამქროს გადასცეს: უსინათლოთა სკოლამ 200 მანეთი, „ ბავშვთა კომისიამ“ – 300 მანეთი, „საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატმა“ და ქალაქის აღმასკომმა – 500 მანეთი.

1929 წლისათვის 40 უსინათლო მუშაობდა, საბრუნავი თანხით 7030 მანეთი.

1936 წელს, შემოწირული თანხების მოზიდვის შემდეგ, უსინათლოთა საზოგადოების საწარმო გაფართოვდა, შეიქმნა ეგრეთწოდებული კალაპოტების ქარხანა, ტექნო-ქიმიური ლაბორატორია, სამკერვალო სახელოსნო, სათუნუქე-მომთუთიებელი ქარხანა, სარეალიზაციო პუნქტი და სხვა საწარმოები. ცხადია, პომპეზური სახელწოდებების მიუხედავად, ეს საწარმოები კუსტარულ საამქროებს წარმოადგენდნენ.

სახელმწიფო უკვე ანგარიშს უწევდა ახალ საზოგადოებას. საჭირო იყო უფრო მეტი სამუშაო ადგილები და ახალი სერიოზული საქმიანობის წამოწყება. ამისათვის კი, სათანადო ფართი და მამტაბი იყო საჭირო.“. (ნოდარ მამაცაშვილი- „საქართველოს უსინათლოთა კავშირი 85“ ნარკვევი- გვ.- 16. თბილისი 2011 წელი).

იმ პერიოდისათვის, უსინათლოთა დასაქმების მხოლოდ ორი მიმართულება იყო წარმოდგენილი. ერთი- უკავშირდებოდა მუსიკას, ხოლო მეორე- მსუბუქ მრეწველობას. არავის უკვირდა უსინათლოთა საქმიანობა მუსიკალური განხრით. ამ სფეროში მათ გარკვეული ნიშაც დაიმკვიდრეს. არსებობდა ჯერ კიდევ ძველი თბილისიდან მომდინარე ტრადიციებიც. უსინათლოები მონაწილეობდნენ მუსიკალურ დასტებში, რომლებიც დაკრძალვისა და საქორწინო რიტუალებზე უკრავდნენ, მღეროდნენ სხვადასხვა შრომით კოლექტივებთან არსებულ ხალხური, თუ კლასიკური სიმღერის გუნდებში, მათ შორის იყვნენ ქუჩის მომღერლებიც, აწყობდნენ პიანინოებს, აკეთებდნენ ხალხურ საკრავ ინსტრუმენტებს, უკრავდნენ და მღეროდნენ რესტორნებში. მეორე მიმართულება მოიცავდა კუსტარული მრეწველობის მცირე სეგმენტს. დასაქმებული უსინათლოების რაოდენობის ზრდა, სწორედ ამ სეგმენტის გაფართოვებაზე იყო პროპორციულად დამოკიდებული. რაც მეტი წარმოება გაიხსნებოდა, მით მეტი უსინათლო დასაქმდებოდა.

2.4 უსინათლოთა პროფესიული განათლების აქტუალიზაცია და რეფორმა საბჭოთა სასკოლო განათლებაში (უსინათლოთა პროფესიული განათლების მეორე ეტაპი 1925- -1935 წლები)

პროცესები დაახლოებით მსგავსი სქემებით ვითარდებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში. იქმნებოდა უსინათლოთა საზოგადოებები, რომლებიც აქტიურად აყენებდნენ უსინათლოთა დასაქმების მოთხოვნას. თანდათანობით, იზრდებოდა მომუშავე უსინათლოების რაოდენობა. მაგრამ, ამ კატეგორიის პირთა დასაქმების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ სამუშაო ადგილების ზრდასთან არ იყო დაკავშირებული. კვალიფიციური შრომისათვის მხედველობის დაზიანების მქონე პირს კვალიფიციური პროფესიული განათლება ესაჭიროებოდა. ამ კატეგორიის პირთა შრომითი მოწყობა შესაძლებელი გახდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავდაპირველად დაეუფლებოდნენ გარკვეულ პროფესიას ან შეისწავლიდნენ რაიმე ხელობას. ამგვარად, საკავშირო მაშტაბით კვლავ მნიშვნელოვანი გახდა უსინათლოთა პროფესიული განათლების თემა.

ავთანდილ ციხიშვილის თაოსნობით, როცა 1923 წელს, უსინათლოთა პირველი კუსტარული წარმოების ორგანიზება მოხერხდა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ჯაგრისებს ამზადებდა, საქართველოშიც აქტუალური გახდა უსინათლოთა პროფესიული განათლების საკითხი. უფრო სწორად, ამ საკითხმა კვლავ დაიბრუნა აქტუალობა მას შემდეგ, რაც ისტორიული ქარტეხილების გამო, ისიც და უსინათლოების განათლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც უყურადღებოდ იყო დარჩენილი.

ზემოთ უკვე შევხეთ თემას, თუ როგორ იყო სახელობო სწავლება ორგანიზებული თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონში მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის. მაგრამ, იმავე საუკუნის ოციან წლებში, უსინათლოთა პროფესიულ სწავლებას ორგანიზებული სახე აღარ ჰქონდა. სკოლაში ბავშვებს მხოლოდ ჯაგრისების კეთების ხელობას ასწავლიდნენ. სწავლება არ ატარებდა

რეგულარულ ხასიათს. ამ მხრივ, ვითარება უკეთესობისაკენ შეიცვალა შემდგომ იმისა, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ საგანმანათლებლო სფეროში გარკვეული რეფორმები განახორციელა. ეს ცვლილებები შეეხო უსინათლოთა განათლებასაც.

მთელს საბჭოთა კავშირში და ასევე საქართველოშიც, როგორც მის შემადგენელ ნაწილში, უსინათლოთა სკოლების სტატუსი გაუთანაბრდა, როგორც მაშინ უწოდებდნენ – მასობრივი სკოლების ანუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სტატუსს. უსინათლოთა სკოლები ჩართული იქნა სოციალური აღზრდის ორგანიზაციათა ქსელში და მათთან მუშაობა ერთიანი გეგმისა და პროგრამების მიხედვით გაუთანაბრდა შრომით სკოლებს. დაისვა საკითხი უსინათლოთა სკოლებისათვის სპეციალური კადრების მომზადების შესახებ.

სოციალური კოგნიტივიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ლევ ვიგოდსკიმ განავითარა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, სპეციალური აღზრდა დასძლევს უსინათლობით განპირობებულ დეფექტსა და ამ მიზეზით გამოწვეულ ჩამორჩენილობას. მისი შეხედულებები დაედო საფუძვლად უსინათლო ბავშვთა სპეციალური სკოლის პროგრამას, რომელიც მოამზადეს ვ.ა. განდერმა, პ.რ. ეფრემოვმა, ლ.ვ. ზანკოვმა, დ.ი. ზორიჩევმა და გ.ა. უსპენსკაიამ. პროგრამა საბჭოთა კავშირში ამოქმედდა 1928 წლიდან. ამ პროგრამის ერთერთი უმთავრესი დებულება იყო, რომ უსინათლო ბავშვებს შესწევთ უნარი, სასკოლო სწავლების პროცესში გათვალისწინებული შინაარსის დონეზე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სხვა მოსწავლეების მსგავსად შეისწავლონ მეცნიერების ზოგადი საფუძვლები.

პროგრამის ამოქმედების კატალიზატორი გახდა მსჯელობა, რომელიც გაიმართა 1925 წლის იანვარში სრულიად რუსეთის მასწავლებელთა პირველ ყრილობაზე. ამ ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დეფექტური ბავშვების სწავლა-აღზრდისა და მათი მოვლა-პატრონობის ამოცანებს. დადგენილებაში აღინიშნა, რომ დეფექტურ ბავშვთა ორგანიზაციების მუშაობა წარმართულიყო მასობრივი სკოლების მუშაობისა და საერთო პედაგოგიკის პრინციპებზე დაყრდნობით; მოემზადებინათ ისინი საზოგადოებრივად

სასარგებლო შრომისათვის. 1928 წლიდან, წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით, საბჭოთა კავშირში არსებულ უსინათლოთა სკოლებშიც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობდა ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების პროგრამების შესაბამისად. განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ დაწყებით ოთხკლასიან საფეხურზე, უსინათლოთა სკოლების შემთხვევაში დაემატა ერთი წელი. ესე იგი, მასობრივი სკოლის დაწყებითი ოთხწლიანი პროგრამა გადანაწილდა უსინათლოთა სკოლის ხუთ კლასზე ანუ სწავლის ხანგრძლივობა ამ ეტაპზე ერთი წლით გაიზარდა. სასწავლებელი გახდა შვიდწლიანი. მისაღებთა ასაკი განისაზღვრა მოსამზადებელ ჯგუფში 4-6 წლით, სასკოლოში _ 8-10 წლით, ხოლო სახელოსნოში _ 14-17 წლით. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება პროფტექნიკურ სწავლებაზე. უსინათლოებს მიეცათ უფლება, ესწავლათ ყველა ტიპის მასობრივ სასწავლებლებში. გამოქვეყნდა დადგენილება საყოველთაო განათლების განხორციელებისა და სავალდებულო შრომითი სწავლა-აღზრდის შესახებ შვიდწლედის ფარგლებში, განსახკომთან შეიქმნა სპეციალური სკოლების განყოფილება, დაშვებულ იქნა ინსპექტორის სამტატო ერთეული, რომელსაც დაევალა უშუალოდ უსინათლოთა სკოლის მოვლა-პატრონობა და საერთო ხელმძღვანელობა. გაძლიერდა მომთხოვნელობა დირექტორის მიმართ. სკოლა გადავიდა ადგილობრივ ბიუჯეტზე და გარკვეულად გაუმჯობესდა მისი მატერიალური მდგომარეობაც. სასწავლო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ 30-იან წლებში ხელი შეუწყო სკოლებში კონტინგენტის ზრდასაც. მაგ., 1934 წელს საკავშირო მასშტაბით უსინათლოთა სკოლებში სწავლობდა

2988 მოსწავლე, 1935 წელს ეს რიცხვი 3782 მოსწავლემდე გაიზარდა. ასეთივე მდგომარეობა იყო თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლაშიც, სადაც 1929 წელს ირიცხებოდა 16 მოსწავლე, 1934 წელს 44, ხოლო 1935 წელს 65. (გიორგი რევაზიშვილი- „თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ისტორიიდან“ ნარკვევი- გვ.- 29. თბილისი 2012 წელი).

1930-ან წლებში თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მდგომარეობა ისეთი სავალალო უკვე აღარ იყო, როგორც წინა ათწლეულში. საგნობრივი სწავლების პროცესი კვლავ იბრუნებს ორგანიზებულ რეგულარულ ხასიათს. ამ მხრივ, ვითარება საგრძნობლად გამოსწორდა. რასაც ვერ ვიტყვით სახელობო მომზადებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპეტენტური პირებისა და ორგანიზაციებისათვის ნათელი გახდა პროფესიული განათლების მნიშვნელობა უსინათლოთა შრომითი მოწყობის საკითხის გადაწყვეტისათვის, ამ მხრივ, თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში მდგომარეობა რეალურად არ გაუმჯობესებულა. სახელობო სწავლება აქ კვლავინდებურად მხოლოდ ჯაგრისების კეთებით იყო წარმოდგენილი. რეფორმამ, რომელიც საბჭოთა სასკოლო განათლების სისტემაში განხორციელდა და რომელიც ზოგადად კარგი შედეგის მომცემი აღმოჩნდა უსინათლოთა სკოლებისთვის, მხედველობის დარღვევების მქონე პირების პროფესიული განათლების კუთხით, თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში მოსალოდნელი დადებითი შედეგი ვერ მოიტანა.

2.5 უსინათლოთა პროფესიული განათლება და დასაქმება წარმოებებში (უსინათლოთა პროფესიული განათლების მესამე ეტაპი 1938- -1991 წლები)

1930-ანი წლების დამლევისათვის, საბჭოთა კავშირში ვითარება მომწიფდა იმისათვის, რომ უსინათლოთა დასაქმების საკითხთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად, ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯები გადაედგა. საქართველოც საბჭოთა სივრცეში შედიოდა. ამიტომ ის იდეები, რომლებიც სათავეს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში იღებდა, მალე აქაც მისაღები ხდებოდა. უსინათლოთა შრომითი მოწყობის საკითხის გადაწყვეტით დაკავებული საბჭოთა სახელისუფლო ორგანოების მუშაკებისათვის ნათელი გახდა, რომ ამ კატეგორიის პირთა პროფესიული მომზადებისათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ უსინათლოთა სკოლების პროგრამაში შეტანილი სახელობო სწავლება. სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა მსუბუქი და მძიმე მრეწველობა. ასეთ გარემოში შრომითი მოწყობისათვის უსინათლოები უნდა დაუფლებოდნენ ახალ პროფესიებს. ამისთვის კი, მხოლოდ უსინათლოთა სკოლებში არსებული პროფესიული სწავლება არ იყო საკმარისი.

წარმოიშვა იდეა, რომ მხედველობის მქონე სხვა მრავალი საბჭოთა მოქალაქის მსგავსად, უსინათლოებსაც პროფესიული განათლება მიეღოთ უშუალოდ წარმოებებში, რომლებშიც იმუშავებდნენ. ეს ნიშნავდა იმას, რომ უსინათლოებზე გავრცელდა პროფესიული განათლებისა და შრომითი მოწყობის სქემა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ის მოქალაქეები, ვისაც პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში არ ჰქონდათ გავლილი სახელობო მომზადების კურსი და ისე იწყებდნენ მუშაობას ქარხანასა, თუ ფაბრიკაში. იმ მცირე წარმადობის საამქროებს, რომლებიც საგანგებოდ უსინათლოთა დასაქმების მიზნით იქმნებოდა ეწოდათ „სასწავლო, საწარმოო წამოწყებები“. ამ სახელწოდებაში ჩანს, რომ წამოწყების მიზანია წარმოების გახსნა, უსინათლოთა პროფესიული სწავლება და მათი, იქვე წარმოებაში, დასაქმება.

ჯერკიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე იყო საქართველოში ამგვარი „სასწავლო საწარმოო წამოწყებების“ გახსნის მცდელობა. ამ კუთხით, პირველი ნაბიჯებიც იქნა გადადგმული, მაგრამ ამ იდეის სრულფასოვანი განხორციელება მოხდა ომის დასრულების შემდგომ. თუმცა ის პირველი მცდელობა ისტორიის ნაწილია და ამდენად, საინტერესოა მასთან დაკავშირებული პერიპეტეები.

1938 წელს უსინათლო ენთუზიასტთა ერთმა ჯგუფმა, .მ. გრიშაშვილის თაოსნობით, ქალაქიდან დაშორებით, საფუძველი ჩაუყარეს ცხვრის ტყავის დამუშავებას. აქვე იყო კალათების წვნის საამქროც. სულ სოღანლულში თავდაპირველად 25 უსინათლო იყო დასაქმებული. მალე კალათების საამქრომ განვითარება ვეღარ ჰპოვა და დაიშალა. მაგრამ დარჩა უსინათლოთა ბირთვი, რომელიც განაგრძობდა ბრძოლას არსებობისათვის.“. (ნოდარ მამაცაშვილი- „საქართველოს უსინათლოთა კავშირი 85“ნარკვევი- გვ.- 18. თბილისი 2011 წელი) .

ქურქ-ბეწვეულის წარმოებამ თავისდროზე დიდი როლი შეასრულა. ომის დროს მთელ საქართველოში აგროვებდნენ ცხვრის ტყავს ფრონტის დასახმარებლად. ეს ტყავი სოღანლულში იყრიდა თავს. აქ მისგან უსინათლოთა წარმოება ამზადებდა ქურქებს საბჭოთა არმიისათვის.“. (გ. შარაშიძე, ბ. ნუცუბიძე- „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება ადამიანები- საქმიანობა“ ნარკვევი- გვ.- 69. თბილისი- 1961 წელი, გამომცემლობა „ცოდნა“)

იმის გამო, რომ სოღანლულის დაუსახლებელ ველზე ტყავ-ბეწვეულის გადამამუშავებელი და ქურქ-ჟილეტების დამამზადებელი საამქრო გაიხსნა, იმ ადგილს რუსული სიტყვების „მეხ (ქართულად- ბეწვი) და „შუბა“ (ქართულად- ქურქი) კომბინაციის მიხედვით, ხალხმა “მეხ-შუბა“ უწოდა. ეს ტოპონიმი დღემდე ცოცხლობს ხალხის მეხსიერებაში.

დავუბრუნდეთ ისევ მეორე მსოფლიო ომის პერიოდს. როგორც გ. შარაშიძისა და ბ. ნუცუბიძის წიგნიდან ვიგებთ, სოღანლულის, ბეწვისა და ტყავის გადამამუშავებელ, წარმოებაში დასაქმებულმა უსინათლოებმა მათი წვლილი შეიტანეს წითელი არმიის ტანსაცმლით მომარაგების საქმეში.

საინტერესოა, თუ როგორ ცხოვრობდნენ იმ დროს თავად ამ წარმოებაში მომუშავე უსინათლოები? ამის თაობაზე, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ვეტერანი უსინათლო კაცის (აწ გარდაცვლილი) ბატონი სოსო კურდღელაშვილის მოგონება, რომელიც ნ. მამაცაშვილის ნაშრომში გახლავთ შეტანილი.

„-ომის პერიოდში მე ვმუშაობდი სოღანლულის წარმოებაში, რომელიც გაიხსნა 1938 წელს. აქ მუშაობა ძალიან უჭირდათ უსინათლოებს, იქაურობას ციმბირს ეძახდნენ. რადგან არ იყო წყალი, საჭმლით მომარაგება ჭირდა, განსაკუთრებით გაჭირდა ომის დროს. იყო შემთხვევა, რომ პროდუქცია არ გვქონდა და ჭირდა მუშაობა. არ იყო ხელფასები იმიტომ, რომ გამოშვებული პროდუქცია არ სალდებოდა. ხალხს ისე უჭირდა, რომ კოპტონსაც კი ჭამდნენ. წყალს უსინათლოები „აკაჩავებდნენ“ მტკვრიდან და ხმარობდნენ წარმოებაში და თქვენ წარმოიდგინეთ, დასალევადაც. ხშირად სტუმრებისთვისაც მიმირთმევია დასალევადა.“. (ნოდარ მამაცაშვილი- „საქართველოს უსინათლოთა კავშირი 85“ ნარკვევი- გვ.- 19. თბილისი 2011 წელი).

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ სიტუაცია თანდათან სტაბილური გახდა. გაუნმჯობესდა ეკონომიკური პირობებიც. ადგილობრივმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა ანგარიში გაუწიეს იმ გარემოებას, რომ ომის პერიოდში წითელი არმიის მხარდასაჭერად, შრომით საქმიანობაში თავისი წვლილი შეჰქონდათ უსინათლოებსაც. გარდა ამისა, ომიდან დაბრუნებული მხედველობადაზიანებული ადამიანების შრომითი მოწყობის საკითხიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას ითხოვდა. ყოველივე ამან განაპირობა, რომ კვლავ აქტუალური შეიქმნა უსინათლოთა შრომითი მოწყობის თემა. უკვე არსებობდა, უსინათლოთა დასაქმების მიზნით, „სასწავლო საწარმოო წამოწყებების“ მუშაობის მცირე გამოცდილება და ამ იდეამ განვითარება ჰპოვა. მეოცე საუკუნის ორმოციანი წლების დამლევიდან, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, რამდენიმე უსინათლოთა „სასწავლო, საწარმოო წამოწყება“ დაფუძნდა.

თუკი მანამდე, უსინათლოთა პროფესიული სწავლება მხოლოდ თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში წარმოებდა და ეს დაწესებულება იყო

უსინათლოთა პროფესიული დაოსტატების ერთადერთი კერა, მას შემდეგ, რაც „სასწავლო, საწარმოო წამოწყებები“ ამოქმედდა, უსინათლოთა პროფესიული განათლების ფუნქციაც ამ წარმოებებზე გადაინაწილდა. უსინათლოთა „სასწავლო საწარმოო წამოწყებების“ შესახებ მსჯელობის დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მათი დაარსების ერთ-ერთი მიზანი, უსინათლოთა დასაქმებასთან ერთად, უსინათლოთა პროფესიული განათლება გახლდათ. ამ წარმოებების შექმნამდე ამ კატეგორიის პირთა პროფესიული განათლების ფაქტობრივად ერთადერთი კერა საქართველოში თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი იყო. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ იმ დროს არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, უსინათლოებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ პროფესიული განათლება პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებში ან სახელოსნოებში. მაგრამ, ფაქტიურად ეს შეუძლებელი იყო, რადგან პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლების ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო პროგრამები არ გახლდათ ადაპტირებული უსინათლო სტუდენტების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ მასობრივ სკოლებში არსებული ვითარება არ შეესაბამებოდა უსინათლოთა სპეციალურ საჭიროებებს, მაინც იყო შემთხვევები, როცა უსინათლო ბავშვებმა განათლება მასობრივ სკოლაში მიიღეს და სწავლა წარმატებით დაასრულეს. რამდენადაც ცნობილია, საბჭოთა ხანაში, უსინათლო სტუდენტის სწავლის ფაქტს, ადგილი არ ჰქონია იმდროისათვის საქართველოში არსებულ პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებში.

ამრიგად, უსინათლოთა „სასწავლო საწარმოო წამოწყებების“ გახსნამდე ამ კატეგორიის პირთა ორგანიზებული პროფესიული განათლება წარმოებდა მხოლოდ თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში. პროფესიული სწავლების ის ფორმა, რომელიც ამ სკოლაში იყო წარმოდგენილი, რამდენიმე მიზეზის გამო, მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან, ვეღარ აკმაყოფილებდა უსინათლოთა პროფესიული განათლების კუთხით იმდროისათვის არსებულ მოთხოვნებს. სახელობო სწავლება იქ ვიწრო პროფილით შემოიფარგლებოდა და ძირითადად, მხოლოდ ჯაგრისების კეთებაში დაოსტატებას მოიცავდა. სკოლაში

სწავლა ძნელად ხელმისაწვდომი გახლდათ თბილისიდან ტერიტორიულად დაშორებულ რაიონებში მცხოვრები ბავშვებისათვის. ადამიანს, რომელმაც სასკოლო ასაკის შემდგომ დაკარგა მხედველობა, ამ სასწავლებელში პროფესიული განათლების მიღების უფლება არ ჰქონდა. ამ მიზეზებმა განაპირობა უსინათლოთა პროფესიული განათლების აქცენტის გადატანა „სასწავლო საწარმოო წამოწყებებზე“.

ზემოთ უკვე გავამახვილეთ ყურადღებასაგანზე, რომ უსინათლოთა პროფესიული განათლების ორგანიზებისათვის შეირჩა სქემა, რომელიც უკვე აპრობირებული იყო მხედველობის მქონე იმ მოქალაქეებზე, ვინც პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებში სახელობო მომზადების კურსის გავლის გარეშე, იწყებდნენ მუშაობას ქარხანასა, თუ ფაბრიკაში. „სასწავლო საწარმოო წამოწყებებში“ უსინათლოთა პროფესიული განათლების მოდელი ასეთი გახლდათ: უსინათლო აცხადებს წარმოებაში მუშაობის სურვილს; მისი ასაკი უნდა იყოს არანაკლებ 14 წელი; თავდაპირველად, „სასწავლო საწარმოო წამოწყებაში“ მას აფორმებენ, როგორც მოწაფეს (სტაჟიორს), წარმოებაში მას ხვდებიან სპეციალისტები (კვალიფიციური ოსტატები), რომლებსაც გააჩნიათ გამოცდილება იმისა, თუ რომელი ხელობის დაუფლების უნარი შესწევს უსინათლო ადამიანს, მათ აქვთ, აგრეთვე საჭირო ცოდნა და კვალიფიკაცია იმისათვის, რომ წარმოებაში ახლადმოსული უსინათლო შეგირდად აიყვანონ; განსაზღვრულია წარმოებაში სწავლების ვადა; მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ პროფესიას ეუფლება უსინათლო მოწაფე; სწავლების ვადის გასვლისა და შესატყვისი ცოდნის მიღების შემდგომ, უსინათლო შეგირდს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და იგი კვალიფიცირებული მუშა-სპეციალისტი ხდება. როგორც შემდგომ ათწლეულებში მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა, პროფესიული სწავლების ეს მარტივი მოდელი, საბჭოთა სინამდვილეში, უსინათლოთა პროფესიული განათლების თვალსაზრისით, მიზანთან და შესაძლებლობებთან მისადაგებული და შედეგიანი გამოდგა. „სასწავლო საწარმოო წამოწყებები“ თანდათანობით საქართველოს

მრავალ რაიონსა და ქალაქში გაიხსნა. ამ გარემოებამ, თბილისის გარეთ მცხოვრებ უსინათლოებს პროფესიული განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობა მისცა და არამხოლოდ მათ, ვინც მხედველობა ბავშვობის ასაკში დაკარგა, არამედ ზრდასრულ უსინათლოებსაც. პროფესიული განათლების მიღება და შემდგომში დასაქმება, მთელი ქვეყნის მაშტაბით, უფრო ხელმისაწვდომი გახდა მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებისთვის.

უსინათლოთა „სასწავლო საწარმოო წამოწყებებს“ გააჩნდათ ფუნქციონირებისა და განვითარების პრიორიტეტები. ორმოციან წლებში, უსინათლოთა შორის, ყველაზე პოპულარულ სპეციალობად ჯერ კიდევ ჯაგრისების კეთება რჩებოდა. არსებობდა სტერეოტიპიც, რომ უსინათლოებს, სხვა ხელობაზე მეტად, ჯაგრისების დამზადება ეხერხებოდათ. ამიტომაც, ჯაგრისების წარმოება პრიორიტეტული იყო „სასწავლო, საწარმოო წამოწყებებშიც“. საგანგებო დადგენილებით მთავრობამ ჯაგრისების დამზადება მთლიანად უსინათლოთა „სასწავლო, საწარმოო წამოწყებებს“ ჩააბარა. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წარმოებებში დასაქმებული უსინათლოების შემოსავლების ზრდას. გარდა ამისა, უსინათლოთა წარმოების ეგიდით, აამუშავეს იმ დროისათვის ისეთი ეგზოტიკური და უნიკალური წარმოება, როგორცაა პომიდვრის თესლისაგან ზეთის გამოხდის საამქრო. ცნობებს, სახელმწიფოს მიერ უსინათლოთა წარმოებებისათვის ჯაგრისების დამზადების ექსკლუზიური უფლების გადმოცემისა და პომიდვრის თესლის ზეთსახდელი საამქროს ამოქმედების თაობაზე, ვხვდებით უსინათლოთა საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის ალი გოგიბერიძის მოგონებაში, რომელიც შეტანილია გ. შარაშიძისა და ბ. ნუცუბიძის ნარკვევში „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება, ადამიანები- საქმიანობა“:

„-მთავრობის დადგენილებით, საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ გადმოგვცა ჯაგრისების დამზადების საქმე. ჯაგრისების დამზადების სახელოსნოები„ 26 კომისრის“ რაიონში, ძირითადად, მოუწყობელ ბინებში იყო განთავსებული. ჯაგრისების წარმოებაში მთლიანად გამოიყენება უსინათლოთა შრომა. სოღანლუღის წარმოების ტერიტორიაზე, მზიან შენობაში, მოეწყო ჯაგრისების

დამზადება. ჩვენი წამოწყება სხვადასხვა სახის ჯაგრისებით მთელ მრეწველობას ამარაგებს.

ცდის სახით, გახსნილი იყო ზეთსახდელი წარმოება, რომელშიც სრულიად ახალი და საინტერესო ცდა ჩატარდა. დავიწყეთ ზეთის გამოხდა პამიდორის თესლისაგან. თესლს ვამზადებდით საკონსერვო ქარხნებში. ანალიზებით დამტკიცდა, რომ პამიდორის თესლისაგან დამზადებული ზეთი, თავისი შემადგენლობით და სურნელებით, სელის ზეთის მსგავსია. აღსანიშნავია, რომ არსად მსოფლიოში პამიდორის თესლისაგან ზეთი არ იხდებოდა. ჩვენი ინიციატივით, ეს წამოწყება მოიწონა სახელმწიფო მრეწველობამ, რომელმაც მოჰკიდა ამ საქმეს ხელი. პამიდორის ზეთს საპარფიუმერიო მრეწველობა იყენებს. ჩვენი წამოწყება, ახლა უკვე, პამიდორის თესლის ზეთს არ ხდის. ამ ბაზაზე, ჯერ მოეწყო ბამბის კურკის ზეთის გამოხდა, შემდეგ – საპნისა და ნედეს დამზადება. (გ. შარაშიძე, ბ. ნუცუბიძე – „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება ადამიანები – საქმიანობა“ ნარკვევი – გვ. – 73. თბილისი 1961 წელი, გამომცემლობა „ცოდნა“)

1957 წლისათვის სოღანლულის (შემდგომში „ფონიჭალა“) ტერიტორიაზე ხუთი „სასწავლო, საწარმოო წამოწყება“ ფუნქციონირებდა. ეს წარმოებები ექვემდებარებოდნენ და ნომინალურად ეკუთვნოდნენ „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას“. თავის მხრივ, „უსინათლოთა საზოგადოება“ კი იყო არასახელმწიფო ორგანიზაცია, მაგრამ იგი მკაცრად კონტროლდებოდა და ფაქტობრივად იმართებოდა კიდევ სახელმწიფო უწყებების მიერ. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ და შემდგომ კი, უფრო ვრცლად ვისაუბრებთ იმის შესახებ, რომ მიუხედავად სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მკაცრი კონტროლისა, „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების“ იურისდიქციას დაქვემდებარებულ „სასწავლო, საწარმოო წამოწყებებში“ მაინც ჰპოვა გასაქანი კერძო სამეწარმეო საქმიანობამ, რომელიც შემდგომში, ათწლეულების განმავლობაში, კონსპირაციული სახით, არსებობდა და ყვაოდა კიდევ.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში განმსაზღვრელი ფაქტორებია მოთხოვნა და მიწოდება. საბჭოთა ტიპის სოციალისტური ეკონომიკა კი, დაგეგმარებით ხასიათს ატარებდა. წინასწარ ისახებოდა გარკვეული გეგმები, სახელდებოდა განსაზღვრული მაჩვენებლები და წარმატება, თუ წარუმატებლობა ფასდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად შესრულდა პროდუქციის გამოშვების გეგმა და რამდენად იქნა მიღწეული წინასწარ მონიშნული მაჩვენებლები. ხშირად ხდებოდა გეგმის კორექტირებაც, როგორც წესი, მისი გაზრდის თვალსაზრისით. ასეთივე ხასიათი ჰქონდა ეკონომიკურ საქმიანობას უსინათლოთა წარმოებებშიც. ისახებოდა გეგმები და მაჩვენებლები. წარმატებისა და შესაბამისად, მაღალი ანაზღაურების საკითხიც, ამ გეგმებისა და მაჩვენებლების შესრულებაზე იყო დამოკიდებული. დაგეგმარების კუთხით, უსინათლოთა წარმოებებში არსებობდა გარკვეული სპეციფიკაც, რაც გულისხმობდა, რომ საამქროში დასაქმებულთა შორის, ნახევარი მაინც უსინათლო უნდა ყოფილიყო. თუ კონკრეტულ საწარმოო ერთეულში მომუშავე უსინათლოების პროცენტული რაოდენობა ნახევარს ბევრად აღემატებოდა, იმის შესაბამისად, რაც მეტი იყო პროცენტული მაჩვენებელი, ითვლებოდა, რომ ეს გახლდათ მაღალი ან ძალიან მაღალი მიღწევა. წარსულში „უსინათლოთა საზოგადოების“ ერთ-ერთი გამოჩენილი წევრი ალი გოგიბერიძე, ამის შესახებ, თავის მოგონებაში ამბობს:

„-ხის დამამუშავებელი საამქრო ამზადებდა ძვირფას ავეჯს, მაგრამ ამ წარმოებაში უსინათლოთა შრომა ყველაზე ნაკლებად იყო გამოყენებული. ამიტომ ჩვენ შევწყვიტეთ ძვირფასი ავეჯის დამზადება და გადავედით ხე-ტყის ისეთი პროდუქციის გამოშვებაზე, რომლის დამზადებაშიც სავსებით გამოიყენება უსინათლოთა შრომა. რას ამზადებს ახლა ხის დამამუშავებელი საამქრო? საზეინკლო სახელოსნოებისათვის ამზადებს ხის სახელურებს, ხის ჩაქურჩებს (სხვადასხვა ნომრებს) ხის ბურთულებს და პარკეტს.

გავხსენით, აგრეთვე სრულიად ახალი საამქროები. შპალერის საამქრო, სადაც უსინათლოთა შრომა ფართოდ არის გამოყენებული. პროდუქციაც მაღალი ხარისხისაა, მოთხოვნილებაც ამაზე დიდია. დავიწყეთ ქალაქის ხელსახოცების

დამზადება ქურქ-ბეწვეულის წარმოება, ფეხსაცმელებისა და ავეჯის დამზადება, სავსებით ამოვიღეთ გეგმიდან, რადგან ამ დარგებში უსინათლოთა შრომა თითქმის არ გამოიყენება. გახსნილია პლასტმასის საამქრო, პოლიეთილენისაგან კეთდება ხელის ჩანთები, რძის ბიდონები, ტაშტები, ჭურჭელი. განზრახულია საშინაო ფლოსტების გამოშვებაც. უსინათლოთა შრომა გამოყენებულია 55-60 პროცენტით.“. (გ. შარაშიძე, ბ. ნუცუბიძე- „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება ადამიანები- საქმიანობა“ ნარკვევი- გვ.- 83. თბილისი 1961 წელი. გამომცემლობა „ცოდნა“)

იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც წარმოდგენილია გ. შარაშიძისა და ბ. ნუცუბიძის ნარკვევში ჩვენ ვიგებთ, რომ 1961 წლისათვის სოღანლულის, იგივე ფონიჭალის, უსინათლოთა „სასწავლო, საწარმოო წამოწყებაში“ პროდუქციის წარმოებისა და უსინათლოთა დასაქმების კუთხით, შემდეგია:

„სოღანლულის „სასწავლო-საწარმოო წამოწყების“ უსინათლოთა პირველად ორგანიზაციაში ირიცხება 401 წევრი, აქედან- 300 კაცი მუშაობს, ხოლო 41 კაცი, ჯანმრთელობის გამო, პენსიაზეა გადაყვანილი. წამოწყებაში მომუშავეთა საერთო რიცხვის 57 პროცენტს უსინათლოები შეადგენენ. მომუშავე უსინათლოთაგან 63 პროცენტი პირველი ჯგუფის ინვალიდია.

სოღანლულის პირველ „სასწავლო-საწარმოო წამოწყებას აქვს შემდეგი პროფილების საამქროები: ქიმიური, საყოფაცხოვრებო, შემფუთავი, საგალანტერიო, მუყაოს, პარკების, პლასტმასისა და სხვა. მომუშავეთა საერთო რიცხვის 64.5 პროცენტს უსინათლოები შეადგენენ. ცალკეულ საამქროებში, სადაც ამის შესაძლებლობაა, უსინათლო მუშათა პროცენტი გაცილებით უფრო დიდია. მაგალითად: ქსოვილის საღებავების დამზადების საამქროში- 100 პროცენტი, უნივერსალური პასტის (ნედეს) ფეხსაცმელების საცხისა და მასტიკის დამზადების საამქროში- 90 პროცენტი, გაღანტერიის საამქროში- 75 პროცენტი, პლასტმასის საამქროში- 75 პროცენტი, ქაღალდის საამქროში- 82 პროცენტი, ქიმიურ საამქროში- 95 პროცენტი, ქაღალდის პარკების საამქროში [~ - 95 პროცენტი.“. (გ. შარაშიძე, ბ. ნუცუბიძე- „საქართველოს უსინათლოთა

საზოგადოება ადამიანები- საქმიანობა“ ნარკვევი- გვ.- 92. თბილისი 1961 წელი, გამომცემლობა „ცოდნა“)

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ უსინათლოთა „სასწავლო, საწარმოო წამოწყებები“ თბილისის გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც გაიხსნა. გ. შარაშიძისა და ბ. ნუცუბიძის ნარკვევში წარმოდგენილია მოკლე ცნობები იმის თაობაზე, თუ რა სახის პროდუქციას აწარმოებდნენ „სასწავლო, საწარმოო წამოწყებები“ საქართველოს ზოგ ქალაქსა, თუ რაიონში და რამდენი უსინათლო იყო დასაქმებული ამ წარმოებებში:

„აჭარის განყოფილებამ, რომელსაც საამქროები აქვს ბათუმსა და ქობულეთში, ოდესის უსინათლოთა,“ სასწავლო საწარმოო წამოწყებიდან“ გადმოიღო გამოცდილება და მოაწყო ბოთლების საცობების დამამზადებელი წარმოება, რომელშიც მომუშავეთა 90 პროცენტს უსინათლოები შეადგენენ. განყოფილებას აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავს 148 უსინათლო, რომელთაგან შრომაში ჩაბმულია 69. დანარჩენი- 37 კაცი შრომისუნარიანია და სურს მუშაობა.

აფხაზეთის განყოფილებაში ადრევე დაინერგა ლითონის სატვიფრო საქმე, პატეფონის ფირფიტების დამზადება და ბევრი სხვა რამეც. აფხაზეთის განყოფილებას აღრიცხვაზე ჰყავს აყვანილი 278 უსინათლო, შრომაში ჩაბმულია 138 კაცი, აქედან- 22 კაცი სხვა ორგანიზაციებში მუშაობს. სამუშაოზე მოსაწყობია 22 შრომისუნარიანი უსინათლო.

ქუთაისის „სასწავლო საწარმოო წამოწყების“ ერთ-ერთი წამყვანი და მთავარი საწარმოო ობიექტია მშრალი ქიმიური საღებავების წარმოება. ეს წარმოება დაახლოებით 1939-1940 წლებში შეიქმნა. პირველ ხანებში იგი პრიმიტიულ კუსტარულ ხასიათს ატარებდა. ამჟამად, აქვს საკუთარი საწარმოო კორპუსი და აღჭურვილია სათანადო დანადგარებით. მშრალი საღებავების დამამზადებელი საწარმოს გარდა, აქ განლაგებულია ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროები, სახერხი და პარკეტის წარმოება. ქუთაისის „სასწავლო-საწარმოო წამოწყებას“ აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავს 175 უსინათლო, აქედან წამოწყების საწარმოებში მუშაობს 105. წამოწყებას აქვს ისეთი საწარმოები, სადაც უსინათლო მომუშავეთა

პროცენტი საკმაოდ მაღალია. მაგალითად: მავთულის ბადის დამამზადებელი საამქრო- 75 პროცენტი, ქიმიური საწარმო- 60 პროცენტი და ა.შ.

რუსთავის „სასწავლო საწარმოო წამოწყებას“ აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავს 141 უსინათლო, აქედან- შრომაში ჩაბმული არ არის 39 პროცენტი.

მცხეთის „სასწავლო საწარმოო წამოწყებაში“ აღრიცხულია 72 უსინათლო, აქედან- შრომაში ჩაბმულია 47 კაცი. მცხეთის წარმოებას აქვს აგრეთვე ფილიალი დუშეთში.

მახარაძის (ახლანდელი ოზურგეთი) „სასწავლო საწარმოო წამოწყებას“ საკუთრივ მახარაძეში და მასზე მიმაგრებულ ჩოხატაურში, აღრიცხვაზე ჰყავს აყვანილი 86 უსინათლო, რომელთაგან ჯერ კიდევ არ არის შრომაში ჩაბმული 11 კაცი.

თელავის „სასწავლო საწარმოო წამოწყებას“ და მასზე მიმაგრებულ რაიონებში აღრიცხვაზე აყვანილია 99 უსინათლო, რომელთაგან შრომისუნარიანია 43, მათგან შრომაში ჩაბმულია 16. წარმოებას აქვს ქალაქის პარკების, ჩალის ქუდების, სახერხის, თიხის ჭურჭლის, ხე-ტყის დამამუშავებელი და სხვა საამქროები. მთელ კახეთში თელავის უსინათლოთა სასწავლო საწარმოო წამოწყება ერთადერთია. (საგარეჯოსა და ახმეტის „სასწავლო საწარმოო წამოწყებები“ მოგვიანებით გაიხსნა)

ზუგდიდის „სასწავლო საწარმოო წამოწყებას“ აქვს ლუფის გადასამუშავებელი საამქრო, პარკეტის წარმოება, სახერხი ქარხანა, ქალაქის პარკებისა და სამუშაო ხელთათმანების საამქროები. განსაკუთრებით კარგად მუშაობს ლუფის საამქრო.

ფოთის „სასწავლო საწარმოო წამოწყებას“ აქვს: ლურსმნების დამამზადებელი, მავთულღობის მქსოვი, ლუფის გადამამუშავებელი, უტილნედლეულის გადამამუშავებელი და პლასტმასის საამქროები. წამოწყებაში ირიცხება 35 უსინათლო. მათგან საამქროში მუშაობს 16, ხოლო სხვა ორგანიზაციაში- ერთი. 1961 წელს გაფართოვდა უტილის და საღებავის საამქროები.“. (გ. შარაშიძე, ბ. ნუცუბიძე- „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება ადამიანები-

საქმიანობა“ ნარკვევი- გვ.- 141- -163. თბილისი- 1961 წელი გამომცემლობა „ცოდნა“)

ზემოთ წარმოდგენილი რაიონებისა და ქალაქების გარდა, 1961 წლისათვის, უსინათლოთა წარმოებები არსებობდა აგრეთვე: ჭიათურაში, ლანჩხუთში, გორში, ცხინვალში, ზესტაფონში და ახალციხეში. მოგვიანებით, 1960-ან წლებში, უსინათლოთა „სასწავლო საწარმოო წამოწყებები“ შეიქმნა: სამტრედიისში, ხობში, ცხაკაიაში (ახლანდელი სენაკი), ახმეტაში, საგარეჯოში, დმანისში, მარნეულში, ბოლნისში და სხვაგან.

1961 წლის მონაცემების მიხედვით, ვგებულობთ, რამდენი უსინათლოა დასაქმებული „სასწავლო საწარმოო წამოწყებაში“ ამა- თუ იმ რაიონში ან ქალაქში. საბჭოთა ტიპის სოციალიზმის ეპოქაში მიღებული არ იყო უმუშევრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება. უმუშევრობა, გარკვეულწილად, კრიმინალადაც კი განიხილებოდა. ამიტომაც, მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა საბჭოთა მოქალაქეების შრომით მოწყობას. ამისთვის, ფიქტიურ სამუშაო ადგილებსაც კი ქმნიდა. უსინათლოთა დასაქმების საკითხი თბილისში შედარებით უკეთ იყო გადაწყვეტილი. უმუშევრობა განსაკუთრებულად მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენდა საქართველოს რაიონებსა, თუ სხვა ქალაქებში მცხოვრები უსინათლოებისათვის. ამ კატეგორიის პირთა შემთხვევაში, უმუშევრობას, საბჭოთა ხელისუფლება კრიმინალად ვერ მიიჩნევდა. იმის უარყოფა, რომ უსინათლოთა შორის უმუშევრობის დონე შესამჩნევად მაღალი იყო, შეუძლებელი ხდებოდა. სწორედ ამ გარემოებით გახლდათ განპირობებული, უსინათლოთა შორის უმუშევრობაზე მოტანილ მონაცემებში, ის შერბილებული ფორმულირებები, რომლებსაც ადგილი აქვს გ. შარაშიძისა და ბ. ნუცუბიძის ნარკვევში. როცა საუბარია, თუ რამდენი უსინათლოა შრომაში ჩაბმული ამა- თუ იმ „სასწავლო საწარმოო წამოწყებაში“ და მოტანილია შესაბამისი ციფრი, აღარაა მითითება იმაზე, თუ რამდენია უმუშევარი, ან კიდევ- გამოყენებულია შერბილებული ფორმულირებები,

რომლებიც მიგვანიშნებენ, თუ რამდენი უსინათლოა დაუსაქმებელი ამა- თუ იმ რაიონში ან ქალაქში. მაგალითად:

„ბათუმში- 37 კაცი შრომისუნარიანია და სურს მუშაობა;

აფხაზეთში- სამუშაოზე მოსაწყობია 22 შრომისუნარიანი უსინათლო;

რუსთავში- შრომაში ჩაბმული არ არის უსინათლოთა 39 პროცენტი;

მახარაქეში- (ახლანდელი ოზურგეთი) ჯერ კიდევ შრომაში არ არის ჩაბმული 11 კაცი და ა.შ.“.

უსინათლოთა შორის უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებისათვის იყენებდნენ სხვადასხვა გზებსა და საშუალებებს. მაგალითად, თუ საამქროში დასაქმებულ მუშას ჰქონდა მაღალი გამოიმუშავება და ამასთან ერთად, მას ენიშნებოდა პენსია მაღალი განაკვეთით, უსინათლო მუშას უფლება არ ეძლეოდა, ერთდროულად მიეღო მაღალი ხელფასი და პენსია. მას უწევდა არჩევანის გაკეთება და როგორც წესი, მუშა უარს ამბობდა მაღალ ჯამაგირზე მაღალი პენსიის სასარგებლოდ. პენსია სტაბილურ შემოსავალს ნიშნავდა, ხოლო გამოიმუშავებითი მაღალი ხელფასი კი, შეიძლება შემდგომში დაწეულიყო და მაქსიმალური პენსიის ხელახლა დანიშვნა კი, ძალიან გამწვანდებოდა. ეს გარემოება განაპირობებდა მუშის გადაწყვეტილებას, რომ დასჯერებოდა ყოველთვიურ ფიქსირებულ დაბალ ხელფასს და იმავდროულად მიეღო მაქსიმალური პენსია. ასეთ შემთხვევაში, მუშა ითვლებოდა დასაქმებულად, მას ჰქონდა ყოველთვიური მინიმალური ხელფასი და სულაც არ იყო აუცილებელი საამქროში მისი ყოველდღიური მუშაობა.

უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის კიდევ ერთი გზა იყო უსინათლოთა შინადასაქმება. პირებისთვის, რომლებიც შინ მუშაობას ამჯობინებდნენ ან სხვადასხვა მიზეზის გამო, იძულებულნი იყვნენ დასაქმების ასეთი ფორმა მიეღოთ, საცხოვრებელ ადგილზე მიჰქონდათ სამუშაო მასალა. ისინი, ხელით შრომის გამოყენებით, ამზადებდნენ ნახევარფაბრიკატებს, რომლებსაც შემდეგ წარმოებას ახარებდნენ და განსაზღვრული პერიოდულობით იღებდნენ ხელფასს. ამგვარად მომუშავე უსინათლოებიც დასაქმებულებად ითვლებოდნენ. თუმცა,

შრომითი მოწყობის ამ მექანიზმსაც, ხშირ შემთხვევაში ფიქტიური სახე ეძლეოდა. შინდასაქმებულებს კვირაობით არ ჰქონდათ-ხოლმე სამუშაო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც იღებდნენ მინიმალურ ფიქსირებულ ჯამაგირს. უსინათლო უმუშევრად მიიჩნეოდა მაშინ, თუ იგი იყო შრომისუნარიანი, მას სურდა მუშაობა, მაგრამ ვერ ხერხდებოდა მისი შინდასაქმება ან ფიქტიურ სამუშაო ადგილზე გაფორმება. ასეთების რაოდენობა თბილისში შრომისუნარიანი უსინათლოების დაახლოებით 10- -12 პროცენტს შეადგენდა, ხოლო რაიონებში- 20- -25 პროცენტს.

„საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების“ ეგიდით მომუშავე წარმოებებს სტაბილური ბრუნვა და საკმაოდ მაღალი შემოსავალი ჰქონდათ. მათი უმეტესობა მომგებიანიც კი იყო. ეს იძლეოდა საშუალებას, რომ ფიქტიურად დასაქმებული ან შინამომუშავე უსინათლოებზე გაეცათ მინიმალური ხელფასი. წარმოებების მაღალ რენტაბელობას რამოდენიმე ფაქტორის ერთიანობა განაპირობებდა. დღევანდელი გადასახედიდან ეს ფაქტორები ვერაფრით ჩაითვლება, როგორც წარმოების ხელისშემწყობი გარემოებები. მაგრამ მაშინ, საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის პირობებში, ისინი ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. საბჭოთა ტიპის სოციალისტური ეკონომიკის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო დეფიციტი ანუ სავაჭრო ქსელებში სხვადასხვა მოთხოვნადი საქონლის არ არსებობა ან არასაკმარისი ოდენობით შეტანა. მცირე წარმადობის უსინათლოთა საწარმოები საკმაოდ მობილურები იყვნენ იმისათვის, რომ დროის მცირე მონაკვეთში, მომხდარიყო მათი გადაიარაღება, წარმოების პროფილის შეცვლა და დეფიციტური საქონლის გამოშვებაზე გადაწყობა. მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების“ ავტორიტეტი და ფინანსური შემოსავლები სტაბილურად იზრდებოდა, ასე გაგრძელდა იმავე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დადგომამდე. ამ საზოგადოების ეგიდით მომუშავე საამქროებს სოციალისტური სახელმწიფოს მაკონტროლებელი ფისკალური უწყებები შედარებით ნაკლებად აწუხებდნენ. ამგვარი ლოიალური დამოკიდებულება ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა იმისათვის,

რომ უსინათლოთა წარმოებებში თანდათან განვითარებულიყო კერძო სამეწარმეო ინიციატივა და პრაქტიკა. დამზადებული პროდუქციის მოზრდილი წილი, სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების გვერდის ავლით, იმდროს დადგენილი წესისათვის თავის არიდებით შედიოდა და იყიდებოდა სავაჭრო ქსელებში. ამ გზით მიღებული ფინანსური შემოსავალი კი, ოფიციალური ბუღალტრული აღრიცხვის გარეშე, ნაწილდებოდა საქმეში ჩართულ წვრილ კერძო მეწარმეებზე. თავის მხრივ, ისინი, ლოიალობის სანაცვლოდ, გარკვეულ თანხას უხდიდნენ მაკონტროლებელი ორგანოების შესაბამის მუშაკებს. იმ კერძო მეწარმეებს, რომლებიც სოციალისტური კანონმდებლობის ფარგლებს მიღმა, ეწეოდნენ ეკონომიკურ საქმიანობას, ჟარგონზე საქმოსნები ეწოდებოდათ; მათ ასევე „დელენცებსა“ და „ცეხავიკებსაც“ ეძახდნენ (დასახელებები წარმოიშვა რუსული სიტყვებისაგან „დელევ“- საქმოსანი, „ცეხავიკ“- საამქროს მმართველის კნინობითი ფორმა) .

როცა, 1960-ან წლებში, ინვალიდთა ორგანიზაციების განვითარების შესახებ წერს, ნოდარ მამაცაშვილი ამ პროცესებში საქმოსნების მონაწილეობის საკითხსაც ეხება. იგი ყურადღებას ამახვილებს, როგორც „უსინათლოთა საზოგადოების“ გაძლიერების საქმეში მათ მიერ შეტანილ წვლილზე, ასევე იმ ნეგატივზეც, რომელიც მათ საქმიანობას ახლდა:

„1960-იანი წლები განსაკუთრებული აღმავლობით ხასიათდება ინვალიდთა ორგანიზაციებისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრონტიდან დაბრუნებულ სამუშაოში ჩართულ ინვალიდებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ. ხელისუფლებაში ბევრი იყო ყოფილი ფრონტელი. ისინი გარკვეულ ლობირებას უწევდნენ პროცესებს. დაშვებული იქნა განსაკუთრებული შეღავათები ინვალიდთა და მათი ორგანიზაციების მიმართ. რაც მიმზიდველი იყო საქმოსნებისთვის, რადგან საშუალებას აძლევდა მათ მოეხდინათ გარკვეული კაპიტალის აკუმულირებაც. ამ სახსრებით ხდებოდა საწარმოო, თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა...“

„ინვალიდთა ორგანიზაციებისათვის სახელმწიფოსაგან დაშვებული შეღავათები ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა ეგრეთწოდებული ჩრდილოვანი ეკონომიკისათვის, რაც საბჭოური ყოფის ატრიბუტი გახლდათ. ზემოხსენებულ პერიოდში იგრძნობა ამ ტენდენციის აღზევება მთელს საბჭოეთში,, განსაკუთრებით- საქართველოში, მათ შორის, უსინათლოთა კავშირშიც. ეს პროცესები, ცხადია, გარედან იყო თავს მოხვეული და არავითარი კავშირი არ ჰქონდა ინვალიდთა მოძრაობასთან. თუმცა გარკვეული ჩრდილი მიაყენა საზოგადოების რეპუტაციას უბრალო ადამიანების თვალში და ერთგვარი სტერეოტიპი შექმნა.“. (ნოდარ მამაცაშვილი- „საქართველოს უსინათლოთა კავშირი 85“ ნარკვევი- გვ.- 21. თბილისი 2011 წელი) .

1970-ანი და 1980-ანი წლები უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და მათი შრომითი მოწყობის კუთხით, შეგვიძლია აღმასვლის პერიოდად მივიჩნიოთ. იზრდებოდა დასაქმებულ უსინათლოთა რიცხვი; მატულობდა ამ კატეგორიის პირების ფინანსური შემოსავალი; მდიდრდებოდა „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება“, მისმა წლიურმა ბრუნვამ 1987 წლისათვის 45 მილიონ საბჭოთა მანეთს მიაღწია. ეს, იმ დროისათვის, თითქმის 40 მილიონი ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი თანხა იყო.

უსინათლოთა უმრავლესობა „სასწავლო საწარმოო წამოწყებებში“ იღებდა პროფესიულ განათლებას და იქვე მუშაობდა, მაგრამ „უსინათლოთა საზოგადოების“ სისტემაში, ეს მაინც არ იყო მათი პროფესიული განათლებისა და დასაქმების ერთადერთი მიმართულება. უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის გარდა, არსებობდა კიდევ, სპეციფიკური ხასიათის მქონე, საგანმანათლებლო კულტურული დაწესებულებები, რომლებშიც როგორც კვალიფიციური სპეციალისტები, დასაქმებულნი იყვნენ უსინათლოებიც. „სასწავლო საწარმოო წამოწყებების“ მსგავსად, ამ დაწესებულებებშიც, მათი საჭიროების მიხედვით, ადგილზე ხდებოდა სპეციალისტების მომზადება და მათი დასაქმება. იმ ორგანიზაციებში მომუშავე უსინათლო ადამიანები, გარკვეული თვალსაზრისით, უნიკალურ პროფესიებს ფლობდნენ; მაგალითად-

ბრაილის შრიფტის ასოთამწყოები, ან გახმოვანებული წიგნების ტექნიკური კონტროლის სპეციალისტი. ბრაილის შრიფტით საქართველოში პირველი ასოთამწყოები, ადგილობრივი კადრი, მომზადებული იქნა მოსკოვში. შემდგომში მან კიდევ ერთი სპეციალისტი მოამზადა თბილისში და ამის მერე, ამ პროფესიაში სპეციალისტების დაოსტატება ხდებოდა ადგილობრივ.

1953 წელს, „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების“ გამგეობის ინიციატივით, თბილისის მთავარი პოლიგრაფიული გამომცემლობის პირველ სტამბასთან ჩამოყალიბდა უსინათლოთა ლიტერატურის სტამბა, ხოლო სასწავლო პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნასთან“ უსინათლოთა ლიტერატურის გამომცემლობა. სტამბის პირველი ასოთამწყოები ა. ბუდაგიანი გახლდათ, რომელიც ამ ხელობის შესასწავლად საგანგებოდ რუსეთში იყო მივლინებული. მან მალე მოამზადა ახალი კადრი – ი. ბებიაშვილი.“ (ნოდარ მამაცაშვილი – „საქართველოს უსინათლოთა კავშირი 85“ ნარკვევი – გვ. – 27. თბილისი 2011 წელი.).

ბრაილის შრიფტის გამოცემები, შეზღუდული მამტაბების გამო, ვერ აკმაყოფილებდა უსინათლო ადამიანების მზარდ სულიერ მოთხოვნილებებს. ამ ხარვეზის შესავსებად 1975 წელს ჩამოყალიბდა ხმოვანი წიგნების გამომცემლობა „სხივი“. არსებობის განმავლობაში გამომცემლობამ უსინათლოთა საბიბლიოთეკო ქსელს მიაწოდა 3000-მდე დასახელების ქართული და უცხოური კლასიკური მწერლობის ნიმუშები, თანამედროვე ლიტერატურა, ასევე პერიოდული პრესის მიმოხილვები, ე.წ. რადიო ფილმები და სხვა.“ (ნოდარ მამაცაშვილი – „საქართველოს უსინათლოთა კავშირი 85“ ნარკვევი – გვ. – 28. თბილისი 2011 წელი.).

გამომცემლობა „სხივის“ საშტატო განრიგში შედიოდა ტექნიკური კონტროლის მუშაკის ორი საშტატო ერთეული. ამ პოზიციაზე მუშაობდნენ უსინათლოები. მათ მოვალეობას შეადგენდა გახმოვანებული წიგნების მოსმენა და ხარვეზების აღმოჩენა (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

2.6 პროფესიული განათლების აღორძინება თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში (1960-ანი- -1980-ანი წლები)

1960-ანი წლების დასაწყისისათვის, უსინათლოთა პროფესიული განათლების მიმართულებით, საბჭოთა კავშირში შეიქმნა ვითარება, როდესაც ამ კატეგორიის პირთა პროფესიული დაოსტატება ძირითადად რესპუბლიკების უსინათლოთა საზოგადოებების „სასწავლო საწარმოო წამოწყებებში“ ხდებოდა.

ამ მხრივ მეორე პლანზე რჩებოდნენ უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატები. მდგომარეობა ანალოგიური გახლდათ საქართველოშიც.

უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესი გადატანილი იყო „სასწავლო საწარმოო წამოწყებებში“. თუმცა არსებობდა თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატიც, სადაც ტარდებოდა შრომის გაკვეთილები და მოსწავლეებს ჯაგრისების კეთებას ასწავლიდნენ. კავშირის მაშტაბით, ინიცირებული იქნა ახალი წამოწყება. საფუძველი დაედო ახალ ტენდენციას. ეს იყო უსინათლოთა სკოლების პოლიტექნიზაციის გაძლიერება, რაც გულისხმობდა, რომ მეტი ყურადღება მიექცეოდა უსინათლოთა სკოლებში მოსწავლეთა პროფესიული განათლების საკითხს. საქართველოშიც შენიშნეს, რომ მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში პროფესიული სწავლება საჭიროებდა გაუმჯობესებას. ამ საკითხთან დაკავშირებით, გ შარაშიძისა და ბ. ნუცუბიძის ნარკვევში, რომელიც გამოცემულია 1961 წელს, შემდეგ ჩანაწერს ვხვდებით:

„მიუხედავად იმ წარმატებებისა, რაც სკოლის მუშაობას ახასიათებს, პოლიტექნიკური მხარე მაინც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლის კურსდამთავრებულნი (წელიწადში 10- -15 ახალგაზრდა) სამუშაოდ მიდიან „უსინათლოთა საზოგადოების“ „სასწავლო საწარმოო წამოწყებებში“, სადაც ისინი ნაწილობრივ ხვდებიან მათთვის ცნობილ შრომით პროცესებს. იმავე დროს, მათ უხდებათ მუშაობა ლითონისა და პლასტმასის, ხე-ტყის დამამუშავებელ საამქროებში დატვიფრაზე, ელექტრო მოწყობილობების

გამოშვებაზე, ხე-ტყის დამუშავებასა და სხვა ამგვარ რთულ პროცესებზე. მაშასადამე, აქტუალური ამოცანაა, უსინათლოთა სკოლაში მოწაფეები ეცნობოდნენ და ითვისებდნენ ისეთი სახის საწარმოო პროცესებს, რომლებსაც შემდგომ შეხვდებიან „სასწავლო საწარმოო წამოწყებებში“. ეს გაითვალისწინა „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების“ ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმმა და დაისახა მიზნად, შექმნას მექანიზებული სახელოსნო რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო მოწყობილობებით. ამ მიზნით, სკოლის ეზოში აიგება სამ სართულიანი შენობა, რომელიც გარდა სასწავლო სახელოსნოებისა დაიტევს, აგრეთვე აღსაზრდელების საერთო საცხოვრებელს, სასადილოს და სამზარეულოს, რაც განტვირთავს ძირითად შენობას.“

(გ. შარაშიძე, ბ. ნუცუბიძე- „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება ადამიანები- საქმიანობა“ ნარკვევი გვ.- 132. თბილისი გამომცემლობა „ცოდნა“ 1961 წელი).

მაღე საქართველოშიც ფეხი აუწყეს, უსინათლოთა პროფესიული განათლების საკითხის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ, საბჭოთა კავშირის მმართველი ორგანოების მიერ ინიცირებულ ახალ წამოწყებას. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის შენობას მიუშენეს ორი ფლიგელი. მარცხენა ფლიგელის პირველ სართულზე განთავსდა ახალი სასწავლო-შრომითი სახელოსნოები. გაჩნდა ფართი იმისათვის, რომ სკოლაში წარმართულიყო ახალი შრომითი საგნების სწავლება.

თუკი მანამდე, მხოლოდ ჯაგრისების კეთება ისწავლებოდა, სამოციანი წლების დასაწყისიდან დაამატეს ისეთი შრომითი საგანი, როგორცაა- ლეიბების კერვა. მოსწავლეები, შრომის მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ამზადებდნენ ლოგინის ლეიბებს. მზა პროდუქცია ბარდებოდა შემსყიდველ ორგანიზაციას. მიღებული თანხის გარკვეული ნაწილი მოსწავლის ანგარიშზე ირიცხებოდა და სკოლის დამთავრების შემდეგ, მას უფლება ჰქონდა ესარგებლა ამ თანხით. მაგრამ მხოლოდ ფართი და ამ ფართზე პრიმიტიული წარმოების ორგანიზება საკმარისი არ იყო უსინათლო მოსწავლეების პროფესიული დაოსტატებისათვის.

საჭირო ხდებოდა ახალი მიდგომების შემუშავება. იგივე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა საბჭოთა სივრცეში არსებული უსინათლოთა სხვა სკოლა-ინტერნატებიც. სკოლებში სასწავლებლად შექონდათ ახალი შრომითი დისციპლინები, მაგრამ არ ინერგებოდა ამ საგნების სწავლებისათვის გამოსადეგი თანამედროვე მიდგომები. საბჭოთა საგანმანათლებლო სივრცე, იდეოლოგიური შეზღუდვების გამო, იზოლირებული იყო მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დანერგილი ტიფლოპედაგოგიკური სიახლეებისაგან. ამ გარემოებამ განაპირობა იმის აუცილებლობა, რომ საბჭოთა სივრცეში შემუშავებულიყო უსინათლოთა პროფესიული სწავლების ეფექტურობის გაზრდისათვის მისადაგებული მექანიზმები.

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში საბჭოთა ტიფლოპედაგოგებმა ჩაატარეს სერიოზული კვლევითი სამუშაოები და საბჭოთა სინამდვილეში შექმნეს მეცნიერული საფუძველი უსინათლოთა პროფესიული განათლების გეგმაზომიერი წარმართვისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა უსინათლოთა სპეციალურ სკოლებში გამოყენებითი საგნების სწავლების საკითხს. დაიწყო ისეთი საგნების სრულფასოვანი სწავლება როგორებიცაა: გეომეტრია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია და ხაზვა. შეიქმნა და სკოლებში იქნა შეტანილი სასწავლო და დამხმარე სახელმძღვანელოები, რელიეფური ნახაზები, რუკები, გლობუსები, სახაზავი მოწყობილობები, ადაპტირებული თვალსაჩინოებები და ინსტრუმენტები. ამ საგნების სწავლების, უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებისათვის საჭირო იყო თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების მომზადება. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულია ისეთი მეცნიერების მოღვაწეობა როგორებიცაა: ზემცოვა, ალექსეევი, მურატოვი, სოლნცევა და სხვები. ლენინგრადის (ახლანდელი სანკტ-პეტერ-ბურგი) პედაგოგიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ტიფლოტექნიკის ფაკულტეტი. საქართველოდან, ტიფლოტექნიკასა და ტიფლოპედაგოგიკაში დახელოვნების მიზნით, ამ ფაკულტეტზე სასწავლებლად მივლინებული იქნა ორი პედაგოგი.

1970-ანი წლების შუა პერიოდიდან თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში დაიწყო სწავლება საგნისა, რომელსაც ერქვა ტიფლოგრაფია. ეს საგანი ისწავლებოდა სწავლების დაწყებით საფეხურზე, მეორედა მესამე კლასებში. ამ სასწავლო საგნის ფარგლებში მოსწავლეებს ასწავლიდნენ საკერავი ნემსის გამოყენებას, კერვას (დილის მიკერება) წვნას, ძერწვას თიხით და პლასტელინით, ქაღალდისაგან სხვადასხვა ნაკეთობების დამზადებას, წებოს მოხმარების ტექნიკას, საყოფაცხოვრებო მასალებისაგან მარტივი ინსტალაციების გაკეთებას და სხვა. ტიფლოგრაფიის საგანს ორი ძირითადი დატვირთვა ჰქონდა; პირველი- ბავშვის სენსო-მოტორული უნარების განვითარება, მისი დაოსტატება ელემენტარულ საყოფაცხოვრებო საქმიანობაში და მეორე- მოსწავლის მომზადება პროფესიული განათლების მიღებისათვის. (თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი, საგანი ტიფლოგრაფია, სასწავლო გეგმა, მეორე კლასი 1974- 1975 სასწავლო წლები).

1970-ანი წლების დამლევიდან თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში პროფესიული განათლების მხრივ მდგომარეობა ასეთი იყო; გარდა ტიფლოგრაფიისა, ისწავლებოდა შემდეგი შრომითი საგნები: მსუბუქი მანქანის (მოსკვიჩი 412) ზეთის ფილტრის ნახევარფაბრიკატების დამზადების ტექნიკა, ჯაგრისების კეთება, სამკურნალო მასაჟი (თეორია და პრაქტიკა), რასაც 80-ანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისიდან დაემატა სახანძრო-სასიგნალო მოწყობილობების დეტალების დამზადების ტექნიკა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატს საშუალო სკოლის სტატუსი ჰქონდა. ამ სკოლა-ინტერნატშიც, ისევე როგორც, ანალოგიური სტატუსის მქონე, საბჭოთა კავშირის სხვა უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში, სწავლის სრული ხანგრძლივობა, მასობრივ (ზოგადსაგანმანათლებლო) სკოლებთან შედარებით, ერთი წლით მეტი იყო. მასობრივი სკოლების თერთმეტწლიან სასწავლო კურსს უსინათლოთა სკოლა-ინტერნატებში წინ უძღვოდა ე.წ. მოსამზადებელი კლასი და ამგვარად

სრული საშუალო განათლების სასწავლო კურსი უსინათლოთა სკოლებში შეადგენდა თორმეტ წელს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ტიფლოგრაფია ისწავლებოდა მეორე და მესამე კლასებში ანუ სწავლების დაწყებით საფეხურზე და მისი ერთ-ერთი მიზანი იყო ბავშვის მომზადება პროფესიული განათლებისათვის. ამ საგანს ებმოდა და გარკვეულწილად მის ფარგლებში ისწავლებოდა მსუბუქი ავტომობილის (მოსკვიჩი 412) ზეთის ფილტრის ნახევარფაბრიკატის დამზადების ტექნიკა. ეს საგანი ხელს უწყობდა ბავშვის ნატიფი სენსომოტორული უნარების დახვეწას. საჭირო იყო მუყაოს გოფირებულ მრგვალ პლესირებულ ფორმაში მუყაოსავე მცირეზომის მსუბუქი დაკბილული შუასადებების სიმეტრიულად მოთავსება, რაც ხელის ნატიფ მოქმედებას მოითხოვდა. შემდეგ შუასადებებიან გოფრეში თავსდებოდა უჟანგავი ლითონის ნასვრეტებიანი გულა, გოფრეს გარედან მყარი მუყაოს გარსი ეკვრებოდა, სპეციალურ დაზგაზე ამ მილისებრ ნასვრეტებიან ნაკეთობას ორივე მხრიდან სარქველები ეხურებოდა და ნახევარფაბრიკატიც მზად იყო.

საბაზო საფეხურზე, მეექვსე კლასიდან, იწყებოდა ჯაგრისების კეთების სწავლება. ესეც – ისევე როგორც სახანძრო-სასიგნალო მოწყობილობების დამზადება, რომელიც დამამთავრებელი კლასების სასწავლო პროგრამაში 80-ანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისიდან შეიტანეს, ხელს უწყობდა მოსწავლის შრომითი დისციპლინის განვითარებას, უვითარებდა მას შრომის ორგანიზებასთან დაკავშირებულ უნარებს.

განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს უსინათლოთა სკოლაში მასაჟის სწავლების საკითხი. ამ საგნის (სამკურნალო მასაჟი) სწავლება მიმდინარეობდა მეათე-მეთერთმეტე კლასებში, ანუ საშუალო სკოლის დამამთავრებელ ეტაპზე. საგნის სწავლება მოიცავდა ორ მიმართულებას, თეორია და პრაქტიკა. თეორიულ ნაწილში ისწავლებოდა ადამიანის სხეულისა და მისი ცალკეული ორგანოების აგებულება, ასევე სამედიცინო დიაგნოზის დასმის ზოგი მეთოდი. თეორიული სწავლება დროში ემთხვეოდა ისეთი სასკოლო საგნის სწავლებას,

როგორც იყო ანატომია (ადამიანის აგებულება). ამგვარი მიდგომა ხელს უწყობდა მოსწავლეების მიერ სამკურნალო მასაჟის თეორიული ნაწილის უკეთ შესწავლას. სწავლების პრაქტიკული ნაწილი მოიცავდა მასაჟის გაკეთებისათვის საჭირო კონკრეტული მოძრაობების ტექნიკის ათვისებას და პრაქტიკულ სტაციონარულ სამუშაოებს. სამკურნალო მასაჟის სრული სასკოლო კურსის ხანგრძლივობა შეადგენდა ორ სასწავლო წელს, რისი დასრულების შემდგომაც მოსწავლეს ეძლეოდა შესაბამისი სერტიფიკატი

საგანგებოდ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ 1970-ანი წლების დასაწყისიდან თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში, როგორც ცალკე სასწავლო საგანი, ისწავლებოდა ხაზვა. ხაზვის სწავლებისათვის იყენებდნენ საამისო სპეციალურ მოწყობილობას, რომელშიც შედიოდა: (უსინათლოსათვის ადაპტირებული) სახაზავი, კუთხოვანი, ფარგალი, სახაზავი კალამი სხვადასხვა ზომის წვეროებით და სახაზავი ელასტიური დაფა, რომელზეც რელიეფურად ისახებოდა დატანილი ნახაზები და შესაძლებელი იყო, საჭიროების შემთხვევაში, ამ ნახაზების უკვალოდ წაშლა (დაფა მრავალჯერადი გამოყენებისა იყო).

ამ საგნის სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ის უვითარებდა უსინათლო ბავშვს საგნების სრულად აღქმისა და წარმოდგენის უნარს. იგი დიდ სამსახურს უწევდა უსინათლო მოსწავლეს წინაპროფესიულ მომზადებაში.

2.7 კრიზისი მეოცე საუკუნის 90-ან წლებში

1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. მეოცე საუკუნის 90-ანი წლებიდან პოლიტიკური მოვლენები ქვეყნისათვის არახელსაყრელი სცენარით განვითარდა. გართულდა სოციალური ვითარება. ქვეყანაში დამდგარმა ეკონომიკურმა კოლაფსმა გააჩერა უსინათლოთა „სასწავლო საწარმოო წამოწყებები“. ეს წარმოებები, უბრალოდ, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად“ გადაკვალიფიცირდა. მათ დაკარგეს უსინათლოთა პროფესიული განათლების ფუნქცია. ზოგი მათგანი კი, სულაც აღიგავა პირისაგან მიწისა. ამგვარი ფატალური შედეგი მიიღეს „სასწავლო საწარმოო წამოწყებებმა“ ოზურგეთში, საგარეჯოში, სამტრედიაში, ხობში და სხვაგან. საქართველოს მამულებით ორი ათასზე მეტი უსინათლო უმუშევარი დარჩა. ათობით უსინათლო გავიდა ქუჩებში სამათხოვროდ. განმეორდა საუკუნის წინანდელი სურათი. დაინგრა ძველი სისტემა, აპრობირებული ურთიერთობები და სანაცვლოდ ვერ მოხერხდა ახალი მისადაგებული მოდელების ფორმირება.

კრიზისი თავს დაატყდა უსინათლოთა სასკოლო პროფესიულ განათლებასაც. უსინათლო ბავშვთა სკოლაში თანდათანობით შეწყდა ისეთი საგნების სწავლება, როგორებიც იყო ტიფლოგრაფია, ხაზვა და სამკურნალო მასაჟი. გაუქმნდა, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი, სხვა შრომითი საგნების სწავლებაც, მათ შორის, ჯაგრისების დამზადებაც, რომელიც ამ სკოლაში სტაბილურად წარმოებდა თითქმის ასი წლის განმავლობაში. შიდა სასკოლო პროფესიული განათლების ამგვარ კოლაფსს თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლაში ადგილი არ ჰქონია მისი დაფუძნების დღიდან. 1990-ან წლებში განვითარებული მოვლენები შეიძლება შეფასებული იქნას, როგორც უსინათლოთა პროფესიული განათლების სრული კრაზი საქართველოში.

2.8 რეზიუმე

საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და შრომითი მოწყობის ისტორიასთან დაკავშირებულ თემაზე მსჯელობის დასაწყისში, ამ თავის შესავალ ნაწილში, გამოვკვეთეთ კითხვების სახით ჩამოყალიბებული, ჩვენი თვალსაზრისით აქტუალური, შემდეგი ოთხი საკითხი:

რა ეტაპებს მოიცავს უსინათლოთა პროფესიული განათლების ისტორია?

რა გზებით ხორციელდებოდა საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლება?

რა მექანიზმები იყო გამოყენებული უსინათლოთა შრომითი მოწყობისათვის?

როგორ უკავშირდებოდა ერთმანეთს ჩვენს ქვეყანაში უსინათლო ადამიანების პროფესიული განათლება და მათი დასაქმება?

როგორც თემის ანალიზმა აჩვენა, 1890-ანი წლებიდან 1990-ანი წლების ჩათვლით, საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლების ისტორია მოიცავს ქრონოლოგიურად თანმიმდევრულ ოთხ ძირითად ეტაპს. ეს ეტაპებია: სახელობო სწავლება თბილისის უსინათლო ბავშვთა სასწავლებელში (1890- -1923 წლები); უსინათლოთა პროფესიული განათლების აქტუალიზაცია და რეფორმა საბჭოთა სასკოლო განათლებაში (1925-1935 წლები); უსინათლოთა პროფესიული განათლება და დასაქმება წარმოებებში (1938-1991 წლები) და უსინათლოთა პროფესიული განათლების კრახი 1990-ან წლებში.

დროის იმ მონაკვეთის განმავლობაში, რომელიც ჩვენს მიერ განიხილება, როგორც საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და შრომითი მოწყობის ისტორია, უსინათლოთა პროფესიული განათლება ორი მიმართულებით ვითარდებოდა. პირველი- ეს იყო შიდასასკოლო პროფესიული სწავლება, რომელიც თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლაში წარმოებდა მე-19 საუკუნის 90-ანი წლებიდან მოყოლებული მეოცე საუკუნის 90-ან წლებამდე. იგი წარმოდგენილი გახლდათ სახელობო სწავლებისა და შრომითი საგნების საგაკვეთილო პროცესის სახით. მეორე მიმართულებას საფუძველი 1923 წელს

ჩაეყარა. იგი აქტიურად და პროდუქტიულად ფუნქციონირებდა 1950-ანი წლებიდან 1980-ანი წლების ჩათვლით. ეს მოდელი გულისხმობდა უსინათლოთა პროფესიულ მომზადებას და შრომით მოწყობას საგანგებოდ ამ დანიშნულებით შექმნილ წარმოებებში.

უსინათლოთა დასაქმებისათვის, „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების“ ეგიდით იქმნებოდა მცირე წარმადობის წარმოებები. უმეტესწილად, ამ წარმოებების პროფილი ირჩეოდა იმის მიხედვით, შესძლებდნენ, თუ არა-უსინათლო ადამიანები წარმოებაში მუშაობას და პროდუქციის დამზადებაში მონაწილეობის მიღებას. ამ მიზნით ჩამოყალიბებულ მცირე სამეწარმეებს ეწოდებოდათ „სასწავლო საწარმოო წამოწყებები“. ამგვარ წარმოებებში პირდაპირ კავშირში იყო ერთმანეთთან უსინათლოების პროფესიული მომზადება- დაოსტატება და მათი იქვე წარმოებაში დასაქმება. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც, ამ მექანიზმების გამოყენებით ხდებოდა უსინათლოთა პროფესიული განათლება და მათი შრომითი მოწყობა. იმ ეკონომიკური წყობისათვის და მაშინ არსებული სოციალური ურთიერთობების ფორმატის ფარგლებში, უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და დასაქმების ეს მოდელი პროდუქტიული და შედეგიანი აღმოჩნდა. ამაზე მეტყველებს ის ისტორიული ფაქტები, რომელთა შესახებაც ვიმსჯელებთ და უსინათლოთა დასაქმების ამსახველი ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილი გვაქვს წინამდებარე თავში.

თავი III უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელები

3.1 შესავალი

წინამდებარე თავში შევეცდებით მიმოვიხილოთ უსინათლოთა პროფესიული განათლების ზოგი მოდელი, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ფუნქციონირებს ევროპის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთსა და საქართველოში. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენი მიზანი არ გახლავთ ამ მოდელების განხილვის საფუძველზე, რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული ორგანიზაციებისათვის, თუ სტრუქტურული ერთეულებისათვის მათი შეთავაზება. ამისათვის საჭიროა მაშტაბური კვლევითი სამუშაოების ჩატარება და საკითხის სიღრმისეული შესწავლა. ამჯერად, შემოვიფარგლებით საჯარო სივრცეში არსებული ინფორმაციის აკუმულირებით და მისი ზოგადი ანალიზით.

ვფიქრობთ, თანამდევ ასპექტებთან ერთად, სხვა ქვეყნებში მოქმედი მოდელების გაცნობა იმითაც არის საინტერესო, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ ამ სახელმწიფოებში, უსინათლოთა პროფესიული განათლების საკითხთან დაკავშირებით, დაგროვილი უმდიდრესი გამოცდილების შედეგად. საქართველოშიც არსებობს უსინათლოთა პროფესიული განათლების გარკვეული ისტორიული გამოცდილება, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე მან აქტუალობა ვერ მოიპოვა და ჩვენს ქვეყანაში ამ საგანმანათლებლო მიმართულების აღორძინება ნულოვანი წერტილიდან დაიწყო. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ სხვა ქვეყნებში მოქმედ უსინათლოთა პროფესიული განათლების მოდელებთან ერთად, ამ კუთხით დღეისათვის საქართველოში არსებული ვითარების განხილვაც მიზანშეწონილი იქნება.

უსინათლოთა პროფესიული განათლება ზოგადად განათლების და კონკრეტულად პროფესიული განათლების ერთ-ერთი მიმართულება გახლავთ. მაგრამ მისთვის დამახასიათებელია განსაზღვრული სპეციფიკა, რომელიც მას გარკვეული თვალსაზრისით, გამოარჩევს პროფესიული განათლების სხვა

მიმართულებებისაგან. ეს სპეციფიკა უპირატესად განპირობებულია უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით. როცა ვსაუბრობთ უსინათლოთა პროფესიული განათლების მოდელზე, მის დანიშნულებაზე და სპეციფიკურ ხასიათზე, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ვამახვილებთ იმ გარემოებაზე, თუ როგორ ხდება, ამ მოდელის ფორმატში, უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უსინათლოთა პროფესიული განათლება უსინათლოთა განათლების ნაწილიც არის და იგი სწორედ ამ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. მისი გამართული და შედეგიანი ფუნქციონირებისათვის, ისევე როგორც უსინათლოთა ზოგადი და უმაღლესი განათლებისათვის, საჭიროა განსაკუთრებული სახის მხარდაჭერა. მხედველობაში გვაქვს, რომ საგანმანათლებლო პროცესი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საგანგებოდ ამ მიზნით შექმნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, როგორებიცაა: ბენეფიციარების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისათვის მისადაგებული სასწავლო სახელმძღვანელოები, ტაქტილური თვალსაჩინოებები, რელიეფური ნახაზები, ადაპტირებული იმფრასტრუქტურა და სხვა. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში ჩართული პედაგოგები და ფასილიტატორები უნდა იცნობდნენ უსინათლო კონტინგენტთან მუშაობის სპეციფიკას. მათ უნდა ჰქონდეთ ამისათვის საჭირო მომზადება. სასურველია, რომ მათ შეეძლოთ ტიფლოტექნიკური საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენება.

მხედველობის დარღვევების მქონე ადამიანების პროფესიული განათლების მოდელის ავ-კარგიანობა ფასდება იმით, თუ რამდენად არის მასში გათვალისწინებული ის კომპონენტები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტს მიეცეს სრულფასოვანი პროფესიული განათლების მიღების საშუალება. საჭიროა სასწავლო პროცესისა და შემდგომი მხარდაჭერის იმგვარად ორგანიზება, რომ მას შეეძლოს არამხოლოდ პროცესში მონაწილეობა, არამედ ცოდნის შექმნაც და მომავალში მისი გამოყენებაც.

წარმოდგენილი განხილვის ფარგლებში ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ თემებზე, როგორებიცაა: სახელმწიფოს მიერ უსინათლოთა პროფესიული განათლების მხარდაჭერა, სამოქალაქო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა ამ კატეგორიის პირთა პროფესიული განათლების მხარდაჭერის პროცესში, სასწავლო პროგრამებისა და პროფესიული განათლების დაწესებულებების შესაბამისობა უსინათლო ადამიანების სპეციალურ საჭიროებებთან, ბენეფიციართა მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამებში.

შევეცდებით პასუხი გავცეთ ისეთ კითხვებს როგორებიცაა:

რა აერთიანებს მოცემულ მოდელებს და რა სხვაობაა მათ შორის?

როგორია უსინათლოთა პროფესიული განათლების ორგანიზების სპეციფიკა ამათუ იმ ქვეყანაში?

რა სახის პირდაპირ, თუ არაპირდაპირ დახმარებას იღებენ პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოები?

3.2 გერმანია- უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი

გერმანიის, როგორც ქვეყნის, ჩამოყალიბება და განვითარება ხასიათდება გარკვეული ისტორიული სპეციფიკით. დღესდღეობით გერმანია ფედერაციული მოწყობის მქონე სახელმწიფოა. თითოეულ მიწას ანუ მხარეს საკუთარი კანონები და რეგულაციები გააჩნია. ეს გარემოება აისახება საგანმანათლებლო კანონმდებლობაზეც. ამ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა ერთგვარად გამოირჩევა კიდევ სხვა, ევროპული სახელმწიფოების საგანმანათლებლო სისტემებისაგან. ეს განსხვავება უფრო გამოხატულია სასკოლო განათლების შემთხვევაში. ზოგადი განათლების გერმანულ სისტემაში წარმოდგენილია სამი ვექტორი. დაწყებითი განათლების ფაზაზე, სწავლების პირველი ოთხი წლის განმავლობაში, ყველა ბავშვი იღებს დაწყებით განათლებას. ამის შემდეგ, უფრო წარმატებული მოსწავლეები გადადიან გიმნაზიებში. გიმნაზიები ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა მომზადებაზე უმაღლესი განათლებისათვის. ის ბავშვები, რომლებიც სწავლის დაწყებით ეტაპზე ვერ გამოირჩევიან განსაკუთრებული წარმატებებით, ხვდებიან ე.წ. ძირითად სკოლებში. ამგვარ სასწავლებლებში საგანმანათლებლო პროგრამები გათვლილია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ ისწრაფიან ინტელექტუალური საქმიანობისაკენ. ძირითადი სკოლის დასრულების შემდგომ, მოსწავლეებს შეუძლიათ განათლების მიღება განაგრძონ პროფესიულ სასწავლებლებში, სადაც მათ აქვთ საშუალება დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიებს. გერმანიაში აღნიშნავენ, რომ ძირითადი სკოლების მოსწავლეები არ არიან ნაკლებად ნიჭიერები, ვიდრე გიმნაზისტები. უბრალოდ, მათი ტალანტები მჟღავნდება არა ინტელექტუალურ სფეროში, არამედ პრაქტიკულ ცხოვრებისეულ საქმიანობაში.

კიდევ არსებობს საშუალო განათლების მიღების მესამე ვარიანტი ე.წ. „რეალური სასწავლებლები“. რეალურ სკოლებს აქვთ შუალედური სტატუსი „ძირითად სკოლებსა“ და გიმნაზიებს შორის. ასეთ სასწავლებლებში მიდიან ბავშვები, რომლებსაც ეჩვენებათ, რომ გიმნაზიებში სწავლა ძალიან რთულია,

თეორიტიზირებულია და დამღლელია, ხოლო „ ძირითად სკოლებში“ კი- პირიქით- ძალიან ადვილია.

უმადლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების უფლება, გერმანიაში მხოლოდ გიმნაზიების კურსდამთავრებულებს ეძლევათ. არ უნდა ვიფიქროთ ისე, რომ თითქოს ათი წლის ასაკში, როცა ისინი დაწყებით განათლებას ასრულებენ, გერმანიაში ბავშვებს საბოლოოდ და უკანმოუხედავად ამწყებენ ზემოთ აღნიშნული საგანმანათლებლო მიმართულებების შესაბამისად. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. თუ გიმნაზიის მოსწავლე არ იჩენს სათანადო მონდომებას, მას დაჟინებით ურჩევენ გადასვლას ძირითად ან რეალურ სკოლაში და პირიქითაც, თუ ძირითადი ან რეალური სკოლის მოსწავლე მოულოდნელად გამოამჟღავნებს სათანადო უნარებს, მას შეუძლია სწავლა გააგრძელოს გიმნაზიაში. გარდა ამისა, ფუნქციონირებს აგრეთვე საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სკოლები და პროფესიული სასწავლებლები ზრდასრულთათვის. ყველა უსინათლოთათვის და მცირემხედველებისათვის სპეციალიზირებული სკოლა მუშაობს ძირითადი და რეალური სკოლების პროგრამების მიხედვით, მხოლოდ მარბურგში მდებარე უსინათლო მოსწავლეების გიმნაზიის კურსდამთავრებულებს აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა უსინათლო ახალგაზრდებისათვის უმაღლესი განათლების მიღება შეუძლებელია. აქ უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს უფლება აქვთ ისწავლონ ჩვეულებრივ არასპეციალიზირებულ სკოლებსა და გიმნაზიებშიც. ბევრი მათგანი სწორედ ამ გზას ირჩევს. (ილია ბრუმტეინი- „უხილავი გერმანია, მოგზაურობა მარბურგში, გერმანელი უსინათლოების დედაქალაქში“ სტატია. ჟურნალი_ „დეფექტოლოგია“ ნომერი- 6. გვ.- 7980. 2011 წელი).

ამ ქვეყანაში კარგად არის განვითარებული ე.წ. მეინსტრიმინგის მოდელი, რაც გულისხმობს ს.ს.ს.მ. პირების, მათ შორის, უსინათლო მოსწავლეების ინტეგრაციას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. თუმცა, ამასთან ერთად, უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული ამ კატეგორიის მოსწავლეების განათლების

პროცესი სპეციალური ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მოსწავლეებს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან გადავიდნენ სპეციალური ტიპის სასწავლებელში ან პირიქით. მათი მობილობის საკითხს შეისწავლის და გადაწყვეტილებას იღებს განათლების ორგანოების მიერ შექმნილი სათანადო კომპეტენციის მქონე კომისია. ამ შემთხვევაში, უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მოსწავლისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ინკლუზიური განათლება საკმაოდ განვითარებულია, კვლავაც ხელს უწყობენ სპეციალური ტიპის სასწავლებლების დაარსებას. ასეთი სასწავლებლებიც, აგრეთვე ექვემდებარება სახელმწიფო ზედამხედველობას. სწავლების მეთოდებში და სარეაბილიტაციო ღონისძიებებში ეს სასწავლებლები ეყრდნობიან საკუთარ მიდგომებს. ეს მიდგომები ყველა ძირითად კომპონენტში თანმხვედრია სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკისა. უსინათლო მოსწავლეთა განათლების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კერძო საგანმანათლებლო სექტორი. ამ სექტორში სწავლობს უსინათლო მოსწავლეების საერთო რაოდენობის 15 პროცენტი.

პროფესიული მომზადებისა და უწყვეტი (მთელი სიცოცხლის მანძილზე) სწავლა პროფესიული მომზადების ორმაგ სისტემაშია მოქცეული. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე იმ ბენეფიციარებისათვის, რომლებიც სოციალურად ნაკლებად დაცულ კატეგორიას მიეკუთვნებიან, დახმარების გაწევის საკითხები რეგულირდება კანონით („Sozialgesetzbuch“- „სოციალური კოდექსი“ თავი- III). მაგალითად, ამ აქტზე დაყრდნობით, ტარდება მხარდაჭერის ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა: პროფესიული ტრენინგით უზრუნველყოფა სამუშაო ადგილზე, ტრენინგი დაწესებულების სივრცეში ორიენტირებისა და ადაპტაციის მიზნით, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო რესურსების მისადაგება ბენეფიციარების საგანმანათლებლო საჭიროებებთან და სხვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციას სამუშაო ადგილებზე.

სავალდებულო სასკოლო განათლება არ მთავრდება ზოგადი განათლებით; იგი მოიცავს პროფესიული მომზადების და ზოგჯერ პრე-პროფესიული მომზადების ეტაპსაც, პროფესიულ „Sonderschulen“-ში (სპეციალური ანუ განსაკუთრებული დანიშნულების სკოლა). აღნიშნულ ეტაპზე მოსწავლეები ემზადებიან იმისათვის, რათა კვალიფიციური გადაწყვეტილება მიიღონ პროფესიული კარიერის არჩევის საკითხში. სკოლები თანამშრომლობენ „დასაქმების სააგენტოს კარიერის დაგეგმვის დეპარტამენტთან“. ამგვარი თანამშრომლობის მიზანია, შ.შ.მ. პირების მომზადება იმისათვის, რომ მათ, შრომის ბაზარზე არსებული ვითარების, საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, გააკეთონ პროფესიული არჩევანი.

სწავლების ძირითად ეტაპზე სტუდენტებისათვის სასწავლო პროგრამის მიწოდება მიმდინარეობს სრული მოცულობით, როგორც Berufsgrundbildungsjahr, ანუ ძირითადი პროფესიული მომზადების წელი ანუ კურსი. ამას, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება წინ უძღვოდეს „Berufsvorbereitungsjahr“, ერთ წლიანი წინასწარი პროფესიული მომზადება. პრაქტიკული სწავლება ხდება კომპანიებში, ინტერ-კომპანიების ტრენინგცენტრებში ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პროფესიული მომზადების სამუშაო ჯგუფებში.

გერმანიაში ფუნქციონირებს უსინათლო და მცირემხედველი ადამიანების პროფესიული განათლებისა და ორიენტაციის ოთხი სპეციალიზირებული ცენტრი, ე.წ. „პროფესიული ხელშეწყობის დაწესებულებები“ (Berufsförderungswerke). ეს ცენტრები განთავსებულია შემდეგ ქალაქებში: დიურენი (Düren), სიოსტი (Soest), ვურცბურგი (Würzburg), ჰალე (Halle).

ამ დაწესებულებების მიზანია, ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფასთან, სოციალური პირობების გაუნმჯობესებასთან და შრომითი პოტენციალის რეალიზებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ობტიმალური შესაძლებლობების გამონახვა და

შეთავაზება. იმისათვის, რომ უსინათლო სტუდენტებმა გააკეთონ სწორი პროფესიული არჩევანი, აიმაღლონ პროფესიული კვალიფიკაცია, გამონახონ დასაქმების პერსპექტივები, აღნიშნულ ცენტრებში მათ სთავაზობენ დეტალურ კონსულტაციას ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორებიცაა: სამუშაო ადგილის ერგონომიკა, პროფესიული რეაბილიტაცია, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილ პროფესიული განათლების ცენტრებში მხარდაჭერა, ძირითადად, შემდეგი შვიდი საფეხურისგან შედგება:

1. კონსულტირება. კონსულტირების სერვისის შეთავაზება დასაქმების სფეროებზე.
2. ანალიზი. პოტენციურ დამსაქმებლებთან და კომპანიების სუპერვაიზერებთან ერთად დასაქმების ადგილების ანალიზი და რელევანტური რჩევების შეთავაზება.
3. შერჩევა. პროფესიული და პერსონალური კვალიფიკაციის არჩევნის გაკეთებისას დახმარების გაწევა.
4. ტექნიკური დახმარება. სამუშაო ადგილის აღჭურვა შესაბამისი დამხმარე ტექნიკური საშუალებებით.
5. მოსინჯვა. სამუშაოს მოსინჯვისას უსინათლო ბენეფიციარის მხარდაჭერა.
6. გრანტები. გრანტებისა და სხვადასხვა სახის დაფინანსების მოპოვების გზებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება და უსინათლო ბენეფიციარებისათვის მიწოდება.
7. დახელოვნება ასისტირებით. ბენეფიციართა სურვილის შესაბამისად, სამუშაოს დაწყების ფაზაზე ასისტირების გაწევა.
8. უსინათლო და მცირემხედველ აპლიკანტებს აღნიშნულ ცენტრებში აქვთ არჩევანი მიიღონ პროფესიული განათლება შემდეგ სპეციალობებში:
 - „ ტექსტის დამუშავების სპეციალისტი- მბეჭდავი“ (Phonotypist),
 - „სამედიცინო კონსულტანტი“ (Medical consultant),
 - „დიალოგის მარკეტინგის მომსახურების სპეციალისტი“,

- „დიალოგის მარკეტინგის მენეჯერი“,
- „სატელეფონო მომსახურების პერსონალი“,
- „ქოლცენტრის ოპერატორი“,
- „ოფისის ასისტენტი“ (Office Assistant),
- „საოფისე კომუნიკაციის სპეციალისტი“,
- „ოფისმენეჯერი“.
- „ადმინისტრაციის თანამშრომელი“,
- „პროგრამირების სპეციალისტი“,
- „მზარეულის ასისტენტი“,
- „მანქანებისა და დანადგარების ოპერატორი“,
- „მეტალის დამუშავების ტექნიკის სპეციალისტი“,
- „სოციალური სერვისების სპეციალისტი“.

რა თქმა უნდა, უსინათლოებს შეუძლიათ და უფლებაც აქვთ აითვისონ სხვა სპეციალობებიც, მაგრამ როგორც გამოცდილება აჩვენებს, დასაქმების შესაძლებლობები უფრო მაღალია ჩამოთვლილი პროფესიებით (<<http://www.bfw-dueren.de/>>).

მხედველობადაქვეითებული სტუდენტებისთვის რეგულარულად ტარდება ტრენინგები ისეთი სპეციფიკით როგორებიცაა: ბრაილის შრიპტის გამოყენება, კომპიუტერული აუდიო პროგრამების შესწავლა, მობილობა, საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევების განვითარება და სხვა. ტრენინგები ტარდება, აგრეთვე მათთვისაც, ვისაც სურს, რომ თვითონ ასწავლოს უსინათლოებს. ტრენინგურსების ჩატარება, სასწავლო სახელმძღვანელოებით და სხვა სახის საგანმანათლებლო მასალით უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფოს დაფინანსებით. წარმოებს სტუდენტებისათვის საჭირო ლიტერატურის, თუ დოკუმენტაციის ადაპტირება სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენებით. ამგვარი სერვისი ხელმისაწვდომია ნებისმიერი უსინათლოსათვის.

ეკლესიები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ინსტიტუტები აქტიურად მონაწილეობენ შ.შ.მ. პირებისა და

მათ შორის, უსინათლოთა განათლების მხარდაჭერის პროცესში. მათი დახმარება გამოიხატება მორალური თანადგომით, მოხალისეების ჩართულობით, სხვადასხვა საჭიროებისათვის დამატებითი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მობილიზებით. (<http://www.european-agency.org/country-information/germany>, <http://www.icevi-europe.org/national/de.html>; http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/eurybase_en.php#germany

3.3 ესპანეთი – უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი

ესპანეთის კონსტიტუციაში შეტანილია დებულებები, რომლებიც უმაღლეს საკანონმდებლო დონეზე იცავენ შეზღუდული შესაძლებლობების პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს. კონსტიტუციის პირველ თავში „ძირითადი უფლებები და მოვალეობები მუხლი 49“ გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა გაატარონ პრევენციის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის პოლიტიკა მათთვის, ვისაც აქვს ფიზიკური, ფსიქიკური ან გონებრივი პრობლემა, რომელსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

კანონი „ინვალიდთა სოციალური ინტეგრაციის შესახებ“ (LISMI 13/82) აწესებს რიგ ღონისძიებებს ინვალიდების პირად, სოციალურ და შრომით მოწყობასთან დაკავშირებით. ამ ღონისძიებების მიზანია, განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. კანონით დადგენილ ღონისძიებებს შორის არის საგანმანათლებლო ინტეგრაცია, საჭიროების შემთხვევაში განათლების ინდივიდუალიზაცია, მომსახურების ნორმალიზაცია და სხვა.

განათლების ორგანული კანონი ადგენს ნორმებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტების (მათ შორის პროფესიული განათლების სტუდენტები) მხარდაჭერისათვის, ამ შემთხვევაში იგულისხმება, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები და სტუდენტები, ასევე განსაკუთრებული ნიჭიერებით გამორჩეული მოსწავლეებიც და სტუდენტებიც. იგი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: ხარისხიანი განათლება ყველა სტუდენტისთვის, თანაბარი შესაძლებლობები ყველასათვის, განათლების ინკლუზია, საგანმანათლებლო გარემოს ადაპტირება.

განათლების უფლების განხორციელების თანასწორობის პრინციპის დანერგვის მიზნით, სამეფო ბრძანებულება 696/1995 (RD) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლების რეგულირების შესახებ,

მოითხოვს, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ შეიმუშაოს საკომპენსაციო ქმედებები ასეთი საჭიროებების მქონე ადამიანების უფლებების დაცვისათვის განათლების სფეროში. ბრძანებაში გათვალისწინებულია, როგორც მოწყვლადი ჯგუფები, ასევე ინფრასტრუქტურით ნაკლებად უზრუნველყოფილი გეოგრაფიული რეგიონების მცხოვრებნიც. ბრძანება, სახელმწიფო ორგანოებს ავალდებულებს, რომ ეს ქმედებები მხარდაჭერილი იქნას ფინანსურად.

მაშასადამე, განათლების მიღების საკანონმდებლო მხარდაჭერის თვალსაზრისით, მოსახლეობის სხვა ჯგუფების ინტერესებთან ერთად, ესპანეთში გათვალისწინებულია შ.შ.მ. მოსწავლეებისა და სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებები, ინტერესები და უფლებები. სახელმწიფო, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების მეშვეობით, სავალდებულო განათლების დასრულების შემდგომაც, მონაწილეობს ს.ს.ს.მ. მოსწავლეების განათლების შესაძლებლობით უზრუნველყოფის პროცესში, როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული განათლების კუთხით. 2006 წლის 15 დეკემბრის სამეფო ბრძანებულების შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, რომლებმაც დაასრულეს მათი საბაზო განათლება ისე, რომ ვერ მიაღწიეს სავალდებულო საშუალო განათლებით დასახულ მიზნებს, შეუძლიათ გააგრძელონ სასკოლო განათლება პროფესიული მომზადების სასწავლო პარამეტრით. ამდენად, განათლება არის უზრუნველყოფილი იმ პერსპექტივით, რომ შემდგომში მათ ჰქონდეთ დასაქმების შესაძლებლობა მიღებული პროფესიული განათლების მეშვეობით. მოსწავლეებს, რომლებმაც ვერ მიაღწიეს სავალდებულო საშუალო განათლებით დასახულ მიზნებს, სახელმწიფო შეუწყობს ხელს. სახელმწიფო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ მათ კონკრეტულ საჭიროებებზე ადაპტირებული სასწავლო პროგრამებით. ასეთი მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია სოციალური და შრომითი ინტეგრაციის სპეციალური პროგრამები.

1999 წლის 22 მარტის ბრძანების, აგრეთვე 20 მაისის და 29 ივნისის რეზოლუციების თანახმად, კონკრეტული სპეციალური განათლების სკოლები განკუთვნილია იმ მოსწავლეებისთვის, ვინც აგრძელებენ განათლების მიღებას სავალდებულო სწავლების ფარგლებში და მათი მახასიათებლების გამო, არ შეუძლიათ ინტეგრირება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. როდესაც არ არსებობს კონკრეტული სპეციალური განათლების დაწესებულება ადგილზე, სადაც ასეთი საჭიროების მქონე მოსწავლეები ცხოვრობენ, ეს მოსწავლეები იღებენ სასკოლო განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციალური განათლების განყოფილებებში. მოსწავლეთა ჩარიცხვა სპეციალური განათლების სკოლებში და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპეციალურ განყოფილებებში ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სერიოზული მიზეზია იმისათვის, რომ მათი საჭიროებები შესაბამისად ვერ დაკმაყოფილდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ეს კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფს საბაზისო სავალდებულო განათლებას, რომელიც მოიცავს 6-16 წლის ასაკის მოსწავლეებს. მას შემდეგ, რაც საბაზო განათლება დასრულდება, მათ შეუძლიათ მიიღონ პროფესიული მომზადების მხარდამჭერი პროგრამული უზრუნველყოფა. ეს პროგრამები გრძელდება ორი-ოთხი წლის განმავლობაში, ვიდრე სტუდენტი მიაღწევს 21 წლის ასაკს.

2006 წლის 29 დეკემბრის 1631/2006 სამეფო ბრძანებულება ადგენს საშუალო განათლების მინიმალურ მოთხოვნებს: სავალდებულო საშუალო განათლება უნდა იყოს ორგანიზებული მოსწავლეების განსხვავებულობის გათვალისწინებით, საერთო დახმარებისა და ყურადღების პრინციპების შესაბამისად. ყურადღების ზომებია: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების უზრუნველყოფა ადაპტირებული სასწავლო მასალით, მათ მიერ ძირითადი კომპეტენციის მიღწევა, კონკრეტული ეტაპის ამოცანების შესრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მოპოვება. ბრძანებულება აგრეთვე ადგენს: პროფესიული მომზადების ხარისხის ახალ სტრუქტურას,

პროფესიულ კვალიფიკაციათა ეროვნულ კატალოგს, ევროკავშირის სახელმძღვანელო პრინციპების და საზოგადოებრივი ინტერესის, ასევე სხვა ასპექტების მიხედვით. ზემოხსენებული სამეფო ბრძანებულების შესაბამისად, შემუშავებულია ღონისძიებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეებისათვის პროგრამებზე წვდომის და დასწრების გაგრძელების ხელშეწყობის მიზნით.

პროფესიული სწავლების ინსტიტუტებმა უნდა იხელმძღვანელონ შესაბამისი განათლების ორგანოების მიერ დადგენილი სასწავლო გეგმით. მაგრამ ადგილებზე დაშვებულია აღნიშნული გეგმის კორექტირება მოსწავლეების ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მოლოდინების შესაბამისად. ინდივიდუალური მახასიათებლების, მოსწავლეთა საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და მათი უნარების გათვალისწინებით დგება დასაქმების პერსპექტივის მქონე სასწავლო მოდულები. შეფასების კრიტერიუმები უნდა ესადაგებოდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის ადაპტირებულ პარამეტრებს. პროფესიული განათლების პროცესის დაწყების დროს, მისაღები გამოცდებისა და დამატებითი მოთხოვნების შემთხვევაში, უნდა შეიქმნას თანაბარი შესაძლებლობები, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს საგამოცდო ტესტებისა, თუ სხვა სასწავლო კომპონენტების ადაპტაცია აპლიკანტის კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით.

ესპანეთში მოქმედებს ზრდასრულთა განათლების პროგრამები. მათი მიზანია, დახმარება გაეწიოს პირს, რომელსაც სურს კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროფესიის დაუფლება ან განათლების თვალსაზრისით არსებული ხარვეზის აღმოფხვრა. სახელმწიფო დონეზეა აყვანილი შ. შ. მ პირთა, მათ შორის უსინათლოთა, დასაქმების საკითხი. განათლების ყველა საფეხურზე მოქმედებს ე. წ. "სოციალური გარანტიის პროგრამები". ეს სპეციალური პროგრამები მიესადაგება ბენეფიციართა საჭიროებებს, მათი განვითარების ხარისხს და უნარ-ჩვევებს, ისევე, როგორც მათი შემდგომი დასაქმების მისწრაფებებს. ამ პროგრამების ფინანსურ და რესურს უზრუნველყოფას,

უმეტესად სახელმწიფო ახდენს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში, იდება სპეციალური ხელშეკრულებები ავტონომიურ საზოგადოებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თუ დამსაქმებელ კომპანიებთან.

„ესპანეთის უსინათლოთა ეროვნული ორგანიზაცია“ რომელსაც აქვს შეთანხმებები ყველა ცალკეულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მხარდაჭერას კონკრეტულ რეგიონებში ყველა მხედველობადაქვეითებული მოსწავლისათვის ისეთ საკითხებში, როგორცაა :

- ორიენტაცია და მობილობა
- ვიზუალური სტიმულაცია, დოკუმენტაციის ადაპტირება და სახელობო, თუ სხვა სახის ტრენინგები. დოკუმენტაციის ადაპტირების, ტრენინგების მოწყობისა და მხარდაჭერის სხვა პროგრამების მუშაობაში, აღნიშნულ ორგანიზაციასთან მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო.

(<https://www.european-agency.org/country-information/spain/contacts-special-needs-and-inclusive-education-contacts>).

3.4 საფრანგეთი – უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი

ტიფლოპედაგოგიკურ მეცნიერებაში დომინირებს შეხედულება, რომ უსინათლოთა ორგანიზებულ განათლებას საფუძველი ჩაეყარა საფრანგეთში. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, როცა ვალენტინ გაიუის თავგამოდებული მცდელობის შედეგად, პარიზში უსინათლოთა სასწავლებლის გახსნა მოხერხდა, დასაბამი დაედო აგრეთვე უსინათლოთა ორგანიზებულ პროფესიულ განათლებასაც. პარიზის უსინათლოთა ინსტიტუტში, ჰუმანიტარულ, თუ საბუნებისმეტყველო საგნებთან ერთად, უსინათლოებს სხვადასხვა ხელობასაც ასწავლიდნენ. მსგავსი სქემით მიმდინარეობდა სწავლება შემდეგ ასწლეულებშიც.

უსინათლოთა განათლების ორგანიზების კუთხით, ბოლო ორასი წლის განმავლობაში საფრანგეთში უმდიდრესი გამოცდილება დაგროვდა. დღესდღეობით საფრანგეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანაა. მისი კანონმდებლობა დემოკრატიულ და ჰუმანისტურ პრინციპებს ეფუძნება. საფრანგეთის სახელმწიფოში საკანონმდებლო დონეზეა დაცული შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებები და მათ შორის, ერთ-ერთი ძირითადი სამოქალაქო უფლება – განათლების უფლება. 2005 წლის თებერვალში მიღებული იქნა „კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების თანაბარი უფლებების და შესაძლებლობების, მონაწილეობის და მოქალაქეობის შესახებ“ ამ კანონით, ეროვნული (სახელმწიფო) განათლების სამინისტროს სამსახურებს პასუხისმგებლობა დაეკისრა ყველა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლისათვის ან სტუდენტისათვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე.

კანონი ხელმძღვანელობს პრინციპით, რომლის თანახმადაც, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შესაძლებლობით სასკოლო განათლება მიიღონ მათ საცხოვრებელ ადგილთან უახლოეს სკოლაში. განათლების მიღებისათვის, თუ სპეციალური სახის დაწესებულებაა საჭირო, ხოლო იგი არ არსებობს მოსწავლის საცხოვრებელი

ადგილის მახლობლად, მოსწავლე შეიძლება დარეგისტრირდეს სხვა სასწავლებელში, ზოგად ან სპეციალურ სექტორში, იქ სადაც შექმნილია პირობები მისი მხარდაჭერისათვის. „სოციალური დაცვის და ჯანმრთელობის სამინისტროს“ ინსტიტუტები და სამსახურები ეხმარება ზოგადი და პროფესიული განათლების სისტემას, როდესაც ეს სისტემა ვერ აკმაყოფილებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ან სტუდენტის მოთხოვნებს. ეს სამინისტრო აფინანსებს ჯანმრთელობის დაზღვევის სამსახურს, სპეციალურ სკოლებს და ინსტიტუტებს, ხოლო საფრანგეთის განათლების სამინისტროს შეუძლია, საგანგებო კონვენციის საფუძველზე, გაგზავნოს აკადემიური პერსონალი იმ დაწესებულებებში, რომლებშიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის აუცილებელი ხდება მხარდაჭერა.

საფრანგეთის მოქალაქეებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში შესაძლებლობა აქვთ აიმაღლონ კვალიფიკაცია ან დაეუფლონ ახალ პროფესიას. იგივე უფლებით სარგებლობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მათ შორის, უსინათლოებიც. 2005 წლის 11 თებერვალს მიღებულ კანონში გათვალისწინებულია ეს გარემოებაც. ქვეყანაში მოქმედებს ცენტრები, სადაც სიცოცხლის ნებისმიერ მონაკვეთში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებს, მათ შორის, უსინათლოებსაც შეუძლიათ აიმაღლონ კვალიფიკაცია ან დაეუფლონ ახალ პროფესიას. ამ ცენტრებს მართავს „მოზარდთა და ზრდასრულთა უწყვეტი ტრენინგების ასოციაცია“ (AFPA). იგი არის ამგვარი ტრენინგების ძირითადი ორგანიზატორი. ამ ასოციაციასთან საფრანგეთის მთავრობას გაფორმებული აქვს კონვენცია. ეს კონვენცია ავალდებულებს AFPA-ს ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლებას. ორგანიზაცია ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ზემოხსენებული კანონის მოთხოვნის თანახმად, თითოეულ გეოგრაფიულ დეპარტამენტში შეიქმნა თითო „ცენტრი“ იმისათვის, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ბარიერები, განათლების მიღების გზაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის. ეს ცენტრები, მათი განთავსების

მიხედვით, გეოგრაფიულ დეპარტამენტებს (თვითმმართველ მხარეებს) სთავაზობენ შ.შ.მ. პირებთან დაკავშირებულ სერვისებთან ცენტრალიზებულ ხელმისაწვდომობას. ამ ცენტრების მისია შემდეგია: ბენეფიციართა მიღება და ინფორმირება, შ.შ.მ. პირებისა და მათი ოჯახების წევრების მხარდაჭერა, დახმარება და კონსულტირება. ამგვარი ცენტრის სლოგანია: „ინფორმირება დახმარების შესახებ“. მისი ფუნქციებია: მოსმენა და რჩევა, დახმარება მომავლის დაგეგმვაში, პიროვნების შესაძლებლობებისა და უნარების განვითარების გეგმის შემუშავება, შ.შ.მ. პირების უფლებების დაცვა, მონიტორინგი ამ კატეგორიის პირებისათვის გაწეულ სახელმწიფო დახმარებაზე, მხარდაჭერა და მედიაცია განსაკუთრებით შესაძლებლობების შეზღუდვის დაწყებით პერიოდში და ჯანმრთელობის ინტენსიური გაუარესების ეტაპზე.

საფრანგეთში უზრუნველყოფილია პროფესიული მომზადება და უწყვეტი (მთელი სიცოცხლის მანძილზე) სწავლა. ამისათვის ფუნქციონირებს 120 საგანმანათლებლო დაწესებულება და მრავალი სახის სპეციალიზებული სერვისი. განათლების ეს სახე ხელმისაწვდომია დაახლოებით 11,000 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტისთვის. ამ დაწესებულებებიდან თორმეტი-საგანგებოდ მხედველობადაქვეითებული ადამიანებისთვის არის ადაპტირებული. იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე სტუდენტები იმაღლებენ კვალიფიკაციას ან ეუფლებიან პროფესიას, ისინი იღებენ სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ დახმარებას. ფინანსური დახმარება ეძლევათ მათაც, ვინც ადრე დასაქმებული იყო და მათაც, ვისაც სწავლის დაწყებამდე არსად უმუშავია. მათთვის, ვინც სწავლის დაწყებამდე მუშაობდა, დახმარება გაიცემა მათი ხელფასის შესაბამისი თანხის ოდენობით.

საფრანგეთის თითქმის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს სპეციალიზირებული ტრენინგცენტრები. ეს ცენტრები რეგიონალური მართვის ორგანოებს ექვემდებარებიან. სასწავლო პროგრამებსა და სქემებს, რომელთა მიხედვითაც ამ ტრენინგცენტრებში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ამტკიცებს ქვეყნის „შრომის სამინისტრო“. ამ დაწესებულებებს აფინანსებს სოციალური

დაცვის სამსახური. პროფესიული განათლების მიმღები სტუდენტებისათვის სერვისების უდიდესი უმრავლესობა გაიცემა უსასყიდლოდ. მოქმედებს აგრეთვე სტუდენტებისათვის რაიმე ტექნიკური რესურსის (კომპიუტერი, აუდიო ჩამწერი, ადაპტირებული სახელმძღვანელო და სხვა) დროებით მფლობელობაში გადაცემის წესიც.

უნივერსიტეტები, არაკომერციული არასამთავრობო ასოციაციები და სხვა ინსტიტუტები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე უსინათლოებს იმ მხარდაჭერასთან ერთად, რომელსაც ისინი სახელმწიფოსაგან იღებენ, სთავაზობენ დამატებით დახმარებას. ეს შეიძლება იყოს დოკუმენტაციის მოძიება, შენახვა, ან ადაპტაცია, აგრეთვე დახმარება მოხალისეების მეშვეობით, სტუდენტების გაცილება, მათთვის სასწავლო დაწესებულების იმფრასტრუქტურის გაცნობა და სხვა.

ეს ასოციაციები აქტიურად ეხმარებიან სტუდენტებს სამსახურის დაწყებაში. ამ თვალსაზრისით, ისინი გარკვეულწილად საკუთარ თავზე იღებენ ბიზნეს სტრუქტურებსა და პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულ უსინათლოებს შორის შუამავლის ფუნქციას. მხარეებს აწვდიან ინფორმაციას არსებული ვაკანსიებისა და კადრების შესახებ.

უსინათლო სტუდენტის სასწავლო პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის, მხოლოდ სასწავლო გარემოს ადაპტაცია საკმარისი არ გახლავთ. შესაბამისი სახელმწიფო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციები ითვალისწინებენ ამ გარემოებასაც. პროფესიული განათლების სასწავლო დაწესებულებებშიც და სხვა სპეციალიზირებულ სტრუქტურებშიც, უსინათლოებს სთავაზობენ ისეთი სახის მხარდაჭერას, როგორებიცაა: პედაგოგიური დახმარება, პროფესიული ტრენინგი, ფსიქოლოგიური სახის კონსულტაცია, დახმარება სივრცეში ორიენტირებასა და მობილობასთან დაკავშირებული უნარების დახვეწაში, მხედველობის არ ქონის ან შეზღუდვის პირობებში საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ხელის შეწყობა, ბრაილის შრიფტით წერა-

კითხვისა და კომპიუტერული აუდიო პროგრამების სწავლება, სამუშაო ადგილის ერგონომიკა და სხვა.

იმ სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც მუშაობენ მხედველობა-დარღვეულ მოსწავლეებთან, უზრუნველყოფენ სხვადასხვა ორგანიზაციები. სპეციალისტპედაგოგებს, რომლებიც ეროვნული განათლების სამინისტროსა და მასთან დაკავშირებულ სტრუქტურებში მუშაობენ, აქვთ პროფესიული კომპეტენციის სერტიფიკატი ე.წ. სპეციალისტის მხარდაჭერაში, ადაპტირებულ სწავლებასა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების სწავლებაში. ასევე, სპეციალისტი პედაგოგები, რომლებიც მუშაობენ ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში დაოსტატებულები არიან შავოიეს უნივერსიტეტში. რეაბილიტაციის მუშაკებს, რომლებიც მუშაობენ ADL-ში (ავტონომია ყოველდღიურ ცხოვრებაში) აქვთ პარიზის უნივერსიტეტის და FISAF-ის დიპლომი. • ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტებს აქვთ APAM-ის (**Association pour les Personnes Aveugles ou Malvoyantes**) დიპლომი.

- ტრანსკრიპტერ-ადაპტერები მზადდება FISAF-ში.

FISAF არის ორგანიზაცია სამუშაო ტრენინგებისათვის, რომელიც სთავაზობს სასწავლო კურსებს ინსტიტუტებსა და სამსახურებს. რეგულარულად ტარდება შეხვედრები და ყოველწლიური კონგრესები, სადაც პროფესიონალებს შეუძლიათ გაცვალონ აზრები და გააგრძელონ თანამშრომლობა.

(<https://www.european-agency.org/country-information/france/contacts-special-needs-and-inclusive-education-contacts>).

3.5 დიდი ბრიტანეთი- უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი

1996 წელს ინგლისსა და უელსში მიიღეს ე.წ. განათლების აქტი, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიაში ძალაში შევიდა განათლების ბრძანებულება. ამ დოკუმენტებით, დიდ ბრიტანეთში აქცენტი გაკეთდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სწავლებაზე, შეზღუდვის არმქონე თანატოლებთან ერთად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ამ საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ინგლისში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში განმტკიცდა შ. შ. მ მოსწავლეთა უფლება ისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, როდესაც ეს შედის ამგვარი მოსწავლის ინტერესებში, თანახმა არის მისი მშობელი და დაცულია, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის, ასევე ასეთი საჭიროების არმქონე მისი თანატოლის უფლებები. მოცემული აქტების სულისკვეთება გახლავთ ის, რომ უმცირესობაში მყოფ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს სჭირდებათ მეტი დახმარება და ამ კატეგორიის მოსწავლეთა უფლებები უკეთ უნდა იქნას დაცული, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ასევე სპეციალური ტიპის სასწავლო დაწესებულებებში.

ალბიონის კუნძულებზე განათლება სავალდებულო ხასიათს ატარებს. თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები აკონტროლებენ ბავშვების, მოზარდების და ახალგაზრდების სწავლის საკითხს. კონტროლის მსუბუქი რეჟიმი დაახლოებით თვრამეტ-ცხრამეტი წლის ასაკამდე გრძელდება. მოსწავლე ან სტუდენტი არაფრით იზღუდება. მას უფლება აქვს აირჩიოს მისთვის საინტერესო საგანმანათლებლო მიმართულება და სასწავლო დაწესებულება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის უნარებსა და შესაძლებლობებს.

შ. შ. მ. მოსწავლეთა და მათ შორის უსინათლო ბავშვთა შემთხვევაში, თანახმად ბავშვის ინტერესისა და მშობლის სურვილისა, არის განათლების მიღების არჩევანი. მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო- ასევე სპეციალური ტიპის სკოლაში.

მათი ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, 16 წლის ზემოთ მოსწავლეებს შეუძლიათ გააგრძელონ განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, შემდგომი განათლების ინსტიტუტებში ან სპეციალურ სკოლებში, კოლეჯებში, თუ პროფესიულ სასწავლებლებში.

იმ სტუდენტების დახმარება, რომლებიც სავალდებულო სასკოლო განათლების შემდეგ გადაწყვეტენ გააგრძელონ განათლების მიღება პროფესიულ სასწავლებლებში ან კოლეჯებში, ინგლისში უზრუნველყოფილია „ინგლისის სწავლისა და უნარების საბჭოს“ (LSC) მიერ, ხოლო უელსში- „უელსის ბავშვების განათლების და უწყვეტი (მთელი სიცოცხლის მანძილზე) სწავლის და უნარების დეპარტამენტის“ (DCELLS) მიერ. ინგლისში, "სწავლისა და უნარების საბჭოს (LSC)" აქვს ნორმატიული მოვალეობა, გაითვალისწინოს სწავლის სირთულეები და შეზღუდული შესაძლებლობების შეფასებები, რომლებიც გაკეთებულია შესაბამისი სამსახურის მიერ. ადგილობრივი სწავლისა და უნარების საბჭოები უწევენ მონიტორინგს ახალგაზრდების საჭიროებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. 2000 წელს მიღებული აქტით, ინგლისში „სწავლისა და უნარების საბჭოს“ ხოლო უელსში- „სწავლისა და უნარების დეპარტამენტს“ ეკისრება მოვალეობა განიხილოს დაფინანსებისა და სასწავლო დაწესებულებებში ადგილების გამოყოფის საკითხები, იმ სტუდენტებისთვის, ვისაც აქვს სწავლის სირთულეები ან შეზღუდული შესაძლებლობები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1996 და 2000 წლების აქტები წინ გადადგმული ნაბიჯები იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის განათლების მიღების გზაზე ბარიერების შემცირების თვალსაზრისით. უფრო მოგვიანებით კი, 2009 წელს მიღებული აქტით,

მკაფიოდ განისაზღვრა სწავლის უფლება საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე, თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ყველა ახალგაზრდისათვის.

ეს აქტი ავალებს სკოლებს მიაწოდონ ინფორმაცია, რჩევები და მითითებები „ეროვნული სწავლის სამსახურის“ (NAS) მუშაობასთან დაკავშირებით, რადგან ამ ორგანიზაციამ უნდა იმუშაოს დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ის უნდა ანხორციელებდეს ღონისძიებებს იმისათვის, რათა დამსაქმებლებმა უარყონ შ.შ.მ. პირების შრომის არარენტაბელურობის შესახებ გაბატონებული სტერეოტიპული აზროვნება. ამ ორგანიზაციამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტაჟიორთა საჭიროებების დაკმაყოფილებისა და მათი მხარდაჭერისათვის უნდა იმუშაოს ყველა უფლებამოსილ და დაინტერესებულ მხარესთან.

პროფესიულ განათლებაში ჩართული, 18 წლის ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, იმ შემთხვევაში, თუ ამავე დროს არ მუშაობენ, უფლებამოსილნი არიან მიმართონ Disabled Students Allowances -ს, განათლების მიღებასთან დაკავშირებული, ფინანსური საჭიროების დაკმაყოფილების თაობაზე თხოვნით. თხოვნა დაკმაყოფილდება საჭიროების ინდივიდუალური შეფასების შემდეგ. თანხა საშუალებას აძლევს სტუდენტს თავად შეიძინოს დამატებითი ტექნიკა და მიიღოს ადამიანური რესურსით დახმარება, აიყვანოს გამცილებელი, რათა დაესწროს სასწავლო კურსს.

2007 წელს ჩატარდა შესაბამისი კვლევა, რომლის მეშვეობითაც, სხვა პრობლემებთან ერთად, გამოვლინდა, რომ შ.შ.მ. პირებისათვის და მათ შორის, უსინათლოებისთვისაც, არ იყო შემუშავებული მობილობის სწავლების, აკადემიური მიღწევების შეფასებისა და საგანმანათლებლო მხარდაჭერის სტანდარტული მოდელები. შემდგომ წლებში ეს ხარვეზი აღმოიფხვრა. რაც შეეხება ბრაილის შრიფტის სწავლების საჭიროებას და ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი ლიტერატურით მომარაგების საკითხს, აქ გამოიკვეთა, რომ ბრაილის გამოყენება კვლავ პრიორიტეტად რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდ

ბრიტანეთში მცხოვრები უსინათლოების უმეტესობა კარგად იყენებს კომპიუტერულ აუდიო პროგრამებს, ბრაილის შრიფტი ჯერ კიდევ მოხმარებადია ამ კატეგორიის პირთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. მაგალითად იმ მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის, ვისაც მხედველობის დარღვევასთან ერთად, სმენის დაქვეითებით განპირობებული სირთულეები აფერხებს.

პროფესიული სასწავლებლები იურიდიულად ვალდებული არიან უზრუნველყონ სტუდენტები შესაბამისი ტექნოლოგიით. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლებლის რესურსი ვერ აკმაყოფილებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მოთხოვნებს, საქმეში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ერთვებიან. ფუნქციონირებს მხარდაჭერის შემდეგი კომპონენტები: მობილობის სპეციალისტი, მოწყობილობით შემწეობა, არასამედიცინო დახმარება და შეღავათები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის.

(<http://www.rnib.org.uk/aboutus/Research/reports/edemp/Pages/edemp.aspx> ; <http://www.icevi-europe.org/national/uk.html> (External link) http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/eurybase_en.php#uk).

6 საბერძნეთი- უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი

2009 წლის ოქტომბერში საბერძნეთმა მიიღო „კანონი განათლების შესახებ“. ამ აქტით საბაზო განათლება გახდა სავალდებულო და იგი ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ეს კანონი, აგრეთვე ადგენს ინტეგრირებული განათლების პრინციპებს. რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე შეიძლება ჩაირიცხოს და დაესწროს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში: ა) რეგულარულ კლასს, პარალელური მხარდაჭერით; ბ) სპეციალურ სექციებს, კლასებს, ანსპეციალურ პროგრამებს; გ) სწავლა დაიწყოს ან განაგრძოს სპეციალურ სკოლაში. ამა თუ იმ კლასში, პროგრამაში, სექციასა , თუ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის საკითხს წყვეტს სპეციალური კომისია „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დიფერენცირებული შეფასების, დიაგნოსტიკისა და მხარდაჭერის ადგილობრივი ცენტრი“ (KEDDY). იგი ითვალისწინებს აპლიკანტის საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, უნარებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და ასაკს. ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური ტიპის სკოლებში, სპეციალისტპედაგოგები ფსიქოლოგებთან და პედაგოგებთან ერთად, ამ კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე ადგენენ სწავლების ინდივიდუალურ გეგმებს და ამ გეგმების მიხედვით აღწევენ აკადემიურ შედეგებს.

სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები, უსინათლო ბენეფიციარებისათვის, მოიცავს სკოლანდელი, სასკოლო და პროფესიული განათლების დონეებს. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ქვეყნის მაშტაბით, სხვადასხვა ტერიტორიებზე მცხოვრებ უსინათლოებს არა აქვთ ამ პროგრამებზე ერთნაირი წვდომა. ეს გამოწვეულია იმფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარებითა და სხვა სახის პრობლემებით, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია არასათანადო ფინანსურ-მატერიალურ უზრუნველყოფასთან.

საბერძნეთში წარმოებს საგანმანათლებლო მასალების ადაპტირება უსინათლო მოსწავლეების ან სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად: პროფესიული განათლების შემთხვევაში, საგამოცდო ან სატესტო დავალებების ჩაწერა და ტრანსკრიბცია ხდება უსინათლო აპლიკანტის საჭიროებების მიხედვით. იქნება ეს: ბრაილის შრიფტი, ბრტყელი შრიფტი გამსხვილებული ფორმატით, აუდიო ვერსია, თუ სხვა.

2007-08 წლებში 23470 მოსწავლე ჩაეწერა სპეციალური განათლების პროგრამაში, რომელთაგან 16118-მა (72 %) ისწავლა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (სპეციალურ სექციაში და ძირითად კლასში) და 6659-მა (28 %) ისწავლა სპეციალურ სკოლაში (ყველა დონეზე და ყველა ტიპზე). ამ მონაცემებში ცალკე გამოტანილი არ არის თუ რამდენი მოსწავლე გახდა პროფესიული განათლების სტუდენტი. რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ზოგი უსინათლო მოსწავლე პროფესიულ განათლებას იღებდეს ერთზე მეტ სპეციალობაში.

საბერძნეთში ფუნქციონირებს უსინათლოთა ასოციაცია. იგი არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელსაც სუბსიდირებას და ზედამხედველობას უწევს ჯანმრთელობისა და სოციალური სოლიდარობის სამინისტრო. ასოციაცია განაგებს შემდეგ საგანმანათლებლო- კულტურულ დაწესებულებებს: ბრაილის და აუდიო წიგნების ბიბლიოთეკას, ბრაილის ბეჭდვის ცენტრს, აუდიო წიგნების ჩამწერ სტუდიას, მხედველობადარღვეულებისთვის სასწავლო და სარეაბილიტაციო ცენტრს. შექმნილია ორი საკონსულტაციო კომიტეტი. კომიტეტები ფიზიკური და ელექტრონული ხელმისაწვდომობის მონიტორინგის საკითხებზე. ხოლო საჯარო ბიბლიოთეკები, რომლებიც ეროვნული განათლების სამინისტროს ეკუთვნის, აღიჭურვა სპეციალურად მოდიფიცირებული კომპიუტერებით და სხვა შესაბამისი მოწყობილობით. უფრო მეტიც, განათლების სამინისტრომ უზრუნველყო დაახლოებით 4,000 სპეციალურად ადაპტირებული კომპიუტერი უსინათლო და ვიზუალური კინესთეტიკური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის და სტუდენტისთვის.

ყველა სახის ზემოთ ჩამოთვლილი მხარდაჭერა ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტებისთვისაც. ეს ორგანიზაცია, აგრეთვე სთავაზობს უსინათლოებს ისეთ სერვისებს, როგორებიცაა: სივრცეში ორიენტაციისა და მობილობის უნარების განვითარების ტრენინგები, საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევების დახვეწა., აუდიო წიგნებისა და სახელმძღვანელოების ჩაწერა, სოციალური მუშაკის დახმარება, რჩევები და კარიერის დაგეგმვაში ხელშეწყობა.

ამ უკანასკნელ სერვისზე საინტერესოა ყურადღების გამახვილება, რადგან მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ მოსწავლის ცხოვრებაში, ვისაც პროფესიის არჩევა და პროფესიული განათლების მიღება სურს. საბერძნეთის უსინათლოთა ასოციაცია მსურველებს უსასყიდლოდ სთავაზობს კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას. იგი ამისათვის ქირაობს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტებს.

(<http://www.icevi-europe.org/national/gr.html> ; August 2009,
http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/eurybase_en.php#greece

3.7 ამერიკის შეერთებული შტატები- უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი.

მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან, შ.შ.მ პირთა და მათ შორის უსინათლოთა განათლებასთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში თანდათან მკვიდრდება შეხედულება, რომელსაც შემდგომ „მეინსტრიმინგი“ ეწოდა, რაც ნიშნავს მოძრაობას მთავარი მიმართულებით. (ე. ა. დანილოვა, მინინა ო. გ. „ამერიკელი უსინათლოების პრობლემები, სულაც არაა პრობლემები“- **„Проблемы слепых в Америке вовсе не проблемы„**. - 2012 [ელექტრონული რესურსი] www.bviproject.syktsu.ru).

ეს მთავარი ანუ ძირითადი მიმართულება გულისხმობს ს.ს.ს. მქონე მოსწავლეების ჩართულობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და აგრეთვე სხვა სახის სასწავლებლების სასწავლო პროცესში, ასეთი საჭიროებების არმქონე თანატოლებთან ერთად.

1970-ანი წლებიდან დაიწყო შ.შ.მ პირთა განათლების მხარდაჭერა საკანონმდებლო დონეზე. ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია შემდეგი სამი კანონი: „კანონი რეაბილიტაციის შესახებ“ 1973 წ; „კანონი განათლების შესახებ ინვალიდებისათვის“ 1975 წ; „კანონი უფლებათა შესახებ ამერიკელი ინვალიდებისათვის“ 1990 წ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღეს ასევე კანონი „არცერთი ჩამორჩენილი ბავშვი“ („no child left behind“). ეს კანონი ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს უზრუნველყოს ყველა მოსწავლის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების და მოზარდების, ინდივიდუალური პროგრესი. (www.gpo.gov).

ზემოხსენებული კანონები და დროთაგანმავლობაში მათში შეტანილი ცვლილებები, პირველ რიგში ხელს უწყობენ ინკლუზიის განვითარებას. მათ შექმნეს საკანონმდებლო საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც შემდგომ წლებში საგანმანათლებლო სისტემაში ჩამოყალიბდა ვითარება, როდესაც უსინათლოებს აქვთ საშუალება და შესაძლებლობაც ჩაერთონ იმკლუზიურ სასწავლო

პროგრამებში. (**Improving Education. The Promise of Inclusive Schools.**
: <http://perspektiva-inva.ru>).

ამრიგად, ქვეყანაში მაღალ დონეზეა ორგანიზებული უსინათლოთა ინკლუზია სასწავლო პროცესში. ეს ეხება პროფესიულ განათლებასაც. იმ უსინათლოებს, ვისაც პროფესიული განათლების მიღება სურთ, ამისათვის ყოველნაირი ხელშეწყობა აქვთ ჩვეულებრივ პროფესიულ კოლეჯებში. ეს კოლეჯები არ არიან სპეციალიზირებულნი უსინათლოთა განათლებისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებში რაიმე სახით იზღუდება უსინათლოთა განათლების უფლება.

ამ კოლეჯებში, საჭიროების შემთხვევაში, მხედველობის დარღვევების მქონე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, ინდივიდუალური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მიიღოს დახმარება ყველა იმ საკითხში, რომელიც მას განათლების პროცესში აფერხებს. მათ ეძლევათ საშუალება ისარგებლონ ადაპტირებული სახელმძღვანელოებითა და სასწავლო პროგრამებით. საგანგებოდ გამოყოფილი ფასილიტატორები ეხმარებიან სტუდენტებს ლექციების ჩაწერაში, პრაქტიკულ სამუშაოებში და სხვა საჭირო საკითხებში. როგორც წესი, პროფესიული კოლეჯების იმფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და ამ მხრივ უსინათლო სტუდენტს პრობლემა ნაკლებად ექმნება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე გარემოების მიზეზით, მხედველობის დარღვევების მქონე ადამიანს უძნელდება შენობის რომელიმე ნაწილში ორიენტირება ან არსებული იმფრასტრუქტურით სარგებლობა, მას სთავაზობენ მის საჭიროებებთან უფრო მისადაგებულ პირობებში გააგრძელოს სასწავლო პროცესი. (<http://perspektiva-inva.ru>).

ამ დროისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ინკლუზიური სკოლები და მათ შორის ის პროფესიული კოლეჯებიც, რომლებშიც განათლებას იღებენ ს.ს.ს. მქონე შ.შ.მ სტუდენტები, ფინანსდება ე. წ. სასკოლო ოლქების მიერ. შტატში შექმნილია რამდენიმე ასეთი სასკოლო ოლქი და ყოველ მათგანს აქვს საკუთარი ბიუჯეტი. ხოლო, რაც შეეხება უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა სპეციალიზირებულ სკოლებს, მათი დაფინანსება წარმოებს უშუალოდ შტატის

ბიუჯეტიდან. („მინინი ვ. ი. „ინვალიდებთან მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსირება და მართვა ამერიკის შეერთებულ შტატებში“ – „Управление и финансирование образовательных программ по работе с инвалидами в США“. www.bviproject.syktsu.ru)

ქვეყანაში ფუნქციონირებს სპეციალიზირებული უსინათლოთა სკოლები. ამ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ სკოლებში განათლებას ძირითადად იღებენ ის უსინათლოები, რომლებსაც მხედველობის დარღვევასთან ერთად, სხვა სახის შეზღუდვაც გააჩნიათ. ეს სასწავლებლები არ არიან მხოლოდ ინტერნატები. ამ სკოლებში, აგრეთვე წარმოებს დისტანციური სწავლება. მათ აქვთ საკონსულტაციო ცენტრის დატვირთვაც. ტარდება მეცადინეობები, მასტერკლასები მშობლებისა და მასწავლებლებისათვის, შეტანილია პრეპროფესიული მომზადების ტრენინგების პროგრამები. ამ მხრივ, ერთ-ერთ უნიკალურ პროექტს წარმოადგენს „ჰედლის სკოლა“. აქვე უნდა აღვნიშნოთ

„გრეთფულსისა“ და „პერკინსის“ სკოლები. (მინინი- „ინვალიდებთან მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსირება და მართვა ა.შ.შ.-ში“).

გარდა ამ სკოლებისა შეერთებულ შტატებში, სხვა სპეციალიზირებულ დაწესებულებებთან ერთად, ფუნქციონირებს ასევე „იგლ მაუნთისა“ და „პერეს გიფსონის“ სარეაბილიტაციო ცენტრები. „იგლ მაუნთის“ ცენტრი უფრო სპეციალიზირებულია სპორტულ-გამაჯანსაღებელ სარეაბილიტაციო სერვისზე, მაგრამ იქაც არის წარმოდგენილი პრეპროფესიული მომზადების ტრენინგები, მაგალითად კულინარიაში. ხოლო „პერეს გიფსონის“ ცენტრში, სარეაბილიტაციო პროგრამებთან ერთად, ვითარდება შრომითი რეაბილიტაციისა და სწავლების დისციპლინებიც. ამ დაწესებულებაში პროფესიული მომზადების მიღება შესაძლებელია ოცი წლის ასაკს ზემოთ ახალგაზრდებისთვისაც. (ე. ა. დანილოვა, ო. გ. მინინა- „უსინათლოთა პრობლემები ამერიკაში სულაც არ არის პრობლემები“ –

Данилова Е. А., Минина О. Г. Проблемы слепых в Америке вовсе не проблемы". - 2012 [www.bviproject.syktsu.ru]).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ადამიანებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით, ყოველ ცალკე აღებულ შტატს გააჩნია გარკვეული თავისუფლება. ასე მაგალითად, მონტანას შტატში შტატის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სპეციალიზირებული სკოლების მართვას ანხორციელებს მზრუნველთა საბჭოები, რომლებიც შედგება შვიდი პირისაგან. დირექტორები, ამ საბჭოებში, პოსტებს იკავებენ შტატის ადმინისტრაციასთან და გუბერნატორთან შეთანხმების საფუძველზე.

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ანალოგიური სიტუაციაა ე. წ. "გრეთფულსის სკოლაში", სადაც სუპერინტენდანტს ექვემდებარება ექვსი ადამიანისაგან შემდგარი ადმინისტრაცია. მათ რიცხვში შედიან, აგრეთვე, სამუშაო მიმართულების დირექტორები. (ვ. ი. მინინი- სტატია „ინვალიდებთან მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამების მართვა და ფინანსირება ამერიკის შეერთებულ შტატებში“).

საგანმანათლებლო პროცესში ჩართული უსინათლოების პრობლემების მოგვარების მიმართულებით აქტიურად მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ მხრივ, გამოირჩევა „ამერიკის შეერთებული შტატების უსინათლოთა ფედერაცია“. თითქმის ყოველ ცალკე აღებულ შტატში ფუნქციონირებს უსინათლოთა არასამთავრობო ორგანიზაცია მონტანას შტატში მას ეწოდება „უსინათლოთა საქმეთა საბჭო“. ეს ორგანიზაციები შეიმუშავენ მხარდაჭერის ღონისძიებების კონცეფციებსა და პროექტებს. ჩართულნი არიან ღონისძიებების განხორციელების პროცესში. ამერიკელ უსინათლოებს საშუალება აქვთ მიიღონ ისეთი ტრენინგსერვისები, როგორებიცაა: სივრცეში ორიენტაციის სწავლება, კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, პრეპროფესიული მომზადება და სხვა.

3.8 რუსეთის ფედერაცია- უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი

რუსეთის ფედერაციის „განათლების შესახებ კანონის“ თანახმად, დაშვებულია განათლების შემდეგი ფორმები: დასწრებული, დაუსწრებელი, საღამოს, შინა განათლება, და ექსტერნატი. თანამედროვე ეტაპზე, მხედველობითი დარღვევების მქონე მოსწავლეების განათლებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე, რუსეთის ფედერაციაში, ძირითადად, სახელმწიფო სტრუქტურები მუშაობენ. უსინათლო ბავშვებს განათლების მიღება შეუძლიათ სპეციალიზირებულ სასწავლო დაწესებულებებსა და საერთო-საგანმანათლებლო სკოლებში.

პირველი ინკლუზიური სკოლები რუსეთში ჩნდება 1990-ანი წლებიდან. 1992 წლიდან რუსეთში დაიწყო ინვალიდების ინტეგრაციასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობის გაუნმჯობესების მიზნით, 2001 წლის 16 აპრილს, რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებში სპეციალური კორექციული პედაგოგიკის კურსების შეტანის შესახებ. რუსეთის „განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს“ მონაცემების მიხედვით, ინკლუზიური სწავლება, ექსპერიმენტის სახით, 2008-2009 წლებში, დაშვებული იქნა ქვეყნის რამდენიმე რეგიონში. [www.dislife.ru].

2008 წელს, რუსეთმა ხელი მოაწერა გაეროს კონვენციას შ.შ.მ პირების უფლებების დაცვის შესახებ, რითაც ვალდებულია აიღოს, როგორც სახელმწიფომ, უზრუნველყოს შ.შ.მ. პირების განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე. 2010 წლის 28 აპრილს მიღებული იქნა „კანონი შ.შ.მ. პირების განათლების შესახებ“. ამ აქტით, რუსეთის ფედერაციაში ს.ს.ს.მ. მოსწავლეებს უფლება ეძლევათ განათლება მიიღონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ასეთი

საჭიროების არმქონე მოსწავლეებთან ერთად, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ამისათვის სათანადო პირობები. [www.un.org].

უსინათლო მოსწავლეების ინკლუზიის საკითხი რუსეთში ჯერკიდევ არ არის საკმარისად დარეგულირებული. სახეზეა, როგორც თეორიული- ასევე პრაქტიკული ხასიათის მქონე პრობლემები. სხვადასხვა გვარი პრაქტიკული სირთულეებით გამოირჩევა ის რეგიონები, სადაც არ არის წარმოდგენილი უსინათლო ბავშვთა განათლების სპეციალიზირებული დაწესებულებები. ასეთ რეგიონებში მხედველობის დარღვევების მქონე ბავშვების განათლებისათვის ერთ-ერთ ალტერნატივად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათი ინკლუზია განიხილება. თუმცა, რეალობაში ამ შესაძლებლობის გამოყენება არცთუ იშვიათად პრობლემატურია მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უკმარისობისა, თუ იმფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობის გამო.

რეალური ვითარება რუსეთში იმგვარია, რომ სასკოლო და პროფესიული განათლების ინკლუზიურ ფორმასთან შედარებით, სპეციალიზირებული სკოლა-ინტერნატები გაცილებით მეტად არის ადაპტირებული უსინათლო მოსწავლეების სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებთან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან უსინათლოთა სკოლა-ინტერნატების სისტემას რუსეთში ხანგრძლივი ისტორია აქვს და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პედაგოგიური რესურსიც, სწორედ ამ დაწესებულებებშია კონცენტრირებული. ქვეყანაში ოთხმოცამდე ასეთი დაწესებულება ფუნქციონირებს. სკოლა-ინტერნატებში წარმოებს არამხოლოდ სასწავლო საგნების სწავლება, არამედ შეტანილია პროფესიული მომზადების მნიშვნელოვანი კომპონენტებიც. მხედველობის დარღვევების მქონე მოსწავლეებს შეუძლიათ პროფესიული განათლების მიღება რუსეთის ნებისმიერ პროფესიულ სასწავლებელში, იგულისხმება, რომ მათ აქვთ ამის უფლება. მაგრამ რეალობა აჩვენებს, რომ ამ უფლების გამოყენება რიგ შემთხვევებში შეუძლებელია სათანადო პირობების არქონის გამო.

დღეისათვის რუსეთში უსინათლო და მცირემხედველი ადამიანების პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის მხოლოდ სამი სპეციალიზირებული ცენტრი ფუნქციონირებს ვოლოკოლამსკში, ბიისკში და ჟელეზნოგორსკში. ქვეყანაში დაახლოებით 280000 უსინათლოა, ხოლო ამ ცენტრებს წელიწადში მხოლოდ არაუმეტეს 600 ბენეფიციარის მიღების საშუალება აქვთ. ამიტომ, ამ ცენტრებში მოხვედრის მსურველებს, ზოგჯერ, წლობით უწევთ თავისი რიგის ლოდინი. აღნიშნული სპეციალიზირებული დაწესებულებების ფინანსირება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სწავლებისა და დახელოვნების კურსების ხანგრძლივობა საშუალოდ სამ თვეს შეადგენს. კურსებზე დაიშვებიან უსინათლობის პირველი კატეგორიის მქონე ადამიანები, ძირითადად, ზრდასრულები. სასკოლო ასაკის ბავშვები ამ ცენტრების მომსახურებით ნაკლებად სარგებლობენ, რადგან მათი რეაბილიტაციისათვის არსებობს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, მაგალითად, უსინათლოთა სპეციალური სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრები.

ვოლოკოლამსკის, ბიისკისა და ჟელეზნოგორსკის ცენტრებში სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო სამუშაოები ტარდება შემდეგი მიმართულებებით: უსინათლოების სოციალური რეაბილიტაცია, მხედველობისა და სმენის არ მქონე პირების სოციალური რეაბილიტაცია, უსინათლოების პროფესიული რეაბილიტაცია. სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები მოიცავს ისეთ საგნებს, როგორებიცაა: სივრცეში ორიენტირება, თვითმომსახურება და საოჯახო მეურნეობის გაძღოლა, ხელსაქმე, ბრაილის შრიფტის შესწავლა, კომპიუტერული პროგრამების ათვისება, ფიზიკური კულტურა, შრომითი მომზადება. უსინათლოები შეისწავლიან ან იმაღლებენ კვალიფიკაციას ისეთ სპეციალობებში, როგორებიცაა: ხემასალის დამუშავება, ხეზე კვეთა, მეტალის დამუშავების ცივი ტექნიკა, საყოფაცხოვრებო ელექტრო ტექნიკის აწყობა და შეკეთება, მებოსტნეობა-მებაღეობა, მეფუტკრეობა, ყვავილების მოშენება და სხვა. რუსეთში ფუნქციონირებს, აგრეთვე უსინათლო მასაჟისტების მომზადების სპეციალური სასწავლებელი ქალაქ კისლოვოდსკში, მუსიკალური სკოლა ქალაქ

კურსში, კომპიუტერული პროგრამების მომზადების კურსი ქალაქ ესენდუკში.
«www.Учѐна.py»

უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში პროფესიული მომზადების დონის ამაღლებისათვის და მოსწავლეების შემდგომი დასაქმებისათვის ხელშეწყობის მიზნით, ზოგიერთმა სკოლა-ინტერნატმა ხელშეკრულება გააფორმა პროფესიულ სასწავლებლებთან მხედველობის დარღვევების მქონე მოსწავლეების პრეპროფესიული მომზადების ერთობლივად წარმართვის თაობაზე. ასეთი მიდგომები განვითარდა რუსეთის ფედერაციის სვერდლოვსკის ოლქში. ამისათვის გამოყენებული იქნა ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზა და საოლქო თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერა. ამგვარი ხელშეკრულებების არსებობამ მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებს პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვის პროცესი. რიგ შემთხვევებში კი, შეამცირა ამ სასწავლებლებში ჩარიცხული უსინათლო მოსწავლეების სწავლის ხანგრძლივობა. ზემოხსენებული სახის ხელშეკრულებები, სამედიცინო კოლეჯში სწავლის გაგრძელების და მასაჟისტის სპეციალობის დაუფლებისათვის მოსწავლეების მომზადების მიზნით, შესაბამის პროფესიულ სასწავლებლებთან გააფორმეს სვერდლოვსკის ოლქში მდებარე ქალაქების შადრინსკისა და ვერხნაია პიშმის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატებმა. **(Конюхова Елена Юрьевна- СПЕЦИФИКА ФОРМИРОВАНИЯ ГОТОВНОСТИ К ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ САМОРЕАЛИЗАЦИИ СЛЕПЫХ И СЛАБОВИДЯЩИХ ДЕТЕЙ В СПЕЦИАЛЬНЫХ (КОРРЕКЦИОННЫХ) ШКОЛАХ УРАЛЬСКОГО РЕГИОНА: ИСТОРИЧЕСКИЙ АСПЕКТ. Журнал Педагогическое образование в России Выпуск№ 3 / 2015).**

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, უსინათლოთა სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის, ამგვარი თანამშრომლობა მნიშვნელოვანი და შედეგიანი გზა გამოდგა უსინათლო ახალგაზრდების პროფესიული მომზადებისათვის. ოცდამეერთე საუკუნის ათიანი წლებიდან უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში აქტიურად ვითარდება ინკლუზიური

მიმართულება, მაგრამ მიუხედავად ამისა, სპეციალური სკოლა-ინტერნატები, ამ თვალსაზრისით, ჯერკიდევ ინარჩუნებენ წამყვან პოზიციას.

უსინათლოთა პროფესიული მომზადებისა და შრომითიმოწყობის საქმეში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს „სრულიად რუსეთის უსინათლოთა საზოგადოებას“. მისი მხარდაჭერით წარმოებს უსინათლოთა მომზადება ისეთ პროგრამებში, როგორებიცაა:

საყოფაცხოვრებო უნარები, მობილობა, ორიენტაცია, ბრაილის შრიფტის გამოყენება, კომპიუტერული აუდიო პროგრამები და სხვა. 1999 წელს ქალაქ ნიჟნინოვგოროდის ლობაჩევსკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა „ტიფლოინფორმაციული ცენტრი“. იგი არის რუსეთში პირველი სპეციალიზირებული კომპიუტერული საუნივერსიტეტო ცენტრი მხედველობის დარღვევების მქონე პირებისათვის. ეს ორგანიზაცია საინფორმაციო მხარდაჭერას უწევს, როგორც უმაღლესი სასწავლებლების, ასევე პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტებს. კონსულტაციებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით ცენტრი „კამერატა“ ხელს უწყობს აღნიშნული კატეგორიის პირების სოციალურ რეაბილიტაციას და განათლებას.

3.9 საქართველო – უსინათლოთა პროფესიული განათლების თანამედროვე მოდელი.

საქართველოში არსებობდა უსინათლოთა პროფესიული განათლების გარკვეული გამოცდილება. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ქვეყანა თითქმის ორასი წლის განმავლობაში, დროის მცირედი მონაკვეთის გამოკლებით, ჯერ რუსეთის იმპერიაში შედიოდა, ხოლო შემდეგ – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. შესაბამისად, უსინათლოთა პროფესიული განათლების გამოცდილებაც ქვეყნის ისტორიის ნაწილი იყო.

თანამედროვე ეტაპზე უსინათლოთა პროფესიული განათლების აღორძინება ნულოვანი წერტილიდან დაიწყო. მომზადდა და ძალაშია „კანონი პროფესიული განათლების შესახებ“, სადაც დადასტურებულია შ.შ.მ. პირების უფლება მიიღონ პროფესიული განათლება. შემუშავებულია პროფესიული განათლების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის ღონისძიებებს იმ მიზნით, რომ შ.შ.მ. პირებისათვის პროფესიული განათლება გახდეს უფრო ხელმისაწვდომი. რეფორმირებისა და განახლების პროცესს, როგორც წესი, გარკვეული სირთულეებიც ახლავს. ამ სირთულეების დაძლევის ერთ-ერთი გზაა სხვა ქვეყნებში აპრობირებული გამოცდილების გაზიარება და გამოყენება. ქვეყანაში მკვიდრდება ახალი საგანმანათლებლო მიდგომები. ეს პროცესი სახეზეა უსინათლოთა პროფესიულ განათლებაშიც.

„დღესდღეისობით, პროფესიული განათლება საქართველოში რეფორმის პროცესშია და მისი განვითარების მიმართულება ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების ფილოსოფიას. საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში (2013-2020) ხაზგასმულია პროფესიული განათლების სივრცეში სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის მნიშვნელობა: მოსახლეობის ნებისმიერი წევრისათვის სრული პროფესიული და პიროვნული განვითარების, სამართლიანი შესაძლებლობებისა და მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებისა თუ თვითდასაქმებისათვის

მზადება. სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანა, სწორედ პროფესიული განათლების დივერსიფიცირებული, ყველასათვის ხელმისაწვდომი, უნივერსალური დიზაინის მქონე, მოქნილი სასწავლო გარემოს და სისტემის უზრუნველყოფა.“ („საქართველოს პროფესიული განათლების გზამკვლევი“ გვ.- 3.)

„საქართველოში პროფესიული განათლების გზამკვლევი“ იუწყება, თუ რა გამოცდილებაზე დაყრდნობით და როგორ არის ორგანიზებული ქვეყანაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების, მათ შორის უსინათლოების, პროფესიული განათლების, მომზადებისა და სწავლის საფეხურიდან დასაქმებაზე გადასვლის (ტრანზიციის) პროცესი.

„ტრანზიციის პროცესის წარმართვისა და ორგანიზებისათვის სპეციალური საჭიროების განათლების განვითარების ევროპული სააგენტოს (EADSNE) მიერ რეკომენდებულია ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შემუშავება (Soriano, 2006). ეს რეკომენდაცია მოცემულ თემაზე 19 სხვადასხვა ქვეყნის დარგის ექსპერტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახალგაზრდა პირებისა და მათი ოჯახების მოსაზრებებისა და გამოცდილების ანალიზს ეყრდნობა. ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა (იტგ) ზოგადი განათლებიდან დასაქმებაზე გადასვლის სამუშაო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუმენტი, რაც ხშირ შემთხვევაში პროფესიული განათლების გავლის გზით ხორციელდება. ინსტრუმენტის მიზანი საგანმანათლებლო დაწესებულებასა და დასაქმების ადგილს შორის არსებული ჩავარდნის ამოვსება, „ხიდის გადება“ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახალგაზრდისათვის (ან ნებისმიერი სხვა პირისთვის) მოქნილი გადასვლის უზრუნველყოფა. („საქართველოს პროფესიული განათლების გზამკვლევი“ გვ. 5-6.).

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესაბამისად კონკრეტული პირისთვის (მოსწავლე/სტუდენტი) შექმნილი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია კონკრეტულად იმ პირისათვის განსაზღვრული მისაღწევი საგანმანათლებლო შედეგები, მათი საფუძველი, მიღწევის გზები (სტრატეგიები, მეთოდები), ხელმისაწვდომობა და გარემოს

მოწყობის საკითხები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), დამატებითი მომსახურება (ასეთის მიღების შემთხვევაში), შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები, გეგმის განმახორციელებელი გუნდი და მათ შორის გადანაწილებული პასუხისმგებლობები და მოვალეობები.“ („საქართველოს პროფესიული განათლების გზამკვლევი“ გვ.9.) .

საქართველოს პროფესიულ განათლებაში მოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების სასწავლებელში ჩარიცხვის გარკვეული წესი. აპლიკანტმა უნდა შეავსოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სასწავლებელში ჩარიცხვის პროფესიული ტესტირების ალტერნატიული ფორმა. აღნიშნული ფორმით აპლიკანტის ჩარიცხვის პროცესი პირობითად, შეიძლება 5 ეტაპად დაიყოს:

1. ალტერნატიული ტესტირებით სარგებლობის უფლების მოპოვება;
2. ინდივიდუალური აპლიკანტისთვის ალტერნატიული ტესტირების დაგეგმვა;
3. პროფესიის პრაქტიკული აქტივობის/ამოცანის უშუალო მოსინჯვა;
4. აპლიკანტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაციის გაცვლის მიზნით გუნდური შეხვედრის ჩატარება;
5. აპლიკანტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მისი არჩევანის დამტკიცება.“

(„საქართველოს პროფესიული განათლების გზამკვლევი“ გვ.- 11.) .

პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული უსინათლო სტუდენტები სარგებლობენ გარკვეული მხარდაჭერით. ეს ძირითადად მოიცავს მათი მობილურობის უზრუნველყოფას. ამ საკითხში სტუდენტების დახმარებისათვის შეირჩევა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელიც სტუდენტს სწავლის დაწყებით ეტაპზე ეხმარება. იგი ასწავლის მას, თუ როგორ გადაადგილდეს მისი საცხოვრებელი ადგილიდან ან სხვა საწყისი წერტილიდან სასწავლებლის შენობამდე. გარდა ამისა, სტუდენტს აცნობს სასწავლებლის შენობის გარე და შიდა იმფრასტრუქტურას. არ არის მოგვარებული უსინათლო

სტუდენტების ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი. ტოტალური უსინათლობის მქონე სტუდენტებს არა აქვთ ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი ან აუდიო ფორმატში გადატანილი სასწავლო სახელმძღვანელოები. ზოგ პროფესიულ სასწავლებელში მათ, დროებით სარგებლობაში, გადაეცემათ ხმის ჩამწერი მოწყობილობები. მაგრამ ეს დახმარება ნაკლებშედეგიანია, რადგან სტუდენტებს უფლება არა აქვთ გაიტანონ აღნიშნული მოწყობილობები სასწავლებლის გარეთ. ამგვარად, მათ შეუძლიათ ლექციების ჩაწერა, მაგრამ პრობლემატურია მასალის შესწავლა, რადგან სასწავლებლის შენობაში ამისათვის შესაბამისი პირობები არ არის.

ქვეყანაში მომქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, საჭირო რესურსის არქონის გამო, პროფესიული განათლების პროცესში ჩართულ უსინათლოებს ვერ უწევენ ეფექტიან დახმარებას. მათი აქტივობა ჯერჯერობით მხოლოდ უსინათლოთა განათლების თემის საზოგადოების ყურადღების არეალში მოქცევის მიმართულებით გადადგმული გარკვეული ნაბიჯებით შემოიფარგლება.

3.10 რეზიუმე

მოცემულ თავში, შეძლებისამებრ განვიხილეთ უსინათლოთა პროფესიული განათლების ზოგი მოდელი, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ფუნქციონირებს ევროპის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთსა და საქართველოში. როგორც მსჯელობის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში, ჩვენი მიზანი არ გახლდათ წარმოდგენილი მოდელების განხილვის საფუძველზე, რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული ორგანიზაციებისათვის, თუ სტრუქტურული ერთეულებისათვის მათი შეთავაზება. ხაზი გავუსვით იმ გარემოებასაც, რომ ამისათვის საჭიროა მამტაბური კვლევითი სამუშაოების ჩატარება და საკითხის სიღრმისეული შესწავლა. ამჯერად, შემოვიფარგლეთ საჯარო სივრცეში არსებული ინფორმაციის აკუმულირებით და მისი ზოგადი ანალიზით.

უსინათლოთა პროფესიული განათლება, ზოგადად განათლების და კონკრეტულად პროფესიული განათლების ერთ-ერთი მიმართულებაა. ამავე დროს, იგი უსინათლოთა განათლების ნაწილსაც წარმოადგენს. მაგრამ ორივე შემთხვევაში, მას ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა. შეუძლებელია უსინათლოთა პროფესიული განათლების მოდელებზე მსჯელობა, ზოგადად განათლებისაგან, ან პროფესიული განათლებისაგან, თუ უსინათლოთა განათლებისაგან განცალკევებით. ამიტომ, შევეცადეთ თემის განხილვისას წარმოგვეჩინა, როგორც ზოგადი საგანმანათლებლო კონტექსტი, ასევე მასთან დაკავშირებული განსაკუთრებული სპეციფიკა.

თემის განხილვის პროცესში, ყურადღება გავამახვილეთ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სახელმწიფოს მიერ უსინათლოთა პროფესიული განათლების მხარდაჭერა, სამოქალაქო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა ამ კატეგორიის პირთა პროფესიული განათლების მხარდაჭერის პროცესში, სასწავლო პროგრამებისა და პროფესიული განათლების დაწესებულებების შესაბამისობა უსინათლო ადამიანების სპეციალურ

საჭიროებებთან, ბენეფიციართა მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამებში. განხილვის შედეგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ წარმოდგენილ მოდელებს ბევრად მეტი აქვთ საერთო, ვიდრე განსხვავება. ყველა ქვეყანაში შეინიშნება საერთო ტენდენცია. ეს გახლავთ: საგანმანათლებლო სექტორში უსინათლოთა ინკლუზიის მხარდაჭერა, მათი საჭიროებების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესის ადაპტირება, სპეციალისტ-პედაგოგების მომზადება და სასწავლო პროცესში ჩართვა, პროფესიული განათლების ბენეფიციარი უსინათლოების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება, მათი უზრუნველყოფა ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, თუ სასწავლო რესურსებით, აღნიშნული კატეგორიის პირების სოციალური და პროფესიული რეაბილიტაცია და ამ მიზნით, მათთვის დამხმარე ტრენინგების ორგანიზება, ინკლუზიასთან ერთად, სპეციალიზირებული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ზრუნვა.. ევროპის ქვეყნებში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთში არსებული მოდელები, დიდწილად, ერთმანეთის მსგავსია, როგორც სტრუქტურულად, ასევე სწავლებასთან დაკავშირებული მიდგომებითა და მეთოდებით. განსხვავება შესამჩნევია მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესის მატერიალური უზრუნველყოფის კუთხით. რაც უფრო უკეთ არის განვითარებული ეკონომიკურად სახელმწიფო, მით უფრო ძლიერია ამ ქვეყანაში მხარდაჭერა უსინათლოთა განათლების საკითხისადმი. ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ესპანეთი ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები არიან. გარდა ამისა, ამ ქვეყნებს უსინათლოთა ორგანიზებული განათლების თითქმის ორასწლოვანი გამოცდილება აქვთ. ყოველივე ეს კი, განაპირობებს იმას, რომ ჩამოთვლილ სახელმწიფოებში მაღალ დონეზეა ორგანიზებული უსინათლოთა პროფესიული განათლება. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ გერმანია, ამ თვალსაზრისით, თანამედროვე ეტაპზე, მაინც გამოირჩევა, რადგან ამ ქვეყანაში უსინათლოთა პროფესიული განათლება მაღალ დონეზეა ორგანიზებული და თანაბრად არის

მხარდაჭერილი, როგორც ინკლუზიის მიმართულებით, ასევე სპეციალიზირებულ სასწავლო დაწესებულებებში.

ევროპული მოდელების განხილვის ფარგლებში, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ამ მხრივ, საბერძნეთში არსებულ სიტუაციაზეც. ეს ქვეყანა ევროკავშირის წევრია, მაგრამ მისი ეკონომიკური განვითარების ტემპი ჩამოუვარდება ამ კავშირში გაერთიანებული, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების, ეკონომიკური განვითარების მახასიათებლებს. ეს გარემოება აისახება უსინათლოთა განათლებაზეც. იგი ფინანსურად შედარებით ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.

რუსეთში მეცხრამეტე საუკუნის დამლევადან დაიწყო უსინათლოთა ორგანიზებული განათლების ინტენსიური განვითარება. მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა უსინათლო ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატების უნიკალური ქსელი, მეთოდების უზარმაზარი მარაგითა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. სწორედ, ამ მდიდარი გამოცდილების გამოყენებით გახდა შესაძლებელი საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული კრიზისის დაძლევა და შემდეგ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ, უსინათლოთა განათლების სეგმენტში თანამედროვე იდეების შეტანა და უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა. დღესდღეობით, რუსეთშიც, ისევე როგორც სხვა ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნებში, მხარდაჭერილია განათლებაში უსინათლოთა ინკლუზიის პროცესი. ამ მიმართულებით ვითარდება უსინათლოთა პროფესიული განათლებაც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ, პროგრესი შესამჩნევია რუსეთის ეკონომიკურად უფრო განვითარებულ რეგიონებში. უდიდესი დაბრკოლებაა ის, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის არაადაპტირებულობის გამო, რუსეთის ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში მცხოვრები უსინათლოები მრავალი პრობლემის გადალახვისა და დიდი ძალისხმევის გაღების ხარჯზე ახერხებენ პროფესიული განათლების მიღებას. იმ რეგიონებში, სადაც უსინათლოთათვის სპეციალიზირებული სკოლა-ინტერნატები არ არსებობს, კიდევ

უფრო რთულია ამ კატეგორიის ბავშვებისათვის სრულფასოვანი პროფესიული განათლების მიღება.

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გავლენით, საქართველოში შეფერხდა უსინათლოთა განათლების პროცესი, დაირღვა ცოდნისა და გამოცდილების მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპი. ახლა კი, გვიწევს იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ უსინათლოთა პროფესიული განათლება ოცდამეერთე საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში ნულოვანი წერტილიდან დაიწყო. ხანმოკლე პერიოდში მეტად საჭირო ნაბიჯები გადაიდგა. არის პირველი შედეგებიც. მიმდინარეობს რეფორმა და გრძელდება უსინათლოთა პროფესიული განათლების დახვეწის პროცესი. საქართველოში არსებულ სინამდვილესთან ალბათ ყველაზე უფრო ახლოს უსინათლოთა პროფესიული განათლების საბერძნეთის მოდელია, ეკონომიკური პარამეტრებით და საზოგადოებრივი ჩართულობის თვალსაზრისით, ხოლო იდეალურად შეგვიძლია მივიჩნიოთ გერმანული მოდელი.

რადგან თემის ფუნდამენტური კვლევა ამჟამად ჩვენს ძირითად მიზანს არ წარმოადგენს, თავი ავარიდეთ სკანდინავიის, ბენილუქსის, აღმოსავლეთი ევროპის, თუ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში არსებულ მოდელებზე მსჯელობას. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ სკანდინავიისა და ბენილუქსის ქვეყნებში პრიორიტეტი ცალსახად ენიჭება განათლებაში უსინათლოთა ინკლუზიის საკითხს, ეს მიმართულება პრიორიტეტულია აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისთვისაც, მაგრამ იქ კვლავაც ზრუნავენ სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების შენარჩუნებისათვის, ხოლო პოსტსაბჭოთა სივრცეში, მეტ-ნაკლები ხარისხით, ვითარება დაახლოებით ისეთია, როგორც საქართველოში. ერთი ასპექტით, სამწუხაროდ, საქართველო ნეგატიური კუთხით, გამორჩეულია ევროპის უმრავლესი და პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი ქვეყნისაგან. სხვა ქვეყნებში საკანონმდებლო დონეზე დადგენილია და პრაქტიკაშიც მიღებულია შ.შ.მ პირთა, მათ შორის უსინათლოების, შრომითი მოწყობის კვოტირების პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა კერძო, თუ სახელმწიფო

ორგანიზაცია ვალდებულია, განსაზღვრული კვოტის მიხედვით, საკუთარ სტრუქტურაში უზრუნველყოს შ.შ.მ. პირების დასაქმება. სხვადასხვა ქვეყნებში კვოტის ოდენობა მოიცავს სტრუქტურაში დასაქმებულ პირთა სამიდან- ექვს პროცენტამდე. ეს გარემოება სტიმულის მიმცემია უსინათლოებისთვის, იზრდება მათი დასაქმების შესაძლებლობები და ამ კონტექსტში, აქტუალური ხდება პროფესიული განათლების მიღების საკითხი. საქართველოში ამგვარი პრინციპი დაშვებული არაა,, რაც ხელს არ უწყობს შ.შ.მ პირების სოციალურ და შრომით რეაბილიტაციას. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საქართველოში რეალურად არ არსებობს უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადება, რაც ასევე ნეგატიური ასპექტით გამოარჩევს უსინათლოთა პროფესიული განათლების საქართველოში არსებულ მოდელს ჩვენს მიერ განხილულ სხვა ქვეყნებში მოქმედი ანალოგიური ფუნქციის მქონე მოდელებისაგან. სხვა მოდელებისაგან განსხვავებით, საქართველოში ნაკლები ყურადღება ექცევა პროფესიულ განათლებაში ისეთი სპეციალობების სწავლების საკითხს, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება უსინათლოთა სპეციალურ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს და შრომით უნარებს.

იმ მოდელებში, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, უსინათლოთა პროფესიული განათლების ძირითადი ორგანიზატორი და მხარდამჭერი ყველგან სახელმწიფოა. დახმარების პროცესში აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე მესამე სექტორი. ამ მხრივ, გამორჩეულია გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მოდელები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა შედარებით ნაკლებია, რაც განპირობებულია მათი არასაკმარისი ფინანსური რესურსებით.

ყველა ქვეყანაში, მეტ-ნაკლები ხარისხით, პროფესიული განათლების პროცესში ჩართული უსინათლოები იღებენ, როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ მხარდაჭერას. პირდაპირი მხარდაჭერის მაგალითებად შეგვიძლია განვიხილოთ: საგანმანათლებლო პროცესის მისადაგება ბენეფიციართა სპეციალურ საჭიროებებთან, სასწავლო სახელმძღვანელოების ადაპტირება, სასწავლო

დაწესებულებების იმფრასტრუქტურის მოწესრიგება სპეციალური საჭიროებების შესაბამისად და სხვა. არაპირდაპირი მხარდაჭერა გამოიხატება სოციალურ რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პროგრამების ორგანიზებით, ბენეფიციარებისათვის ისეთი ტრენინგდისციპლინების შეთავაზებით, როგორებიცაა: საყოფაცხოვრებო უნარების დახვეწა, მობილობა, კომპიუტერული პროგრამების შესწავლა, დოკუმენტაციის ადაპტაცია-ტრანსკრიბცია და სხვა.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსინათლოთა განათლების საკითხებს. ეს გარემოება იძლევა ოპტიმისტური განწყობის საფუძველს. ტექნოლოგიების გაუმჯობესების კვალდაკვალ შემუშავდება ახალი მიდგომები და მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს უსინათლოთა პროფესიული განათლების შემდგომი განვითარების პროცესს.

კვლევითი ნაწილი

კვლევის აღწერა

საკითხს, რომელსაც კვლევა ეხება, გააჩნია თავისი სპეციფიკა და კვლევითი სამუშაოების ჩატარებისას აუცილებელი იყო ამ თავისებურებების გათვალისწინება. როცა საკითხის სპეციფიკურობაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ უსინათლოთა პროფესიული განათლება იმ სახით, რა სახითაც ის არის საქართველოში თანამედროვე ეტაპზე წარმოდგენილი, სიახლეა ჩვენი ქვეყნის განათლების დარგისათვის. ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ მისი ფორმირებისა და განვითარების პროცესს თან სდევს სირთულეებიც.

მოცემული კვლევის უმთავრესი დანიშნულებაც, სწორედ იმ სირთულეების, პრობლემებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება გახლავთ, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ უსინათლოთა პროფესიული განათლების განვითარებაზე.

როცა საკითხი ეხება უსინათლოთა განათლებისა და შრომითი მოწყობის პრობლემების კვლევას, საჭიროა გაიმიჯნოს პრობლემები, რომელთა მოგვარებაც თანამედროვე პერიოდში შეუძლებელია და რომელთა გადაჭრაც სავსებით შესაძლებელია სათანადო ძალისხმევის გაღების შემთხვევაში. არის გლობალური პრობლემა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ვიზუალური კომუნიკაციის უნარის შეფერხების გამო, უსინათლო ადამიანებისათვის გარკვეულწილად შეზღუდულია საგანმანათლებლო და შრომითი შესაძლებლობები. უსინათლოებისთვის პრობლემატურია ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება იმ სპეციალობებში, რომელთა დაუფლებისათვისაც აუცილებელია ვიზუალური კომუნიკაციის უნარი (მხედველობა). იმ სპეციალობების ჩამონათვალი, რომელთა სრულფასოვანი დაუფლებაც უსინათლოებს ხელეწიფებათ, არც ისე ვრცელია, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეულწილად შეზღუდულია პროფესიული არჩევანი. ამ მოცემულობის შეცვლა დღეისათვის შეუძლებელია. თუმცა, თანამედროვე პირობებში, სავსებით შესაძლებელია ამ გლობალური პრობლემით

გამოწვეული ზოგიერთი საფრთხის ნეიტრალიზაცია. ამისათვის კი, ჩვენი თვალსაზრისით, უწინარესად საჭიროა ქვემოთ მოცემული ორი პრობლემის მოგვარება.

კვლევის საგანს წარმოადგენს პრობლემები უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში. კვლევისათვის შერჩეული გვაქვს შემდეგი ორი პრობლემა:

- 1) არასაკმარისად გაანალიზებული პროფესიული არჩევანი, რომელიც შეიძლება გააკეთოს პროფესიული განათლების უსინათლო აბიტურიენტმა (აპლიკანტმა).
- 2) პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტის (ბენეფიციარის) ფორმალური მონაწილეობა.

არასაკმარისად გაანალიზებული არჩევანის საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ უსინათლო აბიტურიენტმა, შესწავლისა და შრომითი მოწყობის მიზნით, შეიძლება აირჩიოს პროფესია, რომლითაც სწავლის დასრულების შემდგომ, ვერ დასაქმდება, რადგან შრომის ბაზარზე ვერ იქნება კონკურენტუნარიანი. პროფესიული სწავლა-სწავლების პროცესში უსინათლო სტუდენტის ფორმალური მონაწილეობის საფრთხეში იგულისხმება სიტუაცია, როცა ნათელი ხდება, რომ პროფესიული სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული უსინათლო სტუდენტი, შესაბამისი მხარდაჭერის არქონის გამო, პრაქტიკულად ვერ ეუფლება არჩეულ სპეციალობას და პროცესში მისი მონაწილეობა შემოიფარგლება, მხოლოდ ფორმალური წარმომადგენლობით. კვლევა პირდაპირ დაკავშირებულია ამ საფრთხეების ნეიტრალიზაციის საკითხებთან.

წარმოდგენილი კვლევის ობიექტად განვიხილავთ შემდეგ სამ საკითხს:

- პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების პროფესიული არჩევანი;
- პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობა;

- უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების გავლენა ამ კატეგორიის პირთა პროფესიულ კარიერაზე.

კვლევის მიზანია: უსინათლო აბიტურიენტების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებებისა და პროფესიული არჩევანის საკითხის კვლევა პროფესიული განათლების მაგალითზე.

კვლევის ამოცანებია: არსებული სიტუაციისა და დაგროვილი გამოცდილების ანალიზი- მეორადი ინფორმაციის დამუშავება, სხვა ქვეყნებში აპრობირებული უსინათლოთა პროფესიული განათლების მოდელების განხილვა, პროფესიული განათლების პროცესში ჩართული უსინათლოების სპეციალური საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებების უზრუნველყოფის საკითხის შესწავლა, დიფერენცირებული კითხვარების მომზადება, ინტერვიუების ჩატარება პროფესიული განათლების უსინათლო ბენეფიციარებთან და პროფესიული განათლების დარგის ექსპერტებთან, მონაცემთა კლასიფიკაცია.

ძიებითი კვლევისა და მეორადი ინფორმაციის დამუშავების შედეგად, გამოიკვეთა ჰიპოთეზა: არადამაკმაყოფილებელია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა ჩართულობის ხარისხი და გარკვეულ წილად შეზღუდულია უსინათლოთა პროფესიული არჩევანი.

კვლევის სამიზნე ჯგუფებია: პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტები, პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტები, პროფესიული განათლების მქონე უსინათლო პირები და პროფესიული განათლების დარგის ექსპერტები.

კვლევა წარმოადგენს საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლების შემაფერხებელი პრობლემების შესწავლისა და სიტუაციური ანალიზის პირველ ცდას. რამდენადაც ცნობილია, დღემდე საქართველოში უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების თაობაზე, სამეცნიერო კვლევა არ ჩატარებულა და აკადემიური ხასიათის მქონე ნაშრომი არ გამოქვეყნებულა. კვლევის შედეგად მივიღებთ სიახლეს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

შესწავლილი იქნება უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესში არსებული პრობლემატური საკითხები და უსინათლოთა პროფესიულ განათლებაზე ისეთი საფრთხეების გავლენა, როგორებიცაა - არასაკმარისად გაანალიზებული პროფესიული არჩევანი და პროფესიული სწავლა-სწავლების პროცესში უსინათლო სტუდენტის ფორმალური მონაწილეობა; მიღებული მონაცემების საფუძველზე, შემუშავდება რეკომენდაციები უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის; მოხდება უსინათლოთა პროფესიული განათლების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევა ეხება უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებულ პრობლემებს. კვლევის თემატიკა მოიცავს ისეთი მოწყვლადი ჯგუფის საგანმანათლებლო ინტერესებსა და საჭიროებებს, როგორიცაა- საქართველოში მცხოვრები უსინათლოები. საკვლევი თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი შეიცავს პროფესიულ განათლებაში უსინათლოთა დამაბრკოლებელ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ კატეგორიის პირთა ინკლუზიას პროფესიული განათლების პროცესში და მათი სოციალური, ეკონომიკური, თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. კვლევა აქტუალურია იმ მიზეზითაც, რომ იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პრობლემები უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში, პროფესიული განათლების უსინათლო აბიტურიენტების (აპლიკანტების) საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებები და პროფესიული არჩევანი, პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობა, უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების გავლენა ამ კატეგორიის პირთა პროფესიულ კარიერაზე.

განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგია. კვლევისათვის გამოყენებულია: თვისებრივი კვლევის მეთოდი-შემთხვევის შესწავლა-ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ. მოპოვებულია და გაანალიზებულია თვისებრივი ხასიათის ინფორმაცია. განხორციელებულია ჰიპოთეზის გადამოწმება, დადგენილია პრობლემების კონკრეტული მახასიათებლები და პრობლემებს შორის

ურთიერთკავშირი. კვლევის შედეგად დამუშავებულ ინფორმაციას აქვს კონკრეტული დანიშნულება მისი შემდგომი გამოყენების თვალსაზრისით.

წარმოდგენილი კვლევა ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით. პროფესიული განათლების უსინათლო აბიტურიენტების (აპლიკანტების), პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების და პროფესიული სასწავლებლების უსინათლო კურსდამთავრებულების მაგალითებზე, კვლევის ფარგლებში, გაანალიზებულია შემდეგი სამი შემთხვევა:

- პროფესიული განათლების უსინათლო აბიტურიენტების (აპლიკანტების) პროფესიული არჩევანი
- პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობა
- უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების გავლენა ამ კატეგორიის პირთა პროფესიულ კარიერაზე.

მოცემული შემთხვევების შესწავლის პროცესში გათვალისწინებულია დარგის ექსპერტების თვალსაზრისი და მათ მიერ, საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია. ეს შემთხვევები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთო კონტექსტით და პრობლემატიკის მსგავსი მახასიათებლებით. მათი საერთო კონტექსტში განხილვა ექვემდებარება კვლევის ლოგიკას, გამართლებულია საკვლევ პრობლემების კავშირით და საკვლევო თემატიკის საჭიროებებით.

სულ კვლევაში მონაწილეობდა ჩვიდმეტი რესპოდენტი: პროფესიული განათლების სამი აპლიკანტი, ექვსი სტუდენტი, ხუთი კურსდამთავრებული და უსინათლოთა პროფესიული განათლების სამი ექსპერტი. კვლევაში მონაწილე პროფესიული განათლების მქონე პირებმა დროის განსხვავებულ მონაკვეთებში დაიწყეს და დაასრულეს სწავლა სხვადასხვა პროფესიულ კოლეჯებში. ერთმანეთისაგან განსხვავებულია, აგრეთვე პროფესიული განათლების სტუდენტების სწავლის ვადის ხანგრძლივობა. ამიტომ, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო დაკვირვების წარმოება პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლო პირების სასწავლო პროცესზე დროის ერთ რომელიმე ცალკე აღებულ

მონაკვეთში. ძიებითი კვლევისა და მეორადი ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე გამოიკვეთა საერთო პრობლემები და მათი იდენტური კონკრეტული მახასიათებლები, როგორც პროფესიული განათლების აპლიკანტებისა და სტუდენტების, ასევე პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებული პირების შემთხვევაში. სწორედ ეს გარემოება გახდა იმის უმთავრესი პირობა, რომ მოცემული შემთხვევების კვლევა ერთიან კონტექსტში განხორციელდა.

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შევეცდებით პასუხი გავცეთ ისეთ კითხვებს, როგორებიცაა:

- რამდენად ინფორმირებულები არიან პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტები პროფესიის დაუფლებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობების შესახებ?
- როგორია პროფესიული განათლების მიღების მსურველი უსინათლოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებები?
- რამდენად გაანალიზებულია პროფესიული განათლების ბენეფიციარი უსინათლოების პროფესიული არჩევანი?
- როგორია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა ჩართულობის ხარისხი?
- რამდენად დაკმაყოფილებულია პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები?
- რა ფაქტორები განაპირობებს უსინათლოთა პროფესიული არჩევანის შეზღუდვას?
- რა გავლენას ახდენს უსინათლოთა პროფესიულ განათლებაზე ისეთი საფრთხეები, როგორებიცაა- არასაკმარისად გაანალიზებული არჩევანი ანუ პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტის მიერ, პროფესიის არჩევისას, დაშვებული შეცდომა და პროფესიული სწავლა-სწავლების პროცესში უსინათლო სტუდენტის ფორმალური მონაწილეობა?
- რომელი პროფესიების სწავლება უნდა იყოს პრიორიტეტული უსინათლოთა პროფესიული განათლების ფორმატში?

- რა შესაძლებლობების გააქტიურებაა მიზანშეწონილი იმისათვის, რომ პროფესიული განათლება გახდეს მეტად ორიენტირებული უსინათლოთა შრომითმოწყობაზე?

პროფესიული განათლების უსინათლო აბიტურიენტების (აპლიკანტების) პროფესიული არჩევანი კვლევის მოცემულ ნაწილში მიზნად დავისახეთ პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების პროფესიული არჩევანის საკითხის შესწავლა პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების მაგალითზე. კვლევისათვის გამოყენებულია შემთხვევის შესწავლის მეთოდი-ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ.

კითხვარმა აპრობაციის დროსაც უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა. წარმოგიდგენთ მის საბოლოო სახეს.

კითხვარი პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტებისათვის

კვლევის მიზანია პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების პროფესიული არჩევანის საკითხის შესწავლა პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების მაგალითზე.

კონფიდენციალობა დაცულია

- 1; მხედველობის შეზღუდვის რა ოფიციალური სტატუსი გაქვთ დადგენილი?
- 2; როგორია თქვენი მხედველობის ხარისხი?
- 3; რამდენად ეყრდნობით საკუთარ მხედველობას ყოფით სიტუაციებში?
- 4; შეგიძლიათ სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილება თქვენთვის უცხო გარემოში?
- 5; იყენებთ ხელჯოხს, როგორც გადაადგილებისათვის დამხმარე საშუალებას?
- 6; როგორ იყენებთ მხედველობას საქმიან აქტივობებში?
- 7; შეგიძლიათ ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა?
- 8; შეგიძლიათ ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა?
- 9; შეგიძლიათ ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება?

- 10; შეგიძლიათ კომპიუტერის კლავიატურის გამოყენებით ბეჭდვა?
- 11; სწავლობდით ადრე, რომელიმე პროფესიულ სასწავლებელში?
- 12; რა სპეციალობის დაუფლებას აპირებთ?
- 13; რა იცით იმ სპეციალობის შესახებ, რომლის დაუფლებასაც აპირებთ?
- 14; რა გარემოებები ახდენენ გავლენას თქვენს არჩევანზე?
- 15; მიგაჩნიათ, რომ გაქვთ განსაკუთრებული უნარები თქვენს მიერ არჩეული პროფესიის დაუფლებისათვის?
- 16; თქვენს ოჯახში მუშაობს ან მუშაობდა ვინმე იმ პროფესიით, რომლის დაუფლებასაც თქვენ გეგმავთ?
- 17; გირჩიათ ვინმემ ის პროფესია, რომლის დაუფლებასაც აპირებთ?
- 18; რა მოტივებით ხელმძღვანელობთ სპეციალობის არჩევისას?
- 19; გიყვართ საქმე, რომელიც თქვენს მიერ არჩეული პროფესიით უნდა აკეთოთ?
- 20; პრესტიჟულად მიგაჩნიათ პროფესია, რომელსაც უნდა დაეუფლოთ?
- 21; თქვენს მიერ არჩეულ სპეციალობას აღიქვამთ, როგორც თქვენი შემოსავლის გაზრდის ძირითად საშუალებას?
- 22; რა შესაძლებლობები გაქვთ იმისათვის, რომ დაეუფლოთ თქვენს მიერ არჩეულ სპეციალობას?
- 23; შეგიძლიათ მოიტანოთ კონკრეტული მაგალითი ან მაგალითები იმის დასადასტურებლად, რომ შესძლებთ თქვენს მიერ არჩეული პროფესიის დაუფლებას?
- 24; რა შესაძლებლობებს ხედავთ თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის პრაქტიკული გამოყენებისათვის?

25; იცნობთ ადამიანს, ვისაც გააჩნია შესაძლებლობების იმგვარი შეზღუდვა, როგორც თქვენ და ვინც დასაქმებულია იმ სპეციალობით, რომლის დაუფლებასაც თქვენ გეგმავთ?

26; მისი კვლევაში ჩართვის მიზნით, შეგიძლიათ დაასახელოთ ადამიანი, რომელსაც გააჩნია თქვენნაირი შეზღუდვა და დასაქმებულია იმ პროფესიით, რომლის დაუფლებასაც აპირებთ?

27; რომ არ გკონდეთ შესაძლებლობების შეზღუდვა აირჩევდით იგივე სპეციალობას?

28; რამდენად ხართ დარწმუნებული, რომ სპეციალობა, რომლის არჩევასაც აპირებთ, შეესაბამება თქვენს შრომით შესაძლებლობებს?

29; ფლობთ ინფორმაციას იმაზე, თუ რამდენად მოთხოვნადია შრომის ბაზარზე სპეციალობა, რომლის არჩევასაც აპირებთ?

30; ინფორმირებული ხართ იმის თაობაზე, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იქნებით შრომის ბაზარზე თქვენი სპეციალობით?

31; რა სახის კონსულტაციის მიღებას ისურვებდით პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით?

32; თუ იქნება საკონსულტაციო ცენტრი ან კომპეტენტური კონსულტანტი, რომელიც მოგაწვდით ინფორმაციას და გაგიწევთ კონსულტაციას პროფესიულ განათლებაზე, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებაზე, თქვენი შესაძლებლობებისა და თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობაზე, ასევე – სხვა თანამდევ საკითხებზე მიმართავთ მას დახმარებისათვის?

33; რამეს ხომ არ დაამატებთ?

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის

კითხვარის ძირითადი ნაწილი შედგება 33 კითხვისაგან (იხ. დანართი -1). ცალკეაღებული რესპოდენტის ინტერვიუების პროცესში წარმოქმნილი საჭიროების შესაბამისად, იცვლება კითხვების რაოდენობა და ზოგ შემთხვევაში კითხვის შინაარსიც.

კვლევაში ჩართულია სამი რესპოდენტი: (კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, კვლევაში ჩართული პირების სახელები შეცვლილია).

- ელისო- სქესი მდედრობითი, ასაკი 22 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.
- მარინა- სქესი მდედრობითი, ასაკი 19 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.
- გურამი- სქესი მამრობითი, ასაკი 18 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.

ინფორმაცია მოვიძიეთ ისეთ საკითებზე როგორებიცაა: რესპოდენტების მხედველობის მდგომარეობა, მხედველობის გამოყენება ყოფით სიტუაციებში და საქმიან აქტივობებში, ფიზიკურ გარემოში ორიენტაციის შესაძლებლობები, პროფესიული არჩევანი- მისი განმაპირობებელი გარემოებები და მოტივაცია, საკონსულტაციო საჭიროებები.

გამოკითხვის შედეგებს, და ინტარვიუს სკრიპტს წარმოგიდგენთ დანართის სახით.
(დანართი N1)

პასუხების ანალიზი.

კვლევის მოცემულ ნაწილში მიზნად დავისახეთ პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების პროფესიული არჩევანის საკითხის შესწავლა პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების მაგალითზე. კვლევაში ჩართულია სამი რესპონდენტი: (კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, კვლევაში ჩართული პირების სახელები შეცვლილია).

ელისო- სქესი მდედრობითი, ასაკი 22 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.

მარინა- სქესი მდედრობითი, ასაკი 19 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.

გურამი- სქესი მამრობითი, ასაკი 18 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.

სამივე რესპონდენტი მკვეთრადგამოხატული მხედველობითი შეზღუდვის მქონე პირია. ტოტალური უსინათლობა არცერთს არ აღენიშნება. სამივეს გააჩნია ნარჩენი მხედველობა. მოსწავლეები, ყოფით სიტუაციებში, შესაძლებლობის ფარგლებში, ეყრდნობიან საკუთარ ნარჩენ მხედველობას, ნაცნობ და შეჩვეულ გარემოში გადაადგილდებიან სხვა პირის დახმარების გარეშე, მაგრამ უჭირთ უცხო გარემოში ორიენტირება. ხელჯობით, როგორც გადაადგილებისას დამხმარე საშუალებით, ისინი არ სარგებლობენ. მხოლოდ ერთი მათგანი, ელისო აღნიშნავს, რომ იცის, თუ როგორ ისარგებლოს გადაადგილებისას ხელჯობით.

რესპოდენტები საქმიან აქტივობებშიც იყენებენ ნარჩენ მხედველობას. ელისო და მარინა საყოფაცხოვრებო საქმიანობის დროს, ხოლო გურამი ისეთი შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში, როგორცაა ძერწვა. მოსწავლეებს არ შეუძლიათ, ე.წ. „ბრტყელი შრიფტით“ ანუ- ჩვეულებრივი მოხაზულობითი შრიფტით წერა-კითხვა. ელისო და გურამი ფლობენ ბრაილის შრიფტს და

შეუძლიათ მისი გამოყენება, როგორც წერის, ასევე კითხვის რეჟიმში. მარინას კი, ამ შრიფტით სარგებლობა არ შეუძლია იმიტომ, რომ როგორც თავად განმარტავს, არ იცის. გაირკვა, რომ მას არც უსინათლოებისათვის ადაპტირებული ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება შეუძლია. გურამმა იცის, როგორ ისარგებლოს ასეთი პროგრამებით და როგორც ის ამბობს, ნელნელა ბეჭდავს კიდეც კომპიუტერის კლავიატურით. ელისომ დიდი ხანი არაა, რაც კომპიუტერული პროგრამების შესწავლა დაიწყო და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია.

არცერთ მათგანს არა აქვს პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის გამოცდილება. ჯერჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ ელისო აპირებს დაეუფლოს ოფისის მენეჯერის პროფესიას. მან იცის, რომ ოფისმენეჯერს უნდა შეემლოს კომპიუტერთან მუშაობა, ადამიანებთან ურთიერთობა, ტელეფონით საუბარი და კიდეც რაღაცეები. მარინა ჯერ კიდეც გადაწყვეტილების მიღების პროცესშია, მაგრამ ფიქრობს, რომ მაინც მასაჟისტის სპეციალობას აირჩევს. მისთვის ცნობილია, რომ მასაჟი ადამიანების სამკურნალოდ გამოიყენება. გურამს, ჯერ მხოლოდ ისა აქვს გადაწყვეტილი, რომ უნდა პროფესიულ სასწავლებელში სწავლა და ვარაუდობს, რომ შეისწავლის ძერწვას და თუ ამ პროფესიას აირჩევს, ის ფიქრობს, რომ სანთლებს გააკეთებს.

არის გარემოებები, რომლებსაც გავლენა აქვთ რესპოდენტების პროფესიულ არჩევანზე. ელისოსთვის, ეს – მამის ავტორიტეტია, მარინასთვის საზოგადოების აზრი, ხოლო გურამს უჭირს არჩევანის გაკეთება, რადგან არ იცის როგორ იმუშავეს მომავალში. მარინას მიაჩნია, რომ აქვს განსაკუთრებული უნარი მასაჟისტის პროფესიის დაუფლებისათვის და ეს არის ხელებში კარგი მგრძნობელობა. ელისო მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მას ადამიანებთან ურთიერთობის უნარი აქვს და ეს ფაქტორი დაეხმარება პროფესიის

დაუფლებაში. გურამი თვლის, რომ მას პროფესიის დაუფლებისათვის გამოსადეგი რაიმე განსაკუთრებული უნარი არ გააჩნია.

პროფესიული მემკვიდრეობითობის ოჯახური ტრადიცია, ასეთის არ არსებობის გამო, არ გახლავთ ის გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს კვლევაში მონაწილე პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების პროფესიულ არჩევანზე. მარინასთვის და გურამისთვის არავის ურჩევია იმ პროფესიის დაუფლება, რომელსაც სავარაუდოდ აპირებენ. ელისოს შემთხვევაში კი, მენტორი მამა გახლავთ.

პროფესიული არჩევანის განმაპირობებელი წამყვანი მოტივი ელისოსთვის, მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტი ინტეგრაცია გახლავთ, ხოლო მარინასთვის და გურამისთვის კი – შრომითი მოწყობა. არცერთ მათგანს გამორჩეულად არ უყვარს პროფესია, რომელსაც შეიძლება დაეუფლონ. მარინას პრესტიჟულად არ მიაჩნია თავისი სავარაუდო პროფესია, განსხვავებული შეხედულება აქვთ ელისოს და გურამს, ისინი ფიქრობენ, რომ პროფესია, რომელსაც შეიძლება დაეუფლონ პრესტიჟულია. ისინი მოელიან, რომ მომავალში მათ მიერ არჩეული პროფესია გახდება მათი პირადი ფინანსური შემოსავლის ძირითადი წყარო, ხოლო ელისოსთვის, პროფესიის არჩევის თვალსაზრისით, უმთავრესი ფაქტორი შემოსავლის მოსალოდნელი ზრდა არ გახლავთ.

რესპოდენტებს უჭირთ საუბარი იმ სპეციალობების შესწავლისა და პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობებზე, რომელთა დაუფლებასაც აპირებენ. ისინი არ იცნობენ ადამიანს,

ვისაც გააჩნია შესაძლებლობების იმგვარი შეზღუდვა, როგორც მათ და ვინც დასაქმებულია იმ სპეციალობით, რომლის დაუფლებასაც გეგმავს თითოეული მათგანი. მხოლოდ გურამი აირჩევდა პროფესიას, რომლის დაუფლებასაც ამჯერად აპირებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არ ექნებოდა შესაძლებლობების შეზღუდვა, მაგრამ ამასთანავე, იგი არ გახლავთ დარწმუნებული იმაში, რომ

სპეციალობა, რომელსაც სავარაუდოდ აირჩევს, შეესაბამება მის შრომით შესაძლებლობებს. დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულება აქვთ მარინას და ელისოს, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მიერ არჩეული პროფესიები შეესაბამება მათ შრომით შესაძლებლობებს. მარინას აქვს მოლოდინი, რომ მასაჟისტის პროფესია, რომელსაც სავარაუდოდ ის აირჩევს, მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და თვითონაც კონკურენტუნარიანი იქნება ამ პროფესიაში, რადგან საზოგადოებაში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ უსინათლოები მაღალი კვალიფიკაციის მასაჟისტები არიან. ელისოს არ უფიქრია, თუ რამდენად მოთხოვნადია შრომის ბაზარზე სპეციალისტები მის მიერ არჩეული პროფესიით, მან არც ის იცის, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იქნება თავისი სპეციალობით, მაგრამ მიაჩნია, რომ მაინც უნდა სცადოს. გურამი არ არის ინფორმირებული შრომის ბაზარზე არსებული ვითარების შესახებ და თვლის, რომ არ არის კონკურენტუნარიანი.

კვლევაში მონაწილე პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ კონსულტაცია იმის შესახებ, თუ რა პროფესიას დაეუფლონ, რომ შემდგომ, ამ პროფესიით დასაქმდნენ. თუ ექნება საშუალება, პროფესიის არჩევასთან და სხვა თანამდევ საკითხებთან დაკავშირებით, კონსულტაციისათვის ყველა მათგანი მიმართავს კომპეტენტურ პირს ან ორგანიზაციას.

რეზიუმე.

როგორც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, კვლევაში ჩართულ პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტებს ჯერჯერობით არა აქვთ პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გამოცდილება. მათ სურთ პროფესიული განათლების მიღება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება პროფესიის არჩევის შესახებ, ჯერ

კიდევ მყარად არა აქვთ ფორმირებული. თუმცა, ამის თაობაზე, უკვე აქვთ გარკვეული ვარაუდი.

იმ პროფესიით საქმიანობაზე, რომლის არჩევასაც აპირებენ მათი შეხედულებები არ არის ნათლად ჩამოყალიბებული. პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების პროფესიულ არჩევანზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა- ახლობელი ადამიანის ავტორიტეტი და საზოგადოებრივი აზრი. მათ არა აქვთ მკაფიოდ გამოხატული ლტოლვა იმ საქმისადმი, რომელიც არჩეული პროფესიით უნდა აკეთონ. პროფესიის არჩევის თვალსაზრისით, მათი უმთავრესი მოტივაცია არ გახლავთ პროფესიის სიყვარული. მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ პროფესიის დაუფლებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობებზე. მხოლოდ ერთი მათგანი, გურამი, აირჩევდა იმავე პროფესიას იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ექნებოდა მხედველობითი შეზღუდვა, მაგრამ ამასთანავე, იგი არ გახლავთ დარწმუნებული იმაში, რომ სპეციალობა, რომელსაც სავარაუდოდ აირჩევს, შეესაბამება დღეისათვის რეალურად არსებულ მის შრომით შესაძლებლობებს. ამგვარი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები ნათლად წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ მას არა აქვს საშუალება გააანალიზოს საკუთარი პროფესიული არჩევანი და ამ კუთხით საჭიროებს დახმარებას. კვლევაში მონაწილე ორი პირი, ელისო და მარინა, დარწმუნებულები არიან საკუთარ შესაძლებლობებში, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მათ არასრულყოფილი წარმოდგენა აქვთ საკუთარ შესაძლებლობებზე და შრომის ბაზარზე არსებულ კონიუნქტურაზე და ამ თვალსაზრისით, საჭიროებენ დახმარებას.

როგორც კვლევის შედეგად გაირკვა კვლევაში ჩართულ პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტებს ჭირდებათ კონსულტაცია პროფესიის არჩევისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტები მზად არიან, თუ იქნება შესაბამისი შესაძლებლობა,

კომპეტენტური ორგანიზაციისაგან ან პირისაგან მიიღონ კონსულტაცია პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებზე, პროფესიულ არჩევანზე, შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე და ასევე, პროფესიულ განათლებასთან, თუ შრომით მოწყობასთან დაკავშირებულ სხვა თანამდევ საკითხებზე.

ამრიგად, პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების მაგალითზე, შემთხვევის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა ერთმანეტან დაკავშირებული შემდეგი მახასიათებლები: უკიდურესად დაბალია პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების ინფორმირებულობის ხარისხი პროფესიის დაუფლებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობების შესახებ, არ არის საკმარისად დაკმაყოფილებული პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების საკონსულტაციო საჭიროებები. აპლიკანტებს ესაჭიროებათ საკონსულტაციო დახმარება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: პროფესიული განათლება, შრომის ბაზარზე არსებული კონიუნქტურა, მათი შესაძლებლობებისა და მათ მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობა.

ამგვარი შედეგები განპირობებულია შემდეგი მიზეზით: არადაამაკმაყოფილებელია პროფესიული განათლების მიღების მსურველი უსინათლოების პრეპროფესიული მომზადების ხარისხი.

სახეზეა ორი შედეგი:

პირველი– უკიდურესად დაბალია პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების ინფორმირებულობის ხარისხი პროფესიის დაუფლებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობების შესახებ;

მეორე– არ არის საკმარისად დაკმაყოფილებული პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების საკონსულტაციო საჭიროებები.

გამოიკვეთა მოცემული შედეგების განმაპირობებელი მიზეზი ანუ პრობლემა-
არადამაკმაყოფილებელია პროფესიული განათლების მიღების მსურველი
უსინათლოების პრეპროფესიული მომზადების ხარისხი.

აღნიშნული მიზეზისაგან ანუ პრობლემისაგან გამომდინარე არასასურველი
შედეგების გაუნმჯობესება სავსებით შესაძლებელია, თუ გადაიჭრება მათი
განმაპირობებელი პრობლემა

უსინათლო სტუდენტების ჩართულობა პროფესიული განათლების პროცესში.

კვლევის მოცემულ ნაწილში მიზნად დავისახეთ პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობის საკითხის შესწავლა პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების მაგალითზე.

კვლევისათვის გამოყენებულია შემთხვევის შესწავლის მეთოდი-ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ. კითხვარის ძირითადი ნაწილი შედგება 34 კითხვისაგან (იხ. დანართი--2). ცალკეაღებული რესპოდენტის ინტერვიუების პროცესში წარმოქმნილი საჭიროების შესაბამისად, იცვლება კითხვების რაოდენობა და ზოგ შემთხვევაში კითხვის შინაარსიც.

კვლევაში ჩართულია ექვსი რესპოდენტი: (კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, კვლევაში ჩართული პირების სახელები შეცვლილია).

გიგი- სქესი მამრობითი, ასაკი 26 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

გიგა- სქესი მამრობითი, ასაკი 40 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

ნიკო- სქესი მამრობითი, ასაკი 18 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

მაშო- სქესი მდედრობითი, ასაკი 19 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

დემნა- სქესი მამრობითი, ასაკი 20 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

სესილი- სქესი მდედრობითი, ასაკი 20 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

კითხვარმა აპრობაციის დროსაც უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა. წარმოგიდგინო მის საბოლოო სახეს.

კითხვარი პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტებისათვის.

კვლევის მიზანია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობის საკითხის შესწავლა პროფესიული სასწავლებლების უსინათლო სტუდენტების მაგალითზე.

კონფიდენციალობა დაცულია

- 1; მხედველობის შეზღუდვის რა ოფიციალური სტატუსი გაქვთ დადგენილი?
- 2; როგორია თქვენი მხედველობის ხარისხი?
- 3; რამდენად ეყრდნობით საკუთარ მხედველობას ყოფით სიტუაციებში?
- 4; შეგიძლიათ სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილება თქვენთვის უცხო გარემოში?
- 5; იყენებთ ხელჯოხს, როგორც გადაადგილებისათვის დამხმარე საშუალებას?
- 6; როგორ იყენებთ მხედველობას საქმიან აქტივობებში?
- 7; შეგიძლიათ ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა?
- 8; შეგიძლიათ ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა?
- 9; შეგიძლიათ ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება?
- 10; შეგიძლიათ კომპიუტერის კლავიატურის გამოყენებით ბეჭდვა?
- 11; სწავლობდით ადრე, რომელიმე პროფესიულ სასწავლებელში?
- 12; რამდენი ხანია, რაც ამ კონკრეტულ პროფესიულ სასწავლებელში ირიცხებით?
- 13; იყავით ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სახის ბარიერების წინაშე აღმოჩნდებოდით პროფესიული განათლების პროცესში ჩართვის შემდგომ?
- 14; პროფესიულ სასწავლებელში სწავლის დაწყებამდე, იცოდით, თუ რა სახის ხელშეწყობა გექნებოდათ საგანმანათლებლო პროცესში არსებული დაბრკოლებების დამლევისათვის?

15; რა სახის წინასწარი ინფორმაცია გქონდათ იმ პროფესიული სასწავლებლის შესახებ, რომელშიც ახლა სწავლობთ?

16; სასწავლო პროცესის დაწყებამდე, პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციამ ითხოვა თქვენგან ინფორმაცია თქვენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ?

17; რა სახის ინფორმაცია მიაწოდეთ თქვენს შესახებ პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციას სწავლის დაწყებამდე?

18; რა სპეციალობას ეუფლებით?

19; რატომ აირჩიეთ კონკრეტულად ეს სპეციალობა?

20; იმ პროფესიების ჩამონათვალში, რომლებიც საქართველოში არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში ისწავლება, რომ ყოფილიყო მეტი არჩევანი თქვენი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისი პროფესიების, მაინც აირჩევდით იმავე პროფესიას, რომელსაც ამჟამად ეუფლებით?

21; შეგიძლიათ კონკრეტული ადგილიდან სასწავლებლამდე მისვლა გამცილებლის დახმარების გარეშე?

22; შეგიძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება სასწავლებლის შენობაში?

23; შეგიძლიათ გამცილებელი პირის დახმარების გარეშე სასწავლებლის ეზოში ორიენტირება?

24; შეგასწავლათ ვინმემ სასწავლებლის გარემო, მისი ინფრასტრუქტურა?

25; ვინ გეხმარებათ სასწავლებლამდე მისვლაში?

26; ვინ გეხმარებათ სასწავლებლის ტერიტორიაზე ორიენტირებაში?

27; ვაკმაყოფილებთ სასწავლო პროცესში თქვენი ჩართულობის ხარისხი?

28; როგორ ფიქრობთ, სასწავლო პროცესი, აკმაყოფილებს თქვენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებულ მოთხოვნებს?

29; რა სახის გაუნმჯობესებაა იმისათვის საჭირო, რომ სასწავლო პროცესში თქვენი ჩართულობა უფრო ხარისხიანი გახდეს?

30; თქვენი აზრით, რა არის ის უმთავრესი პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტად გაფერხებთ პროფესიული განათლების მიღების პროცესში?

31; ხელახლა რომ მოგიხდეთ არჩევანის გაკეთება, აირჩევდით იმავე სასწავლებელს, რომელშიც ამჟამად სწავლობთ?

32; შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ აირჩევდით იმავე სასწავლებელს, რომელშიც ამჟამად სწავლობთ?

33; პროფესიული განათლების პროცესის დაწყებამდე, რომ გქონოდათ, კომპეტენტური ორგანიზაციისაგან ან პირისაგან, კონსულტაციის მიღების საშუალება პროფესიულ განათლებაზე, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებაზე, თქვენი შესაძლებლობებისა და თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობაზე, ასევე- სხვა თანამდევ საკითხებზე, ისარგებლებდით ასეთი მომსახურებით?

34; რამეს ხომ არ დაამატებთ?

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის

კვლევა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: რესპოდენტების მხედველობის მდგომარეობა, მხედველობის გამოყენება ყოფით სიტუაციებში და საქმიან აქტივობებში, ფიზიკურ გარემოში ორიენტაციის შესაძლებლობები, პროფესიული განათლების საწყის პროცესთან დაკავშირებით რესპოდენტების ინფორმირებულობის ხარისხი, პროფესიული არჩევანი, პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების ფიზიკური მობილობის მხარდაჭერა, უსინათლოთა ჩართულობა პროფესიული განათლების პროცესში, უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები პროფესიულ განათლებაში, პრობლემები უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში.

დეტალური სკრიპტი გთხოვთ იხილოთ დანართის სახით (დანართი N2)

პასუხების ანალიზი.

წარმოდგენილ შემთხვევაში კვლევის მიზანი გახლდათ

პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობის საკითხის შესწავლა პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების მაგალითზე.

კვლევაში ჩართულია ექვსი რესპონდენტი: (კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, კვლევაში ჩართული პირების სახელები შეცვლილია).

გიგი- სქესი მამრობითი, ასაკი 26 წელი.

გიგა- სქესი მამრობითი, ასაკი 40 წელი, .

ნიკო- სქესი მამრობითი, ასაკი 18 წელი, .

მაშო- სქესი მდედრობითი, ასაკი 19 წელი, .

დემნა- სქესი მამრობითი, ასაკი 20 წელი, .

სესილი- სქესი მდედრობითი, ასაკი 20 წელი, .

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ კვლევაში მონაწილე, პროფესიული სასწავლებლების ექვსივე სტუდენტი მკვეთრად გამოხატული მხედველობითი შეზღუდვის მქონე პირია. მხოლოდ მაშოს აქვს ნარჩენი მხედველობა. გიგი არჩევს შუქ-ჩრდილებს. ოთხ მათგანს: გიგას, ნიკოს, დავითს და სესილის აღენიშნებათ ტოტალური უსინათლობა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დემნას და სესილის, ტოტალურ უსინათლობასთან ერთად, აღენიშნებათ აგრეთვე მენტალური ხასიათის თავისებურებები. ეს გარემოება უფრო მკვეთრად არის გამოხატული დემნას შემთხვევაში. მათი ამ მახასიათებლის შესახებ, ჩვენთვის ცნობილი იყო წარმოდგენილი კვლევის დაწყებამდე. ამ საკითხთან დაკავშირებით, საუბარი გვექონდა მათ მშობლებთან, ოჯახის წევრებთან და პედაგოგებთან.

გიგა, ნიკო, დემნა და სესილი ტოტალური უსინათლობის მქონე პირები არიან. ამიტომ, ყოფით სიტუაციებში მხედველობას ვერ ეყრდნობიან, ხოლო გიგი და მაშო, შეძლებისამებრ იყენებენ საკუთარ ნარჩენ მხედველობას. ნაცნობ და შეჩვეულ გარემოში, ყველა მათგანი გადაადგილდება სხვა პირის დახმარების

გარეშე, მაგრამ ყველას, ნიკოს გარდა, უჭირს უცხო გარემოში ორიენტირება. ნიკომ აღნიშნა, რომ მას შეუძლია მისთვის უცნობ გარემოშიც იმოძრაოს ხელჯოხის გამოყენებით. ხელჯოხით, როგორც გადაადგილებისას დამხმარე საშუალებით, სარგებლობენ აგრეთვე: გიგი, გიგა და დემნა. მაშომ იცის, თუ როგორ გამოიყენოს გადაადგილებისას ხელჯოხი, მაგრამ არ იყენებს, რადგან ნაცნობ და შეჩვეულ გარემოში ეყრდნობა საკუთარ ნარჩენ მხედველობას, ხოლო უცნობ გარემოში ახლავს გამცილებელი.

გიგი, მხოლოდ შუქ-ჩრდილებს არჩევს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მიზეზულ ნარჩენ მხედველობას მაინც იყენებს კომპიუტერთან მუშაობისას. მაშო, ძირითადად, საყოფაცხოვრებო საქმიან აქტივობებში იყენებს საკუთარ ნარჩენ მხედველობას. კვლევაში მონაწილე სხვა პირები აბსოლუტურად უსინათლოები არიან და მათ საქმიან აქტივობებში მხედველობა არ ფიგურირებს.

ე.წ. ბრტყელი შრიფტით ანუ ჩვეულებრივი მოხაზულობითი შრიფტით წერა-კითხვა არ შეუძლიათ ნიკოს, მაშოს, დემნას და სესილის.

გიგიმ და გიგამ მხედველობა, შესაბამისად, 21 და 15 წლის ასაკში დაკარგეს. საშუალო განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიიღეს. ისინი ახერხებენ ბრტყელი შრიფტით წერას, მაგრამ მხედველობის უქონლობის გამო, კითხვა უკვე აღარ შეუძლიათ. ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა იციან, მხოლოდ ნიკომ და მაშომ. გიგის და გიგას, როგორც თვითონ ამბობენ, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ მისი სწავლა. დემნა და სესილი ბრაილის შრიფტს არ ფლობენ.

უსინათლოებისათვის ადაპტირებული ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება და კომპიუტერის კლავიატურით ბეჭდვა შეუძლიათ გიგის, გიგას და ნიკოს. მაშომ ხმოვანი პროგრამების გამოყენება იცის, ხოლო კომპიუტერის კლავიატურით ბეჭდვას სწავლობს. დემნას შეუძლია ნელი ტემპით ბეჭდვა და ახერხებს ხმოვანი პროგრამების გამოყენებას, ხოლო სესილი ცდილობს

აითვისოს, როგორც ხმოვანი პროგრამების გამოყენება, ასევე კომპიუტერის კლავიატურით ბეჭდვა.

კვლევაში ჩართულ პირებს ადრე სხვა რომელიმე პროფესიულ სასწავლებელში არ უსწავლიათ. მხოლოდ გიგას აქვს იმავე პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გამოცდილება, რომელშიც ამჟამად ეუფლება სპეციალობას. ის ამბობს, რომ ადრე სწავლობდა ამავე პროფესიულ სასწავლებელში, ოღონდ სხვა სპეციალობაზე.

გიგა, სხვებთან შედარებით, პროფესიული განათლების გამოცდილი სტუდენტია. სამი წლის განმავლობაში იგი უკვე მესამე სპეციალობას ეუფლება. ასევე გიგიც, ისიც ბოლო სამი წელია პროფესიული სასწავლებლის სტუდენტად ითვლება. გაიარა პროფესიული განათლების პირველი საფეხური. დღეისათვის სწავლა შეჩერებული აქვს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. კვლევაში ჩართული სხვა რესპოდენტები ნახევარი წელიწადია, რაც პროფესიულ სასწავლებლებში ირიცხებიან.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რესპოდენტები მეტ-ნაკლები ხარისხით იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რა სახის ბარიერების წინაშე აღმოჩნდებოდნენ პროფესიული განათლების პროცესში ჩართვის შემდგომ. ამ კუთხით, ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი ვლინდება ნიკოს შემთხვევაში. მან ნიუანსების დონეზეც კი, წინასწარ გაითვალისწინა სირთულეები, რომლებიც სასწავლო პროცესში მისთვის ხელის შემშლელი აღმოჩნდებოდა და მათ შესახებ, სწავლის დაწყებამდე აცნობა სასწავლებლის ადმინისტრაციას. სასწავლებლის ადმინისტრაციას მან, აგრეთვე შეატყობინა, თუ რა გზით შეიძლებოდა სასწავლო პროცესში მისი დამაბრკოლებელი ბარიერების წინააღმდეგობის შესუსტება. გიგი სწავლის დაწყებამდე იყო ინფორმირებული, რომ სასწავლო პროცესში პრობლემები შეექმნებოდა სათანადოდ ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოების არ არსებობის გამო. მეტად დაბალია დემნასა და სესილის

ინფორმირებულობის ხარისხი. მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ სწავლა გაუჭირდებოდათ და წარმოდგენაც არ ჰქონდათ რეალურად არსებული ბარიერების თაობაზე. სასწავლო პროცესი, რომ მოსალოდნელზე უფრო რთული აღმოჩნდა, ამას ხაზგასმით აღნიშნავს გიგა. იგი იმედგაცრუებულად კი არის იმის გამო, რომ არანაირად არ იყო ინფორმირებული იმ ბარიერების თაობაზე, რომლებთანაც პირდაპირი შეხება ექნებოდა სასწავლო პროცესში.

სწავლის დაწყებამდე, კვლევაში მონაწილე პირები, გარკვეულ წილად, ინფორმირებულნი იყვნენ იმის შესახებაც, თუ რა სახის ხელშეწყობა ექნებოდათ სასწავლო პროცესში არსებული ბარიერების დაძლევისათვის. ოთხმა მათგანმა, გიგამ, ნიკომ, დემნამ და სესილიმ სწავლის დაწყებამდე იცოდნენ, რომ სასწავლო პროცესში მათ დაეხმარებოდნენ საგანგებოდ ამ მიზნით გამოყოფილი ასისტენტები და გამცილებელი პირები. გიგი ინფორმირებული იყო იმის თაობაზე, რომ სასწავლებელში სადაც მას უნდა ესწავლა, პერსონალი მომზადებულს გავლილი ჰქონდა უსინათლოებთან მუშაობისათვის მოსამზადებელი ტრენინგურსები. ყურადღებას ვამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ ნიკო მოცემულ შემთხვევაშიც, სხვებზე უკეთ იყო ინფორმირებული იმაზე, თუ რა სახის ხელშეწყობა ექნებოდა სასწავლო პროცესში არსებული ბარიერების დაძლევისათვის.

კვლევაში ჩართული პირებისათვის, სწავლის დაწყებამდე, ცნობილი იყო, რომ პროფესიულ სასწავლებლებში, რომლებიც მათ პროფესიული განათლების მიღების მიზნით აირჩიეს, ვითარდებოდა სასწავლო პროცესში უსინათლოთა ინკლუზია. ნიკომ იმთავითვე მიაქცია ყურადღება იმას, რომ სასწავლებელში, რომელშიც სწავლას გეგმავდა, მაღალხარისხიან განათლებას აძლევდნენ სტუდენტებს.

რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც პროფესიულ სასწავლებელში განაცხადი შეიტანეს სწავლის თაობაზე, ადმინისტრაციამ სთხოვა

მათ მიეწოდებიან ინფორმაცია მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ. პროფესიული განათლების მიღების მსურველმა უსინათლოებმა შეავსეს სპეციალური კითხვარი. ამგვარად იკვეთება, რომ იმ პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაცია, რომელშიც სწავლის სურვილი განაცხადა უსინათლო პირმა, წინასწარ იყო ინფორმირებული მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ.

ნიკო სწავლობს ვებ ინტერფეისის დეველოპერის სპეციალობას. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „ვებ ინტერფეისის დეველოპერის“ სპეციალობა, 2016 წლის მდგომარეობით, არ გახლავთ წარმოდგენილი საქართველოს პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში შეტანილ „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროფესიათა ჩამონათვალში (იხ. დანართი- 4.). ამ პროფესიის არჩევას ნიკომ შემდეგი კრიტერიუმებით იხელმძღვანელა: საკუთარი მისწრაფებები, საკუთარი შრომითი უნარები და საგანმანათლებლო შესაძლებლობები, დასაქმების შესაძლებლობა, შრომის ბაზარზე არსებული კონიუნქტურა.

იმ შემთხვევაშიც კი, რომ ყოფილიყო მეტი არჩევანი მისი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისი პროფესიების, ნიკო მაინც აირჩევდა იმავე პროფესიას, რომელსაც ამჟამად ეუფლება, რადგან ეს არჩევანი მან, როგორც თავად ამბობს, შეგნებულად გააკეთა და მისი შეცვლის მიზეზი არა აქვს.

რაც შეეხებათ კვლევაში ჩართულ პროფესიული განათლების სხვა უსინათლო სტუდენტებს: გიგის, მაშოს, დემნას, სესილის და გიგას, ხუთივე მათგანი ოფისის მენეჯერის პროფესიას ეუფლება. ადრე გიგამ ძრავის შემკეთებლის სპეციალობაც შეისწავლა.

გიგიმ და გიგამ, შესწავლისა და შემდგომში დასაქმების მიზნით, აირჩია სპეციალობა იმის გათვალისწინებით, რომ შეძლებენ პროფესიით აღებული ვალდებულების შესრულებას. მათ მიაჩნიათ, რომ საქმე, რომლის კეთებაც

მოუწევთ არჩეული პროფესიით, შესაბამისია მათი შრომითი უნარებისათვის და საგანმანათლებლო შესაძლებლობებისათვის, ხოლო უსინათლობა არ წარმოადგენს გადაულახავ დამაბრკოლებელ გარემოებას. მაშოს არჩევანზე გადამწყვეტი გავლენა იქონიეს მისმა ახლობლებმა. როგორც ირკვევა იგი არ იყო მოწადინებული აერჩია ის პროფესია, რომელსაც ამჟამად ეუფლება. დემნას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, როგორც არჩევანზე, ასევე მის მიერ არჩეულ სპეციალობაზე. სესილის პროფესიული არჩევანი განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მან პროფესიების ჩამონათვალში სხვა მისთვის უფრო შესაფერისი სპეციალობა ვერ ნახა.

ნიკოს და დემნას გარდა, ყველა მათგანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ პროფესიების ჩამონათვალში, რომლებიც ისწავლება პროფესიულ სასწავლებლებში, სხვა, მათთვის უფრო შესაფერი პროფესია არ აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში, უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ გიგი, გიგა, მაშო, დემნა, სესილი და ნიკო უსინათლოები არიან არა მხოლოდ ოფიციალური სტატუსით, არამედ მათი მხედველობის ფაქტიური მდგომარეობითაც. ამიტომ, დღეისათვის არსებულ რეალობაში, მათი პროფესიული არჩევანი არცთუ ისე მრავალფეროვანია. ირკვევა, რომ მათ შორის, მხოლოდ ნიკომ მიიღო, პროფესიული არჩევანის შესახებ, გადაწყვეტილება ისე, რომ გაითვალისწინა, როგორც საკუთარი მისწრაფებები და ინტერესები, ასევე რეალურად არსებული მდგომარეობა. მის გარდა, ყველამ აღნიშნა, რომ იმ პროფესიების ჩამონათვალში, რომლებიც საქართველოში არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში ისწავლება, თუ იქნებოდა მეტი არჩევანი მათი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისი პროფესიების, ასეთ შემთხვევაში, აღარ აირჩევდნენ იმ პროფესიას, რომელსაც ამჟამად ეუფლებიან.

კვლევაში ჩართული პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესის საწყის ეტაპზე, პრობლემატურია

პროფესიულ სასწავლებლებში რეგულარულად მისვლა. ამ ეტაპზე, მათი ფიზიკური მობილობა, ძირითადად, ოჯახის წევრებისა და ახლობლების მიერ არის მხარდაჭერილი. სამწუხაროდ, ეს საწყისი ეტაპი საკმაო ხანს გრძელდება. ხშირ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მათი ფიზიკური მობილობის არასაკმარისი მხარდაჭერის გამო, უსინათლო სტუდენტები იძულებულნი ხდებიან, გააცდინონ სასწავლო პროცესის ფარგლებში გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სამუშაოები, რაც იწვევს სასწავლო პროცესში მათი გეგმაზომიერი მონაწილეობის შეფერხებას. ასეთი გარემოება არ გახლავთ განპირობებული პროფესიული სასწავლებლების ადმინისტრაციის მხრიდან ვალდებულების არასათანადოდ შესრულებით. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, არასაკმარის ფინანსურ უზრუნველყოფაში უნდა ვეძიოთ. სწავლის დაწყებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ, ეს პრობლემა გვარდება და უსინათლო სტუდენტების ფიზიკური მობილობის უზრუნველყოფისათვის ტარდება ღონისძიებები, ე.წ. გამცილებლები, მობილობის ტრენერები, თუ ასისტენტები ეხმარებიან მათ სასწავლებლამდე მისასვლელი მარშრუტისა და სასწავლებელში არსებული გარემოს შესწავლაში.

გიგი, გიგა, მაშო და სესილი მიიჩნევენ, რომ არც თუ ისე დამაკმაყოფილებელია მათი სასწავლო პროცესში ჩართულობა და მხოლოდ ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებული მოთხოვნები. ამ თვალსაზრისით, შესამჩნევად განსხვავდება ნიკოს შეფასება. ის თვლის, რომ ერთი სპეციფიკური ხასიათის მქონე საკითხის გარდა, ყველა სხვა ასპექტში მისთვის დამაკმაყოფილებელია, როგორც სასწავლო პროცესში საკუთრივ მისი მონაწილეობის ხარისხი, ასევე მისი, როგორც უსინათლო სტუდენტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. სასწავლო პროცესში მონაწილეობასთან და მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დემნას არა აქვს ნათლად ჩამოყალიბებული პოზიცია.

სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხზე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებული მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე მსჯელობისას, კვლევაში მონაწილე პროფესიული განათლების ყველა უსინათლო სტუდენტი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ სირთულეებზე, რომლებიც გამოწვეულია უსინათლოების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოების არარსებობით. მათი აზრით, ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოების ოპერატიული და ასევე გეგმაზომიერი შეტანა უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში, მნიშვნელოვნად აამაღლებდა სასწავლო პროცესში უსინათლოების მონაწილეობის ხარისხს.

როცა საკითხი ეხება იმ უმთავრეს პრობლემას, რომელიც პროფესიული განათლების პროცესში, ყველაზე მეტად აბრკოლებს პროფესიული სასწავლებლების უსინათლო სტუდენტებს, კვლევაში მონაწილე რესპოდენტები, კვლავ და კვლავ, ადაპტირებული სახელმძღვანელოებით არასაკმარისად უზრუნველყოფაზე ამახვილებენ ყურადღებას. ასეთი დაბრკოლების არსებობის გამო, მეტ-ნაკლები ხარისხით, ყველა გამოთქვამს უკმაყოფილებას. ამასთან ერთად, გამოიკვეთა კიდევ ორი პრობლემა, ეს არის: არაადაპტირებული საგანმანათლებლო გარემო და არასაკმარისად ადაპტირებული სასწავლო პრაქტიკა.

პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტები კრიტიკულად საუბრობენ უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებულ ხარვეზებზე და პრობლემებზე, მაგრამ ეს გარემოება მათ ხელს არ უშლით იმაში, რომ ერთხმად გამოთქვან კმაყოფილება იმ პროფესიული სასწავლებლებით, რომლებშიც განათლებას იღებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, მათი პოზიციები იდენტურია. როგორც კვლევამ აჩვენა, ასეთი დამოკიდებულება, ძირითადად განპირობებულია პროფესიული სასწავლებლების ადმინისტრაციისა და პერსონალის მათდამი

კეთილგანწყობით. მოცემულ შემთხვევაში ნათლად ისახება ერთი ასპექტიც, კერძოდ ის, რომ იმ პროფესიულ სასწავლებლებში, რომლებშიც სწავლობენ ან სწავლობდნენ უსინათლოები, დაგროვდა ამ კატეგორიის პირებთან მუშაობის გამოცდილება.

კვლევაში ჩართულმა ყველა რესპოდენტმა აღნიშნა, პროფესიული განათლების დაწყებამდე, რომ ჰქონოდათ საკონსულტაციო დახმარების მიღების საშუალება, აუცილებლად ისარგებლებდნენ ასეთი მომსახურებით.

რეზიუმე.

როგორც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, კვლევაში ჩართული პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტები მეტ-ნაკლები ხარისხით იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რა სახის ბარიერების წინაშე აღმოჩნდებოდნენ პროფესიული განათლების პროცესში ჩართვის შემდგომ და რა სახის ხელშეწყობა ექნებოდათ სასწავლო პროცესში უსინათლოებთან დაკავშირებით არსებული დაბრკოლებების დაძლევისათვის. ინფორმირებულობის ხარისხის თვალსაზრისით, მათ შორის, მკაფიოდ გამოხატული განსხვავებაა. ცხადი ხდება, რომ ეს განსხვავება აისახა მათ პროფესიულ არჩევანზე. ნათელია ინფორმირებულობის დონის პირდაპირი კავშირი პროფესიის არჩევისას მიღებულ გადაწყვეტილებასთან. ირკვევა, რომ პროფესიული განათლების პროცესში ჩართვამდე, პირმა, რომელიც საკმარისად იყო ინფორმირებული ამ პროცესში უსინათლოთა მონაწილეობასთან დაკავშირებული ნეგატიური და პოზიტიური ფაქტორების შესახებ, პროფესიის არჩევისას მიიღო გაანალიზებული გადაწყვეტილება. ამის ნათელი მაგალითია პროფესიული განათლების სტუდენტის, ნიკოს, შემთხვევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო განსაკუთრებული მონაცემების მქონე პირია. მას გააჩნია შესაბამისი უნარი იმისათვის, რომ აითვისოს ის სპეციალობა, რომელსაც მისი ცხოვრების მოცემულ ეტაპზე ეუფლება.

კვლევაში ჩართული სხვა სტუდენტების მაგალითზე კი, შეინიშნება, რომ ზოგ შემთხვევაში, როგორცაა- გიგი და გიგა, არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი, ხოლო მამოს, დემნას და სესილისთან დაკავშირებით, შეიძლება თქმა, რომ მათი ინფორმირებულობის ხარისხი უკიდურესად არადადამაკმაყოფილებელი იყო.

ამრიგად, მდგომარეობა შემდეგი გახლავთ: კვლევაში ჩართული ექვსი პირიდან, ხუთმა, არასათანადო ინფორმირებულობის მიზეზით, პროფესიული

განათლების პროცესის დაწყებამდე, პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით, ვერ შესძლო საკმარისად გაანალიზებული გადაწყვეტილების მიღება. მათ არ ჰქონდათ ინფორმაციული მხარდაჭერა, ამ გარემოებამ განაპირობა, რომ მათთვის პრობლემატური გახდა რეალურად არსებულ ვითარებაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება და როგორც შედეგი, სახეზეა არასაკმარისად გაანალიზებული პროფესიული არჩევანი.

არასათანადო ინფორმირებულობა უდავოდ ახდენს უარყოფით გავლენას უსინათლოთა პროფესიულ არჩევანზე, მაგრამ როცა ამ საკითხს ვეხებით, აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული ის გარემოება, რომ მათი მხედველობის მდგომარეობის გამო, უსინათლოთა პროფესიული არჩევანი არც თუ ისე მრავალფეროვანია. უსინათლობა, ეს არის მოცემულობა, რომლის შეცვლაც დღესდღეობით შეუძლებელია, მაგრამ რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული უსინათლოების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფის პროცესში, რადგან მას პირდაპირი გავლენა აქვს საგანმანათლებლო პროცესზე და ზღუდავს მათ პროფესიულ არჩევანს.

უსინათლოთა მხედველობის აღდგენა სამედიცინო კვლევების საგანია. განვმეორდებით და კვლავ გავუსვამთ ხაზს, რომ აღნიშნული მოცემულობის შეცვლა დღეისათვის შეუძლებელია. ამიტომ, წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, იგი აქტუალური არ გახლავთ. მაგრამ სახეზეა სხვა არაერთი ფაქტორი, რომელიც, არსებულ რეალობაში, ზღუდავს პროფესიული განათლების მიღების მსურველი უსინათლოების პროფესიულ არჩევანს. ამ ფაქტორების გავლენა, როგორც პრობლემა, აქტუალურია მოცემულ ეტაპზე და შესაბამისი ჩარევის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია მისი ნეიტრალიზაცია. ეს ფაქტორები მკაფიოდ იკვეთება პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების მაგალითზე. ერთის გარდა, ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ იმ პროფესიების ჩამონათვალში, რომლებიც საქართველოში არსებულ პროფესიულ

სასწავლებლებში ისწავლება, თუ იქნებოდა მეტი არჩევანი მათი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისი პროფესიების, ასეთ შემთხვევაში, აღარ აირჩევდნენ იმ პროფესიას, რომელსაც ამჟამად ეუფლებიან. ასეთი დამოკიდებულება იმის მაჩვენებელია, რომ ერთი მხრივ, ისინი არ არიან კმაყოფილები იმ გადაწყვეტილებით, რომელიც პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით მიიღეს და მეორე მხრივ კი, ანგარიშს უწევენ რეალურად არსებულ მდგომარეობას, რომლის მიზეზითაც, მათ ვერ შესძლეს სხვა, მათთვის უფრო მიზანშეწონილი არჩევანის გაკეთება რეალურად კი, მდგომარეობა შემდეგია: საქართველოში არსებულ პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში არ არის შეტანილი სპეციალობები, რომლებიც სხვა პროფესიებთან შედარებით, უფრო მეტად შეესაბამება უსინათლოთა შრომით უნარებს და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს (იხ. დანართი- 5.).

ამგვარად, კვლევაში მონაწილე პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ წილად, შეზღუდულია უსინათლოთა პროფესიული არჩევანი.

ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობაზე გახლავთ მათი ფიზიკური მობილობის მხარდაჭერის ორგანიზების საკითხი. თუ საკმარისად არის მხარდაჭერილი პროფესიული განათლების სტუდენტი უსინათლოების ფიზიკური მობილობა მათ ეძლევათ საშუალება, რეგულარულად დაესწრონ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ თეორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს. სხვა შემთხვევაში, იქმნება დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან სასწავლო პროცესში სტუდენტების მონაწილეობას. ამ თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემებია სწავლების საწყის ეტაპზე, რაც იწვევს შეფერხებას საგანმანათლებლო პროცესში. ასეთი დაბრკოლება აისახება პროფესიული განათლების სტუდენტების აკადემიურ მიღწევებზე.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ პროფესიული განათლების სტუდენტების ფიზიკური მობილობის მხარდაჭერის ორგანიზება საჭიროებს სრულყოფას. რეალური მდგომარეობა ამგვარია, პროფესიული განათლების სტუდენტების ფიზიკური მობილობის პროცესი არ არის სათანადოდ ორგანიზებული. ამრიგად, სახეზეა უსინათლოთა პროფესიული განათლების კიდევ ერთი პრობლემა, პროფესიული განათლების პროცესში მონაწილე უსინათლო სტუდენტების ფიზიკური მობილობის არასაკმარისი მხარდაჭერა.

პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხზე მკვეთრად გამოხატულ უარყოფით გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ სტუდენტები არ არიან უზრუნველყოფილნი მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოებით. ამ მხრივ, უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში რეალურად მძიმე მდგომარეობაა. ამასთან ერთად, გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: არაადაპტირებული საგანმანათლებლო გარემო და არასაკმარისად ადაპტირებული სასწავლო პრაქტიკა. შეიძლება ითქვას, რომ უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესში არასაკმარისად არის დაკმაყოფილებული უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. აღნიშნული მიზეზების გამო, დაბალია პროფესიულ განათლებაში უსინათლოთა ჩართულობის ხარისხი.

ამგვარად, პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების მაგალითზე, შემთხვევის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა ერთმანეთთან დაკავშირებული შემდეგი მახასიათებლები: უსინათლო სტუდენტების პროფესიული არჩევანი არ არის საკმარისად გაანალიზებული, მათი პროფესიული არჩევანი გარკვეულწილად შეზღუდულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ არა აქვთ ისეთი პროფესიების დაუფლების საშუალება, რომლებიც სხვა პროფესიებთან შედარებით, უფრო მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და მეტად შეესაბამება უსინათლოთა

საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და შრომით უნარებს; პროფესიული განათლების პროცესში დაბალია უსინათლოთა ჩართულობის ხარისხი.

ასეთი შედეგები განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

პროფესიული განათლების პროცესში ჩართვამდე უსინათლოები სათანადოდ არ არიან ინფორმირებულნი სასწავლო პროცესში არსებული ბარიერების შესახებ და დაბრკოლებების დაძლევისთან დაკავშირებულ შესაძლებლობებზე, საქართველოში არსებული პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში არ არის შეტანილი სპეციალობები, რომლებიც სხვა პროფესიებთან შედარებით, უფრო მეტად შეესაბამება უსინათლოების შრომით უნარებს და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების ფიზიკური მობილობა არასაკმარისად არის მხარდაჭერილი, არ არის საკმარისად დაკმაყოფილებული პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები.

სახეზეა სამი შედეგი:

პირველი- არასაკმარისად გაანალიზებული პროფესიული არჩევანი;

მეორე- უსინათლოთა პროფესიული არჩევანი გარკვეულ წილად შეზღუდულია;

მესამე- არადამაკმაყოფილებელია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა ჩართულობის ხარისხი.

გამოიკვეთა მოცემული შედეგების განმაპირობებელი ოთხი მიზეზი:

პირველი- პროფესიული განათლების პროცესში ჩართვამდე უსინათლოები სათანადოდ არ არიან ინფორმირებულნი სასწავლო პროცესში არსებული ბარიერების შესახებ და დაბრკოლებების დაძლევისთან დაკავშირებულ შესაძლებლობებზე;

მეორე- საქართველოში არსებული პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში არ არის შეტანილი სპეციალობები, რომლებიც სხვა პროფესიებთან შედარებით, უფრო მეტად შეესაბამება უსინათლოების შრომით უნარებს და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს;

მესამე- პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების ფიზიკური მობილობა არასაკმარისად არის მხარდაჭერილი;

მეოთხე- არ არის საკმარისად დაკმაყოფილებული პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები.

მოცემული მიზეზებისაგან ანუ პრობლემებისაგან გამომდინარე არასასურველი შედეგების გაუნმჯობესება სავსებით შესაძლებელია, თუ გადაიჭრება მათი განმაპირობებელი პრობლემები.

უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების გავლენა ამ კატეგორიის პირთა პროფესიულ კარიერაზე.

კვლევის მოცემულ ნაწილში მიზნად დავისახეთ, პროფესიული განათლების უსინათლო კურსდამთავრებულების მაგალითზე, ამ კატეგორიის პირთა პროფესიულ კარიერაზე უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების გავლენის საკითხის შესწავლა. კვლევისათვის გამოყენებულია შემთხვევის შესწავლის მეთოდი-ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ. კითხვარის ძირითადი ნაწილი შედგება 33 კითხვისაგან (იხ. დანართი--3). ცალკეადებული რესპოდენტის ინტერვიუების პროცესში წარმოქმნილი საჭიროების შესაბამისად, იცვლება კითხვების რაოდენობა და ზოგ შემთხვევაში კითხვის შინაარსიც.

კვლევაში ჩართულია ხუთი რესპოდენტი: (კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, კვლევაში ჩართული პირების სახელები შეცვლილია).

თეა- სქესი მდედრობითი, ასაკი 32 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

მიხეილი- სქესი მამრობითი, ასაკი 36 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

მარი- სქესი მდედრობითი, ასაკი 20 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

რევაზი- სქესი მამრობითი, ასაკი 33 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

ლექსო- სქესი მამრობითი, ასაკი 23 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

კვლევა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: რესპოდენტების მხედველობის მდგომარეობა, მხედველობის გამოყენება ყოფით სიტუაციებში და საქმიან აქტივობებში, ფიზიკურ გარემოში ორიენტაციის შესაძლებლობები,

პროფესიული არჩევანი, უსინათლოთა დასაქმების პრობლემები, პროფესიული კარიერისა და პროფესიული განათლების კავშირი, უსინათლოთა ჩართულობა პროფესიული განათლების პროცესში, უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები პროფესიულ განათლებაში, პრობლემები უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში, საკონსულტაციო საჭიროებები.

კითხვარი პროფესიული განათლების უსინათლო კურსდამთავრებულებისათვის.

კვლევის მიზანია უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და მათი პროფესიული კარიერის განვითარების საკითხების შესწავლა პროფესიული განათლების უსინათლო კურსდამთავრებულების მაგალითზე.

კონფიდენციალობა დაცულია

- 1; მხედველობის შეზღუდვის რა ოფიციალური სტატუსი გაქვთ დადგენილი?
- 2; როგორია თქვენი მხედველობის ხარისხი?
- 3; რამდენად ეყრდნობით საკუთარ მხედველობას ყოფით სიტუაციებში?
- 4; შეგიძლიათ სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილება თქვენთვის უცხო გარემოში?
- 5; იყენებთ ხელჯოხს, როგორც გადაადგილებისათვის დამხმარე საშუალებას?
- 6; როგორ იყენებთ მხედველობას საქმიან აქტივობებში?
- 7; შეგიძლიათ ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა?
- 8; შეგიძლიათ ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა?
- 9; შეგიძლიათ ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება?
- 10; შეგიძლიათ კომპიუტერის კლავიატურის გამოყენებით ბეჭდვა?
- 11; რა სპეციალობას დაეუფლეთ პროფესიულ სასწავლებელში?
- 12; რატომ აირჩიეთ კონკრეტულად ეს სპეციალობა?
- 13; იყავით ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სახის ბარიერების წინაშე აღმოჩნდებოდით იმ სპეციალობით დასაქმებასთან დაკავშირებით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლეთ?
- 14; გქონდათ მოლოდინი, რომ როგორც უსინათლოები, შედავათებით ისარგებლებდით სამუშაოს შესრულებისას?

- 15; მიგაჩნიათ, რომ კონკურენტუნარიანი ხართ შრომის ბაზარზე?
- 16; რამდენი ხანია, რაც დაასრულეთ სწავლა პროფესიულ სასწავლებელში?
- 17; დასაქმებული ხართ იმ სპეციალობით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლეთ?
- 18; უმუშევრობის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ თანდათანობით გაუარესდეს თქვენი პროფესიული კვალიფიკაცია?
- 19; რა პრობლემები აფერხებს უსინათლოთა დასაქმების პროცესს?
- 20; მიღებული გამოცდილების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, გამართლებულია თქვენი პროფესიული არჩევანი?
- 21; მიღებული გამოცდილების შემდგომ, შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ არის (არ არის) გამართლებული თქვენი პროფესიული არჩევანი?
- 22; ხართ დაინტერესებული, რომ დაეუფლოთ სხვა პროფესიას?
- 23; რომ მოგეცეთ ისეთი პროფესიის დაუფლების საშუალება, რომელიც სხვა პროფესიებთან შედარებით, უფრო მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და მეტად შეესაბამება უსინათლოთა შრომით უნარებს, დაინტერესდებით მისი შესწავლით?
- 24; მიგაჩნიათ, რომ პროფესიული განათლება არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი პროფესიული კარიერის წარმატებული განვითარებისათვის?
- 25; პროფესიულ კოლეჯში სწავლის პერიოდში გაკმაყოფილებდათ სასწავლო პროცესში თქვენი ჩართულობის ხარისხი?
- 26; მიღებული გამოცდილების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, პროფესიულ სასწავლებელში სწავლის დროს, სასწავლო პროცესი, აკმაყოფილებდა თქვენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებულ მოთხოვნებს?
- 27; რა სახის გაუნმჯობესებაა იმისათვის საჭირო, რომ პროფესიული სწავლების პროცესში უსინათლო ადამიანის ჩართულობა უფრო ხარისხიანი გახდეს?
- 28; მიღებული გამოცდილების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, რა იყო ის უმთავრესი პრობლემა, რომელმაც ყველაზე მეტად დაგაბრკოლათ პროფესიული განათლების მიღების პროცესში?
- 29; იმ შემთხვევაში, თუ დაგჭირდებათ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება ან ახალი პროფესიის დაუფლება, აირჩევთ იმავე პროფესიულ სასწავლებელს, რომელშიც სწავლობდით?
- 30; შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ აირჩევდით (ან არ აირჩევდით) იმავე პროფესიულ სასწავლებელს, რომელშიც სწავლობდით?
- 31; რა სახის კონსულტაციის მიღებას ისურვებდით პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით?
- 32; თუ იქნება საკონსულტაციო ცენტრი ან კომპეტენტური კონსულტანტი, რომელიც მოგაწვდით ინფორმაციას და გაგიწევთ კონსულტაციას პროფესიულ განათლებაზე, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებაზე, თქვენი შესაძლებლობებისა და თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობაზე, ასევე- სხვა თანამდევ საკითხებზე მიმართავთ მას დახმარებისათვის?

დეტალური სკრიპტი იხილეთ დანართის სახით.

პასუხების ანალიზი.

წარმოდგენილ შემთხვევაში, კვლევის მიზანი გახლდათ უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და მათი პროფესიული კარიერის განვითარების საკითხების შესწავლა პროფესიული განათლების უსინათლო კურსდამთავრებულების მაგალითზე.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო პროფესიული სასწავლებლების ხუთმა უსინათლო კურსდამთავრებულმა (კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, კვლევაში ჩართული პირების სახელები შეცვლილია) :

თეა- სქესი მდედრობითი, ასაკი 32 წელი.

მიხეილი- სქესი მამრობითი, ასაკი 36 წელი.

მარი- სქესი მდედრობითი, ასაკი 20 წელი.

რევაზი- სქესი მამრობითი, ასაკი 33 წელი.

ლექსო- სქესი მამრობითი, ასაკი 23 წელი.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებული, კვლევაში მონაწილე, ხუთივე გამოკითხული მკვეთრადგამოხატული მხედველობითი შეზღუდვის მქონე პირია. ორ მათგანს, მიხეილსა და რევაზს, აღენიშნებათ ტოტალური უსინათლობა, ხოლო თეას, მარისა და ლექსოს აქვთ სხვადასხვა ხარისხის ნარჩენი მხედველობა. მათ შორის ყველაზე უკეთ ხედავს ლექსო. მიხეილი და რევაზი, ტოტალური უსინათლობის მქონე პირები არიან; ამიტომ, ყოფით სიტუაციებში ისინი მხედველობას ვერ ეყრდნობიან, ხოლო თეა მარი და ლექსო, შეძლებისამებრ იყენებენ საკუთარ

ნარჩენ მხედველობას. ნაცნობ და შეჩვეულ გარემოში, ყველა მათგანი გადაადგილდება სხვა პირის დახმარების გარეშე, მაგრამ ლექსოს გარდა, ყველას უჭირს უცხო გარემოში ორიენტირება. ხელჯობით, როგორც გადაადგილებისას დამხმარე საშუალებით, სარგებლობენ მიხეილი და რევაზი. მარი აღნიშნავს, რომ თუ დასჭირდება შეუძლია ხელჯობის გამოყენება. თეამ იცის თუ როგორ გამოიყენოს გადაადგილებისას ხელჯობი, მაგრამ ჯანმრთელობის პრობლემის გამო, მას ვერ იყენებს. ლექსოსთვის ხელჯობი საჭირო არ არის, რადგან მას სივრცეში დამოუკიდებლად გადაადგილებისათვის საკმარისი მხედველობა გააჩნია. ლექსო საქმიან აქტივობებშიც იყენებს მხედველობას და ამის დამადასტურებელ მაგალითებსაც ჩამოთვლის. თეას და მარის ძალიან უმნიშვნელო ნარჩენი მხედველობა აქვთ და მისი საქმიან აქტივობებში მიზანშეწონილად გამოყენება მათთვის პრაქტიკულად შეუძლებელია. მიხეილი და რევაზი აბსოლუტურად უსინათლოები არიან და ამიტომ, მათ საქმიან აქტივობებში მხედველობა არ ფიგურირებს.

კვლევაში ჩართულ პროფესიული სასწავლებლების უსინათლო კურსდამთავრებულთაგან ე.წ. „ბრტყელი შრიფტით“ ანუ- ჩვეულებრივი მოხაზულობითი შრიფტით წერა-კითხვა შეუძლია მხოლოდ ლექსოს. თეას გარდა, ყველა ფლობს ბრაილის შრიფტს. თეას არც ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება შეუძლია. სამაგიეროდ, იგი ბეჭდავს კომპიუტერის კლავიატურით. მიხეილმა, მარიმ, რევაზმა და ლექსომ იციან, როგორც უსინათლოებისათვის ადაპტირებული ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, ასევე კომპიუტერის კლავიატურით ბეჭდვაც.

ლექსომ ინფორმაციის ტექნოლოგიის სპეციალობა შეისწავლა. მას მოსწონდა კომპიუტერით მუშაობა და სურდა დასაქმებულიყო. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში ჩართული პროფესიული სასწავლებლების, სხვა ოთხი უსინათლო კურსდამთავრებულისაგან განსხვავებით, იგი არ განიცდიდა იმ სახის

მხედველობის შეზღუდვას, რომელიც რადიკალურად შეაფერხებდა სასწავლო პროცესში მის ჩართულობას. ამიტომ, სხვებთან შედარებით, პროფესიის არჩევის თვალსაზრისით, ლექსოს არჩევანის გაცილებით ფართო სპექტრი ჰქონდა. მიხეილი, რევაზი, მარი და თეა ოფისის მენეჯერის პროფესიას დაეუფლნენ. ოთხივემ, შესწავლისა და შემდგომში დასაქმების მიზნით, აირჩია სპეციალობა იმის გათვალისწინებით, რომ შეძლებდნენ პროფესიით აღებული ვალდებულების შესრულებას. მათ მიაჩნდათ, რომ საქმე, რომლის კეთებაც მოუწევდათ არჩეული პროფესიით, შესაბამისი იყო მათი შრომითი უნარებისათვის და საგანმანათლებლო შესაძლებლობებისათვის, ხოლო უსინათლობა არ წარმოადგენდა გადაულახავ დამაბრკოლებელ გარემოებას. მაგრამ, ამასთან ერთად, ყველა მათგანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ პროფესიების ჩამონათვალში, რომლებიც ისწავლება პროფესიულ სასწავლებლებში, სხვა, მათთვის უფრო შესაფერი პროფესია არ აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში, უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ თეა, მიხეილი, მარი და რევაზი უსინათლოები არიან არა მხოლოდ ოფიციალური სტატუსით, არამედ მათი მხედველობის ფაქტიური მდგომარეობითაც. ამიტომ, ლექსოსთან შედარებით, დღეისათვის არსებულ რეალობაში, მათი პროფესიული არჩევანი არცთუ ისე მრავალფეროვანია.

კვლევაში ჩართული პირები, ჯერ კიდევ პროფესიის არჩევამდე, საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რა სახის ბარიერების წინაშე აღმოჩნდებოდნენ იმ სპეციალობით დასაქმებასთან დაკავშირებით, რომლის დაუფლებაც გადაწყვიტეს. მათ არ ჰქონიათ მოლოდინი, რომ როგორც უსინათლოები, სამუშაოს შესრულებისას ისარგებლებდნენ შეღავათებით. მეტ-ნაკლები დარწმუნებულობით, მაგრამ ყველა კურსდამთავრებული თვლის, რომ კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე და შეუძლია თავისი პროფესიით მუშაობა. პროფესიული სასწავლებელი თეამ ორი წლის წინ დაამთავრა, ხოლო სხვებმა პროფესიულ კოლეჯებში სწავლა ერთი წლის წინ დაასრულეს. გავიდა საკმაოდ დრო, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის დასაქმებული იმ სპეციალობით,

რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლა. ასეთია ფაქტობრივი მდგომარეობა.

ყველა თვლის, რომ უმუშევრობის დროში გაგრძელების შემთხვევაში, თანდათანობით დაქვეითდება მათი კვალიფიკაცია. ხუთივე რესპონდენტს, უსინათლოთა დასაქმების პროცესის შემაფერხებელი პრობლემების თაობაზე, გააჩნია თავისი შეხედულება, რომელსაც ისინი საკუთარი ინტერპრეტაციით აყალიბებენ. ჩვენ შევეცდებით მათ მიერ ჩამოთვლილი პრობლემების ფორმულირებას დამკვიდრებული შესაბამისი ფრაზეოლოგიის გამოყენებით. რესპოდენტები ყურადღებას ამახვილებენ ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა: ეკონომიკის განვითარების დაბალი ტემპი, შრომის ბაზარზე მაღალი კონკურენცია, ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე, სახელმწიფო სტრუქტურების არასაკმარისი ზრუნვა უსინათლოთა დასაქმებისათვის, ნაკლები საზოგადოებრივი ჩართულობა უსინათლოთა დასაქმების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საქმეში, კერძო სამეწარმეო სექტორის ნაკლები დაინტერესება უსინათლოთა დასაქმებით, სტერეოტიპული დამოკიდებულებები უსინათლოთა შესაძლებლობებთან დაკავშირებით, უსინათლოთა ფორმალური მონაწილეობა პროფესიული განათლების პროცესში, უსინათლოთა პროფესიული კვალიფიკაციის არასაკმარისი ხარისხი, საქართველოში არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში უსინათლოებს არა აქვთ საშუალება დაეუფლონ ისეთ პროფესიებს, რომლებიც უფრო მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და მეტად შეესაბამება ამ კატეგორიის პირთა საგანმანათლებლო შესაძლებლობებს და შრომით უნარებს.

მიღებული გამოცდილების შემდგომ, თეა, მიხეილი და მარი ფიქრობენ, რომ მათი პროფესიული არჩევანი მხოლოდ იმით არის გამართლებული, რომ არ არსებობდა უმჯობესი ალტერნატივა. ასეთი დამოკიდებულება თავისთავად მეტყველებს, რომ არჩევანში, გარკვეულ წილად, შეზღუდულები იყვნენ და ეს

ვითარება დღემდე უცვლელია. რევაზი და ლექსო უფრო რადიკალურები არიან. აღნიშნავენ, რომ მათი პროფესიული არჩევანი არ იყო გამართლებული და ამ შეხედულებას ასაბუთებენ იმით, რომ არჩეული პროფესიით დასაქმება მათთვის შეუძლებელი შეიქმნა.

თეა, მიხეილი და ლექსო, გარდა იმ პროფესიისა, რომელიც უკვე შეისწავლეს, დაინტერესებულნი არიან დაეუფლონ სხვა პროფესიასაც. ამ თვალსაზრისით, მათგან განსხვავებული მოსაზრება აქვთ მარის და რევაზს. ისინი ყურადღებას ამახვილებენ შესწავლილი პროფესიით დასაქმების შესაძლებლობაზე. მათ პოზიციებს შორის განსხვავება ნიველირებულია და მათი თვალსაზრისები შინაარსით იდენტურია, როცა საკითხი ეხება ისეთი პროფესიის დაუფლებას, რომელიც სხვა პროფესიებთან შედარებით, უფრო მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და მეტად შეესაბამება უსინათლოთა შრომით უნარებს. თითოეული მათგანი ინდივიდუალური ინტერპრეტაციით, მაგრამ საერთო პათოსით გამოხატავს ასეთი პროფესიის შესწავლისადმი ინტერესს.

პროფესიული განათლების მქონე უსინათლოები თვლიან, რომ პროფესიული განათლება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პროფესიული კარიერის წარმატებული განვითარებისათვის. თეა, მიხეილი, რევაზი და ლექსო მიიჩნევენ, რომ პროფესიულ სასწავლებელში სწავლის პერიოდში, არც თუ ისე დამაკმაყოფილებელი იყო სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ხარისხი და მხოლოდ ნაწილობრივ იყო დაკმაყოფილებული მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებული მოთხოვნები. ამ თვალსაზრისით, მცირედით განსხვავებულია მარის პოზიცია. მისი აზრით, იგი საკმარისი ხარისხით იყო ჩართული სასწავლო პროცესში და შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იყო მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, რადგან შეეძლო ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, მაგრამ ის იქვე აღნიშნავს იმ სირთულეებს, რომლებიც განპირობებული იყო

უსინათლოთათვის ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოების არ ქონით. სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხზე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებული მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე მსჯელობისას, ყველა მათგანი საგანგებოდ ამხვილებს ყურადღებას იმ სირთულეებზე, რომლებიც გამოწვეული იყო უსინათლოების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოების არარსებობით. მათი აზრით, ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოების გეგმაზომიერი შეტანა უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში, მნიშვნელოვნად აამაღლებდა სასწავლო პროცესში უსინათლოების მონაწილეობის ხარისხს.

როცა საკითხი ეხება იმ უმთავრეს პრობლემას, რომელმაც პროფესიული განათლების პროცესში, ყველაზე მეტად დააბრკოლა პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებული უსინათლოები, კვლევაში მონაწილე რესპოდენტები, კვლავ და კვლავ, ადაპტირებული სახელმძღვანელოებით არასაკმარისად უზრუნველყოფაზე ამხვილებენ ყურადღებას. ასეთი დაბრკოლების არსებობის გამო, მეტ-ნაკლები ხარისხით, ყველა გამოთქვამს უკმაყოფილებას. ამასთან ერთად, გამოიკვეთა კიდევ ორი პრობლემა, ეს არის: არაადაპტირებული საგანმანათლებლო გარემო და სასწავლო პროცესში უსინათლოების ფორმალური მონაწილეობა.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული სასწავლებლების უსინათლო კურსდამთავრებულები, მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მკაფიოდ და ზოგჯერ მწვავედაც, საუბრობენ იმ პრობლემებზე, რომლებთანაც მათ შეხება ჰქონდათ პროფესიული განათლების მიღების პროცესში, არცერთი მათგანი არ გამოთქვამს უკმაყოფილებას იმ სასწავლებლის მიმართ, რომელშიც მიიღეს პროფესიული განათლება. უმთავრესი, რის გამოც, პროფესიული სასწავლებლების უსინათლო კურსდამთავრებულები შემდგომში, საჭიროების

შემთხვევაში ანუ პროფესიული განათლების მიღებისათვის, ისევ აირჩევენ იმ სასწავლებელს, რომელშიც ერთხელ შეისწავლეს პროფესია, გახლავთ ის გარემოება, რომ იმ სასწავლებლებში უკვე აქვთ უსინათლოებთან მუშაობის გამოცდილება.

იმის შესახებ, თუ რა სახის კონსულტაციის მიღებას ისურვებდნენ, პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით, კვლევაში ჩართული რესპოდენტები ყურადღების აქცენტირებას ახდენენ იმ გარემოებაზე, რომ კონსულტაცია უნდა ეხმარებოდეს მათ ისეთი პროფესიის არჩევაში, რომლითაც შემდგომში ისინი შეძლებენ დასაქმებას. მათ მსჯელობაში განსაკუთრებით ხაზგასმულია შრომითი მოწყობის საკითხის აქტუალურობა. თუ იქნება საკონსულტაციო ცენტრი ან კომპეტენტური კონსულტანტი, რომელიც დაინტერესებულ პირებს უზრუნველყოფს ინფორმაციით და გაუწევს კონსულტაციას პროფესიულ განათლებაზე, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებაზე, მათი შესაძლებლობებისა და მათ მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობაზე, ასევე – სხვა თანამდევ საკითხებზე, კვლევაში ჩართული ახალგაზრდები აუცილებლად ისარგებლებენ ასეთი მომსახურებით.

რეზიუმე.

როგორც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, კვლევაში ჩართული პროფესიული განათლების მქონე უსინათლო პირები ინფორმირებულები იყვნენ უსინათლოთა დასაქმების პროცესის დამაბრკოლებელი პრობლემების შესახებ, მათ არ ჰქონიათ გადაჭარბებული მოლოდინები დასაქმების ხელშემწყობი შეღავათების თაობაზე, ისინი ადეკვატურად აფასებდნენ საკუთარ შრომით უნარებს, მაგრამ არ იცნობდნენ შრომის ადგილობრივ ბაზარზე არსებულ კონიუნქტურას, სრულყოფილი წარმოდგენა არ ჰქონდათ მათ მიერ არჩეული სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობებზე, გადამეტებულად აფასებენ საკუთარ კონკურენტუნარიანობას. თუ უფრო დავაზუსტებთ, მათ სრულყოფილად ვერ გააანალიზეს საკუთარი პროფესიული არჩევანი და როგორც შედეგი, შეიქმნა შემდეგი ფაქტობრივი მდგომარეობა: პროფესიული განათლების მქონე არცერთი უსინათლო არ არის დასაქმებული იმ სპეციალობით, რომელსაც დაეუფლა პროფესიულ სასწავლებელში.

როცა საკითხი ეხება კვლევაში ჩართული პირების პროფესიულ არჩევანს, აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული ის გარემოება, რომ მათ შორის ერთადერთს, ლექსოს, სხვებთან შედარებით, ბევრად უკეთესი მხედველობა აქვს. ამიტომ, მისი პროფესიული არჩევანის სპექტრი გაცილებით ფართოა. ლექსოსგან განსხვავებით, თეას, მიხეილის, მარისა და რევაზის შემთხვევაში, ოთხივე მათგანი, მკვეთრად გამოხატული მხედველობითი შეზღუდვის მქონე პირია. ეს არ გახლავთ მხოლოდ ოფიციალური სტატუსი, არამედ ამგვარია მათი ფაქტობრივი მდგომარეობა; ეს არის მოცემულობა, რომლის შეცვლაც დღესდღეობით შეუძლებელია, მაგრამ რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფის პროცესში, რადგან მას პირდაპირი გავლენა აქვს საგანმანათლებლო პროცესზე და ზღუდავს მათ პროფესიულ არჩევანს.

უსინათლოთა მხედველობის აღდგენა სამედიცინო კვლევების საგანია. განვმეორდებით და კვლავ გავუსვამთ ხაზს, რომ აღნიშნული მოცემულობის შეცვლა დღეისათვის შეუძლებელია. ამიტომ, წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, იგი აქტუალური არ გახლავთ. მაგრამ სახეზეა სხვა არაერთი ფაქტორი, რომელიც, არსებულ რეალობაში, ზღუდავს პროფესიული განათლების მიღების მსურველი უსინათლოების პროფესიულ არჩევანს. ამ ფაქტორების გავლენა, როგორც პრობლემა, აქტუალურია მოცემულ ეტაპზე და შესაბამისი ჩარევის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია მისი ნეიტრალიზაცია. ეს ფაქტორები მკაფიოდ იკვეთება პროფესიული სასწავლებლების უსინათლო კურსდამთავრებულების მაგალითზე. ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ იმ პროფესიების ჩამონათვალში, რომლებიც ისწავლება პროფესიულ სასწავლებლებში, სხვა, მათთვის უფრო შესაფერი პროფესია არ აღმოჩნდა.

ამრიგად, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებული უსინათლოების მაგალითზე, შემთხვევის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა ერთმანეთთან დაკავშირებული შემდეგი მახასიათებლები: გავიდა მინიმუმ ერთი წელი და ზოგ შემთხვევაში მეტი დროც, მას შემდეგ, რაც მათ დაასრულეს პროფესიული განათლების კურსები და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად სურვილისა და მონდომებისა, ვერცერთმა მათგანმა ვერ მოახერხა არჩეული პროფესიით დასაქმება. მათ ვერ შეძლეს მიღებული პროფესიული განათლების საქმიან პრაქტიკაში რეალიზება, შეძენილი პროფესიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში. კვლევაში ჩართული პროფესიული განათლების მქონე ყველა უსინათლო, მეტ-ნაკლები ხარისხით, იმედგაცრუებულია საკუთარი პროფესიული არჩევანით. ამგვარი შედეგები განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: გადაწყვეტილება პროფესიის არჩევის შესახებ, არ არის სათანადოდ გაანალიზებული და პროფესიული არჩევანი, გარკვეულ წილად, შეზღუდულია უსინათლოებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ არა აქვთ ისეთი პროფესიების დაუფლების საშუალება, რომლებიც სხვა პროფესიებთან შედარებით, უფრო

მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და მეტად შეესაბამება უსინათლოთა საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და შრომით უნარებს. სახეზეა ორი შედეგი: პირველი- უსინათლოებმა ვერ შეძლეს დასაქმება იმ პროფესიებით, რომლებსაც პროფესიულ სასწავლებლებში დაეუფლნენ;

მეორე- პროფესიული განათლების მქონე უსინათლოები იმედგაცრუებულნი არიან საკუთარი პროფესიული არჩევანით. გამოიკვეთა მოცემული შედეგების განმაპირობებელი ორი მიზეზი ანუ პრობლემა:

პირველი- არასაკმარისად გაანალიზებული პროფესიული არჩევანი;

მეორე- უსინათლოებისთვის პროფესიული არჩევანი გარკვეულ წილად შეზღუდულია. აღნიშნული მიზეზებისაგან ანუ პრობლემებისაგან გამომდინარე არასასურველი შედეგების გაუნმჯობესება სავსებით შესაძლებელია, თუ გადაიჭრება მათი განმაპირობებელი პრობლემები.

პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა მონაწილეობის საკითხის შესწავლა დარგის ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

კვლევის მოცემულ ნაწილში მიზნად დავისახეთ პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა მონაწილეობის საკითხის შესწავლა დარგის ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. კვლევისათვის გამოყენებულია შემთხვევის შესწავლის მეთოდი- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. კითხვარის ძირითადი ნაწილი შედგება 16 კითხვისაგან. (იხ. დანართი-4). ცალკეაღებული რესპოდენტის ინტერვიუების პროცესში წარმოქმნილი საჭიროების შესაბამისად, იცვლება კითხვების რაოდენობა და ზოგ შემთხვევაში კითხვის შინაარსიც.

წარმოგიდგენთ კითხვარის საბოლოო ვერსიას.

კითხვარი პროფესიული განათლების ექსპერტებისათვის.
კვლევის მიზანია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა ჩართულობის საკითხის შესწავლა.

კონფიდენციალობა დაცულია

1; რამდენი ხანია, რაც საქართველოში უსინათლოები ჩართულნი არიან პროფესიული განათლების პროცესში?

2; რამდენმა უსინათლომ მიიღო პროფესიული განათლება?

3; საქართველოს მამტაბით, რამდენი პროფესიული სასწავლებელია, რომელშიც უსინათლოებმა მიიღეს პროფესიული განათლება?

4; რამდენი პროფესიული სასწავლებელია საქართველოში, სადაც ფიზიკური გარემო ადაპტირებულია უსინათლოთა სპეციალური საჭიროებების შესაბამისად?

5; საკმარისად არის მხარდაჭერილი პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის პროგრამები?

6; პროფესიული განათლების პროცესში ჩართული უსინათლოები უზრუნველყოფილნი არიან მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოებით?

7; პროფესიული განათლების პროცესში, რამდენად არის დაკმაყოფილებული უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებული მოთხოვნები?

8; რამდენად დამაკმაყოფილებელია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა ჩართულობის ხარისხი?

9; როგორია პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოების აკადემიური მიღწევები?

10; ფინანსურ-მატერიალური რესურსით საკმარისად არის უზრუნველყოფილი უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესი?

11; საკმარისად არის მხარდაჭერილი პროფესიული განათლების ბენეფიციარი უსინათლოების ტრანზიციის პროცესი?

12; არსებული მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტად, რომელი პროფესიის შესწავლით არიან დაინტერესებულნი პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოები?

13; ფლობთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ტოტალური უსინათლობის მქონე, რამდენი უსინათლო დასაქმდა იმ პროფესიით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლა?

14; როგორ ფიქრობთ, უახლოეს პერიოდში, შესაძლებელია საქართველოში, პროფესიულ განათლებაში, სხვა ქვეყნებში აპრობირებული მაგალითების გათვალისწინებით, სპეციალური სასწავლო პროგრამების სახით, ისეთი პროფესიების სწავლების შეტანა, რომლებიც მეტად შეესაბამება უსინათლოთა საგანმანათლებლო შესაძლებლობებს და შრომით უნარებს?

15; რამდენად დამაკმაყოფილებელია საქართველოში უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადების ორგანიზების ხარისხი?

16; რამეს ხომ არ დაამატებთ?

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის

კვლევაში ჩართულია სამი რესპოდენტი:

მარიამ ზაქარეიშვილი- პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პარტნიორობის განვითარების სამმართველოს უფროსი;

მაია წულაძე- პროფესიული განათლების ექსპერტი;

მეგი ხუნაშვილი- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (პროფესიული კოლეჯი სპექტრის თანამშრომელი) .

პასუხების ანალიზი.

კვლევის მოცემულ ნაწილში მიზნად დავისახეთ პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა მონაწილეობის საკითხის შესწავლა დარგის ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

კვლევაში ჩართულია სამი რესპოდენტი: (უსინათლოთა პროფესიული განათლების ექსპერტი)

მარიამ ზაქარეიშვილი- პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პარტნიორობის განვითარების სამმართველოს უფროსი;

მაია წულაძე- პროფესიული განათლების ექსპერტი;

მეგი ხუნაშვილი- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (პროფესიული კოლეჯი სპექტრის თანამშრომელი) .

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოში უსინათლოები პროფესიული განათლების პროცესში 2013 წლიდან მონაწილეობენ. 2013 წლიდან, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ“ „ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს“ მეთოდოლოგიური და ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიული განათლების სისტემაში. ხსენებული პერიოდიდან დღემდე, დაახლოებით 54 სხვადასხვა ტიპის მხედველობის სირთულის მქონე პირი ჩაერთო პროფესიულ განათლებაში. ამ პირებმა საქართველოში არსებულ ცამეტ სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებელში მიიღეს- ან ამჟამადაც იღებენ (რადგან ბევრ მათგანს სასწავლო კურსი არ დაუსრულებია) პროფესიულ განათლებას. ექსპერტები ამბობენ, რომ რამდენადაც მათთვის ცნობილია, საქართველოს მამტაბით, ხუთ პროფესიულ სასწავლებელში, ფიზიკური გარემო ადაპტირებულია უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით. ეს კი, თავის მხრივ მხედველობის სირთულეების მქონე პირებისთვის არსებული გარემოს ადაპტაციებსაც მოიცავს. ამ თვალსაზრისით, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ქალაქ თბილისში

მდებარე პროფესიულ სასწავლებელში „სპექტრი“. ამ სასწავლებელში, 2014 წლის შემოდგომის სემესტრიდან დღემდე, პროფესიული განათლების მიღების მიზნით, სულ შვიდი უსინათლო დარეგისტრირდა, რომელთაგან ერთმა- სწავლა რამდენიმე კვირის წინ დაიწყო, ორმა- სწავლა ვერ დაასრულა, ხოლო ოთხმა- სრულად გაიარა სასწავლო კურსი.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უსინათლოთა მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის პროგრამები ძირითადად მხარდაჭერილია. იქვე, ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი შეიცავდა ხარვეზებსაც. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგ შემთხვევაში, სასწავლო პერიოდთან შედარებით, მხარდაჭერის პროცესი დაგვიანებით იწყებოდა. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ეს პრობლემა უახლოეს მომავალში გადაიჭრება. სასწავლებელს, რომელშიც ჩაირიცხება უსინათლო სტუდენტი, თითოეულ უსინათლო სტუდენტზე, ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, გადაეცემა დამატებით 1000 ლარი. ეს საშუალებას მისცემს სასწავლებლის ადმინისტრაციას, რომ გააუნმჯობესოს უსინათლოთა მობილობის მხარდაჭერის პროცესი.

ექსპერტების შეფასებით, მოცემულ ეტაპზე, პროფესიული განათლების პროცესში, სრულად არ არის დაკმაყოფილებული უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებული მოთხოვნები, პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტები არ არიან სათანადოდ უზრუნველყოფილნი მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოებით. უახლოეს მომავალში, როგორც პროფესიული განათლების ექსპერტები აღნიშნავენ, ეს პრობლემა მოგვარდება. ამჟამად, უკვე მომზადებულია სხვადასხვა პროფესიული სასწავლო პროგრამების სახელმძღვანელოების 27 აუდიო ვერსია და 2017 წელს დაგეგმილია კიდევ 26 სახელმძღვანელოს აუდიო ვერსიის გაკეთება. გარდა ამისა, „საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ“ შეიძინა პორტაბელური ვიდეო გამადიდებელი და ბრაილის დისკლეი. იგეგმება ბრაილის დისკლეისტვის ქართულენოვანი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.

არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოების აკადემიური მიღწევები. ამ საკითხთან დაკავშირებით, გარკვეული დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა შემდეგი მონაცემი: 2013 წლიდან დღემდე, პროფესიული განათლების ბენეფიციარი 54 უსინათლოდან კვალიფიკაცია 19-მა პირმა მიიღო. როგორც ექსპერტი მათა წულაძე აღნიშნავს: „მონაცემთა ბაზაში მითითებული იყო, რომ მათი (პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოების) უმეტესობა, ჯერ სწავლის პროცესშია. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეტმა პირმა მიიღო კვალიფიკაცია, რაც თავის მხრივ, კარგ აკადემიურ მიღწევებს გულისხმობს.“. მსგავსია, უსინათლოთა აკადემიური მოსწრების თაობაზე, ექსპერტების, მარიამ ზაქარეიშვილისა და მეგი ხუნაშვილის შეფასებებიც.

უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესის ფინანსური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით, კვლევაში მონაწილე ექსპერტების დამოკიდებულება დასაშვებია გამოითქვას შემდეგი ფრაზით: უსინათლოთა პროფესიული განათლების ფინანსურ- მატერიალური უზრუნველყოფა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისია.

ექსპერტები არ ფლობენ, სტატისტიკური მონაცემებით დადასტურებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიის შესწავლაა უსინათლოებს შორის უფრო მოთხოვნადი და ტოტალური უსინათლობის მქონე რამდენი პირია დასაქმებული იმ პროფესიით, რომელსაც პროფესიული განათლების ფორმატში დაეუფლა. დაგროვილი გამოცდილებისა და პირადი კონტაქტების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კვლევაში ჩართული ექსპერტები

ადასტურებენ, რომ უსინათლოები უფრო დაინტერესებულნი არიან ოფისის მენეჯერის პროფესიის შესწავლით უკიდურესად დაბალია ამ კატეგორიის პირთა დასაქმების მაჩვენებელი. სამივე ექსპერტი აღნიშნავს, რომ პროფესიული განათლების მქონე ტოტალური უსინათლოების შრომითი მოწყობის საკითხთან დაკავშირებით საჭიროა უფრო აქტიური მუშაობა. გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამებში ისეთი სპეციალობების შეტანა, რომლებიც მეტად შეესაბამება უსინათლოთა საგანმანათლებლო და შრომით შესაძლებლობებს. ამ სირთულეების შესახებ, ექსპერტი მათა წულაძე ამბობს:

„საქართველოში პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების დანერგვა, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მეთოდოლოგიური მხარდაჭერით მოხდა. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სწორედ ნორვეგიული გამოცდილებით ხელმძღვანელობდა. სწორედ მათი რეკომენდაცია იყო, არ მომხდარიყო პროგრამებზე შეზღუდვების დაწესება, დიაგნოზების მიხედვით და პროფესიული განათლების მიღების მსურველი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, თანაბრად ხელმისაწვდომი ყოფილიყო სხვადასხვა პროფესიული პროგრამები. მიმაჩნია, რომ როდესაც პროფესიული ორიენტაციის და ტრანზიციის პროცესი გაძლიერდება, პროფესიული განათლების მსურველ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის მხედველობის სირთულეების მქონე აპლიკანტებს, მეტად ინფორმირებული და მათთვის საუკეთესო არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მიეცემათ, რაც თავის მხრივ, პროგრამებზე რაიმე ზოგადი შეზღუდვების დაწესების საჭიროებას მოხსნის.“.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა სიახლე, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოგვაწოდა ექსპერტმა მარიამ ზაქარეიშვილმა:

„პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამებში ისეთი სპეციალობების შეტანა, რომლებიც უფრო მისადაგებულია უსინათლოთა შესაძლებლობებთან,

კარგი იდეაა, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის, რომ პროფესიულ განათლებაში სტუდენტის მომზადება ხდება ბაზარზე არსებული მოთხოვნის მიხედვით. თუ იქნება დაკვეთა, რომ რომელიმე ორგანიზაციას ესაჭიროება ამა, თუ იმ სფეროში, უსინათლო სპეციალისტი ან სპეციალისტები, შესაძლებელია პროფესიული მომზადების მოკლე ვადიანი პროგრამების ორგანიზება. ამ მიმართულებით უკვე ჩატარდა გარკვეული სამუშაო და სულ მალე დაიწყება ასეთი პროგრამების განხორციელება, ჯერჯერობით, პროექტების სახით.“.

როცა საუბარი ეხება იმას, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია საქართველოში უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადების ორგანიზების ხარისხი, კვლევაში ჩართული სამივე ექსპერტის შეფასება შინაარსით იდენტურია. მათ მიერ აღინიშნა, რომ როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულად უსინათლოთა პროფესიული მომზადების ორგანიზების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი და აღნიშნული მიმართულების გაძლიერება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

რეზიუმე

როგორც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, 2013 წლიდან, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ“ „ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს“ მეთოდოლოგიური და ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიული განათლების სისტემაში. სწორედ მოცემული

პერიოდიდან დღემდე, დაახლოებით 54 სხვადასხვა ტიპის მხედველობის სირთულის მქონე პირი ჩაერთო პროფესიულ განათლებაში. ამ ხნის განმავლობაში, საქართველოში არსებულ რამდენიმე პროფესიულ სასწავლებელში მოხდა ფიზიკური გარემოს ნაწილობრივი ადაპტირება უსინათლოთა სპეციალური საჭიროებების შესაბამისად. თანდათანობით ვითარდება საგანმანათლებლო პროცესი და იზრდება პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოების რაოდენობა.

მიღწევები თვალსაჩინოა, მაგრამ ამასთან ერთად, შეინიშნება ხარვეზებიც და სწორედ იმისათვის, რომ გაგრძელდეს განვითარების ტენდენცია, საჭიროა არსებული პრობლემების მოგვარება. კვლევაში ჩართული ექსპერტები, საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით მსჯელობის პროცესში ხშირად იყენებდნენ ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს, როგორებიცაა: მიახლოებით, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არ ვფლობ ინფორმაციას და საჭიროა ინფორმაციის გადამოწმება. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა სტატისტიკას. ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის ნაკლებობის გამო, უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში რეალურად არსებული სურათი არ არის მკაფიო. არ გახლავთ დაზუსტებული, თუ რამდენმა ტოტალურად უსინათლომ, მკვეთრი- ან მნიშვნელოვანი მხედველობითი შეზღუდვის მქონე პირმა მიიღო მთელი ქვეყნის მასშტაბით პროფესიული განათლება და ტოტალური

უსინათლობის მქონე, რამდენმა ადამიანმა შეძლო დასაქმება იმ პროფესიით, რომელსაც პროფესიული განათლების პროცესში დაეუფლა.

ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ უახლოეს მომავალში მოსალოდნელ გაუნმჯობესებებზე, მაგალითად: პორტაბელური გამადიდებელი ვიდეო მოწყობილობისა და ბრაილის დისკლემის შექმნა, უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოების მომზადება – აუდიო ვერსიების ჩაწერა და სასწავლო პროცესში შეტანა, პროფესიული სასწავლებლების მიზნობრივი დაფინანსების გაზრდის მეშვეობით, უსინათლოთა მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის პროგრამების მხარდაჭერის გაძლიერება, წინარე პროფესიული მომზადების საკითხისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭება. მოსალოდნელი განვითარება და გაუნმჯობესება, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ მეორეს მხრივ, ამით ისიც დასტურდება, რომ აქამდე არ არსებობდა ან არ იყო საკმარისი ამგვარი ხელშეწყობა და ამ მიზეზით, შეფერხებული გახლდათ პროფესიულ განათლებაში უსინათლოთა ჩართულობის პროცესი.

უსინათლოთა პროფესიული განათლების ექსპერტები თავისი საქმის მცოდნე უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები არიან და მათ გაცნობიერებული აქვთ უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემები. ამ პრობლემების გადაჭრისათვის უმნიშვნელოვანესია უსინათლოთა პროფესიული განათლების სათანადო ფინანსური უზრუნველყოფა. როცა განვითარების საფუძვლად აღებულია ეკონომიკურად ისეთი დაწინაურებული და შესაბამის საგანმანათლებლო სფეროში უმდიდრესი გამოცდილების მქონე ქვეყნის მოდელი, როგორცაა ნორვეგია, საქართველოშიც უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესი შესაბამისად უნდა იყოს მხარდაჭერილი ფინანსური თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაღალია იმის ალბათობა, რომ შედეგმა არ გაამართლოს მოლოდინი

დასკვნები და რეკომენდაციები

უსინათლოთა პროფესიული განათლება, ზოგადად განათლების და კონკრეტულად პროფესიული განათლების ერთ-ერთი მიმართულებაა. ამავე დროს, იგი უსინათლოთა განათლების ნაწილსაც წარმოადგენს. მაგრამ ორივე შემთხვევაში, მას ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა. უსინათლოთა განათლების განვითარების ო რსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, ამ თვალსაზრისით მოწინავე ქვეყნების სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკაში, სხვადასხვა დროს, მეტ-ნაკლები ხარისხით, მუდმივად ხდებოდა ამ სპეციფიკის გათვალისწინება. სხვაგვარად, უსინათლოთა განათლება, არ იქნებოდა წარმოდგენილი იმ სახით, რა სახითაც გვაქვს იგი თანამედროვე ეტაპზე.

თანამედროვე პერიოდში, იმ ქვეყნებში, სადაც ვითარდება უსინათლოთა პროფესიული განათლება, სახელმწიფოა მისი განვითარების პროცესის ძირითადი მხარდამჭერი და ორგანიზატორი. უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესის ორგანიზების თვალსაზრისით დაწინაურებულ ყველა ქვეყანაში შეინიშნება საერთო ტენდენცია. ეს გახლავთ: საგანმანათლებლო სექტორში უსინათლოთა ინკლუზიის მხარდაჭერა, მათი საჭიროებების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესის ადაპტირება, სპეციალისტ-პედაგოგების მომზადება და სასწავლო პროცესში ჩართვა, პროფესიული განათლების ბენეფიციარი უსინათლოების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება, მათი უზრუნველყოფა ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, თუ სასწავლო რესურსებით, აღნიშნული კატეგორიის პირების სოციალური და პროფესიული რეაბილიტაცია და ამ მიზნით, მათთვის დამხმარე ტრენინგების ორგანიზება, ინკლუზიასთან ერთად, სპეციალიზირებული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ზრუნვა. განსხვავება შესამჩნევია, მხოლოდ ერთ ასპექტში, რაც უფრო ძლიერია ეკონომიურად და პოლიტიკურად

სახელმწიფო, მით მეტად არის იმ ქვეყანაში მხარდაჭერილი უსინათლოთა პროფესიული განათლება.

საქართველოს, როგორც ქვეყანას, აქვს უსინათლოთა პროფესიული განათლების ორგანიზების ასწლოვანი გამოცდილება, მაგრამ რიგი ცნობილი მიზეზების გამო, ოცდამეერთე საუკუნის ათიანი წლებიდან, ჩვენს ქვეყანაში, უსინათლოთა პროფესიული განათლების განახლების პროცესი თითქმის ნულოვანი მდგომარეობიდან დაიწყო. გადაიდგა პირველი ნაბიჯები, უსინათლოებს მიეცათ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა, მაგრამ ამასთან ერთად, სახეზეა პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვნად აბრკოლებენ საქართველოში უსინათლოთა პროფესიული განათლების განვითარების პროცესს.

ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მიღწეული პოზიტიური შედეგებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, საქართველოში რეალურად არის უსინათლოთა კონტინგენტი, რომელიც დაინტერესებულია პროფესიული განათლების მიღებით. და ასევე ქვეყანაში არის პროფესიული სასწავლებლები, რომელთა პედაგოგიური პერსონალიც მზად გახლავთ პროფესიული განათლების პროცესში ჩართულ უსინათლოებთან მუშაობისათვის. ამაზე ნათლად მეტყველებს პროფესიული განათლების ბენეფიციარი უსინათლოების განწყობა პროფესიული სასწავლებლების პედაგოგიური პერსონალისადმი. კვლევაში მონაწილე რესპოდენტები ზოგ შემთხვევაში მწვავე კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდნენ უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, მაგრამ მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა, არცერთ მათგანს არ გამოუხატავს სერიოზული უკმაყოფილება იმ პროფესიული სასწავლებლების მიმართ, რომლებშიც მიიღეს ან იღებენ პროფესიულ განათლებას.

როგორც წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შემდგომ გაირკვა, მიღწევებთან და პოზიტიურ შედეგებთან ერთად,

უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესში გვხვდება ისეთი ხასიათის დაბრკოლებები და პრობლემები, რომლებსაც შესამჩნევი ნეგატიური გავლენა აქვთ პროცესზე. ამგვარი პრობლემების არსებობა აფერხებს პროფესიულ განათლებაში უსინათლოთა ინკლუზიას და განაპირობებს იმ გარემოებას, რომ უსინათლოთა პროფესიული არჩევანი გარკვეულ წილად შეზღუდულია.

კვლევამ აჩვენა, რომ პროფესიული განათლების უსინათლო აბიტურიენტებს (აპლიკანტებს) სურთ პროფესიის დაუფლება, მაგრამ მათთვის პრობლემატურია პროფესიის არჩევის თაობაზე გაანალიზებული გადაწყვეტილების მიღება.

იმ პროფესიით საქმიანობაზე, რომლის არჩევასაც აპირებენ მათი შეხედულებები არ არის ნათლად ჩამოყალიბებული. უკიდურესად დაბალია პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების ინფორმირებულობის ხარისხი პროფესიის დაუფლებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობების შესახებ, არ არის საკმარისად დაკმაყოფილებული პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების საკონსულტაციო საჭიროებები. აპლიკანტებს ესაჭიროებათ საკონსულტაციო დახმარება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: პროფესიული განათლება, შრომის ბაზარზე არსებული კონიუნქტურა, მათი შესაძლებლობებისა და მათ მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობა.

კვლევაში ჩართული პროფესიული განათლების ექვსი უსინათლო სტუდენტიდან ხუთმა, არასათანადო ინფორმირებულობის მიზეზით, პროფესიული განათლების პროცესის დაწყებამდე, პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით, ვერ შესძლო საკმარისად გაანალიზებული გადაწყვეტილების მიღება. მათ არ ჰქონდათ ინფორმაციული და საკონსულტაციო მხარდაჭერა და როგორც შედეგი, სახეზეა არასაკმარისად გაანალიზებული პროფესიული არჩევანი.

ერთი მხრივ, ისინი არ არიან კმაყოფილები იმ გადაწყვეტილებით, რომელიც პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით მიიღეს და მეორე მხრივ კი, ანგარიშს

უწევინ რეალურად არსებულ მდგომარეობას, რომლის მიზეზითაც, მათ ვერ შესძლეს სხვა, მათთვის უფრო მიზანშეწონილი არჩევანის გაკეთება. რეალურად კი, მდგომარეობა შემდეგია: საქართველოში არსებული პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში არ არის შეტანილი სპეციალობები, რომლებიც სხვა პროფესიებთან შედარებით, უფრო მეტად შეესაბამება უსინათლოთა შრომით უნარებს და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ამგვარად, კვლევაში მონაწილე პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ წილად, შეზღუდულია უსინათლოთა პროფესიული არჩევანი.

ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობაზე გახლავთ მათი ფიზიკური მობილობის მხარდაჭერის ორგანიზების საკითხი.

ამ თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემებია სწავლების საწყის ეტაპზე, რაც იწვევს შეფერხებას საგანმანათლებლო პროცესში. ასეთი დაბრკოლება აისახება პროფესიული განათლების სტუდენტების აკადემიურ მიღწევებზე. ამრიგად, სახეზეა უსინათლოთა პროფესიული განათლების კიდევ ერთი პრობლემა, პროფესიული განათლების პროცესში მონაწილე უსინათლო სტუდენტების ფიზიკური მობილობის არასაკმარისი მხარდაჭერა.

პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხზე მკვეთრად გამოხატულ უარყოფით გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ სტუდენტები არ არიან უზრუნველყოფილნი მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოებით. ამ მხრივ, უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში რეალურად მძიმე მდგომარეობაა. ამასთან ერთად, გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: არაადაპტირებული საგანმანათლებლო გარემო და არასაკმარისად ადაპტირებული სასწავლო პრაქტიკა. შეიძლება ითქვას, რომ

უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესში არასაკმარისად არის დაკმაყოფილებული უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. აღნიშნული მიზეზების გამო, დაბალია პროფესიულ განათლებაში უსინათლოთა ჩართულობის ხარისხი.

კვლევის შედეგად, პროფესიული სასწავლებლების უსინათლო კურსდამთავრებულების შემთხვევაში, გაირკვა, რომ ისინი არ იცნობდნენ შრომის ადგილობრივ ბაზარზე არსებულ კონიუნქტურას, სრულყოფილი წარმოდგენა არ ჰქონდათ მათ მიერ არჩეული სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობებზე, გადამეტებულად აფასებენ საკუთარ კონკურენტუნარიანობას. თუ უფრო დავაზუსტებთ, მათ სრულყოფილად ვერ გააანალიზეს საკუთარი პროფესიული არჩევანი და როგორც შედეგი, შეიქმნა შემდეგი ფაქტობრივი მდგომარეობა: პროფესიული განათლების მქონე არცერთი უსინათლო არ არის დასაქმებული იმ სპეციალობით, რომელსაც დაეუფლა პროფესიულ სასწავლებელში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კვლევამ ცხადყო, ისინი იმედგაცრუებულნი არიან პროფესიული არჩევანით, რადგან გარკვეულ წილად შეზღუდულნი იყვნენ არჩევანში. მათ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ პროფესიების ჩამონათვალში, რომლებიც ისწავლება პროფესიულ სასწავლებლებში, სხვა, მათთვის უფრო შესაფერი პროფესია არ აღმოჩნდა და ამიტომაც აირჩიეს ის პროფესია, რომელსაც დაეუფლნენ.

ამრიგად, პროფესიული განათლების უსინათლო აბიტურიენტების (აპლიკანტების), პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტებისა და პროფესიული განათლების უსინათლო კურსდამთავრებულების შემთხვევების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი მდგომარეობა: უკიდურესად დაბალია პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების ინფორმირებულობის ხარისხი პროფესიის დაუფლებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.

არ არის საკმარისად დაკმაყოფილებული პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების საკონსულტაციო საჭიროებები. აპლიკანტებს ესაჭიროებათ საკონსულტაციო დახმარება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: პროფესიული განათლება, შრომის ბაზარზე არსებული კონიუნქტურა, მათი შესაძლებლობებისა და მათ მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობა.

არასაკმარისად გაანალიზებულია პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების პროფესიული არჩევანი.

არადამაკმაყოფილებელია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობის ხარისხი.

უსინათლოთა პროფესიული არჩევანი გარკვეულ წილად შეზღუდულია.

უსინათლოებმა ვერ შეძლეს დასაქმება იმ პროფესიებით, რომლებსაც პროფესიულ სასწავლებლებში დაეუფლნენ.

პროფესიული განათლების მქონე უსინათლოები იმედგაცრუებულნი არიან საკუთარი პროფესიული არჩევანით.

მოცემული ფაქტობრივი მდგომარეობა შეიძლება განხილული იქნას, როგორც მიზეზი და როგორც შედეგი. უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში ამჟამად არსებული ვითარება ორივე დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ერთმანეთთან დაკავშირებული შემდეგი სახის მხასიათებლები:

1. არის საკმარისად დაკმაყოფილებული პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების საკონსულტაციო საჭიროებები. ეს მიზეზი განაპირობებს შედეგს- არასაკმარისად გაანალიზებულია უსინათლო სტუდენტების პროფესიული არჩევანი, რაც, როგორც მიზეზი, თავის მხრივ, წარმოშობს შედეგს- პროფესიული განათლების მქონე უსინათლოები არ არიან დასაქმებულნი იმ პროფესიებით, რომლებსაც პროფესიულ სასწავლებლებში დაეუფლნენ

2. უკიდურესად დაბალია პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების ინფორმირებულობის ხარისხი პროფესიის დაუფლებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ. აღნიშნული მიზეზი წარმოშობს შედეგს- პროფესიული განათლების მქონე უსინათლოები იმედგაცრუებულნი არიან საკუთარი პროფესიული არჩევანით.
3. უსინათლოთა პროფესიული არჩევანი გარკვეულ წილად შეზღუდულია და უსინათლოებს არა აქვთ მათი შესაძლებლობებისათვის მაქსიმალურად შესაბამისი პროფესიის არჩევის საშუალება. ეს მიზეზი განაპირობებს შედეგს- პროფესიული განათლების მქონე უსინათლოები არ არიან დასაქმებულნი იმ პროფესიით, რომელსაც დაეუფლნენ, ისინი იმედგაცრუებულნი არიან საკუთარი პროფესიული არჩევანით.
4. არადამაკმაყოფილებელია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობის ხარისხი. აღნიშნული მიზეზი წარმოშობს შედეგს- შრომის ბაზარზე დაბალია პროფესიული განათლების მქონე უსინათლოების კონკურენტუნარიანობა. რაც თავის მხრივ, განაპირობებს შედეგს- პროფესიული განათლების მქონე უსინათლოები არ არიან დასაქმებულნი იმ პროფესიით, რომელსაც დაეუფლნენ.

როგორც კვლევამ აჩვენა, უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში არაერთგვაროვანი მდგომარეობაა. არის მიღწევებიც პოზიტიური შედეგებიც განვითარების ტენდენციაც, მაგრამ ამასთან ერთად, სახეზეა პრობლემებიც რომელთა მოგვარებისთვისაც საჭიროა მიზანმიმართული მუშაობა. ის პრობლემები, რომლებიც შეძლებისამებრ გავაანალიზეთ წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, თავის მხრივ განპირობებულია სრულიად კონკრეტული ხარვეზებით. კვლევის შედეგების საფუძველზე, რეკომენდაციების სახით წარმოვადგენთ ჩვენს თვალსაზრისს იმის

შესახებ თუ რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს აღნიშნული კონკრეტული ხარვეზების აღმოფხვრისათვის ანუ უსინათლოთა პროფესიული განათლების განვითარების პროცესის შემაფერხებელი პრობლემების მოგვარებისათვის.

უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორცაა- უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადება. ის გარემოება, რომ არ არის დაკმაყოფილებული პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების საკონსულტაციო საჭიროებები, უკიდურესად დაბალია მათი ინფორმირებულობის ხარისხი პროფესიის დაუფლებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობების შესახებ და არ არის სათანადოდ გაანალიზებული პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოების პროფესიული არჩევანი, განპირობებულია სწორედ იმით, რომ საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადება. ქვეყანაში არ ფუნქციონირებს არცერთი პერმანენტული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდებოდა უსინათლოთა კონსულტირება, მათი უზრუნველყოფა სპეციალობის არჩევასთან დაკავშირებული ინფორმაციებით და მომზადება პროფესიული განათლების პროცესში ჩართვისათვის. გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ საკმარისი ყურადღება არ ექცევა უსინათლოთა არაფორმალური განათლების საკითხს და არც ეს მიმართულება გახლავთ სრულად გამოყენებული უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადებისათვის.

საჭიროა პროგრამული საფუძვლის შექმნა იმისათვის, რომ დაიწყოს და გეგმაზომიერად წარიმართოს უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადება. პრეპროფესიული მომზადების შესაძლებლობა უნდა მიექცეს, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო ინკლუზიურ პროგრამებში ჩართულ უსინათლო მოსწავლეებს, ასევე სპეციალური ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლე უსინათლო ახალგაზრდებსაც. პრეპროფესიული მომზადების პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, აგრეთვე

ზრდასრულ უსინათლოებსაც, რადგან პროფესიული განათლების საკითხი აქტუალურია ამ კატეგორიის პირებისთვისაც.

პრეპროფესიული მომზადებისათვის აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებაც. საჭიროა საგანმანათლებლო და პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათის მქონე ტრენინგ-კურსების ორგანიზება. პრეპროფესიული მომზადების ფარგლებში უნდა მოხდეს ისეთი რესურსის ჩართვა, როგორცაა სოციალური საწარმოები. პროფესიული განათლებით დაინტერესებულ უსინათლოებს ამ ტიპის საწარმოებში უნდა მიეცეთ პრაქტიკული საქმიანობის საშუალება.

უსინათლოთა პროფესიული განათლება უწინარესად ორიენტირებული უნდა გახდეს უსინათლოთა დასაქმების ხელშეწყობაზე. პროფესიული განათლების პროცესის უმთავრესი დანიშნულება უნდა იყოს კვალიფიციური კონკურენტუნარიანი უსინათლო სპეციალისტის მომზადება. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუ პროფესიულ განათლებაში არ გაფართოვდა უსინათლოებისათვის შესაძლებლობების ველი. აუცილებელია გაიზარდოს უსინათლოებისათვის პროფესიული არჩევანის შესაძლებლობები.

ის გარემოება, რომ გარკვეულ წილად, შეზღუდულია უსინათლოთა პროფესიული არჩევანი და ამ კატეგორიის პირებისათვის ძნელად ხელმისაწვდომია მათ შესაძლებლობებთან უფრო მეტად შესაბამისი პროფესიების დაუფლების საშუალება, განპირობებულია იმით, რომ საქართველოში არსებული პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში ნაკლებად არის გათვალისწინებული უსინათლოთა საგანმანათლებლო და შრომით უნარებთან შესაბამისი პროფესიები. საჭიროა, პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამებში ისეთი პროფესიების შეტანა, რომელთა დაუფლებაც და შემდგომ ამ პროფესიებით დასაქმებაც, მეტად იქნება ხელმისაწვდომი უსინათლოებისათვის.

ამ თვალსაზრისით, პროფესიულ განათლებაში შესაძლოა, სპეციალური სასწავლო პროგრამების სახით, შეტანილი იქნას ისეთი პროფესიების სწავლება, როგორებიცაა: „ე.წ. ქოლცენტრის ოპერატორი“, „ხმის ჩამწერი სტუდიის ოპერატორი“, „ე.წ. საუნდ დიზაინერი“, „აუდიო ანიმატორი“, „ინფორმატორი საჯარო სივრცეში (სტადიონები, სპორტული დარბაზები, სარკინიგზო და ავტო სადგურები)“ და სხვა.

თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები მნიშვნელოვნად ზრდის, როგორც უსინათლო ადამიანის საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, ასევე მისი დასაქმების სპექტრს და საჭიროა ამ რესურსის მიზანმიმართული გამოყენება.

ყველა ქვეყანაში, სადაც წარმოდგენილია უსინათლოთა პროფესიული განათლება, მისი უმთავრესი მხარდამჭერი და ორგანიზატორი სახელმწიფოა. ასეა საქართველოშიც. ამიტომ, მოცემული კვლევის შედეგების გათვალისწინების საფუძველზე, შედგენილი რეკომენდაციების ადრესატი შეიძლება იყოს ისეთი სახელმწიფო სტრუქტურები, როგორებიცაა – „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო“ და „პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი“. სწორედ ამ სახელმწიფო სტრუქტურებს ხელეწიფებათ უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესის ორგანიზება და არსებული პრობლემების მოგვარება.

იმედი გვაქვს, რომ კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების პრაქტიკაში იმპლემენტაციის შემდგომ: პროფესიული განათლება უსინათლოებისთვის იქნება უფრო ხელმისაწვდომი, იგი შეიძენს მიზანმიმართულ ხასიათს და გახდება მეტად ორიენტირებული უსინათლოთა შრომითმოწყობაზე; გაუნმჯობესდება პირობები იმისათვის რომ უსინათლო ადამიანებმა ისარგებლონ ერთერთი ისეთი ძირითადი სამოქალაქო უფლებით, როგორიცაა_ განათლების უფლება.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“- (60 წლის თავი) სპეციალური გამოცემა- 1948 – 2008 წ.
- 2) „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებათა დეკლარაცია“
„გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ 13 დეკემბერი 2006 წ
- 3) საქართველოს კონსტიტუცია-1995წ 24 აგვისტო.
- 4) „საქართველოს ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი“.
- 5) „საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013 – 2020 წ.წ.“.
- 6) Н.Н. Малофеев- „Специальное образование в России и за рубежом“ Часть I Западная Европа.
- 7) „Антология педагогической мысли христианского Средневековья: В 2-х т. - М., 1994.
- 8) „Древние цивилизации = Ancient civilizations /Под общ. ред. Г. М. Бонгард-Левина. - М. Мысль, 1989.
- 9) Корнетов Г.Б.- „Всемирная история педагогики: Учебное пособие“. М.: Изд-во Рос. открытого ун-та РОУ, 1994.
- 10) Ле Гофф Ж. „Цивилизация средневекового Запада“ /Пер. с фр., Общ. ред. Ю. Л. Бессмертного. М.: Прогресс. Академия, 1992.
- 11) Лютер М. „К советникам всех городов земли немецкой. О том, что им надлежит учреждать и поддерживать христианские школы“ //Школа и педагогическая мысль средних веков, Возрождения и начала Нового времени: (Исследования и материалы) М., 1991.

12) „Права человека и инвалидность“ /Доклад комиссии по правам человека ООН: E/CN, 4/SUB 2/1 911/31/ - 76с.

13) Рубинштейн М.М.- „Специальное образование в развитии“ Сб. ст. /Под ред. К. Рейсвека /Пер. с англ. - СПб, 1996.

14) Winser M. A. „The History of Special Education From Isolation to Integration“. Washington: D.C. Gallaudet University Press, 1993.

15) Review of the Present Situation of Special Education. - ED - 88 /ws/ 38. - Unesco, 1991.

16) გიორგი რევაზიშვილი- „თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ისტორიიდან“ ნარკვევი, თბილისი 2012 წელი.

17) ნოდარ მამაცაშვილი- „საქართველოს უსინათლოთა კავშირი 85“ ნარკვევი, თბილისი 2011 წელი.

18) გ. შარაშიძე, ბ. ნუცუბიძე- „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება, ადამიანები- საქმიანობა“ გამომცემლობა „ცოდნა“ თბილისი 1961 წელი.

19) „Незримая Германия. Путешествие в Марбург, «столицу немецких слепых» Илья Бруштейн. ДЕФЕКТОЛОГИЯ – 2011 - № 6.

20) „Sozialgesetzbuch“- „სოციალური კოდექსი“ თავი- III).

21) <<http://www.bfw-dueren.de/>>).

22) (<http://www.european-agency.org/country-information/germany> (External link) 2009,
<http://www.icevi-europe.org/national/de.html> (External link)

http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/eurybase_en.php#germany (External link).

23) (<https://www.european-agency.org/country-information/spain/contacts-special-needs-and-inclusive-education-contacts>).

24) (<https://www.european-agency.org/country-information/france/contacts-special-needs-and-inclusive-education-contacts>)

25)

(<http://www.rnib.org.uk/aboutus/Research/reports/edemp/Pages/edemp.aspx> (External link))

<http://www.icevi-europe.org/national/uk.html> (External link)

http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/eurybase_en.php#uk (External link))

Our thanks to RNIB for their valuable contribution).

26) <http://www.icevi-europe.org/national/gr.html> (External link)

August 2009,

http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/eurybase_en.php#greece (External link).

27) (ე. ა. დანილოვა, მინინა ო. გ. „ამერიკელი უსინათლოების პრობლემები, სულაც არაა პრობლემები“- „Проблемы слепых в Америке вовсе не проблемы„. - 2012 [ელექტრონული რესურსი] www.bviproject.syktsu.ru).

28) (www.gpo.gov) .

29) (Improving Education. The Promise of Inclusive Schools. : <http://perspektiva-inva.ru>) .

30) (<http://perspektiva-inva.ru>) .

31) („მინინი ვ. ი. „ინვალიდებთან მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსირება და მართვა ამერიკის შეერთებულ შტატებში“- „Управление и финансирование образовательных программ по работе с инвалидами в США“. www.bviproject.syktsu.ru)

32) [www.dislife.ru] .

33) [www.un.org].

34) «www.Учёба.ру»

35) (Конюхова Елена Юрьевна-
СПЕЦИФИКА ФОРМИРОВАНИЯ ГОТОВНОСТИ К ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ САМОРЕАЛИЗАЦИИ
СЛЕПЫХ И СЛАБОВИДЯЩИХ ДЕТЕЙ В СПЕЦИАЛЬНЫХ (КОРРЕКЦИОННЫХ) ШКОЛАХ
УРАЛЬСКОГО РЕГИОНА: ИСТОРИЧЕСКИЙ АСПЕКТ. Журнал Педагогическое
образование в России
Выпуск№ 3 / 2015)

დანართი N1

კითხვარი პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტებისათვის.

კვლევის მიზანია პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების პროფესიული არჩევანის საკითხის შესწავლა პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების მაგალითზე.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.

კითხვების რაოდენობა 33.

რესპოდენტების ოდენობა 3.

რესპოდენტები:

ელისო- სქესი მდედრობითი, ასაკი 22 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.

მარინა- სქესი მდედრობითი, ასაკი 19 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.

გურამი- სქესი მამრობითი, ასაკი 18 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.

1; მხედველობის შეზღუდვის რა ოფიციალური სტატუსი გაქვთ დადგენილი?

პასუხები:

ელისო- მკვეთრად გამოხატული.

მარინა- მკვეთრად გამოხატული.

გურამი- მკვეთრად გამოხატული.

2; როგორია თქვენი მხედველობის ხარისხი?

პასუხები:

ელისო- მცირემხედველი ვარ.

მარინა- რავი, ცოტას ვხედავ, არა, ცოტაზე მეტს.

გურამი- ცოტას ვხედავ.

3; რამდენად ეყრდნობით საკუთარ მხედველობას ყოფით სიტუაციებში?

პასუხები:

ელისო- ყოფით სიტუაციებში, ანუ, ცოტა ვრცელ პასუხს გაგცემთ, იცით რა არი, თუ ნაცნობი გარემოა და რაღაცა, ვიცი სად რა განლაგებაა, არ მიჭირს.

ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, რომ ჩემი ნარჩენი მხედველობა გამოვიყენო.

მარინა- რავი, ჩვეულებრივად. გადავადგილდები ნაცნობ ადგილებში, სადაც ვიცი სად რა არის.

გურამი- მარტო დავდივარ, გამცილებლის გარეშე, სადაც შეჩვეული ვარ.

4; შეგიძლიათ სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილება თქვენთვის უცხო გარემოში?

პასუხები:

ელისო- უცხო გარემოში, ეხლა, მთლად ესე ვერ გავხედავ. მაინც მჭირდება ვინმე, რო აღმიწეროს სად რა არის და როგორ არის განლაგებული.

მარინა- უცხო გარემოში ვერა, სამწუხაროდ მარტო ვერ დავდივარ. კი ვხედავ იმდენს, მაგრამ რაღაცა, რავიცი, არაა რა გარემო ადაპტირებული და მარტო ვერ დავდივარ.

გურამი- უცხო გარემოში ძნელია ჩემთვის მარტო სიარული.

5; იყენებთ ხელჯოხს, როგორც გადაადგილებისათვის დამხმარე საშუალებას?

პასუხები:

ელისო- ხელჯოხის გამოყენება კი, როგორ არა, ვისწავლე, მაგრამ ისე ვერ ვრისკავ, სიბნელეში მჭირდება, მაგრამ ვერ ვხედავ მარტო მაგის იმედად მოძრაობას.

მარინა- ვერ ვიყენებ ხელჯოხს, ვერ მივეჩვიე მაგას.

გურამი- ხელჯოხს- არა, არ ვიყენებ.

6; როგორ იყენებთ მხედველობას საქმიან აქტივობებში?

პასუხები:

ელისო- კი, ვცდილობ მხედველობა გამოვიყენო, შემიძლია კერვა ნემსით, ამაში თვალს ვიყენებ. ოთახის დალაგებაშიც მხედველობა მშველის.

მარინა- საოჯახო საქმეებში, დალაგებაში.

გურამი- შემიძლია ფერების გარჩევა და ამას ვიყენებ ძერწვის დროს.

7; შეგიძლიათ ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა?

პასუხები:

ელისო- არ შემიძლია.

მარინა- არა.

გურამი- არა.

8; შეგიძლიათ ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა?

პასუხები:

ელისო- კი, კი.

მარინა- არა, არ ვიცი.

გურამი- კი.

9; შეგიძლიათ ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება?

პასუხები:

ელისო- სხვათაშორის, წელს, ასე ვთქვათ, დავუმეგობრდი კომპიუტერს. აი, ადრე არასდროს გამჩენია კომპიუტერის სწავლის სურვილი და წელს კი, რო დამჭირდა, თუ რაღაცა, დავიწყე სწავლა, კი, ნაწილობრივ შემიძლია ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება.

მარინა- არა.

გურამი- კი, შემიძლია.

10; შეგიძლიათ კლავიატურის გამოყენებით ბეჭდვა?

პასუხები:

ელისო- კლავიატურით არა, ჯერ ვერ ვბეჭდავ.

მარინა- არა.

გურამი- ნელნელა ვბეჭდავ.

11; სწავლობდით ადრე, რომელიმე პროფესიულ სასწავლებელში?

პასუხები:

ელისო- არა, ჯერ მხოლოდ სკოლაში ვსწავლობ.

მარინა- არა.

გურამი- არა.

12; რა სპეციალობის დაუფლებას აპირებთ?

პასუხები:

ელისო- არვიცი, აი, ბევრს რატო ჰგონია? სხვანაირად იღებენ ჩემს გადაწყვეტილებას. ოფისმენეჯერობა შენო, როგორ უნდა შეძლოო? მე ვფიქრობ, რომ ოფისმენეჯერობას შევძლებ. მაგრამ, ჯერ კიდევ, წინ მაქვს, ასე ვთქვათ, დრო და კიდევ დავფიქრებ. ბოლომდე ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი.

მარინა- ბევრი ვიფიქრე და მასაჟი უფრო მომწონს, მაგრამ ჯერჯერობით, ბოლომდე გადაწყვეტილი არ მაქვს. მაინც მგონი მასაჟი.

გურამი- პროფესიულ სასწავლებელში მინდა სწავლა, მაგრამ ჯერ ზუსტად არ ვიცი რა სპეციალობაზე, შეიძლება ეს იყოს ძერწვა.

13; რა იცით იმ სპეციალობის შესახებ, რომლის დაუფლებასაც აპირებთ?

პასუხები:

ელისო- ნუ, გამიგია, ზოგადად, ამ არდადაგების პერიოდში, კოლეჯებშიც გამოვიკითხე ტელეფონით და გავიგე, რომ ოფისმენეჯერისათვის კომპიუტერის ცოდნაა საჭირო, ადამიანებთან ურთიერთობა, ტელეფონით საუბარი და კიდევ რაღაცეები.

მარინა- მასაჟი ადამიანების სამკურნალოდ გამოიყენება.

გურამი- ძერწვას თუ ავირჩევ სპეციალობის შესახებ ეს ვიცი, რომ შეიძლება სანთლები გავაკეთო.

14; რა გარემოებები ახდენენ გავლენას თქვენს არჩევანზე?

პასუხები:

ელისო-

იცით რა, მე ზოგადად, ყოველთვის მამას ვეკითხები, არა მარტო მას, ჩემითაც ვფიქრობ, მაგრამ მაინც ის უფრო გამოცდილია და რაღაც. უფრო მაინც მამის აზრს დავეყრდენი.

მარინა- ხო ამბობენ, რომ მასაჟი უსინათლოებს ეხერხებათო და ესაა, რომ ალბათ, მასაჟის არჩევის გადაწყვეტილებას მიმაღებინებს.

გურამი- ძნელია, არვიცი როგორ ვიმუშავებ და ამიტომ მიჭირს არჩევანის გაკეთება.

15; მიგაჩნიათ, რომ გაქვთ განსაკუთრებული უნარები თქვენს მიერ არჩეული პროფესიის დაუფლებისათვის?

პასუხები:

ელისო- იცით რა, მე ჯერჯერობით, წინასწარ ვერაფერს ვერ ვიტყვი. შედეგს ვნახავ, როცა საქმე მექნება. ისე კი, როგორ არა, ადამიანებთან ურთიერთობა კი მეხერხება, მაგრამ მაინც არ ვიცი ეს უნარი ნამდვილად მაქვს თუ არა.

მარინა- ხელებში კარგი მგრძნობელობა მაქვს.

გურამი- არა.

16; თქვენს ოჯახში მუშაობს ან მუშაობდა ვინმე იმ პროფესიით, რომლის დაუფლებასაც თქვენ გეგმავთ?

პასუხები:

ელისო- არა, არავინ.

მარინა- არა.

გურამი- არა.

17; გირჩიათ ვინმემ ის პროფესია, რომლის დაუფლებასაც აპირებთ?

პასუხები:

ელისო- მამაჩემს, ისა რა ქვია, უცებ, რატომღაც მოაფიქრდა და მერე ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება.

მარინა- არა, ჩემით ვფიქრობ.

გურამი- არა.

18; რა მოტივებით ხელმძღვანელობთ სპეციალობის არჩევისას?

პასუხები:

ელისო- იცით, რა, ეხლა, როცა რაღაცის სწავლა გინდა, ხო ფიქრობ, რატო გინდა? ფულზე იმდენად საქმე არაა. მე მინდა, რო განათლება მივიღო და ზოგადად, ხალხთან ვიყო, საზოგადოებაში ვიყო გასული. ფაქტიურად, როცა უმუშაობას დაიწყებ, ბუნებრივია, საზოგადოებასთანაც გექნება ურთიერთობა. მარინა- ჩემი აზრით, გამომადგება ალბათ.

გურამი- მინდა, რო ჯერ ვისწავლო და მერე ვიმუშავო.

19; გიყვართ საქმე, რომელიც თქვენს მიერ არჩეული პროფესიით უნდა აკეთოთ?

პასუხები:

ელისო- საქმე, რომელიც უნდა ვაკეთო? მიყვარს?! ისე რა, კი, რატომ არა?!
მარინა- ისე ძალიან არა, მაგრამ მაინც მიყვარს საქმე რაც უნდა ვაკეთო პროფესიით.

გურამი- არ ვიცი, მიყვარს? მგონი შემიყვარდება საქმე, რომელიც უნდა ვაკეთო, ახლა არ ვიცი.

20; პრესტიჟულად მიგაჩნიათ პროფესია, რომელსაც უნდა დაეუფლოთ?

პასუხები:

ელისო- კი, თუ დავიწყე მუშაობა, მაშინ პრესტიჟიც მომემატება.

მარინა- ეს საქმე, მგონი, არც ისე პრესტიჟულია.

გურამი- დიახ, კი, ძერწვა პრესტიჟული საქმეა.

21; თქვენს მიერ არჩეულ სპეციალობას აღიქვამთ, როგორც თქვენი შემოსავლის გაზრდის ძირითად საშუალებას?

პასუხები:

ელისო- ამ საქმიდან რაღაცა შემოსავალი კი მექნება, მაგრამ მთლად მაგ პროფესიის იმედზე ვერ დავრჩები.

მარინა- კი, ამ საქმით უნდა მქონდეს შემოსავალი.

გურამი- შეიძლება მომცეს შემოსავალი ჩემმა პროფესიამ, ზუსტად არ ვიცი.

22; რა შესაძლებლობები გაქვთ იმისათვის, რომ დაეუფლოთ თქვენს მიერ არჩეულ სპეციალობას?

პასუხები:

ელისო- ნუ, შესაძლებლობები რა, ახლა მაგაზე ვიტყვი, რომ ეგ მერე, აი, სწავლის ბოლოს რა შედეგიც იქნება მაგით გამოჩნდება რა შესაძლებლობებიც მქონია, ახლა ვერაფერს ვიტყვი.

მარინა- მგრძნობიარე ხელები მაქვს და ესაა ჩემი შესაძლებლობა სპეციალობის დაუფლებისთვის.

გურამი- არ ვიცი რა შემიძლია პროფესიის დაუფლებისთვის.

23; შეგიძლიათ მოიტანოთ კონკრეტული მაგალითი ან მაგალითები იმის დასადასტურებლად, რომ შესძლებთ თქვენს მიერ არჩეული პროფესიის დაუფლებას?

პასუხები:

ელისო- იმაზე, შევძლებ თუ არა არჩეული სპეციალობის დაუფლებას, მაგალითების მოყვანა გამიჭირდება, კი არა, ვერც მოვიყვან.

მარინა- არა, არ შემიძლია იმის დამადასტურებელი მაგალითი მოვიყვანო, რომ ნამდვილად შევძლებ არჩეული პროფესიის დაუფლებას.

გურამი- ამის კონკრეტული მაგალითი არ მაგონდება.

24; რა შესაძლებლობებს ხედავთ თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის პრაქტიკული გამოყენებისათვის?

პასუხები:

ელისო- ნუ ასეა, ვერ იტყვი, რა შესაძლებლობები მექნება პრაქტიკაში არჩეული სპეციალობის გამოყენებისათვის. როგორ უნდა გამოვიყენო, უბრალოდ, რაღაცა უნდა ვცადო.

მარინა- ჩემი არჩეული სპეციალობის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობები კი შეიძლება იყოს, მაგრამ მე არ ვიცი.

გურამი- თუ ვიმუშავებ, ხელფასი მექნება და პრაქტიკაში ასე გამოვიყენებ ჩემს სპეციალობას.

25; იცნობთ ადამიანს, ვისაც გააჩნია შესაძლებლობების იმგვარი შეზღუდვა, როგორც თქვენ და ვინც დასაქმებულია იმ სპეციალობით, რომლის დაუფლებასაც თქვენ გეგმავთ?

პასუხები:

ელისო- მე ვიცნობ, ვინც მაგ განხრით წასულა, მაგრამ სამსახური ვერ უშოვია.

მარინა- არა.

გურამი- არა.

26; მისი კვლევაში ჩართვის მიზნით, შეგიძლიათ დაასახელოთ ადამიანი, რომელსაც გააჩნია თქვენნაირი შეზღუდვა და დასაქმებულია იმ პროფესიით, რომლის დაუფლებასაც აპირებთ?

პასუხები:

ელისო- არა, ასეთ ადამიანს არ ვიცნობ, როგორც უკვე ვთქვი ვიცნობ ისეთს, რომელმაც ისწავლა და არ მუშაობს ამ სპეციალობით.

მარინა- არა.

გურამი- არა.

27; რომ არ გქონდეთ შესაძლებლობების შეზღუდვა აირჩევდით იგივე სპეციალობას?

პასუხები:

ელისო- ნორმალური მხედველობა რომ მქონდეს არ ავირჩევდი იმ პროფესიას რის სწავლასაც ახლა ვაპირებ, ალბათ სხვა პროფესიას შევისწავლიდი, მაგრამ ზუსტად არ ვიცი რას.

მარინა- რო ვხედავდე, არ ავირჩევდი იმ პროფესიას, რაც ახლა მაქვს ჩაფიქრებული, სხვა რამეს მოვინახავდი.

გურამი- უსინათლო რომ არ ვიყო? კი, შეიძლება ამერჩია იგივე პროფესია.

28; რამდენად ხართ დარწმუნებული, რომ სპეციალობა, რომლის არჩევასაც აპირებთ, შეესაბამება თქვენს შრომით შესაძლებლობებს?

პასუხები:

ელისო- მე ვფიქრობდი, რო, მე, აი, შევძლებ და 90 პროცენტი მგონია, რო შევძლებ.

მარინა- დიახ, შეესაბამება.

გურამი- არ ვარ დარწმუნებული.

29; ფლობთ ინფორმაციას იმაზე, თუ რამდენად მოთხოვნადია შრომის ბაზარზე სპეციალობა, რომლის არჩევასაც აპირებთ?

პასუხები:

ელისო- დარწმუნებით ვერ ვიტყვი,, რო მაქვს იმაზე ინფორმაცია, რამდენად მოთხოვნადია, რა პროფესიაც მინდა რომ შევისწავლო, შრომის ბაზარზე. ისე კი, ვიცი, რომ დასაქმება ჭირს.

მარინა- არა, ეს არვიცი ზუსტად, მაგრამ კი უნდა იყოს, ჩემი პროფესია ბაზარზე მოთხოვნადი, ხო იმახიან, რომ ბევრი მასაჟის სალონი მუშაობსო.

გურამი- არა.

30; ინფორმირებული ხართ იმის თაობაზე, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იქნებით შრომის ბაზარზე თქვენი სპეციალობით?

პასუხები:

ელისო- არ ვიცი, რავიცი, იქნებ შევძლო და გავუწიო სხვებს კონკურენცია, ამაზე არც მიფიქრია.

მარინა- არვიცი, ამასაც ხო ამბობენ ხალხში, რომ უსინათლოები კარგი მასაჟისტები არიანო და შეიძლება ამით სხვას ვაჯობო.

გურამი- არა.

31; რა სახის კონსულტაციის მიღებას ისურვებდით პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით?

პასუხები:

ელისო- როგორც ადრე ვთქვი, კი ვკითხავდი რჩევას, ვინმეს, როგორ ჯობია, იმისთვის, რო მერე ვიმუშავო რა პროფესია შევისწავლო.

მარინა- თუ ვინმე დამეხმარება, რომელი პროფესია ივარგებს ჩემთვის, რო მირჩიოს, კარგი იქნებოდა.

გურამი- რო მითხრას, რა იქნებოდა ჩემთვის უკეთესი პროფესია.

32; თუ იქნება საკონსულტაციო ცენტრი ან კომპეტენტური კონსულტანტი, რომელიც მოგაწვდით ინფორმაციას და გაგიწევთ კონსულტაციას პროფესიულ განათლებაზე, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებაზე, თქვენი შესაძლებლობებისა და თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობაზე, ასევე- სხვა თანამდევ საკითხებზე მიმართავთ მას დახმარებისათვის?

პასუხები:

ელისო- ისე უცებ, უცხო ვინმეს ვერ ვენდობოდი, ვერც ორგანიზაციას, უფრო ჩემ აზრს დავეყრდნობოდი. გადავამოწმებდი და თუ დავრწმუნდებოდი, რომ კომპეტენტური ორგანიზაციაა ან პიროვნება, მაშინ მივმართავდი რჩევისათვის.

მარინა- დიახ, რატომაც არ მივმართავ?!

გურამი- დიახ.

33; რაიმეს ხომ არ დაამატებთ?

პასუხები:

ელისო- არა, დამატებით არაფერს დავამატებ. უბრალოდ, ვიტყვი, რომ ძალიან საინტერესო კითხვები იყო და ჩემთვისაც გამოსადეგი იქნება, ახლა რაღაცრაღაცეებზე სხვანაირად დავფიქრდები.

მარინა- არა, მაღლობა.

გურამი- არა.

კითხვარი პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტებისათვის.

კვლევის მიზანია პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების პროფესიული არჩევანის საკითხის შესწავლა პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების მაგალითზე.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.

კითხვების რაოდენობა 33.

რესპოდენტების ოდენობა 3.

რესპოდენტები:

ელისო- სქესი მდედრობითი, ასაკი 22 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.

მარინა- სქესი მდედრობითი, ასაკი 19 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.

გურამი- სქესი მამრობითი, ასაკი 18 წელი, ზოგადი განათლების მესამე საფეხური, კლასი მეთორმეტე.

1; მხედველობის შეზღუდვის რა ოფიციალური სტატუსი გაქვთ დადგენილი?

2; როგორია თქვენი მხედველობის ხარისხი?

3; რამდენად ეყრდნობით საკუთარ მხედველობას ყოფით სიტუაციებში?

4; შეგიძლიათ სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილება თქვენთვის უცხო გარემოში?

- 5; იყენებთ ხელჯოხს, როგორც გადაადგილებისათვის დამხმარე საშუალებას?
- 6; როგორ იყენებთ მხედველობას საქმიან აქტივობებში?
- 7; შეგიძლიათ ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა?
- 8; შეგიძლიათ ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა?
- 9; შეგიძლიათ ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება?
- 10; შეგიძლიათ კომპიუტერის კლავიატურის გამოყენებით ბეჭდვა?
- 11; სწავლობდით ადრე, რომელიმე პროფესიულ სასწავლებელში?
- 12; რა სპეციალობის დაუფლებას აპირებთ?
- 13; რა იცით იმ სპეციალობის შესახებ, რომლის დაუფლებასაც აპირებთ?
- 14; რა გარემოებები ახდენენ გავლენას თქვენს არჩევანზე?
- 15; მიგაჩნიათ, რომ გაქვთ განსაკუთრებული უნარები თქვენს მიერ არჩეული პროფესიის დაუფლებისათვის?
- 16; თქვენს ოჯახში მუშაობს ან მუშაობდა ვინმე იმ პროფესიით, რომლის დაუფლებასაც თქვენ გეგმავთ?
- 17; გირჩიათ ვინმემ ის პროფესია, რომლის დაუფლებასაც აპირებთ?
- 18; რა მოტივებით ხელმძღვანელობთ სპეციალობის არჩევასა?
- 19; გიყვართ საქმე, რომელიც თქვენს მიერ არჩეული პროფესიით უნდა აკეთოთ?
- 20; პრესტიჟულად მიგაჩნიათ პროფესია, რომელსაც უნდა დაეუფლოთ?
- 21; თქვენს მიერ არჩეულ სპეციალობას აღიქვამთ, როგორც თქვენი შემოსავლის გაზრდის ძირითად საშუალებას?
- 22; რა შესაძლებლობები გაქვთ იმისათვის, რომ დაეუფლოთ თქვენს მიერ არჩეულ სპეციალობას?
- 23; შეგიძლიათ მოიტანოთ კონკრეტული მაგალითი ან მაგალითები იმის დასადასტურებლად, რომ შესძლებთ თქვენს მიერ არჩეული პროფესიის დაუფლებას?

- 24; რა შესაძლებლობებს ხედავთ თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის პრაქტიკული გამოყენებისათვის?
- 25; იცნობთ ადამიანს, ვისაც გააჩნია შესაძლებლობების იმგვარი შეზღუდვა, როგორიც თქვენ და ვინც დასაქმებულია იმ სპეციალობით, რომლის დაუფლებასაც თქვენ გეგმავთ?
- 26; მისი კვლევაში ჩართვის მიზნით, შეგიძლიათ დაასახელოთ ადამიანი, რომელსაც გააჩნია თქვენნაირი შეზღუდვა და დასაქმებულია იმ პროფესიით, რომლის დაუფლებასაც აპირებთ?
- 27; რომ არ გქონდეთ შესაძლებლობების შეზღუდვა აირჩევდით იგივე სპეციალობას?
- 28; რამდენად ხართ დარწმუნებული, რომ სპეციალობა, რომლის არჩევასაც აპირებთ, შეესაბამება თქვენს შრომით შესაძლებლობებს?
- 29; ფლობთ ინფორმაციას იმაზე, თუ რამდენად მოთხოვნადია შრომის ბაზარზე სპეციალობა, რომლის არჩევასაც აპირებთ?

30; ინფორმირებული ხართ იმის თაობაზე, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იქნებით შრომის ბაზარზე თქვენი სპეციალობით?

31; რა სახის კონსულტაციის მიღებას ისურვებდით პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით?

32; თუ იქნება საკონსულტაციო ცენტრი ან კომპეტენტური კონსულტანტი, რომელიც მოგაწვდით ინფორმაციას და გაგიწევთ კონსულტაციას პროფესიულ განათლებაზე, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებაზე, თქვენი შესაძლებლობებისა და თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობაზე, ასევე- სხვა თანამდევ საკითხებზე მიმართავთ მას დახმარებისათვის?

33; რამეს ხომ არ დაამატებთ

დანართი N2

კითხვარი პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტებისათვის.

კვლევის მიზანია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობის საკითხის შესწავლა პროფესიული სასწავლებლების უსინათლო სტუდენტების მაგალითზე.

რესპოდენტები:

გიგი- სქესი მამრობითი, ასაკი 26 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

გიგა- სქესი მამრობითი, ასაკი 40 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

ნიკო- სქესი მამრობითი, ასაკი 18 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

მაშო- სქესი მდედრობითი, ასაკი 19 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

დემნა- სქესი მამრობითი, ასაკი 20 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

სესილი- სქესი მდედრობითი, ასაკი 20 წელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი.

1; მხედველობის შეზღუდვის რა ოფიციალური სტატუსი გაქვთ დადგენილი?

პასუხები:

გიგი- მკვეთრადგამოხატული.

გიგა- მკვეთრადგამოხატული.

ნიკო- მკვეთრადგამოხატული.

მაშო- მკვეთრადგამოხატული.

დემნა- მკვეთრადგამოხატული.

სესილი- მკვეთრადგამოხატული.

2; როგორია თქვენი მხედველობის ხარისხი?

პასუხები:

გიგი-

ვხედავ შუქს, ბუნდოვნად ვარჩევ სილუეტებს, ვარჩევ შუქ-ჩრდილებს, ადამიანებს სახეზე ვერ ვცნობ. მაქვს უმნიშვნელო ნარჩენი მხედველობა.

გიგა- ვერა ვხედავ, სულ ვერა ვხედავ, ტოტალური უსინათლობის მქონე ვარ.

ნიკო- აბსოლუტური უსინათლო ვარ.

მაშო- მცირემხედველი ვარ. არ ვარ ტოტალური უსინათლო.

დემნა- ტოტალური უსინათლო ვარ.

სესილი- საერთოდ ვერ ვხედავ.

3; რამდენად ეყრდნობით საკუთარ მხედველობას ყოფით სიტუაციებში?

პასუხები:

გიგი-

საკუთარ სახლში, შეჩვეულ გარემოში, რაღაც ხარისხით ვიყენებ იმ ნარჩენ მხედველობას, რომელიც მაქვს. შეჩვეულ პირობებში, ეს ნარჩენი მხედველობა მეხმარება, შუქ-ჩრდილების მიხედვით, ორიენტირებაში.

გიგა- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

ნიკო- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

მაშო- მხედველობას ვეყრდნობი ასე რო, ნაცნობი ადგილები სადაც არი, სადაც ბევრჯერ ვარ ნამყოფი, იქ მარტო დავდივარ. აქვე ახლოს, მაღაზიაშიც მარტო დავდივარ.

დემნა- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

სესილი- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

4; შეგიძლიათ სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილება თქვენთვის უცხო გარემოში?

პასუხები:

გიგი- სხვისი დახმარების გარეშე უცხო გარემოში მოძრაობა-გადაადგილება არ შემიძლია, უფრო სწორად ძალიან მიძნელდება.

გიგა- ზოგადად თუ ვიტყვი, კი, შემიძლია ჩემთვის უცხო გარემოში მარტო გადაადგილება. რო გამიჭირდება, მა, რას ვიზამ? მაგრამ რეალურად ისე გამოდის, რომ ვინმეს დახმარების გარეშე, ჩემთვის უცხო გარემოში, მარტო ვერ დავდივარ.

ნიკო- შემიძლია სხვისი დახმარების გარეშეც, ანუ თანმხლები გამცილებლის გარეშეც ვიმოძრაო უცხო გარემოში.

მაშო- ჩემთვის უცხო გარემოში, თუ ვინმე არ მყავს, გადაადგილება მარტო არ შემიძლია.

დემნა- უცხო გარემოში სხვისი დახმარების გარეშე ვერ ვივლი.

სესილი- უცხო ადგილებში, ვინმე თუ არ მახლავს, ვერ ვმოძრაობ.

5; იყენებთ ხელჯოხს, როგორც გადაადგილებისათვის დამხმარე საშუალებას?

პასუხები:

გიგი- ხელჯოხს გადაადგილებისას ზოგადად ვიყენებ, მაგალითად შენობებში, ან მეტროპოლიტენში მოძრაობისას, ასევე იმ შენობაში სადაც ვსწავლობ. სამწუხაროდ, ხელჯოხი ვერ მშველის იმ ქუჩებში, სადაც ძირითადად მიწევს გადაადგილება, რადგან მოუწესრიგებელია მოძრაობა, გადატვირთულია ტროტუარები, რომლებიც მანქანების სადგომად არის გამოყენებული, მოუწყობელია გზაზე გადასასვლელები.

გიგა- ვიყენებ ხელჯოხს სიარულისას. ეს საშუალება მომწონს, ძალიან მომწონს, მას კარგად ვიყენებ.

ნიკო- დიახ, ხელჯოხს ვიყენებ, როგორც გადაადგილებისათვის დამხმარე საშუალებას.

მაშო- ხელჯოხი საერთოდ არ გამომიყენებია, რადგან მცირემხედველი ვარ და არ მჭირდება. ხელჯოხის გამოყენება ისე კი ვიცი, სკოლაში ვისწავლე.

დემნა- ხელჯოხს სიარულისას ვიყენებ.

სესილი- ხელჯოხს არ ვიყენებ.

6; როგორ იყენებთ მხედველობას საქმიან აქტივობებში?

პასუხები:

გიგა- მუშაობის დროს, მხედველობას ვიყენებ, აი, ასეთ შემთხვევებში, მაგალითად: გამეთიშა კომპიუტერი შემიძლია დავინახო, რომ შუქი ეკრანიდან გაქრა, ასევე ჩართვისას დავაფიქსირე სინათლის ანთება მონიტორზე. ვხედავ, ასევე შუქს მობილური ტელეფონის ეკრანზე და ამგვარად ვხვდები, თუ როდისაა იგი მუშა მდგომარეობაში.

გიგა- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

ნიკო- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

მაშო- ოთახის დალაგებაში, ჭურჭლის დარეცვისას და სხვა ასეთ საქმეებში მადგება მხედველობა.

დემნა- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

სესილი- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

7; შეგიძლიათ ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა?

პასუხები:

გიგა- ბრტყელი შრიფტით კითხვა არ შემიძლია. 21 წლის ვიყავი, რომ დავუსინათლოვდი. წერას ვახერხებ. ხელმოწერაც შემიძლია.

გიგა- ბრტყელი შრიფტი ვიცი. მე ხომ 15 წლამდე მხედველი ვიყავი და ჩვეულებრივ სკოლაში ვსწავლობდი. ახლა კი, ჩვეულებრივი შრიფტით ვერც ვწერ და ვერც ვკითხულობ რაღა თქმა უნდა.

ნიკო- ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა არ შემიძლია.

მაშო- არ შემიძლია ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა.

დემნა- ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა არ შემიძლია.

სესილი- თვალხილულების შრიფტით წერა-კითხვა არ შემიძლია.

8; შეგიძლიათ ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა?

პასუხები:

გიგა- ბრაილის შრიფტი არ ვიცი, მისი გამოყენება არ მისწავლია. ამჟამად მისი შესწავლით არ ვარ დაინტერესებული, რადგან მიმაჩნია, რომ იგი ახლა ჩემთვის საჭირო არაა.

გიგა- ბრაილის შრიფტი არ მისწავლია და მე პირადად არც წერა-კითხვა შემიძლია. თუმცაღა რო მასწავლონ უცებ ვისწავლი. რა პრობლემაა მაგისი სწავლა?

ნიკო- ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა, დიახ, შემიძლია.

მაშო- ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა შემიძლია.

დემნა- ბრაილის შრიფტით წერა და კითხვა არ შემიძლია.

სესილი- ბრაილით არც წერა ვიცი და არც კითხვა ვიცი.

9; შეგიძლიათ ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება?

პასუხები:

გიგა- დიახ, კომპიუტერულ ხმოვან პროგრამებს კარგად ვიყენებ. შემიძლია ვორდისა და სხვა საოფისე პროგრამებში მუშაობა.

გიგა- კომპიუტერული ხმოვანი პროგრამების გამოყენება კი შემიძლია, ეგ შემიძლია.

ნიკო- კომპიუტერულ ხმოვან პროგრამებს ვიყენებ, შემიძლია გადაჭარბების გარეშე ვთქვა, რომ ძალიან კარგად.

მაშო- დიახ, ვიცი ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება.

ტელეფონშიც მაქ და კომპიუტერშიც.

დემნა- კომპიუტერულ ხმოვან პროგრამებს კი ვიყენებ.

სესილი- კომპიუტერს ახლა ვსწავლობ, ჯერ კარგად ვერ ვიყენებ.

10; შეგიძლიათ კომპიუტერის კლავიატურის გამოყენებით ბეჭდვა?

პასუხები:

გიგა- კომპიუტერის კლავიატურით ბეჭდვა შემიძლია, კარგად ვბეჭდავ.

გიგა- კომპიუტერის კლავიატურით ბეჭდვა კი შემიძლია.

ნიკო- კომპიუტერის კლავიატურით ვბეჭდავ სწრაფად და ხარისხიანად.

მაშო- ეხლა, კომპიუტერის კლავიატურაზე ბეჭდვა არც მიცდია და ჯერჯერობით არ დამჭირვებია და ეხლა ეგ არ ვიცი.

დემნა- კომპიუტერით ბეჭდვა შემიძლია ნელა.

სესილი- ბეჭდვა კომპიუტერის კლავიატურით არ ვიცი, მაგრამ ვსწავლობ.

11; სწავლობდით ადრე, რომელიმე პროფესიულ სასწავლებელში?

პასუხები:

გიგა- ადრე სხვა რომელიმე პროფესიულ სასწავლებელში არ მისწავლია, თუმცა სურვილი მქონდა.

გიგა- ადრე ვსწავლობდი ამავე პროფესიულ სასწავლებელში, ოღონდ სხვა სპეციალობაზე.

ნიკო- ადრე პროფესიულ სასწავლებელში არ მისწავლია.

მაშო- არა, სხვა არცერთ სასწავლებელში არ მისწავლია. მე სკოლა ეხლა დავამთავრე 2016 წელში.

დემნა- პროფესიულ სასწავლებელში ადრე არ მისწავლია, ეს პირველია.

სესილი- ადრე სხვა სასწავლებელში არ მისწავლია.

12; რამდენი ხანია, რაც ამ კონკრეტულ პროფესიულ სასწავლებელში ირიცხებით?

პასუხები:

გიგი- ამ კონკრეტულ პროფესიულ სასწავლებელში ვსწავლობ 2014 წლიდან. სწავლება იყო მესამე და მეოთხე საფეხურზე. 2014-2015 წლებში დავეუფლე პირველ საფეხურს. ამჟამად სწავლა შეჩერებული მაქვს, რადგან სასწავლებელში რემონტი მიმდინარეობს და ის არეული გარემო ჩემთვის მოუხერხებელია.

გიგა- სამი წელია, რაც ამ კონკრეტულ სასწავლებელში ვსწავლობ. ეს ბოლო ერთი წელი ვსწავლობ ერთ კონკრეტულ სპეციალობას, ადრე კიდევ ორი შევისწავლე, საერთო ჯამში აქ, ამ სასწავლებელში სამი წელია ვარ. ესეიგი, ასეა, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სპეციალობას ვეუფლებოდი ერთიდაიგივე სასწავლებელში.

ნიკო- რაც ამ კონკრეტულ პროფესიულ სასწავლებელში ვირიცხები, არის უკვე ხუთი თვე.

მაშო- მანდ, ანუ ამ პროფესიულ სასწავლებელ კოლეჯში ვირიცხები ნოემბრიდან, გამოდის მეექვსე თვე.

დემნა- ამ სასწავლებელში უკვე ექვსი თვეა ვსწავლობ.

სესილი- სასწავლებელში შვიდი თვეა რომ ვსწავლობ.

13; იყავით ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სახის ბარიერების წინაშე აღმოჩნდებოდით პროფესიული განათლების პროცესში ჩართვის შემდგომ?

პასუხები:

გიგი- ვიცოდი, რომ გამიჭირდებოდა სასწავლებელში სიარული, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ შემემლო დამხმარე ხელჯოხის გამოყენება. ვიყავი დაკომპლექსებული, ვშიშობდი, რომ სასწავლებლის შენობაშიც ვერ ვიმოდრავებდი. წინასწარი საუბრებიდან ისიც შეგვატყობინეს, რომ არ გვექნებოდა ადაპტირებული სახელმძღვანელოები და ეს პრობლემა, როგორც ჩვენ თვითონ უნდა მოგვეგვარებინა. სახელმძღვანელოების საქმე ასე თუ ისე შემდეგნაირად გადაწყვიტეთ, ვიწერდით ფლემუკაზე ლექციას და მერე სახლში ვსწავლობდი მასალას. მხოლოდ მოგვიანებით მოხერხდა რომ სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია სრულად ჩავიწერე.

გიგა- არა, სწავლის დაწყებამდე, არანაირად არ ვიყავი ინფორმირებული იმაზე, რა ბარიერებსაც გადავაწყდებოდი სწავლაში. ათასნაირი ბარიერი შემხვდა მე იქ, თუნდაც ხმოვანი პროგრამის გაუმართაობა, თუნდაც ფლემუკის უქონლობა და თუნდაც კომპიუტერის არ ქონა. პლიუს მაგას კიდევ ძალიან ისეთი ბარიერები ურთიერთობაში თუნდაც სტუდენტებთან და თუნდაც მასწავლებლებთან. აი, ამ ყველაფრის შესახებ, მე ძალიან ისეთი, აი, მსუბუქი წარმოდგენა მქონდა სწავლის დაწყებამდე. ეგეთია რეალობა.

ნიკო- დიახ ვიყავი ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რა ბარიერები დამაბრკოლებდა პროფესიული განათლების მიღების პროცესში. აი, მაგალითად, არსებობს ასეთი კომპიუტერული პროგრამები: ფოტოშოპი, ილუსტრატორი და სხვა. აქ არის ასეთი მომენტი, ეს პროგრამები ჩემს სპეციალობას ეხება და დაკავშირებულია მხედველობასთან. იმას ვგულისხმობ, რომ ამ პროგრამებით

მუშაობისათვის საჭიროა მხედველობა. როდესაც ვარკვევდი თუ რა საგნები უნდა მესწავლა ჩემი სპეციალობის ფარგლებში, მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ეს პროგრამებიც იქნებოდა და ამის შემდგომ დავიწყე ამ პრობლემაზე ფიქრი, თუ რანაირად უნდა გავმკლავებოდი ამას.

მაშო- რთული ისენი რაც მოყვებოდა სწავლას, აუ, მაგაზე არ ვიყავი იმდენად ინფორმირებული თუ რაღაც, არ ვიცოდი.

დემნა- ვიცოდი, დიახ, რა სირთულეებიც შემხვდებოდა სწავლაში და რთული შეკითხვაა, რა სირთულეები და რთულია.

სესილი- დიახ, მითხრეს რომ სიმძნელე სწავლაში კი იქნება.

14; პროფესიულ სასწავლებელში სწავლის დაწყებამდე, იცოდით, თუ რა სახის ხელშეწყობა გექნებოდათ საგანმანათლებლო პროცესში არსებული დაბრკოლებების დაძლევისათვის?

პასუხები:

გიგი- სწავლის დაწყებამდე, ვიცოდი, რომ ლექტორებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგი და ისწავლეს, თუ როგორ უნდა ემუშავათ უსინათლოებთან. მე ეს გავიგე მეგობრისგან, იმან კი- „უსინათლოთა კავშირისაგან“. ის მეგობარი თავადაც უსინათლოა და შემდეგ ჩვენ ერთად მივედით სასწავლებელში.

გიგა- დაახლოებით ვიცოდი, რადაცრადაცეები წინასწარ, თუ რა ხელშეწყობა მექნებოდა სწავლის პროცესში, მარა... წინასწარ მპირდებოდნენ ყველანაირ ხელშეწყობას, მაგრამ რეალურად მერე რო ვთქვა სიმართლე, რეალური ხელშეწყობა აღარ იყო მერე ისეთი. მე ის ვიცოდი, რო პირადად პერსონალური წამკითხველი უნდა გამოეყო ჩემთვის. ის უნდა მჯდარიყო ჩემს გვერდით, კონკრეტულად სწავლის საათებში და საჭირო თუ გახდებოდა მერეც. მერეც, ესეიგი, პრაქტიკაზეც ამას ვგულისხმობ. მე ასეთი წამკითხველი არ მყოლია.

ნიკო- დიახ, თუ რა სახის ხელშეწყობა მექნებოდა სწავლის პროცესში, ამის შესახებ სწავლის დაწყებამდე მქონდა გარკვეული ინფორმაცია. მაგალითად, შემომთავაზეს მხედველი ასისტენტის დახმარება იმისათვის, რომ მე შემესწავლა კოლეჯის გარემო, იმ კოლეჯის გარემო, რომელშიც სწავლა მომიწევდა. კიდევ ასეთი ხელშეწყობის თაობაზე მითხრეს, რომ იქნებოდა გამცილებელი პირით სერვისი, ანუ, სახლიდან სასწავლებლამდე და უკან დაბრუნებისასაც გამცილებელი გამყვებოდა.

მაშო- არა, არა, არ ვიცოდი რამე სახის ხელშეწყობა თუ მექნებოდა სწავლაში და სასწავლებელში, ეს წინასწარ არ ვიცოდი ეგენი არაფერი. ეგ ანუ, იქ რო მივედი მერე მითხრეს, რო... ანუ იქ ყავთ სამი თანამშრომელი, რომლებიც მცირემხედველებს ეხმარებიან.

დემნა- ვიცოდი, სასწავლებელში რო ხელსშემიწყობდნენ, რო გადაწერაში ასისტენტი დამეხმარებოდა.

სესილი- მითხრეს დაგეხმარებით და სწავლა არ გაგიჭირდებაო.

15; რა სახის წინასწარი ინფორმაცია გქონდათ იმ პროფესიული სასწავლებლის შესახებ, რომელშიც ახლა სწავლობთ?

პასუხები:

გიგი- წინასწარ ვიცოდი, რომ ამ სასწავლებელში უნდა დანერგილიყო უსინათლოთა ინკლუზიური განათლება. განაგონი ასე მქონდა, რომ მხოლოდ ამ კოლეჯში იყო ინკლუზიური განათლება. ესეც იმ ნახსენები მეგობრისაგან გავიგე.

გიგა- ახლა რომ ვსწავლობ იმ სასწავლებელზე წინასწარი ინფორმაცია ბევრი არაფერი მქონდა, მაგრამ გავიგე უსინათლოთა კავშირიდან რომ არსებობს კოლეჯი. უფრო სწორად რამოდენიმე კოლეჯი სადაც შესაძლებელი იყო, რომ უსინათლოს პროფესია შეესწავლა. ოთხი-ხუთი კოლეჯი გავიგე თბილისის მაშტაბით და აქედან ამოვარჩიე ეს კოლეჯი, რადგან ობტიმალური ვარიანტი იყო იმით, რომ ჩემ სახლთან ახლოა.

ნიკო- სადაც ვსწავლობ იმ პროფესიულზე თავიდან გავიგე, რომ სწავლა იქნებოდა მაღალი ხარისხის, ანუ კარგ განათლებას აძლევდნენ. შემდეგ გავიგე, რომ ადაპტირებულიც არის და, ასე ვთქვათ, რომ გადავხედე კურსდამთავრებულებს, ძირითადად, უფრო მათთან საუბრებით გადავწყვიტე ამ სასწავლებელში სწავლა.

მაშო- ჩემმა ერთერთმა ნათესავის შვილმა დაამთავრა ეგ სასწავლებელი, რომელშიც ახლა ვსწავლობ და რამდენჯერმე იყო ჩემთან სახლში მოსული და ის მეუბნებოდა ამ სასწავლებელზე.

დემნა- ჩემი ახლობელი სწავლობდა ამ სასწავლებელში და იმისგან ვიცოდი, რომ კარგი სასწავლებელი იყო.

სესილი- მითხრეს, რომ აქ ინკლუზიას უსინათლოებისთვისო.

16; სასწავლო პროცესის დაწყებამდე, პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციამ ითხოვა თქვენგან ინფორმაცია თქვენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ?

პასუხები:

გიგი- როცა განვაცხადე სურვილი სწავლის დაწყების შესახებ, სასწავლებლის ადმინისტრაციამ მთხოვა მიმეწოდებინა მათთვის დოკუმენტაცია ჩემი მხედველობის შესახებ, შემდეგ შევავეს სპეციალური კითხვარი სადაც მივუთითე, თუ რა მჭირდებოდა სწავლისათვის.

გიგა- კი, რა თქმა უნდა, სასწავლებლის ადმინისტრაციამ წინასწარ ჩემგან ითხოვა ინფორმაცია რა საჭიროებები მჭირდებოდა იმაზე რომ მესწავლა.

ნიკო- დიახ, კოლეჯის ადმინისტრაციამ ითხოვა ჩემგან ინფორმაცია საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ. ჩაბარებამდე შევავეს სპეციალური კითხვარი.

მაშო- კი, ითხოვა ჩემზე ინფორმაცია სასწავლებელმა. იქ რაღაც კითხვარი შევავეს.

დემნა- მკითხეს სასწავლებლიდან, ხო, სწავლის დაწყებამდე, რა დაგჭირდებაო.

სესილი- კი, მკითხეს რა გჭირდება სწავლაშიო.

17; რა სახის ინფორმაცია მიაწოდეთ თქვენს შესახებ პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციას სწავლის დაწყებამდე?

პასუხები:

გიგი- სასწავლებლის ადმინისტრაციას სწავლის დაწყებამდე ვაცნობე, რომ მჭირდებოდა დახმარება სასწავლებლამდე მისვლაში, ასევე მჭირდებოდა სახელმძღვანელოები. მივაწოდე მათ ინფორმაცია იმაზე, თუ მხედველობის რა პრობლემა მქონდა და საიდან შემექმნა ეს პრობლემა. ვთქვი, თუ რა მიზანი მქონდა და რა შედეგს ველოდი სწავლისგან.

გიგა- კი ბატონო, აუცილებლად მივაწოდე ინფორმაცია, სწავლის დაწყებამდე, სასწავლებლის ადმინისტრაციას ჩემს შესახებ. რაც მჭირდებოდა სწავლისათვის აი, ამის შესახებ. მაგალითად, ვაცნობე, რომ მჭირდებოდა ნოუთბუქი, რომელიც არ გამოყვეს და თქვეს, რომ ჩვენო სასწავლებელში გვაქვს ადაპტირებული პერსონალური კომპიუტერიო, თქვენო შეგიძლიათ დარჩეთ აქ და აქვე იმეცადინოთო. ისიც მითხრეს, რომ ჩვენო უფლება არა გვაქვს სახლში გავატანოთ სასწავლებლის კუთვნილი პერსონალური კომპიუტერი მოსწავლესო და ბოლოს მოვითხოვე ფლეშკა და ფლეშკა მომცეს, ისაც ხელწერილით, ორლარიანი ფლეშკა. კიდევ წინასწარ ვაცნობე ადმინისტრაციას, რომ მე დიქტოფონი დამჭირდებოდა ლექციების ჩასაწერად. შემდგომში გაჯანჯლდა საქმე და არ მოიტანეს ეს დიქტოფონი. მერე უკვე, სწავლის დროს, მოვითხოვე ყურსასმენები და ის კი, მომიტანეს. მოვითხოვე, უფრო სწორად გავიგე, რომ გამცილებელიც შეიძლებოდა მყოლოდა და მერე მოვითხოვე ისიც. მოგვიანებით, მაგრამ გამცილებელი გამომიყვეს.

ნიკო- ჩემს შესახებ, უფრო სწორად ჩემი საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ, სასწავლებლის ადმინისტრაციას წინასწარ ვაცნობე და რაზე, იმაზე, რომ დამჭირდებოდა ელექტრონული ვერსიით სახელმძღვანელო, მაგრამ ეს სახელმძღვანელო კი არ უნდა ყოფილიყო დასკანირებული ანუ სურათის სახით, რასაც მე ჩემი ხმოვანი კომპიუტერული პროგრამა ვერ წამიკითხავდა, არამედ ის უნდა ყოფილიყო ვორდის დოკუმენტში ვორდის ფაილში, ასე ვთქვათ.

მაშო- რო დამიბარეს იქ გასაუბრებაზე და მითხრეს ჩამონათვალი აქედან რა გჭირდებაო, ჩვენ ჩავწერეთ რო მჭირდება გამცილებელი. კიდევ ის ვთქვი, რომ დამჭირდება-მეთქი ბრაილით სასწავლო წიგნები და როცა მითხრეს ეგ ვერ მოხერხდებაო, მაშინ ვთქვი, რომ ლექციებს ბრაილით ჩავიწერდი, ჩვეულებრივად დაფა და ფანქრით ფურცელზე, ბრაილის დაფა და ფანქრით.

დემნა- ვუთხარი სასწავლებელს ასისტენტი დამჭირდება-მეთქი სწავლაში. ეს ადრე ვუთხარით მე და დედამ, სანამ სწავლას დავიწყებდი.

სესილი- ვუთხარი რომ უსინათლო ვარ.

18; რა სპეციალობას ეუფლებით?

პასუხები:

გიგი- ვეუფლები ოფისის მენეჯერის სპეციალობას.

გიგა- ვეუფლები ოფისის მენეჯერის პროფესიას, ეს ახლა. ადრე დავეუფლე ძრავისშემკეთებლის პროფესიას..

ნიკო- მე ვეუფლები „ვებ ინტერფეისის დეველოპერის“ სპეციალობას.

მაშო- ოფისმენეჯერობაზე მაქვს შეტანილი საბუთები, ამ სპეციალობას ვსწავლობ.

დემნა- ოფისმენეჯერობაზე ვსწავლობ.

სესილი- ოფისმენეჯერის პროფესიას ვსწავლობ.

19; რატომ აირჩიეთ კონკრეტულად ეს სპეციალობა?

პასუხები:

გიგა- შემოთავაზებული, ანუ ნუსხაში ჩამოთვლილი პროფესიებიდან, ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო და გამოყენებადი ოფისმენეჯერის სპეციალობა იყო და ამიტომ ავირჩიე. ოფისის მენეჯერი დირექტორის შემდეგ მეორე პირია ოფისში. იგი ამარაგებს ოფისს სხვადასხვა ნივთებით, ესაუბრება პირებს, ვისაც სურთ სამსახურის დაწყება ამ ოფისში და რაც მთავარია აწესრიგებს სამსახურეობრივ დოკუმენტაციას.

გიგა- მე ეს სპეციალობა (ოფისმენეჯერობა) იმიტომ ავირჩიე, რო ეს უფრო პრაქტიკული იყო ჩვენთვის, როგორც უსინათლოებისთვის. ჩემთვის ესეა პირადად. და უფრო წერა-კითხვასთან იყო დაკავშირებული. ესეიგი- საბუთებთან, განცხადების წერა, ნომრების დამახსოვრება და ასე შემდეგ. თვითონ სწავლის პროცესია მარტივი, თორემ მუშაობის პროცესი, მუშაობის პროცესიც ადვილია. მაგიტო ავირჩიე თორე, იქ სხვადასხვა პროფესიები როა, ძალიან ისეთი, თუნდაც ელექტრიკოსობა, თუნდაც კაფელ-მეტლახშიკობა, თუ როგორ არი, ის უფრო რთული არი, პრაქტიკულად. კიდე მძერწავებიც არიან, არიან ხეზე მკვეთელებიც. იმ ჩამონათვალში ეს მომეწონა ოფისმენეჯერობა, აი, რაც ვთქვი იმის გამო.

ნიკო- კონკრეტულად ეს ანუ ვებ ინტერფეისის დეველოპერის სპეციალობა ავირჩიე იმიტომ, რომ ჯერ ეს ერთი- მოთხოვნადაა, მეორეც ეს ერთი- მაინტერესებდა ეს სფერო და ძირითადად, უფრო ამიტომ. ვთვლი, რო აი, ეს სფერო რაღაცნაირად, ჩემთან უფრო ახლოს არის. რაც მთავარია, თუ დამჭირდება ამ სპეციალობით სამსახურსაც ვიშოვი. ვამბობ, თუ დამჭირდება- მეთქი იმიტომ, რომ შემდგომში მე ვაპირებ სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში და სავარაუდოდ, მეორე სპეციალობაც მექნება.

მაშო- მე რატო ავირჩიე ეს სპეციალობა ოფისმენეჯერობა და... მე არა, ანუ სხვებმა ავირჩიეს. მე არ მქონდა ეს, სხვა რაღაცა მინდოდა და მერე მეგობრებმა და იმან გადამაფიქრებინეს.

დემნა- საბუთებია, კანონებია, რაღაცეების შევსებაა და მეხერხება ესა. მაგიტომ ავირჩიე ოფისმენეჯერობა.

სესილი- იმიტომ ავირჩიე ოფისმენეჯერობა, რომ არვიცი, სხვა რაზე მესწავლა.

20; იმ პროფესიების ჩამონათვალში, რომლებიც საქართველოში არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში ისწავლება, რომ ყოფილიყო მეტი არჩევანი თქვენი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისი პროფესიების, მაინც აირჩევდით იმავე პროფესიას, რომელსაც ამჟამად ეუფლებით?

პასუხები:

გიგი- ასე რომ ყოფილიყო, მაშინ აღარ ავირჩევდი იმავე პროფესიას. თუ, რა თქმა უნდა, ის სხვა შემოთავაზებები ჩემთვის მოსაწონი და მისაღები იქნებოდა. დიახ, ასეთ შემთხვევაში დავფიქრდებოდი არჩევანზე და რავიცი, აღარ ავირჩევდი ოფისმენეჯერის პროფესიას.

გიგა- რა თქმა უნდა, რო ოფისმენეჯერობას არ ავირჩევდი სხვა რამე ამაზე უფრო ჩემთვის შესაფერი რო ყოფილიყო რამე პროფესია. რო იყოს რამე ჩვენთვის, უსინათლოებისთვის, ხელმისაწვდომი სხვა პროფესია, ესეიგი, რო ისწავლებოდეს, ამას ვიძახი, მაშინ მაგას ავირჩევდი. მატორისტობის შესწავლა ხომ ცვადა, ახლა ოფისმენეჯერობაზე ვარ, ვნახოთ თუ გაამართლებს და სამუშაო თუ მექნება ამ სპეციალობით, თუ არა და, მაშინ კიდევ რამე პროფესიას შევისწავლი და იქნება გამოჩნდეს კიდევაც რამე უფრო უკეთესი.

ნიკო- დიახ, ავირჩევდი ისევ იმავე პროფესიას, ინტერფეისის დეველოპერის სპეციალობას, რადგან ეს არჩევანი მე თავისდროზე შეგნებულად გავაკეთე და ამის შეცვლის მიზეზი არც ახლა მაქვს.

მაშო- არ ავირჩევდი იმავე პროფესიას, რომელსაც ამ ჟამად ვეუფლები. ისე ეგ ოფისმენეჯერობა არც მინდოდა, მაგრამ სხვაც რო არაფერი იყო? არ ავირჩევდი ოფისმენეჯერობას მაგალითად, რამე უფრო ჩემთვის მისაღები, ანუ ისა, გამოსადეგი თუ იქნებოდა.

დემნა- ოფისმენეჯერობას კი არა, მაშინ სხვას ავირჩევდი, რაც მომწონს და კარგია იმას.

სესილი- რაზეც ვსწავლობ ახლა, ის შეიძლება არ ამერჩია. შეიძლება სხვა ამერჩია, რომ ყოფილიყო სხვა რამე. ადრე რო ვიფიქრე, მეტი არცარაფერი იყო იმ სიაში საჩემოდ.

21; შეგიძლიათ კონკრეტული ადგილიდან სასწავლებლამდე მისვლა გამცილებლის დახმარების გარეშე?

პასუხები:

გიგი- დიახ, შემიძლია კონკრეტული ადგილიდან გამცილებლის დახმარების გარეშე სასწავლებლამდე მისვლა, გადაადგილებისას ვიყენებ ხელჯოხს.

გიგა- არანაირად არ შემიძლია სასწავლებლიდან დაშორებული ადგილიდან გამცილებლის გარეშე მისვლა სასწავლებლამდე. შემიძლია იმ გაგებით, თუ ტაქსით ვივლი.

ნიკო- სასწავლებლამდე, თუ სადმე მის ახლოს ვარ, მარტო მისვლას შევძლებ და სახლიდან სასწავლებლამდე კი მარტო ვერ მივალ, იქიდან შორს ვცხოვრობ.

მაშო- შეიძლება წავიდე მარტო მარა, ჩემი სახლიდან სასწავლებლამდე მარტო მისვლა მაინც მეშინიასავით. ამაში გამყოლი მჭირდება მაინც.

დემნა- მარტო ვერ მივალ სასწავლებლამდე, დედა ან ვინმე გამყვეს უნდა.

სესილი- გამცილებელი ყველგან დამყვება, ისე ვერ ვივლი.

22; შეგიძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება სასწავლებლის შენობაში?

პასუხები:

გიგი- დიახ, დამოუკიდებლად გადავადგილდები სასწავლებლის შენობაში.

გიგა- კი ბატონო, სასწავლებლის შენობაში დამოუკიდებლად ვმოძრაობ.

ნიკო- დიახ, სასწავლებლის შენობაში თავისუფლად ვმოდრაობ, შევეჩვიე.

მაშო- კი, როგორ არა, სასწავლებლის შენობაში მარტო დავდივარ.

დემნა- შენობაში კი, ზოგ ადგილებში მარტო კი მივდივარ და ყველგან მარტო ვერა, ვერ მივალ.

სესილი- ვერა, ვერ დავდივარ მარტო კოლეჯის შენობაში.

23; შეგიძლიათ გამცილებელი პირის დახმარების გარეშე სასწავლებლის ეზოში ორიენტირება?

პასუხები:

გიგი- დიახ, სასწავლებლის ეზოშიც ვმოდრაობ გამცილებლის გარეშე.

გიგა- სასწავლებლის ეზოში ორიენტირებაც როგორღაც გამომდის. ყველა კუთხე-კუნჭული კი არ ვიცი სასწავლებლის ეზოსი, მაგრამ რომელი ადგილებიც მჭირდება იქ მისვლა მარტოსაც შემიძლია.

ნიკო- სასწავლებლის ეზოში ორიენტირება ნაწილობრივ შემიძლია, ვინმეს დახმარების გარეშე, მაგრამ ისე როგორც შენობაში დავდივარ, ეზოში ვერ ვახერხებ.

მაშო- სასწავლებლის ეზოშიც ორიენტირებაში დახმარება არ მჭირდება.

დემნა- სასწავლებლის ეზოში, ორიენტაცია, არა, არ მაქვს.

სესილი- სასწავლებლის ეზოშიც მარტო ვერ დავდივარ.

24; შეგასწავლათ ვინმემ სასწავლებლის გარემო, მისი ინფრასტრუქტურა?

პასუხები:

გიგი- სასწავლებლის გარემოს შესწავლაში დიდი დახმარება გამიწია მობილობის ტრენერმა, რომელიც სასწავლებელში დამინიშნეს.

გიგა- ნაწილობრივ კი შემასწავლეს სასწავლებლის გარემო, ოღონდ ნაწილობრივ, სიმართლე რომ ითქვას, ბევრი არაფერი, საპირფარეშო და კიდევ რაღაც, აბა ეხლა ეგ თუ შესწავლებაა, მაშინ ჰო, შეუსწავლებიათ. არა, აი მაგ შესწავლაში, უფრო მობილობის ტრენერი, თუ გამცილებელი რო ეწოდება აი, ის ახალგაზრდა უფრო დამეხმარა. ძირფესვიანად იმ შენობის შესწავლას არც არავინ ითხოვდა და არცა მჭირდებოდა.

ნიკო- დიახ, დიახ, სასწავლებლის ინფრასტრუქტურაც, გარემოც, ასისტენტებმა შემასწავლეს.

მაშო- კი, კი, ვინც დამხვდა იმან ყველაფერი ამიხსნა სასწავლებელში სად რა იყო და მერე მე ჩემითაც გავერკვიე. შემდეგ კი, იქ ხო ბავშვებიც არიან ჩემი ჯგუფელები და რო რამე მჭირდება მეხმარებიან-ხოლმე.

დემნა- გარემო სასწავლებელში, სადაც რა არის, ის დედამ და ასისტენტმა მასწავლა.

სესილი- არა, არ შემასწავლა არავინ სასწავლებლის გარემო, დედა დამეხმარა ამაში.

25; ვინ გეხმარებათ სასწავლებლამდე მისვლაში?

პასუხები:

გიგი- სასწავლებლამდე მისვლაში უკვე აღარავინ მეხმარება. ეს გზაც მობილობის ტრენერის დახმარებით შევისწავლე და ახლა დამოუკიდებლად დავდივარ.

გიგა- სასწავლებლამდე მისვლაში, ჯიგარო, ეხლა მეხმარება ტაქსის მძღოლი. ამ ტაქსს სასწავლებლის ადმინისტრაცია უხდის ხელფასს, თუ რაცა ჰქვია ქირაა, თუ რაღაც. ადრე მობილობის ტრენერი მეხმარებოდა. იმან რო მასწავლა, მასწავლა და მასწავლა სახლიდან ჩამოსვლა, ავტობუსში ჩაჯდომა და ესეთები, ეგ მე ვერ შევძელი შემდგომ დამოუკიდებლად. ეგაც იმიტომ, რომ ტროტუარებზე მანქანებია და მოვაჭრეები, გზაზე მანქანები მოძრაობენ და მე სადღა მევლო? ამიტომაც ვერ შევძელი მარტო სიარული სასწავლებლამდე და დამინიშნეს ტაქსი.

ნიკო- სასწავლებლამდე მისვლაში ერთერთი ჩემი ოჯახის წევრი მეხმარება.

მაშო- სასწავლებლამდე მისვლაში დედაჩემი მეხმარება. იქიდანაც მას მოვყავარ. მე ვურეკავ და მოდის.

დემნა- სასწავლებლამდე ან დედა- ან სხვა მიმყვება.

სესილი- დედა. ხანდახან ნათესავი, ხან ერთი- ხან მეორე, აი, ესენი მეხმარებიან სასწავლებლამდე მისვლაში.

26; ვინ გეხმარებათ სასწავლებლის ტერიტორიაზე ორიენტირებაში?

პასუხები:

გიგა- სასწავლებლის ტერიტორიაზეც უკვე მარტოც შემიძლია გადაადგილება, თავის დროზე, ამ საქმეშიც მობილობის ტრენერი დამეხმარა.

გიგა- სასწავლებლის ტერიტორიაზე მარტოც შემიძლია ასე თუ ისე ბაჯბაჯი, მაგრამ ჯგუფელები მეხმარებიან.

ნიკო- სასწავლებლის ტერიტორიაზე ორიენტირებაში თითქმის არავინ მეხმარება. ამას უკვე დამოუკიდებლად ვახერხებ. ამაში დახმარება აღარც მჭირდება. ძირითადად, მარტო დავდივარ.

მაშო- მე იმ სასწავლებლის შენობა უკვე შესწავლილი მაქ და იმდენად დახმარება ორიენტირებაში არ მჭირდება, მაგრამ თუ დამჭირდება ჯგუფელებს ვთხოვ.

დემნა- სასწავლებელში ორიენტაციაში მეხმარება დედა და ხანდახან ასისტენტიც მეხმარება სასწავლებელში.

სესილი- რომელი ახლობელიც მიმყვება სასწავლებელში, შენობაში მოძრაობაშიც ის მეხმარება.

27; გაკმაყოფილებთ სასწავლო პროცესში თქვენი ჩართულობის ხარისხი?

პასუხები:

გიგა- ვფიქრობ, რომ სასწავლო პროცესში კარგად ვარ ჩართული. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ აუდიტორიაში, ლექციების დროს, ისეთი ვითარებაა, რომ არ მიჭირს ჩემი აზრის გამოხატვა. ამაში მეხმარებიან ლექტორებიც და სტუდენტებიც. როცა რაიმეს თქმა მინდა მაძლევენ ამის საშუალებას, ლექტორები ცდილობენ კითხვებით ჩამართონ პროცესში. ამის მიუხედავად, მაინც არის უხერხულობა იმით, რომ თავიდან ცოტათი გამიჭირდა, რადგან სახელმძღვანელო ჯერ არ მქონდა ჩემთვის ხელმისაწვდომ ვერსიაში.

გიგა- სიმართლე გითხრა, არა, სწავლაში ჩემი ჩართულობა არ მაკმაყოფილებს. უფრო აქტიურად უნდა ვიყო ჩართული. დაზოგვა კი არ მჭირდება. მინდა ხელშეწყობა და თუ ის ხელშეწყობა მექნება, მომთხოვონ, ჩამრთონ ყველაფერში და თუ ვერ შევძლებ ან არ მოვინდომებ ეგეც მითხრან და შემაფასონ შესაბამისად, თორე ეხლა რო უსინათლო ვარ და მაგიტომ ენის მოჩლექა და თავზე ხელის გადასმა სასწავლებელში არა მჭირდება. ისე ჰო. ეგეც არაა ცუდი, მაგრამ სხვაგან და სხვებისგან.

ნიკო- კი, მაკმაყოფილებს სასწავლო პროცესში ჩემი ჩართულობის ხარისხი. ყველაფერი, რაც კი ხორციელდება, ყველაფერში მონაწილეობას ვიღებ. ყველა აქტივობაში ჩართული ვარ.

მაშო- ჩართული კი ვარ სასწავლო პროცესში, მაგრამ არი რა რაღაცეები, რო აი, ის რო, დაფით და ფანქრით ვწერ ანუ ვჩხვლეტავ ფურცელზე, მაგას ხო ცოტა ხმაცა აქვს. კი არავინ მეუბნება შენიშვნას. პირიქით, როცა მე ვწერ ჯგუფელები ჩუმიდებიან რომ ხელი არ შემეშალოს. ბრაილის სახელმძღვანელო რო მქონდეს ლექციების ასე ჩაწერა აღარ მომიწევდა და ჩართულიც ხო ვიქნებოდი სწავლაში უფრო კარგად.

დემნა- ჩართულობა სწავლაში? ჩართული სწავლაში ვარ კარგად და მარა ცოტა მიჭირს.

სესილი- დედა რო მიკითხავს ესაა ძნელი. რო იყოს ჩაწერილი და მოსმენა შემეძლოს რაც მაქ სასწავლო კარგია. მაინც, კი, სწავლაში კარგად ვარ ჩართული.

28; როგორ ფიქრობთ, სასწავლო პროცესი, აკმაყოფილებს თქვენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებულ მოთხოვნებს?

პასუხები:

გიგა- სწავლის დაწყების მომენტისათვის ჩემი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები არ იყო გათვალისწინებული. ეს შემდეგ მოხდა, თანდათანობით. ჯერ მობილობის ტრენერი დამინიშნეს, მერე ისიც მოხერხდა, რომ სახელმძღვანელოების სრული ელექტრონული ვერსიაც მივიღე, ეს უკვე ჩემი და ჩემი მეგობრის მოთხოვნის შემდეგ.

გიგა- როგორ ვფიქრობ და აესე, რო სასწავლო პროცესში საშუალოდ არი დაკმაყოფილებული ჩემი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები; ესეიგი, ნაწილობრივ, რა.

ნიკო- სასწავლო პროცესში უკვე ყველა ჩემი სასწავლო საჭიროება გათვალისწინებულია, რადგან ყველათხოვნა, რაც მე ადმინისტრაციას მივაწოდე დაკმაყოფილებულია. არა, ცოტა ვიჩქარე ეს რომ ვთქვი. დასკანირებულ მასალებზე მუშაობა მაინც მიუწვდომელია ჩემთვის. ამის ადაპტირება ჯერ ვერ მოხერხდა. ასე რომ, არის კიდევ პრობლემა სასწავლო პროცესში ჩემთან დაკავშირებით. მაშო- ეხლა, მე კი მაკმაყოფილებს, მაგრამ ეგრე რო გადახედავ გამოდის რო არც ისე დამაკმაყოფილებელია, ანუ ჩემი განათლების საჭიროებების მოთხოვნებს

ვერ აკმაყოფილებს ბოლომდე. აბა, თუ სახელმძღვანელო არაა და კიდე რაღაცეებიც ვერაა ისე, გამოდის რომ არც ჩემი საჭიროებებია დაკმაყოფილებული.

დემნა- სწავლა დიახ, აკმაყოფილებს თუ რაღაცა მჭირდება დიახ, კარგად მეხმარებიან.

სესილი- კი, აკმაყოფილებს, რაც მჭირდება მეხმარებიან იმაში, მაგრამ კარგია მაინც რო იყოს ხმით ჩაწერილი ის რაც უნდა ვისწავლო.

29; რა სახის გაუნმჯობესებაა იმისათვის საჭირო, რომ სასწავლო პროცესში თქვენი ჩართულობა უფრო ხარისხიანი გახდეს?

პასუხები:

გიგი- აი, საჭიროა, რომ სახელმძღვანელოები იყოს თავიდანვე, სწავლის დასაწყისშივე და სწავლის დასაწყისიდანვე ხდებოდეს მობილობაში დახმარება.

გიგა- ჩემი ჩართულობა რო უკეთესი გახდეს სწავლაში ის გაუნმჯობესებაა საჭირო, რო ხმოვანი კომპიუტერული პროგრამა უფრო დახვეწილი უნდა გახდეს. კლავიატურაც უფრო თანამედროვე უნდა იყოს. ხო არი ეხლა უკვე ევროპაში უსინათლოსთვის ადაპტირებული კლავიატურა? და ხო გეუბნები, ხო გითხარი, რო უსინათლოს სჭირდება წამკითხველი ასისტენტი.

ნიკო- რავი, კოლეჯის მხრიდან ყველაფერი გაკეთებულია, მაგრამ ჩემი ჩართულობა რომ გაუნმჯობესდეს სასწავლო პროცესში, აი, საჭიროა სპეციფიკური საკითხის გადაწყვეტა, ანუ ეგ არი გრაფიკული მხარე ფოტოშოპის პროგრამის, ჩვენთან უკვე მოდის გამზადებული პაკეტი, სურათები, რაღაცეები, უკვე დაჭრილი და მერე ჩვენ უკვე უნდა მოვათავსოთ ამ გვერდზე. იმ წინასწარ სამუშაოებს ასრულებს დიზაინერი. აქ საჭიროა მხედველობა, რათა ზუსტად თავის ადგილზე ჩაისვას შაბლონები. შესაბამისად, გრაფიკული პროგრამების აქტივობებში ასისტენტის გარეშე ვერ ვერთვები. შეიძლება ამ პროგრამების ადაპტირებაც უსინათლოებისათვის და ეს რომ მოხდეს გაუნმჯობესება ნამდვილად იქნება.

მაშო- აი, რო არა აქვთ სახელმძღვანელო, რო ჰქონდეთ ეს ხო იქნებოდა გაუნმჯობესება. ეგრე კი, ეგეთი გაუნმჯობესება საჭიროა. მარტო ეგ კი არა. ისიც საჭიროა რო გამცილებელი თავიდანვე იყოს აი, როცა სწავლა დაიწყება იმ დღიდან, კარგი იმ დღიდან არა, მაგრამ იმ თვიდან მაინც რო იყოს.

დემნა- სწავლაში ჩართულობა კარგი მაქვს. საჭიროა რა? რა და არაფერი.

სესილი- ეს ახლა არ ვიცი, რა გაუნმჯობესებაა სწავლაში ჩემი ჩართვისთვის საჭირო. მგონი მაინც ის, რომ იყოს ხმით ჩაწერილი ლექციები ან სხვა რაც უნდა ვისწავლო, რომ ჩემით მოვისმინო და სხვა არ შევაწუხო.

30; თქვენი აზრით, რა არის ის უმთავრესი პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტად გაფერხებთ პროფესიული განათლების მიღების პროცესში?

პასუხები:

გიგი- უმთავრესი პრობლემა მაინც სასწავლებლის შიდა გარემოს მოუწესრიგებლობაა. იმას ვგულისხმობ, რომ ეს გარემო არაა ადაპტირებული უსინათლოსთვის. ისიც პრობლემაა, რომ დროზე არ დაინიშნა მობილობის ტრენერი ანუ გამცილებელი და ამაში ბევრი დრო დაიკარგა, შემდეგ ეს ჩემი

სწავლის ხარისხზეც აისახა. ისიც უარყოფითად აისახა ჩემი სწავლის ხარისხზე, რომ თავიდანვე არ მქონდა სახელმძღვანელო, ესეც ხომ იყო შემაფერხებელი პრობლემა.

გიგა- ჩემი აზრით, სწავლაში უმთავრესი პრობლემა არი სწავლისათვის ადაპტირებული საშუალებების უქონლობა, რაც არი სახელმძღვანელოები რო არ არის წინასწარ მომზადებული და არც პერსონალია უსინათლოსთან შესახვედრად მზად. განა იმას ვიძახი, რო არ სურთ საქმის კეთება ან არ ინდომებენ მეთქი, არა, უბრალოდ, მეტი არ იციან და რა ქნან? პრობლემა სხვაც არი და იგი ასეთია, მე ასე ვიტყვი, რო ვინც მეხმარება იმათი ცოდნის არაშესაფერისი დონე. აი, მაგალითად, ბოლობოლო რო ასისტენტი მომიჩინეს იმან ის საქმე, რაც უნდა შემესწავლა, ოფისმენეჯერობა, არ იცოდა. ადრე კიდე მანქანის ძრავების შეკეთებას რო ვსწავლობდი და იქ რო ასისტენტი გამომიყვეს, იმ გოგოს მატორების არაფერი გაეგებოდა. კიდეც ისაა პრობლემა, რომ არაა საჭირო ეს ზედმეტი მოფერება იმიტომ რომ უსინათლო ვარ. დახმარება, ოღონდ საქმიანი და საქმეში, კარგია, ეს გამოსადეგია და ისე, ტყუილი ვაივიში არა მჭირდება.

ნიკო- უმთავრესი შემაფერხებელი პრობლემა მაინც არის მე ამას უცხოობას ვეძახი და ისაა, რომ აი, შ.შ.მ პირთან მოპყრობაში შეინიშნება მაინც რაღაც თითქოს გაუცხოვება, არ იციან როგორ მოეპყრონ ასეთ პირს. არის ეს პატარა პრობლემა.

მაშო- ისეც ისა, რა, სახელმძღვანელო რო არ არის. ეგ პრობლემა მაფერხებს ძალიან. კი, ეხლა, მე ვიწერ-ხოლმე ლექციებს იქვე ბრაილით, მაგრამ რო იყოს სახელმძღვანელო, მე ბრაილით მჭირდება, ეს პრობლემა აღარ მექნებოდა. ისე ეგაც პრობლემაა, გამცილებელი რო ჯერ არა მყავს.

დემნა- განათლებაში პრობლემა არის. ის არის პრობლემა, მისვლა სასწავლებელში და წამოსვლა იქიდან. დედა დამყვება, მაგრამ პრობლემა არის.

სესილი- მთავარი პრობლემა ორია, ლექციების ჩანაწერები რო არაა ხმით გაკეთებული და გამყოლია საჭირო.

31; ხელახლა რომ მოგიხდეთ არჩევანის გაკეთება, აირჩევდით იმავე სასწავლებელს, რომელშიც ამჟამად სწავლობთ?

პასუხები:

გიგო- სასწავლებელს ისეც იმავეს ავირჩევდი.

გიგა- დიახ, რო დამჭირდეს ავირჩევ იმავე სასწავლებელს.

ნიკო- იმავე სასწავლებელს ავირჩევდი ისეც.

მაშო- სასწავლებელს? კი, როგორ არ ავირჩევდი, იმავეს, სადაც ვსწავლობ.

დემნა- ამ სასწავლებელს ავირჩევდი ისეც.

სესილი- დიახ, ავირჩევ ამავე კოლეჯს.

32; შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ აირჩევდით (ან არ აირჩევდით) იმავე სასწავლებელს, რომელშიც ამჟამად სწავლობთ?

პასუხები:

გიგი- ისევ იმავე სასწავლებელს ვირჩევდი იმისათვის, რომ აქ ძალიან კარგად მეპყრობიან მასწავლებლები, გულთბილად და ამავე დროს, ცდილობენ ხაზი არ გაუსვან იმას, რომ მე რაღაცით სხვისგან განსხვავებული ვარ. მოკლედ, აქ უკვე იცნობენ უსინათლოებს.

გიგა- შემიძლია გითხრათ, რომ იმავე სასწავლებელს ავირჩევდი იმიტომ, რომ აქ ახლა უფრო მეტი იციან უსინათლოებთან მოქცევის შესახებ, ამაში მეც შევიტანე წვლილი, ისე, რომ თუ შემდგომშიც მოვლენ სასწავლებლად ამ სასწავლებელში უსინათლოები იმათ უფრო გაუადვილდებათ სწავლა და ამათ კიდევ სწავლება.

ნიკო- აქ, ამ სასწავლებელში, უკვე ყველაფერი იციან, ანუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი უსინათლო სტუდენტს. ამიტომ ისევ ამ სასწავლებელს ავირჩევდი განათლების მისაღებად ამ პროფესიაში. უკვე, ანუ აქ, უსინათლო თავისუფლად შეძლებს სწავლას, ჩემი აზრით.

მაშო- ავირჩევდი იგივე სასწავლებელს. იქ უკვე იციან ჩემი ამბავი, ანუ უსინათლოების ამბავი, მათთან მოქცევა და სხვა ეგეთი რაღაცეები.

დემნა- მომწონს ეს სასწავლებელი და იმიტომ თუ მომინდება ავირჩევ.

სესილი- მეხმარებიან, კარგად მექცევიან მასწავლებლები და ყველა, ამიტომ ავირჩევ ამ კოლეჯს ისევ.

33; პროფესიული განათლების პროცესის დაწყებამდე, რომ გქონოდათ, კომპეტენტური ორგანიზაციისაგან ან პირისაგან, კონსულტაციის მიღების საშუალება პროფესიულ განათლებაზე, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებაზე, თქვენი შესაძლებლობებისა და თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობაზე, ასევე- სხვა თანამდევ საკითხებზე, ისარგებლებდით ასეთი მომსახურებით?

პასუხები:

გიგი- ეს საჭირო იყო და აუცილებლად ვისარგებლებდი, რომ ყოფილიყო მაშინ ასეთი დახმარება.

გიგა- რამდენი ხანია მაგას ვიძახი, რო უსინათლოებს ჭირდებათ დახმარება და რჩევა ეგეთ რამეებში. მა რას ვიზამდი? ვისარგებლებდი რო მაშინ მქონოდა მაგის საშუალება.

ნიკო- რჩევა და კონსულტაცია საჭიროა ყველასთვის და ყოველთვის, მითუმეტეს უსინათლოებისთვის და მითუმეტეს, პროფესიის არჩევაში. დიახ, კარგი იქნებოდა რომ რომელიმე ორგანიზაცია მუშაობდეს ამ თემებზე.

მაშო- მე გამიჭირდა მაშინ პროფესიის არჩევა და რატომ არ ვისარგებლებდი, თუ ვინმე რაღაც სასიკეთოს მირჩევდა?

დემნა- კონსულტაცია რო ყოფილიყო კარგია, მაშინ რო ყოფილიყო. დედას აინტერესებდა ჩემი გულისთვის ეგ.

სესილი- კი, კი, მაგას ვისარგებლებდი მჭირდებოდა კონსულტაცია, დიახ.

34; რამეს ხომ არ დავამატებთ?

პასუხები:

გიგი- დავამატებ მაღლობას თქვენდამი, ერთი გარემოებაც მინდა აღვნიშნო, თუ დავამატო, რომ როგორც გამიგია, უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში უსინათლოებს ამზადებენ ისეთ პროფესიებში, რომლითაც მათ დასაქმების მეტი საშუალება ეძლევათ და ისიც საჭიროა, რომ რომელიმე ორგანიზაცია გვეუბნებოდეს ჩვენ უსინათლოებს, რომელი პროფესია იქნება ჩვენთვის უფრო მისადაგებული, რომ მერე ვიმუშავოთ. აი, ეს მინდოდა, რომ დამემატებინა. მაღლობა!

გიგა-

რავიცი, რაცა ვთქვი იმას რაღა დავამატო? იმდენი რამე ვთქვი, რო გამიგონ ხო მომიძულებენ, მაგრამ რა, ძმაო! რეალურად ვილაპარაკე. რაც არი ეგა ვთქვი. კარგი იქნებოდა, თუ დასაქმებაში დაგვეხმარება ვინმე. ისიც ხო შეიძლება, რო სასწავლებელმა გაუწიოს მის კურსდამთავრებულ უსინათლოებს რეკომენდაცია დამსაქმებლებთან. ერთი უსინათლო მაინც დასაქმდეს ექსპერიმენტის სახით!

ნიკო- ეს ალბათ, უფრო ზოგადი არის, მაგრამ მაინც, მომენტებში საზოგადოების მხრიდან მიუღებლობის საკითხი არის იმიტომ, რომ თავიდან ბავშვები მაინც ერიდებოდნენ ურთიერთობას. ნაკლებად ცდილობდნენ, რომ ჩართულიყვნენ ისეთ აქტივობებში, სადაც მე ვერთვებოდი, სხვანაირი თვალით მიყურებდნენ და რაღაცნაირად ეს ახდენდა ჩემზე გავლენას. საზოგადოებამ უფრო მეტი უნდა იცოდეს უსინათლოებისა და მათი შესაძლებლობების შესახებ ნამდვილი ინფორმაცია და აი, ეს არის რა. და მაღლობა, მაღლობა, თქვენ საჭირო კვლევაა.

მაშო- დასამატებელი მე მგონი არაფერი მაქ. დიდ მაღლობას გადაგიხდით.

დემნა- არაფერს არ დავამატებ, რაც ვთქვი, არა- მაღლობას დავამატებ.

სესილი- მაღლობა!

კითხვარი პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტებისათვის.

კვლევის მიზანია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლო სტუდენტების ჩართულობის საკითხის შესწავლა პროფესიული სასწავლებლების უსინათლო სტუდენტების მაგალითზე.

1; მხედველობის შეზღუდვის რა ოფიციალური სტატუსი გაქვთ დადგენილი?

2; როგორია თქვენი მხედველობის ხარისხი?

3; რამდენად ეყრდნობით საკუთარ მხედველობას ყოფით სიტუაციებში?

4; შეგიძლიათ სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილება თქვენთვის უცხო გარემოში?

5; იყენებთ ხელჯოხს, როგორც გადაადგილებისათვის დამხმარე საშუალებას?

6; როგორ იყენებთ მხედველობას საქმიან აქტივობებში?

7; შეგიძლიათ ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა?

8; შეგიძლიათ ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა?

- 9; შეგიძლიათ ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება?
- 10; შეგიძლიათ კომპიუტერის კლავიატურის გამოყენებით ბეჭდვა?
- 11; სწავლობდით ადრე, რომელიმე პროფესიულ სასწავლებელში?
- 12; რამდენი ხანია, რაც ამ კონკრეტულ პროფესიულ სასწავლებელში ირიცხებით?
- 13; იყავით ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სახის ბარიერების წინაშე აღმოჩნდებოდით პროფესიული განათლების პროცესში ჩართვის შემდგომ?
- 14; პროფესიულ სასწავლებელში სწავლის დაწყებამდე, იცოდით, თუ რა სახის ხელშეწყობა გექნებოდათ საგანმანათლებლო პროცესში არსებული დაბრკოლებების დაძლევისათვის?
- 15; რა სახის წინასწარი ინფორმაცია გქონდათ იმ პროფესიული სასწავლებლის შესახებ, რომელშიც ახლა სწავლობთ?
- 16; სასწავლო პროცესის დაწყებამდე, პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციამ ითხოვა თქვენგან ინფორმაცია თქვენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ?
- 17; რა სახის ინფორმაცია მიაწოდეთ თქვენს შესახებ პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციას სწავლის დაწყებამდე?
- 18; რა სპეციალობას ეუფლებით?
- 19; რატომ აირჩიეთ კონკრეტულად ეს სპეციალობა?
- 20; იმ პროფესიების ჩამონათვალში, რომლებიც საქართველოში არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში ისწავლება, რომ ყოფილიყო მეტი არჩევანი თქვენი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისი პროფესიების, მაინც აირჩევდით იმავე პროფესიას, რომელსაც ამჟამად ეუფლებით?
- 21; შეგიძლიათ კონკრეტული ადგილიდან სასწავლებლამდე მისვლა გამცილებლის დახმარების გარეშე?
- 22; შეგიძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება სასწავლებლის შენობაში?
- 23; შეგიძლიათ გამცილებელი პირის დახმარების გარეშე სასწავლებლის ეზოში ორიენტირება?
- 24; შეგასწავლათ ვინმემ სასწავლებლის გარემო, მისი ინფრასტრუქტურა?
- 25; ვინ გეხმარებათ სასწავლებლამდე მისვლაში?
- 26; ვინ გეხმარებათ სასწავლებლის ტერიტორიაზე ორიენტირებაში?
- 27; გაკმაყოფილებთ სასწავლო პროცესში თქვენი ჩართულობის ხარისხი?
- 28; როგორ ფიქრობთ, სასწავლო პროცესი, აკმაყოფილებს თქვენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებულ მოთხოვნებს?
- 29; რა სახის გაუნმჯობესებაა იმისათვის საჭირო, რომ სასწავლო პროცესში თქვენი ჩართულობა უფრო ხარისხიანი გახდეს?
- 30; თქვენი აზრით, რა არის ის უმთავრესი პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტად გაფერხებთ პროფესიული განათლების მიღების პროცესში?
- 31; ხელახლა რომ მოგიხდეთ არჩევანის გაკეთება, აირჩევდით იმავე სასწავლებელს, რომელშიც ამჟამად სწავლობთ?

32; შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ აირჩევდით იმავე სასწავლებელს, რომელშიც ამჟამად სწავლობთ?

33; პროფესიული განათლების პროცესის დაწყებამდე, რომ გქონოდათ, კომპეტენტური ორგანიზაციისაგან ან პირისაგან, კონსულტაციის მიღების საშუალება პროფესიულ განათლებაზე, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებაზე, თქვენი შესაძლებლობებისა და თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობაზე, ასევე- სხვა თანამდევ საკითხებზე, ისარგებლებდით ასეთი მომსახურებით?

34; რამეს ხომ არ დაამატებთ?

დანართი N3

კითხვარი პროფესიული განათლების უსინათლო კურსდამთავრებულებისათვის.
ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.

კითხვების რაოდენობა 33.

რესპონდენტების რაოდენობა 5.

კვლევის მიზანია, პროფესიული განათლების კურსდამთავრებული უსინათლოების მაგალითზე, ამ კატეგორიის პირების პროფესიულ კარიერაზე უსინათლოთა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების გავლენის საკითხის შესწავლა.

რესპოდენტები:

თეა- სქესი მდედრობითი, ასაკი 32 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

მიხეილი- სქესი მამრობითი, ასაკი 36 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

მარი- სქესი მდედრობითი, ასაკი 20 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

რევაზი- სქესი მამრობითი, ასაკი 33 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

ლექსო- სქესი მამრობითი, ასაკი 23 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

1; მხედველობის შეზღუდვის რა ოფიციალური სტატუსი გაქვთ დადგენილი?

პასუხები:

თეა- მკვეთრადგამოხატული.

მიხეილი- მკვეთრადგამოხატული.

მარი- მკვეთრადგამოხატული.

რევაზი- მკვეთრადგამოხატული.

ლექსო- მკვეთრადგამოხატული.

2; როგორია თქვენი მხედველობის ხარისხი?

პასუხები:

თეა- მე რომ ვხედავ იმას მცირემხედველობა არ ჰქვია. სულ ცოტას ვხედავ, ნუ ვთქვით ასე, რომ მაქვს ნარჩენი მხედველობა. ბავშვობიდან მაქვს შაქრიანი და უშაქრო დიაბეტი, რაც მხედველობის გაუარესებაზე აისახა.

მიხეილი- ვარ სრულიად უსინათლო.

მარი- სილუეტებს ვხედავ.

რევაზი- ტოტალურად უსინათლო ვარ.

ლექსო- ვარ მცირემხედველი.

3; რამდენად ეყრდნობით საკუთარ მხედველობას ყოფით სიტუაციებში?

პასუხები:

თეა- სახლის პირობებში კი, შემოდგომა დავეყრდნო საოჯახო ძალიან მარტივ საქმიანობაში ჩემს მხედველობას და სხვაგან არსად.

მიხეილი- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

მარი- სახლში დამოუკიდებელი ვარ. ვაწესრიგებ ჩემს ნივთებს, ჩემს ოთახს და ამაში მხედველობას ვეყრდნობი იმდენად, რამდენადაც ორიენტაციაში მეხმარება.

რევაზი- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

ლექსო- როგორ ვეყრდნობი ყოფით სიტუაციებში მხედველობას და ეგრე, რო გამცილებლის გარეშე დავდივარ ყველგან, შორიდან ვარჩევ შუქნიშანზე ფერებს, ტრანსპორტის ნომრებსაც კარგა შორიდან ვხედავ, სახეზე ვცნობ ადამიანებს და ეგრე რა.

4; შეგიძლიათ სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილება თქვენთვის უცხო გარემოში?

პასუხები:

თეა- არა, ვერა, ვერ გადავაადგილდები უცხო გარემოში მარტო, დახმარება მჭირდება.

მიხეილი- სხვისი დახმარების გარეშე უცხო გარემოში გადაადგილება მიჭირს.

მარი- თუ აუცილებელი გახდა და ძაან დამჭირდა შევძლებ ჩემთვის უცხო გარემოში გადაადგილებას ისე, რომ გამცილებელი არ მყავდეს.

რევაზი- უცხო გარემოში გადაადგილება შემოდგომა, მაგრამ არა ყველგან. ისიც იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ძალიან დავიძაბები. არის ადგილები, სადაც ვინმეს დაუხმარებლად ვერ ვიმოძრაებ, მაგალითად მეტრო.

ლექსო- კი, იმდენი მხედველობა მაქვს, რომ უცხო გარემოში გადაადგილებისას პრობლემა არ შემექმნას.

5; იყენებთ ხელჯოხს, როგორც გადაადგილებისათვის დამხმარე საშუალებას?

პასუხები:

თეა- კი შემასწავლეს ხელჯოხის გამოყენება, მაგრამ ვერ ვიყენებ. იცით რაშია საქმე, იმის გამო, რომ მე შაქრიანი და უშაქრო დიაბეტი მაქვს, წონასწორობის დაცვაც მიძნელებდა, სმენაც დაქვეითებულია და ჯოხის გამოყენება გადაადგილების დროს, ასეთ შემთხვევაში, მიზანშეუწონელია.

მიხეილი- დიახ, ქალაქში ან სხვაგან გადაადგილების დროს ვიყენებ ხელჯოხს.

მარი- ხელჯოხის გამოყენება ვიცი და თუ დამჭირდება გადაადგილებისათვის შემოდგომა მისი გამოყენება.

რევაზი- ხელჯოხს ვიყენებ, მაგრამ იშვიათად, მაშინ, როცა უცხო გარემოში ვარ.

ლექსო- ხელჯოხს არ ვიყენებ.

6; როგორ იყენებთ მხედველობას საქმიან აქტივობებში?

პასუხები:

თეა- სახლის გარეთ რაიმე საქმიანობაში მხედველობას ვერ ვიყენებ.

მიხეილი- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

მარი- საქმიან აქტივობებში მხედველობას ვერ ვიყენებ იმიტომ, რომ ძაან ისე ვხედავ სილუეტებს, ბუნდოვნად.

რევაზი- კითხვა არ დასმულა, რადგან ტოტალურად უსინათლოა.

ლექსო- საქმეში მხედველობა ძალიან მეხმარება. თითქმის ყველაფერში ვიყენებ მხედველობას. მაგალითად: ღებვაში, დურგლობაში, კომპიუტერთან მუშაობაში და სხვა რაღაცეებში.

7; შეგიძლიათ ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა?

პასუხები:

თეა- ბრტყელი, ანუ ჩვეულებრივი შრიფტი კი მაქვს შესწავლილი. სკოლაში ხომ მაგ შრიფტით ვწერდი და ვკითხულობდი. მაშინ, სასკოლო ასაკში, საკმარისი მხედველობა მქონდა. ვიცი წერა-კითხვა, მაგრამ არ შემიძლია, რადგან საკმარისი მხედველობა არ მაქვს.

მიხეილი- ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა არ შემიძლია.

მარი- ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა არ შემიძლია.

რევაზი- ვერ ვკითხულობ და ვერც ვწერ ბრტყელი შრიფტით. ხელის მოწერა შემიძლია.

ლექსო- კი, დიახ, შემიძლია თვალხილული შრიფტით წერა-კითხვა.

8; შეგიძლიათ ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა?

პასუხები:

თეა- ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა არ შემიძლია, არც ვიცი.

მიხეილი- ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა შემიძლია.

მარი- ბრაილის შრიფტით ვწერ და ვკითხულობ კიდევ.

რევაზი- რა თქმა უნდა, შემიძლია ბრაილის შრიფტით წერაც და კითხვაც.

ლექსო- შემიძლია ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა.

9; შეგიძლიათ ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება?

პასუხები:

თეა- კომპიუტერული ხმოვანი პროგრამები ვერ შევისწავლე და ვერ მივეჩვიე მათ გამოყენებას.

მიხეილი- კარგად ვიყენებ კომპიუტერულ ხმოვან პროგრამებს. ეგ მაგრად მეხმარება. აი, მაგითი ბევრ რამეს ვკითხულობ. სწავლაშიც კარგად გამომადგა. კომპიუტერის გამოყენებით ძალიან მაღალი ქულები მივიღე გამოცდებზე. მაქვს მობილური ტელეფონიც, მაგასაც კარგად ვიყენებ.

მარი- ანუ, კი, ხმოვანი კომპიუტერული პროგრამებით ვსარგებლობ.

რევაზი- ხმოვანი კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობა შემიძლია, თანაც- არცთუ ისე ცუდად.

ლექსო-

დიახ, დიახ, შემიძლია ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, მაგრამ არ მჭირდება, რადგან მყოფნის მხედველობა იმისათვის, რომ მათ გარეშეც ვიმუშაო კომპიუტერთან.

10; შეგიძლიათ კომპიუტერის კლავიატურის გამოყენებით ბეჭდვა?

პასუხები:

თეა- ხმოვანი პროგრამებით ვერ ვსარგებლობ, მაგრამ კომპიუტერის კლავიატურაზე ბეჭდვა შემიძლია. უბრალოდ დამახსოვრებული მაქვს, სად რომელი კლავიშია და ასე ვბეჭდავ.

მიხეილი- კომპიუტერზე ბეჭდვა შემოდის, ოღონდ ძაან ჩქარა ვერ ვაკეთებ.

მარი- კომპიუტერის კლავიატურაზე საკმაოდ კარგად ვბეჭდავ.

რევაზი- მიუხედავად ჩემი უსინათლობისა, კომპიუტერის კლავიატურით ბეჭდვა ნამდვილად შემოდის და არცთუ უხარისხოდ.

ლექსო- კი, რა თქმა უნდა, ვბეჭდავ კომპიუტერის კლავიატურით.

11; რა სპეციალობას დაეუფლეთ პროფესიულ სასწავლებელში?

პასუხები:

თეა- ოფისმენეჯერი- მდივანრეფერანტის პროფესიას დავეუფლე.

მიხეილი- დავეუფლე ოფისმენეჯერის ანუ მდივან-რეფერანტის სპეციალობას.

მარი- შეიძლება ითქვას, რომ დავეუფლე ოფისმენეჯერის სპეციალობას.

რევაზი- ოფისმენეჯერის პროფესია შევისწავლე.

ლექსო- ინფორმაციების ტექნოლოგი. მგონი ეგრე ქვია რა სპეციალობაც შევისწავლე. რაღაც კომპიუტერების ამბავია.

12;

რატომ აირჩიეთ კონკრეტულად ეს სპეციალობა?

პასუხები:

თეა- ჩამონათვალში არსებული პროფესიებიდან უსინათლოსათვის შესაფერი უფრო ეს იყო ოფისმენეჯერის პროფესია და ამიტომ ავირჩიე. ოფისმენეჯერის მოვალეობებში შედის სატელეფონო ზარების მიღება და აღრიცხვა და ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მივხვდი, რომ ეს იყო ჩემთვის შესაფერი პროფესია.

მიხეილი- ოფისმენეჯერის სპეციალობა იმიტომ ავირჩიე, რო ამის გაკეთებას შევძლებ. უსინათლოს ეს შეუძლია: უპასუხოს ტელეფონს, კონსულტაცია გაუწიოს მოქალაქეებს, ესაუბროს ხალხს.

მარი- ეს სპეციალობა, ანუ ოფისმენეჯერობა, იმიტომ ავირჩიე, რომ ჯერ ერთი, რა თქმა უნდა, მაინტერესებდა და მეორეც- მგონია, რომ ანუ, ჩემს მდგომარეობასთან მორგებულია უფრო. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ არის ხმოვანი კომპიუტერული პროგრამები და ამის საშუალებით გამიადვილდება მუშაობა. სპეციალობების ჩამონათვალშიც არ იყო ისეთი რამე რაც მისაღები იქნებოდა ჩემთვის.

რევაზი- ეს სპეციალობა იმიტომ ავირჩიე, რომ ჩემთვის ყველაზე შესაფერისად მიმაჩნია. ადამიანებთან ურთიერთობა არ მიჭირს, ვიცი მოსმენა და აზრსაც გასაგებად გადმოვცემ. კიდევ იმიტომ ავირჩიე ოფისის მენეჯერის პროფესია, რომ მივიჩნიე ამით სამუშაოს მოვძებნი-მეთქი.

ლექსო-

აი, ეს რა, ინფორმაციების ტექნოლოგის პროფესია იმისთვის ვირჩიე, რო მერე სამუშაოზე მოვწყობილიყავი. არა, თანაც მიყვარს კიდევაც კომპიუტერთან მუშაობა, მიზიდავს კომპიუტერი და რაღაც-რაღაც ინფორმაციების მოძიება.

13; იყავით ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სახის ბარიერების წინაშე აღმოჩნდებოდით იმ სპეციალობით დასაქმებასთან დაკავშირებით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლეთ?

პასუხები:

თეა- რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ სამუშაოს შოვნა ეგრე ადვილი არ იქნებოდა. ჩვენ უსინათლოებს კი არა, ჯანმრთელ ხალხს უჭირს სამუშაოს შოვნა. დაახლოებით იმაზეც მქონდა წარმოდგენა, რა ბარიერები დამხვდებოდა დასაქმების გზაზე. ჩვენ უსინათლოებს ხომ ისე გვიყურებენ, ამათ რა შეუძლიათ, ვარიანტში. აქედან გამომდინარე, იქმნება ბარიერები, მაგრამ მარტო ეს არაა, კიდევ ის, რომ დამსაქმებლებს არავითარი სტიმული არა აქვთ სამუშაოზე აიყვანონ უსინათლო.

მიხეილი- იმედი მქონდა, მართლა მქონდა იმის იმედი, რომ ჩემი სპეციალობით სამსახურს ვიშოვიდი. მაგრამ ისიც კი ვიცოდი, რომ ადვილი არ იყო ეს. არ გვენდობიან უსინათლოებს და ეს არი ყველაზე დიდი ბარიერი, ეს ადრევე ვიცოდი.

მარი- ანუ, ბარიერებზე კი ვიყავი ინფორმირებული მეტ-ნაკლებად. მესმოდა, რომ ჩემი დასაქმება ძნელი იქნებოდა. ანუ, ბარიერები ბევრი შემხვდებოდა. მაგალითად: რომ არ ჯერათ უსინათლოების, რომ არ არის ადაპტირებული გარემო, რომ არ ვჭირდებით ბიზნესმენებს და სხვა.

რევაზი- ბარიერები რომ დამაბრკოლებდნენ დასაქმებაში, ვიცოდი, აბა რა, მაგრამ რა უნდა მექნა? კერძო მეწარმეებს უსინათლო თანამშრომლები არ ესაჭიროებათ, ეგ კარგად ვიცოდი. ასეთი აზრი გაბატონებულია, რომ უსინათლოს მუშაობა ზარალიანია მეწარმისათვის, ეს ყველაფერი ცნობილი იყო ჩემთვის.

ლექსო- როგორ არ ვიყავი ინფორმირებული დასაქმებისთვის ბარიერები რომ მექნებოდა. მე ისეთი გამოხატული უსინათლოც არა ვარ, მაგრამ მეც უნდობლად რომ შემომხედავდნენ ბიზნესმენები გასაგები იყო ჩემთვის.

14; გქონდათ მოლოდინი, რომ როგორც უსინათლოები, შეღავათებით ისარგებლებდით სამუშაოს შესრულებისას?

პასუხები:

თეა: „სამუშაოს შესრულებისას, შეღავათები უსინათლოებისთვის ვფიქრობ საჭირო არაა. მოვალეობა მათაც ისევე უნდა შეასრულონ როგორც ყველამ. ერთი ეგ არი რო, თუ მოხდება სამუშაო გარემოს ადაპტირება, აი, ასეთი შეღავათი შეიძლება.“.

მიხეილი: „მე პირადად მუშაობისას შეღავათს არ მოვითხოვ, სხვებიც ალბათ ეგრე მოიქცევიან. საქმე უსინათლომაც ისევე უნდა გააკეთოს როგორც სხვამ.“.

მარი: „არამგონია, რომ საჭირო იყოს რამენაირი შეღავათი უსინათლოსათვის თავისი საქმის, თავისი სამუშაოს შესრულების დროს.“.

რევაზი: „თუ მუშაობს დაწესებულებაში უსინათლოც ისეთივე თანამშრომელი უნდა იყოს როგორც სხვა და შეღავათი არ უნდა მიეცეს ამ კუთხით.“.

ლექსო: „შეღავათი კი არა, ისე არავინ გვასაქმებს. საქმე თუა საქმე უნდა იყოს უსინათლოსთვისაც და ყველასთვის, ამაში შეღავათი ზედმეტია.“.

15; მიგაჩნიათ, რომ კონკურენტუნარიანი ხართ შრომის ბაზარზე?

პასუხები:

თეა- რაღაცნაირად რაღაცას მოვახერხებ. ტელეფონზე საუბარი შემიძლია, ისეც შემიძლია ადამიანებს ნორმალურად ველაპარაკო, ოფისის საქმეს, რაც მენეჯერს ეხება, გავაკეთებ და არა ვარ კონკურენტუნარიანი? რა ვიცი მგონი ვარ.

მიხეილი- საბუთებია, თუ განცხადების მიღებაა, თუ საუბარი ან ტელეფონზე პასუხის გაცემაა შემიძლია და ოფისმენეჯერის მოვალეობები ესაა. მე ვფიქრობ, რომ ვარ კონკურენტუნარიანი.

მარი- ანუ, შევძლებ მუშაობას, მე მჯერა, რომ შევძლებ. დიახ, შეიძლება ბევრი ჩემზე უკეთესიც იყოს, მაგრამ ოფისის მენეჯერობას მეც შევძლებ. კონკურენციაში შესვლა შემიძლია, ანუ ასე მიმაჩნია.

რევაზი- კონკურენტუნარიანი ვარ. ასე რომ არ მეფიქრა, ამ სპეციალობას არ ავირჩევდი. კი ვარ კონკურენტუნარიანი, მაგრამ ერთი წელია ამ სპეციალობით ვერ დავიწყე მუშაობა. კი შევასრულებ ჩემს სამუშაოს, მაგრამ ადგილი ვერ ვიშოვე.

ლექსო- შემიძლია სხვებს კონკურენცია გავუწიო. ხანდახან ისეთ ინფორმაციებს გამოვქვეყნებ-ხოლმე ინტერნეტში თვითონაც მიკვირს ეგ როგორ გამომდის. ინფორმაციების ტექნოლოგიის საქმე მეტი რა არი? შევძლებ მუშაობას, დიახ, მაგრამ მაინც უფრო მეტი ცოდნაა საჭირო. უსინათლომ რომ სხვას კონკურენცია გაუწიოს ათი თავით მაღლა უნდა იდგეს იმაზე.

16; რამდენი ხანია, რაც დაასრულეთ სწავლა პროფესიულ სასწავლებელში?

პასუხები:

თეა- სკოლის შემდეგ ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩავაბარე და ის მაქვს დამთავრებული. ამის მერე, პროფესიულ სასწავლებელში ვისწავლე და ორი წელი იქნება, რაც იქ სწავლა დავასრულე.

მიხეილი- ერთი წელიწადია, რაც დავასრულე სწავლა პროფესიულ სასწავლებელში, ცოტა მეტი.

მარი- ერთი წელია, რომ პროფესიული კოლეჯი დავამთავრე.

რევაზი- გავიდა უკვე ერთი წელი მას შემდეგ, რაც პროფესიულში სწავლას მოვრჩი.

ლექსო- წელიწადზე ცოტათი მეტი იქნება, რო დავამთავრე სწავლა კოლეჯში.

17; დასაქმებული ხართ იმ სპეციალობით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლეთ?

პასუხები:

თეა- იმ პროფესიით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დავეუფლე დასაქმებული არა ვარ. საერთოდაც არა ვარ დასაქმებული არცერთი პროფესიით. ორი წელიწადია დავასრულე სწავლა პროფესიულში და ვერ დავიწყე მუშაობა.

მიხეილი- უმუშევარი ვარ. რომელიც ვისწავლე იმ პროფესიით ვცადე დასაქმება და ჯერჯერობით ერთი წელია არაფერი გამოვიდა აქედან.

მარი- ვერა, სამსახურის დაწყება ჯერ ვერ მოვახერხე და მაგის იმედი არცვი მაქ., რომ იმ პროფესიით რაც შევისწავლე, სამუშაოს მოვნახავ.

რევაზი- ვმუშაობ, მაგრამ არა იმ სპეციალობით, რომელიც კოლეჯში შევისწავლე, ოფისის მენეჯერის ადგილი ვერსად ვნახე. ვმუშაობ სხვა რამეზე ძალიან მცირე ხელფასი მეძლევა. შეიძლება ითქვას, ვითომ ვმუშაობ.

ლექსო- იმ სპეციალობით არ ვარ დასაქმებული, რომელიც პროფესიულ სასწავლებელში ვისწავლე. მაგით, რომ სამსახურს ვიშოვი, არცა მგონია. ვმუშაობ, ხან რაზე და ხან რაზე, რაც ჩამივარდება ხელში იმ საქმეს ვაკეთებ.

18; უმუშევრობის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ თანდათანობით გაუარესდეს თქვენი პროფესიული კვალიფიკაცია?

პასუხები:

თეა- კიდევ თუ გაგრძელდება ჩემი უმუშევრობა, რომელიც ორი წელიწადია უკვე გრძელდება, კვალიფიკაციას დავკარგავ აბა რა იქნება.

მიხეილი- მა, რა იქნება გაუარესდება ჩემი კვალიფიკაცია, თუ კიდევ ასე დავრჩი უმუშევარი, მა, რა იქნება.

მარი- ეგ, ეხლა, რა თქმა უნდა, გაუარესდება მომზადებაც და კვალიფიკაციაც, თუ ადამიანი დიდ ხანს დარჩება უმუშევარი. ვინც არ უნდა იყოს იგი უსინათლო თუ თვალები არაა. მეც ეგრე მომივა, თუ ესე უმუშევარი დავრჩი.

რევაზი- რა თქმა უნდა, ასე მოხდება, კვალიფიკაციასაც დავკარგავ და თუ რამე ვიცი, ისიც დამავიწყდება, ოფისმენეჯერის ადგილზე თუ არ ვიმუშავებ.

ლექსო- ჩემით რაღაცეებს ვაკეთებ, ვცდილობ ფორმაში ვიყო, მაგრამ სამსახური თუ არ გამომიჩნდა იმ სპეციალობით, რაც კოლეჯში ვისწავლე, ბევრი რაღაცა დამავიწყდება. ისე ბევრი არც მისწავლია იმ კოლეჯში, ნახევარჯერ ტყუილად ვიჯექი, იქაც ჩემით ვჩალიჩობდი რაღაცეებს, ჩემით ვეძებდი და ჩემით ვაკეთებდი, რასაც ვაკეთებდი.

19; რა პრობლემები აფერხებს უსინათლოთა დასაქმების პროცესს?

პასუხები:

თეა- პრობლემებს ცოტათი უკვე შევხე, მაგრამ ახლა ვეცდები უფრო დავაკონკრეტო. ერთი რა ეკონომიკა არ არის ქვეყანაში განვითარებული და უსინათლოებს კი არა, ჯანმრთელებს უჭირთ სამუშაოს შოვნა, მეორე რა საზოგადოებაში მაინც არის აზრი უსინათლოების უუნარობაზე, სახელმწიფოც ისე არაა დაინტერესებული, როგორც უნდა იყოს, როგორც აცხადებენ, იმით, რომ დაასაქმონ შ.შ.მ. პირები. მე ვიცი, რა ევროპაში, ვისაც უნდა მუშაობა, ყველა უსინათლო დასაქმებულია. აქაც უნდა რაღაც ისეთი სპეციალობები შემოვიდეს, რომელსაც გამოვიყენებთ უფრო რეალურად.

მიხეილი- პრობლემების მეტი რა არი. მე იმას ვიტყვი, რომ უსინათლოებიც უნდა უფრო მაგრად მოემზადონ, უფრო უნდა კარგად შეისწავლონ ის საქმე რაც მერე უნდა აკეთონ, თორემ აქ ისეთი ამბავია, ვინ მოგცემს სამსახურს, თუ ძლიერი არ იქნები საქმეში.

მარი- პრობლემა, რის გამოც უსინათლოებს გვიჭირს დასაქმება, ბევრია. რაშიც ძლიერები ვართ, იმ საქმეში სამუშაოს ვერ ვშოულობთ. იმაზე ვლაპარაკობ, რა ანუ ამ დროში რამდენი ქოლცენტრია და იქ ხომ შეგვიძლია დაუყვედრებლად მუშაობა, მაგრამ ამისთვის ალბათ მომზადება გვჭირდება უფრო მეტად. პრობლემაა რა სწავლა-მომზადებაშიც.

რევაზი- ჩვენ რომ ვერ გადავწყვეტთ ისეთი პრობლემაც ბევრია უსინათლოების დასაქმების კუთხით და არის ისეთი პრობლემებიც, რომ ზოგიერთი მაინც უსინათლომ, ვისაც მუშაობა უნდა, თვითონ გადაჭრას. მაგალითად ჩვენ მეტი

მონდომება, სწავლა და კვალიფიკაცია გვჭირდება, რომ ვიშოვოთ სამსახური ვიდრე სხვას. ამიტომ უფრო მეტი უნდა ვისწავლოთ. თუმცა, მხოლოდ ეს არ გვიშველის, თუ ხალხი არ დაგვეხმარა და მთავრობამ ცოტა მეტად არ მოგვხედა.

ლექსო- პრობლემაა რო რაც ვისწავლეთ კოლეჯებში, ვერ ვიყენებთ ცხოვრებაში, ვერ ვმუშაობთ. რა გვიშლის ხელს და რომელი პრობლემა? ერთი ან ორი ვერ გამოიყოფა. სუმთლიანადაა ბევრი რამე შესაცვლელი. ჯერ იმით უნდა დაიწყო, რო პროფესიულ კოლეჯებში უსინათლოები მარტო მოწმეებივით კი არ უნდა იყვნენ, უნდა ისწავლონ კიდევ ნამდვილად და მერე ექნებათ მეტი შანსი რომ იმუშაონ.

20; მიღებული გამოცდილების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, გამართლებულია თქვენი პროფესიული არჩევანი?

პასუხები:

თეა- კი, მგონი გამართლებულია ჩემი არჩევანი.

მიხეილი- გამართლებულია, აბა, რა.

მარი- კი, დიახ, გამართლებულია.

რევაზი: გაამართლა ვითომ? არა მგონია.

ლექსო: არ გაამართლა, აი, მაგრად არ გაამართლა.

21; მიღებული გამოცდილების შემდგომ, შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ არის (არ არის) გამართლებული თქვენი პროფესიული არჩევანი?

პასუხები:

თეა-

იმ ჩამონათვალში რაც არის, სხვა რა შეიძლებოდა კიდევ, აბა, რა ვიცი. სხვა რა პროფესია უნდა ამერჩია? გამართლებულია ამით, რომ ოფისმენეჯერის პროფესიის გარდა მაშინ ვერაფერი გადავწყვიტე, რო ამერჩია”.

მიხეილი-

ამ ოფისმენეჯერობაზე უკეთესი სხვა რამე პროფესია არ იყო და ეგ ავირჩიე. ამიტომაც ჩემი არჩევანი გამართლებული..

მარი- ანუ, გამართლებული გამოდის იმით, ანუ, რომ უფრო მისაღები ჩემთვის პროფესია არ გამოჩნდა კოლეჯებში.

რევაზი-

იმიტომ არ გაამართლა ჩემმა არჩევანმა, რო... აბა, როგორ გაამართლა, როცა ერთი წელი გავიდა და ამ სპეციალობით ვერ ვიშოვე სამსახური. არ უნდა ამერჩია ოფისის მენეჯერის პროფესია.

ლექსო-

იმიტომ, რო ამით მე არ ვმუშაობ. ამ ინფორმაციის ტექნოლოგობა სხვა რაში მინდა თუ არ ვიმუშავე? სახლში და ტელეფონზე, ისედაც ვერთობი ინტერნეტში და რაც მინდა და მომწონს ისედაც ვაკეთებ.

22; ხართ დაინტერესებული, რომ დაეუფლოთ სხვა პროფესიას?

პასუხები:

თეა- რატომაც არა, შევისწავლიდი სხვა პროფესიასაც.

მიხეილი- დიახ, ვისწავლი კიდევ ერთ პროფესიას. ის ისეთი თუ იქნება, რომ გამომადგეს და რომ შევძლო მისი დაუფლება. ჯერ არ ვმუშაობ და დრო კი მაქვს.

მარი- რად მინდა კიდევ ერთი პროფესია, თუ სამუშაო არ მექნება?

რევაზი- დაინტერესებული იმით ვარ, რომ სამსახური მქონდეს ნამდვილი და თუ არ იქნება დასაქმება, ახალი პროფესია რაში გამოვიყენო?

ლექსო- მე კი, დაინტერესებული ვარ კიდევ რამე პროფესია ავითვისო. მიყვარს სწავლა და ახალი რამეების გაგება. მუშაობა უფრო მჭირდება, მაგრამ უსწავლელად არ გამოვა ეგ ამბავი.

23; რომ მოგეცეთ ისეთი პროფესიის დაუფლების საშუალება, რომელიც სხვა პროფესიებთან შედარებით, უფრო მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და მეტად შეესაბამება უსინათლოთა შრომით უნარებს, დაინტერესდებით მისი შესწავლით?

პასუხები:

თეა- სულ მაგას არ ვამბობ, რომ იყოს რამე ისეთი პროფესია, რომელიც უფრო შესაბამისი იქნებოდა დღევანდელი მდგომარეობისათვის და ჩემი შესაძლებლობებისთვის უფრო მიზანშეწონილი, დავინტერესდებოდი და შევისწავლიდი კიდევაც ასეთ პროფესიას.

მიხეილი- დიახ, აბა, რა, დავინტერესდებოდი ისეთი პროფესიით, რომელიც ჩემთვის უფრო იქნებოდა, რო იტყვიან ზედგამოჭრილი და თუ ბაზარზეც იქნებოდა მოთხოვნილი, ხო უკეთესი და უკეთესი. დიახ ვისწავლიდი მაშინ კიდევ ერთხელ. მე მყავს მეგობარი, რომელმაც ორი თუ სამი პროფესია შეისწავლა. მეც მოვახერხებ რამეს.

მარი- ეგეთი პროფესია თუ იქნება, რო ანუ, მეც შემეფერებოდეს და ბაზარსაც, კი, ბატონო ვისწავლი. ჯერ ოცი წლის ვარ და დრო მაქვს მაგისთვის.

რევაზი- დავინტერესდებოდი მაგისთანა პროფესიით, შევისწავლიდი, დავეუფლებოდი, თუ მომეწონებოდა. ჯერ ხო არ ვიცი რა არი ან რა იქნება ეგ პროფესია?

ლექსო- აბა რას ვიზამ, დავინტერესდები თუ მექნა საშუალება რო ვისწავლო ისეთი პროფესია, რაც უკეთ გამომადგება დასაქმებისთვის და მეც რო შევძლებ მაგის ათვისებას. ვისწავლი თუ შემხვდა ეგეთი სადმე, რომელიმე კოლეჯში, თუ გავიგე, რომ არი ეგეთი რაღაც.

24; მიგაჩნიათ, რომ პროფესიული განათლება არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი პროფესიული კარიერის წარმატებული განვითარებისათვის?

პასუხები;

თეა- დიახ, ეს ნამდვილად ასეა, პროფესიული განათლება აუცილებელია კარიერის წარმატებულად გაგრძელებისათვის.

მიხეილი- ნაღდად ასეა, ნაღდად პროფესიული განათლება არის მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ მერე კაცმა იმუშაოს წარმატებით, მაგრამ მხოლოდ ეგ რო არაა საკმარისი ესეც ნაღდაა.

მარი- დიახ, კი, ბატონო, უმნიშვნელოვანესია პროფესიული კარიერისთვის პროფესიული განათლება, ანუ ამაზე ორი აზრი არაა.

რევაზი- იმდენად ცხადია, რომ პროფესიული განათლება მნიშვნელოვანია კარიერის სწორად წასაყვანად, ეხლა რას ვგულისხმობ, კარგი მუშაობისათვის, რომ ამას კითხვაც არ უნდა, ეს ასეა.

ლექსო- აქსიომაა ეგა. რო ვთქვა პროფესიული განათლება უმნიშვნელოა-მეთქი წარმატებისთვის საქმეში, ვინ დამიჯერებს? ამიტომ ვიძახი, რომ პროფესიულ განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რო პროფესიულად იმუშაოს კაცმა, თუ ქალმა, მოკლედ- ადამიანმა. მაგრამ ეს განათლება მაშინაა მნიშვნელოვანი, თუ ნამდვილად აქვს კაცს. თუ მარტო მოწმობა აქვს ეგ იმდენად არაფერია. თუმცა მაგასაც აქვს მნიშვნელობა.

25; პროფესიულ კოლეჯში სწავლის პერიოდში გაკმაყოფილებდათ სასწავლო პროცესში თქვენი ჩართულობის ხარისხი?

პასუხები:

თეა- ამაზე, როგორ ვთქვა, ერთი მხრივ მაკმაყოფილებდა ჩემი ჩართულობა სასწავლო პროცესში, რადგან რაც შემეძლო ყველაფერში ვმონაწილეობდი, მაგრამ მეორე კუთხით, უკეთესადაც მოხერხდებოდა პროცესში ჩართვა და მონაწილეობა, რომ აი, სახელმძღვანელოთი ვყოფილიყავი უზრუნველყოფილი. მე უფრო გამომადგებოდა ხმოვანი ანუ დიქტოფონზე ან სხვა ხმის ჩამწერით ჩაწერილი წაკითხული სასწავლო სახელმძღვანელო. ეს არ მქონდა და დედას, ხან მამას უწევდა ჩემთვის კონსპექტების წაკითხვა. იმ კონსპექტებს სასწავლებლიდან მატანდნენ.

მიხეილი- მაკმაყოფილებდა, თუ არა, ეგ როგორ ვთქვა რო მაკმაყოფილებდა. აი, ბრაილის სახელმძღვანელო რომ მქონოდა მაშინ კიდე ჰო. ბრაილით ნაბეჭდ სასწავლო სახელმძღვანელოზე ვამბობ. ეხლა, უკმაყოფილოც არა ვარ. ნუ რაც იყო- იყო. ხო ვისწავლე და....

მარი- სწავლაში ჩემი ჩართულობა? კი მგონი დამაკმაყოფილებელი იყო და რატო? იმიტომ, რომ მე მამლევდნენ თვალხილულად ამობეჭდილ სასწავლო მასალას, მერე მოვდიოდი სახლში, ვიწერდი ამ ყველაფერს ბრაილით და მერე ვსწავლობდი. მე მერჩივნა, რომ ჩემით წამეკითხა და ამიტომაც ვიწერდი ბრაილით, თორემ ისე დედასაც შეეძლო ჩემთვის წაკითხვა.

რევაზი-

ეს საქმე ასე იყო: მე მგონი, სასწავლო პროცესში მთლად სრულყოფილად ვერ ვიყავი ჩართული. მგონი არა, ნამდვილად ასე იყო. ყველაფერს კი ვისმენდი, სხვებთან ერთად, მაგრამ მასწავლებლები, თითქოს მზოგავდნენ, ბევრს არ მეკითხებოდნენ. მათ იცოდნენ, რომ სასწავლო სახელმძღვანელოებს ვერ ვიყენებდი და ამიტომაც მიწევდნენ შეღავათს.

ლექსო- ჩართული კი ვიყავი სწავლაში, მაგრამ ეხლა უფრო კარგადაც შეიძლებოდა რომ ჩართული ვყოფილიყავი. ვიცი მე სხვა უსინათლოების

მდგომარეობა მაგ ამბავში. წიგნები არ ქონდათ და სასწავლო სახელმძღვანელოები. მე ეგენი მქონდა იმიტომ, რომ ფლემჰაზე ვიწერდი და კომპიუტერის ეკრანზე ვკითხულობდი. მაგდენს ვხედავ. მაგრამ მაინც ვერ იყო საქმე ისე კარგად. არ იყო რა სწავლა, როგორც ალბათ უნდა ყოფილიყო.

26; მიღებული გამოცდილების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, პროფესიულ სასწავლებელში სწავლის დროს, სასწავლო პროცესი, აკმაყოფილებდა თქვენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებულ მოთხოვნებს?

პასუხები:

თეა- ისევ იგივეს გამეორება მიწევს და ბოდიში! სხვანაირად ვერ ვიტყვი, სახელმძღვანელო მქონდა დაკონსპექტებული ამას მიკეთებდნენ და მატანდნენ სახლში. იქ კი, დედა მიკითხავდა, არაა ეს ადვილი საქმე. რომ მქონოდა ჩაწერილი ხმოვანი ვერსია ამ სახელმძღვანელოების გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ვერ ვიტყვი ვერა, რომ ჩემი საჭიროებები დაკმაყოფილებული იყო სწავლის პროცესში.

მიხეილი- კარგია, რო უსინათლოს თვითონ ჰქონდეს სასწავლო მასალის წაკითხვის საშუალება. ასე უფრო კარგად გაიაზრებს. ამისთვის კი, სახელმძღვანელოებია საჭირო, ჩემთვის ის იყო უკეთესი, რომ სახელმძღვანელო მქონოდა ბრაილით. მაშინ კი, ამის საშუალება არიყო. ლექციებს ფლემჰაზე ვაკოპირებდი და მერე სახლში ვუსმენდი. ამიტომ მგონია, რომ არ იყო ჩემი საგანმანათლებლო სპეციალური საჭიროებები დაკმაყოფილებული. ნუ, რაღაც დონეზე იყო, მაგრამ სრულად არა.

მარი- ნუ, მეტ-ნაკლებად, კი, სასწავლო პროცესი აკმაყოფილებდა ჩემ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს. ხმოვანი პროგრამა იყო, რა თქმა უნდა, კომპიუტერში ჩატვირთული, ბრაილის წიგნები და რაღაცა არ იყო, რაც შეეძლოთ, იმ ფარგლებში დიახ, კი მეტნაკლებად დაკმაყოფილებული იყო.

რევაზი- მე მჭირდებოდა ბრაილის შრიტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები. ეს სახელმძღვანელოები, ალბათ შემდეგ სხვებსაც გამოადგებოდათ, რომ ყოფილიყო. იმათ გამოადგებოდათ, ვინც იმავე პროფესიას შეისწავლიდა, რაც მე ვისწავლე, ვგულისხმობ სხვა უსინათლოებს. ლექციების ჩასაწერად, სასწავლებელში გადმომცეს დიქტოფონი, მაგრამ იმ პირობით, რომ მას სასწავლებლიდან არ გავიტანდი ანუ შინ არ წავიღებდი. სასწავლებელში, დამატებით რამდენიმე საათის განმავლობაში დარჩენა, ჩანაწერების მოსმენა და დავალებების მომზადება, ძალიან ძნელი იყო. ამიტომ, აჯობებდა, თუ ამ დიქტოფონს სახლში გამატანდნენ, მაგრამ ამაზე უარი მითხრეს. იყო კიდევ ასეთი სირთულე, თავიდან მიჭირდა სასწავლებელში მისვლა. მერე დამინიშნეს გამცილებელი მობილობის ტრენერი. ამასობაში დრო გავიდა და ბევრიც გამიცდა. რა ვთქვა ახლა, ხომ ვერ ვიტყვი დაკმაყოფილებული იყო-მეთქი ჩემი სასწავლო-საგანმანათლებლო მოთხოვნები? არ იყო საკმარისად დაკმაყოფილებული.

ლექსო- ჩემი საგანმანათლებლო მოთხოვნები იმ პროფესიულში სადაც ვისწავლე ასე იყო, თუ ისე, დაკმაყოფილებული იყო. მე ბევრი არაფერი განსაკუთრებები არც მჭირდებოდა.

27; რა სახის გაუნმჯობესებაა იმისათვის საჭირო, რომ პროფესიული სწავლების პროცესში უსინათლო ადამიანის ჩართულობა უფრო ხარისხიანი გახდეს?

პასუხები:

თეა- რომ გაუნმჯობესდეს პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოების ჩართულობა, მე მაგალითად ასე მგონია, რომ ვინც არ იცის იმას ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების შესწავლაში უნდა დაეხმარონ და რაც ყველაზე უფრო საჭიროა და აუცილებელი, ესაა რომ სახელმძღვანელოები უნდა იყოს, აი, როგორც ამბობენ-ხოლმე, ყველასათვის ხელმისაწვდომი.

მიხეილი- აუცილებელია სწავლის დაწყებამდე მომზადდეს სახელმძღვანელოები ბრაილის შრიფტით ან თუნდაც ელექტრო კომპიუტერული.

მარი- რავი, აბა? ანუ, ისეთი რა გაუნმჯობესება უნდა გაკეთდეს, რომ უსინათლოს გაუადვილდეს სასწავლო პროცესში ჩართვა? ხმოვანი პროგრამები უკვე არის, ყველაფრის მოძიება შეიძლება, ა, ხო, ანუ, კარგი იქნება, თუ სახელმძღვანელოები, ვისაც დაჭირდება, იმისთვის ბრაილით დაიბეჭდება, ან კიდევ, მაგალითად, თუ ვინმეს დაჭირდება, ვთქვათ, ფლემკებზე, რომ მიეცეს წინასწარ, სანამ სწავლა დაიწყება, უფრო სწორად, სწავლის დასაწყისშივე და არა მერე უკვე შუა სწავლაში.

რევაზი- სასწავლო პროცესში უსინათლოების მონაწილეობა თუ ჩართულობა მაშინ გაუნმჯობესდება, როცა მათ დროზე ექნებათ სახელმძღვანელოები იმ ვარიანტში, რომელიც მათთვისაა საჭირო. ეხლა რას ვგულისხმობ, იმას, რომ ვისაც უნდა- იმას ქონდეს ბრაილით, ვისაც ხმოვანი- იმას ასეთი და ვისაც ფლემკაზე- იმასაც მიეცეს. ოღონდ, ეს თავისდროზე უნდა გაკეთდეს.

ლექსო- მე ვფიქრობ ამას, რო უსინათლოებს არ ჭირდებათ მეტისმეტი ლოლიაობა. მათ ჭირდებათ დახმარება იმაში, რომ სხვებივით პირობები შეექმნათ. თუ ასე იქნება, გაუნმჯობესდება უსინათლოების სწავლაში ჩართვა.

28; მიღებული გამოცდილების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, რა იყო ის უმთავრესი პრობლემა, რომელმაც ყველაზე მეტად დაგაბრკოლათ პროფესიული განათლების მიღების პროცესში?

პასუხები:

თეა- პრობლემა, რომელიც აბრკოლებს სწავლაში უსინათლოებს ჩემი აზრით ისაა, რომ ბევრი მათგანი დამოუკიდებლად ვერ მეცადინეობს. ესაა ყველაზე მძაფრად გამოხატული. პრობლემაა ისევე ის, რომ არ არიან სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი.

მიხეილი- პრობლემა ისევე და ისევე სახელმძღვანელოების არქონაა.

მარი- არვიცი ეხლა, რა უნდა იყოს ის უმთავრესი პრობლემა, რაც უსინათლო სტუდენტებს სწავლაში აფერხებს. მაგრამ, მაინც, მაინც, ალბათ, ყველაზე დიდი პრობლემაა, აი, სახელმძღვანელოები რომ არ არის. სხვა- რავიცი... არა, კიდევ გარემოა სასწავლებელში არაადაპტირებული, ამასაც უნდა მიხედვა.

რევაზი- უსინათლოების სწავლის შემაფერხებელ მთავარ პრობლემად მაინც ის მიმაჩნია, რომ არ არის სახელმძღვანელოები, არც ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი და არც ხმოვანი ჩანაწერი. ამიტომ, სრულიად უსინათლოსათვის სწავლა უფრო ძნელია, ვიდრე სხვა სტუდენტისთვის.

ლექსო- ძნელია იმის გამოყოფა, რა უშლის უსინათლოებს სწავლაში ხელს. ერთი და უმთავრესის გამოყოფაა ძნელი. და ისე ბევრი პრობლემაა. მაგალითად: მასწავლებლები ძაან ისე არიან რა უსინათლოების მიმართ, რბილად, მაგრამ იმათმაც რა ქნან, იციან, რო უსინათლოებს უჭირთ სწავლა იმით კი არა, რომ არ შეუძლიათ, იმით, რომ პირობები არა აქვთ. პირობები არაა უსინათლოებისთვის შექმნილი, რო ისწავლონ. ისე კი, ყველას უნდა რომ უსინათლოებმაც ისწავლონ პროფესიულებში, მაგრამ რომ უნდათ, პირობებიც უნდა შეუქმნან უსინათლოებს.

29; იმ შემთხვევაში, თუ დაგჭირდებათ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება ან ახალი პროფესიის დაუფლება, აირჩევთ იმავე პროფესიულ სასწავლებელს, რომელშიც სწავლობდით?

პასუხები:

თეა- დიახ იმავე სასწავლებელს ავირჩევდი, სადაც ვსწავლობდი.

მიხეილი- ისევ იმავე სასწავლებელს ავირჩევ, თუ დამჭირდა.

მარი-

იგივე სასწავლებელს ავირჩევდი თავიდან რომ მომიხდეს სწავლის დაწყება, თუნდაც სხვა სპეციალობაზე.

რევაზი- თუ საჭირო იქნა ჩემთვის იმავე სასწავლებელს ავირჩევ კვლავაც.

ლექსო- იმავე სასწავლებელს, სადაც უკვე ვისწავლე აღარ ავირჩევ, თუ აუცილებელი არ იქნა იმ შემთხვევაში.

30; შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ აირჩევდით (ან არ აირჩევდით) იმავე პროფესიულ სასწავლებელს, რომელშიც სწავლობდით?

პასუხები:

თეა- იმიტომ, ძირითადად, რომ იმ სასწავლებელში, სადაც მე ვსწავლობდი, უკვე იცნობენ უსინათლოთა პრობლემებს, აი, ამიტომ ავირჩევდი ისევ იმ სასწავლებელს.

მიხეილი- იმავე სასწავლებელს ავირჩევდი ისევ, რადგან აქ გულთბილი მასწავლებლები არიან. არ გამომარჩევენ სხვისგან იმით, რომ მე უსინათლო ვარ.

მარი- დიახ, შემძლია გითხრათ, თუ რატომ ავირჩევდი საჭირო თუ იქნებოდა იმავე სასწავლებელს, სადაც ვისწავლე. პირველ რიგში, იმიტომ, რომ სიტუაცია იქ არის დამაკმაყოფილებელი, ვგულისხმობ, ანუ, რომ მასწავლებლები კარგად არიან განწყობილები, მეხმარებოდნენ ყველაფერში და კიდევ რა? ნუ ის კი, რომ მაინც ახლა გარემო არ არის ჩვენთვის უსინათლოებისთვის მოწყობილი, მაგრამ რა ვქნათ?!

რევაზი- იმ სასწავლებელს, რომელშიც ვსწავლობდი, ისევ იმიტომ ავირჩევ, თუ ამის საჭიროება შემექმნა, რომ იქ უკვე მიცნობენ, ჩემდამი კარგად არიან განწყობილები და ასე შემდეგ.

ლექსო- არ ავირჩევ იმ კოლეჯს, რომელშიც ვსწავლობდი იმისათვის, რომ ახალში, სხვაში მინდა რო ვისწავლო, რა თქმა უნდა, თუ ასეთი რამე დამჭირდა. აი, იმიტომ არ ავირჩევ, თორემ ისე რამე პრობლემა კი არ მაქ იმ სასწავლებელთან, სადაც ვსწავლობდი.

31; რა სახის კონსულტაციის მიღებას ისურვებდით პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით?

პასუხები:

თეა- კონსულტაცია საჭიროა. რა სახის კონსულტაცია მჭირდება და ისეთი, რომ დამეხმაროს დასაქმებაში და იმ სიძნელების დამღევაში, რაც სამუშაოს მოძიებასთან არის კავშირში.

მიხეილი- სწორ გზაზე რომ დამაყენებს ისეთ კონსულტაციას ვისურვებდი. ესეიგი, რო მირჩევენ რა ვისწავლო და მერე რაში გამოვიყენო.

მარი- ანუ, ასე ვიტყვი: კონსულტაცია მაშინაა საჭირო, როცა გამოსადეგია რამეში. ვისურვებდი დასაქმებაში გამოსადეგი კონსულტაციის, თუ რჩევის მიღებას.

რევაზი- ვისურვებ, მირჩიოს ვინმემ ისეთი რა პროფესია ვნახო, რომ მუშაობაც შევძლო მაგ პროფესიით. ესაა თემასთან დაკავშირებული პასუხი, თორემ ისე რჩევა ბევრ სხვა რამეშიც საჭიროა.

ლექსო- მაღლობელი ვიქნები, თუ ვინმე გამაგებინებს სად მოვძებნო მაღალხელფასიანი სამსახური და რა უნდა გავაკეთო ამისთვის, რო ასეთი სამსახური ვიპოვო.

32; თუ იქნება საკონსულტაციო ცენტრი ან კომპეტენტური კონსულტანტი, რომელიც მოგაწვდით ინფორმაციას და გაგიწევთ კონსულტაციას პროფესიულ განათლებაზე, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებაზე, თქვენი შესაძლებლობებისა და თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობაზე, ასევე- სხვა თანამდევ საკითხებზე მიმართავთ მას დახმარებისათვის?

პასუხები:

თეა- ასეთი რაღაც ადრე რო ყოფილიყო კარგი იქნებოდა. თუ შემდგომში იქნება ორგანიზაცია რამე, ან ვინმე რომელიმე ორგანიზაციაში, რომ კონსულტირებისთვის მიმართვა შესაძლებელი იყოს, აუცილებლად მივმართავ რჩევისთვის, როცა ამის საჭიროებას ვიგრძნობ.

მიხეილი- უნდა ვიცოდე, სად იქნება ეგ ცენტრი, ბიურო, თუ რაღაც და მაშინ მივაკითხავ დახმარებისთვის. ხან ისედაც არი რო რაღაცას გახსნიან და ვისაც ჭირდება იმან არ იცის სად არი რაც ჭირდება.

მარი- კი, ბატონო, კი, ბატონო, აუცილებლად მივმართავ დახმარებისთვის, მაგრამ უფრო მისაღები იქნებოდა, რომ ტელეფონითაც იყოს შესაძლებელი

კონსულტაციის მიღება. ეს იმიტომ, რომ ანუ მიხვალ ორგანიზაციაში და ხან ერთი არ დაგხვდება ადგილზე და თუ არი კიდე, არ ცალია იმდროს და ასე, რომ არ იყოს კარგია ტელეფონის საშუალებით გასაუბრება. თუ ვერ დაიჭერ კონსულტანტს და ერთი დარეკვა იქნება ზედმეტად გაკეთებული და სხვა არაფერი.

რევაზი- რომ იყოს ასეთი დახმარება, ნამდვილად ვისარგებლებდი ამით.

ლექსო- რჩევას მივიღებდი, თუ ნამდვილად იქნება ასეთი დახმარება და არა ისა, რომ ვითომ არის და თვითონაც არ იციან რას ამბობენ, ვის რას ურჩევენ, თუ აკონსულტირებენ. ისე მეც შემიძლია ამ პროფესიულებისა და უსინათლოების ამბავში რაღაც რჩევების მიცემა სხვებისთვის.

33; რამეს ხომ არ დაამატებთ?

პასუხები:

თეა- ერთს დავამატებ, რომ უსინათლოთა პროფესიულ სწავლებაზე ზრუნვა კარგია, მაგრამ თუ დასაქმება არ იქნება მაშინ ფუჭი გამოდის. ამაზე ქვეყანამ უნდა იზრუნოს, ისეთი სპეციალობები უნდა ისწავლებოდეს, რაც დასაქმებისათვის რეალურად გამოსადეგი იქნება. ეს სწავლა არ უნდა იყოს მარტო სწავლისთვის. აი, დავამატე, რავიცი რა გამოვა?!

მიხეილი- დავამატებ, რო კარგი იქნება, თუ ის უსინათლოები, ვინც ძირითადად სახლშია და გარეთ არ გამოდის, მივლენ პროფესიულ კოლეჯში და რაიმე სპეციალობას ისწავლიან. და კიდევ ერთი- ვინც პროფესიას დაეუფლება, მერე რო დასაქმდეს, რომ ცოდნა არ შემოიღოს თაროზე.

მარი-

ანუ, რას დავამატებდი იმას რაც ვილაპარაკე და ისაა, რომ მე თვითონ ვიყავი ამ მდგომარეობაში, მაგრამ ეს დავძლიე ასე ვთქვათ და ყველა უსინათლოს ვურჩევდი, რომ არ ჩაიკეტონ და გამოვიდნენ და ვისაც უნდა ისწავლონ კიდევ.

რევაზი-

ერთ იმას დავამატებ: ვისაც შეუძლია იზრუნოს უნდა იმაზე, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულმა უსინათლოებმა იმუშაონ კიდევ თავიანთი სპეციალობებით. და დიდი მადლობა თქვენ!

ლექსო- საინტერესო საუბარი იყო ჩვენ შორის. მადლობა და ეგებ რამე გამოსავალი მოინახოს დასაქმების მიზნით.

კითხვარი პროფესიული განათლების უსინათლო კურსდამთავრებულებისათვის.

კვლევის მიზანია უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და მათი პროფესიული კარიერის განვითარების საკითხების შესწავლა პროფესიული განათლების უსინათლო კურსდამთავრებულების მაგალითზე.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.

კითხვების რაოდენობა 33.

რესპონდენტების რაოდენობა 5.

რესპოდენტები:

თეა- სქესი მდედრობითი, ასაკი 32 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

მიხეილი- სქესი მამრობითი, ასაკი 36 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

მარი- სქესი მდედრობითი, ასაკი 20 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

რევაზი- სქესი მამრობითი, ასაკი 33 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

ლექსო- სქესი მამრობითი, ასაკი 23 წელი, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

1; მხედველობის შეზღუდვის რა ოფიციალური სტატუსი გაქვთ დადგენილი?

2; როგორია თქვენი მხედველობის ხარისხი?

3; რამდენად ეყრდნობით საკუთარ მხედველობას ყოფით სიტუაციებში?

4; შეგიძლიათ სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილება თქვენთვის უცხო გარემოში?

5; იყენებთ ხელჯოხს, როგორც გადაადგილებისათვის დამხმარე საშუალებას?

6; როგორ იყენებთ მხედველობას საქმიან აქტივობებში?

7; შეგიძლიათ ბრტყელი შრიფტით წერა-კითხვა?

8; შეგიძლიათ ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა?

9; შეგიძლიათ ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება?

10; შეგიძლიათ კომპიუტერის კლავიატურის გამოყენებით ბეჭდვა?

11; რა სპეციალობას დაეუფლეთ პროფესიულ სასწავლებელში?

12; რატომ აირჩიეთ კონკრეტულად ეს სპეციალობა?

13; იყავით ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სახის ბარიერების წინაშე აღმოჩნდებოდით იმ სპეციალობით დასაქმებასთან დაკავშირებით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლეთ?

14; გქონდათ მოლოდინი, რომ როგორც უსინათლოები, შეღავათებით ისარგებლებდით სამუშაოს შესრულებისას?

15; მიგაჩნიათ, რომ კონკურენტუნარიანი ხართ შრომის ბაზარზე?

16; რამდენი ხანია, რაც დაასრულეთ სწავლა პროფესიულ სასწავლებელში?

17; დასაქმებული ხართ იმ სპეციალობით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლეთ?

- 18; უმუშევრობის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ თანდათანობით გაუარესდეს თქვენი პროფესიული კვალიფიკაცია?
- 19; რა პრობლემები აფერხებს უსინათლოთა დასაქმების პროცესს?
- 20; მიღებული გამოცდილების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, გამართლებულია თქვენი პროფესიული არჩევანი?
- 21; მიღებული გამოცდილების შემდგომ, შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ არის (არ არის) გამართლებული თქვენი პროფესიული არჩევანი?
- 22; ხართ დაინტერესებული, რომ დაეუფლოთ სხვა პროფესიას?
- 23; რომ მოგეცეთ ისეთი პროფესიის დაუფლების საშუალება, რომელიც სხვა პროფესიებთან შედარებით, უფრო მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და მეტად შეესაბამება უსინათლოთა შრომით უნარებს, დაინტერესდებით მისი შესწავლით?
- 24; მიგაჩნიათ, რომ პროფესიული განათლება არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი პროფესიული კარიერის წარმატებული განვითარებისათვის?
- 25; პროფესიულ კოლეჯში სწავლის პერიოდში გაკმაყოფილებდათ სასწავლო პროცესში თქვენი ჩართულობის ხარისხი?
- 26; მიღებული გამოცდილების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, პროფესიულ სასწავლებელში სწავლის დროს, სასწავლო პროცესი, აკმაყოფილებდა თქვენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებულ მოთხოვნებს?
- 27; რა სახის გაუნმჯობესებაა იმისათვის საჭირო, რომ პროფესიული სწავლების პროცესში უსინათლო ადამიანის ჩართულობა უფრო ხარისხიანი გახდეს?
- 28; მიღებული გამოცდილების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, რა იყო ის უმთავრესი პრობლემა, რომელმაც ყველაზე მეტად დაგაბრკოლათ პროფესიული განათლების მიღების პროცესში?
- 29; იმ შემთხვევაში, თუ დაგჭირდებათ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება ან ახალი პროფესიის დაუფლება, აირჩევთ იმავე პროფესიულ სასწავლებელს, რომელშიც სწავლობდით?
- 30; შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ აირჩევდით (ან არ აირჩევდით) იმავე პროფესიულ სასწავლებელს, რომელშიც სწავლობდით?
- 31; რა სახის კონსულტაციის მიღებას ისურვებდით პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით?
- 32; თუ იქნება საკონსულტაციო ცენტრი ან კომპეტენტური კონსულტანტი, რომელიც მოგაწვდით ინფორმაციას და გაგიწევთ კონსულტაციას პროფესიულ განათლებაზე, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებაზე, თქვენი შესაძლებლობებისა და თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის თავსებადობაზე, ასევე- სხვა თანამდევ საკითხებზე მიმართავთ მას დახმარებისათვის?
- 33; რამეს ხომ არ დაამატებთ?

დანართი- 4.

კითხვარი უსინათლოთა პროფესიული განათლების ექსპერტებისათვის.

კვლევის მიზანია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა მონაწილეობის საკითხის შესწავლა დარგის ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.

კითხვების რაოდენობა- 16.

რესპოდენტი- პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პარტნიორობის განვითარების სამმართველოს უფროსი- მარიამ ზაქარეიშვილი.

1; რამდენი ხანია, რაც საქართველოში უსინათლოები ჩართულნი არიან პროფესიული განათლების პროცესში? პასუხი: საქართველოში, ამ ფორმატით, პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოები 2013 წლიდან ჩაერთვნენ.

2; რამდენმა უსინათლომ მიიღო პროფესიული განათლება? პასუხი: დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენმა უსინათლომ მიიღო საქართველოში პროფესიული განათლება, სამწუხაროდ, მე არ გამაჩნია.

3; საქართველოს მაშტაბით, რამდენი პროფესიული სასწავლებელია, რომელშიც უსინათლოებმა მიიღეს პროფესიული განათლება? პასუხი: როგორც ჩემთვის ცნობილია, დღეისათვის, უსინათლოებმა პროფესიული განათლება მიიღეს საქართველოში არსებულ ოთხ პროფესიულ სასწავლებელში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ცნობა საჭიროებს გადამოწმებას.

4; რამდენი პროფესიული სასწავლებელია საქართველოში, სადაც ფიზიკური გარემო ადაპტირებულია უსინათლოთა სპეციალური საჭიროებების შესაბამისად? პასუხი: საქართველოში იმ პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, სადაც ფიზიკური გარემო ადაპტირებულია უსინათლოთა სპეციალური საჭიროებების შესაბამისად, შეადგენს ოთხს, აქედან ორი სასწავლებელი მდებარეობს თბილისში.

5; საკმარისად არის მხარდაჭერილი პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის პროგრამები? პასუხი: უსინათლოთა მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის პროგრამები ზოგადად, მხარდაჭერილია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იყო პრობლემები, რაც ძირითადად, უკავშირდებოდა ამ პროცესის ორგანიზებას. პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოების მობილობის მხარდაჭერის პროცესი, ზოგ შემთხვევაში, სასწავლო პერიოდთან შედარებით, გარკვეული ხნით დაგვიანებით იწყებოდა. უახლოეს მომავალში ეს პრობლემა მოგვარდება, სასწავლებელს, რომელშიც ჩარიცხულია უსინათლო სტუდენტი, თითოეულ უსინათლო სტუდენტზე, ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ჩაერიცხება დამატებით 1000 ლარი, რაც საშუალებას

მისცემს სასწავლებლის ადმინისტრაციას, რომ გააუმჯობესოს უსინათლოთა მობილობის მხარდაჭერის პროცესი.

6; პროფესიული განათლების პროცესში ჩართული უსინათლოები უზრუნველყოფილნი არიან მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოებით? პასუხი: უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესში დღემდე არ იყო შეტანილი სასწავლო სახელმძღვანელოების აუდიო და ბრაილის შრიფტის ვერსიები. შესაძლებელი იყო უსინათლო სტუდენტების უზრუნველყოფა, მხოლოდ ელექტრონულ-ციფრული ფორმატის სახელმძღვანელოებით, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემის გადაჭრისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. უკვე ჩაწერილია 26 სასწავლო სახელმძღვანელოს ხმოვანი ვერსია და ეს სახელმძღვანელოები მალე მიეწოდებათ პროფესიული განათლების პროცესში ჩართულ უსინათლოებს.

7; პროფესიული განათლების პროცესში, რამდენად არის დაკმაყოფილებული უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებული მოთხოვნები? პასუხი: გაგვიჭირდება იმის თქმა, რომ პროფესიულ განათლებაში სრულად არის დაკმაყოფილებული უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებული მოთხოვნები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

8; რამდენად დამაკმაყოფილებელია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა ჩართულობის ხარისხი? პასუხი: 2013 წლიდან მოყოლებული, რაც პროფესიული განათლების პროცესში ჩაერთვნენ უსინათლოები, მათი ამ პროცესში მონაწილეობის ხარისხი თანდათან უნმჯობესდება. მიმაჩნია, რომ ამ დროისათვის, იგი დამაკმაყოფილებელია.

9; როგორია პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოების აკადემიური მიღწევები? პასუხი: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოების აკადემიური მოსწრება საკმაოდ დამაჯერებელი და სასწავლო მიზნებთან შესაბამისია.

10; ფინანსურ-მატერიალური რესურსით საკმარისად არის უზრუნველყოფილი უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესი? პასუხი: ჩვენს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ვთვლი, რომ დღეისათვის უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესის ფინანსურ მატერიალური უზრუნველყოფა დამაკმაყოფილებელია.

11; საკმარისად არის მხარდაჭერილი პროფესიული განათლების ბენეფიციარი უსინათლოების ტრანზიციის პროცესი? პასუხი: პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოების დასაქმების პროცესი გარკვეულ დონეზე მხარდაჭერილია, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის საკმარისი. ამ კუთხით, საჭიროა მეტი მუშაობა და აქტიურობა.

12; არსებული მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტად, რომელი პროფესიის შესწავლით არიან დაინტერესებულნი პროფესიულ განათლებაში ჩართული

უსინათლოები? პასუხი: რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ამ კატეგორიის პირთა შორის, მაინც უფრო მეტად პოპულარულია ოფისის მენეჯერის პროფესია და აგრეთვე – კომპიუტერული სისტემების ტექნოლოგიის სპეციალობა.

13; ფლობთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ტოტალური უსინათლობის მქონე, რამდენი უსინათლო დასაქმდა იმ პროფესიით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლა? პასუხი: სამწუხაროდ, არ ვფლობ ინფორმაციას იმაზე, თუ რამდენი უსინათლო დასაქმდა იმ პროფესიით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლა. უბრალოდ, ვვარაუდობ, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებული უსინათლოების დასაქმების მაჩვენებელი არ იქნება მაღალი.

14; როგორ ფიქრობთ, უახლოეს პერიოდში, შესაძლებელია საქართველოში, პროფესიულ განათლებაში, სხვა ქვეყნებში აპრობირებული მაგალითების გათვალისწინებით, სპეციალური სასწავლო პროგრამების სახით, ისეთი პროფესიების სწავლების შეტანა, რომლებიც მეტად შეესაბამება უსინათლოთა საგანმანათლებლო შესაძლებლობებს და შრომით უნარებს? პასუხი: პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამებში ისეთი სპეციალობების შეტანა, რომლებიც უფრო მისადაგებულია უსინათლოთა შესაძლებლობებთან, კარგი იდეაა, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის, რომ პროფესიულ განათლებაში სტუდენტის მომზადება ხდება ბაზარზე არსებული მოთხოვნის მიხედვით. თუ იქნება დაკვეთა, რომ რომელიმე ორგანიზაციას ესაჭიროება ამა, თუ იმ სფეროში, უსინათლო სპეციალისტი ან სპეციალისტები, შესაძლებელია პროფესიული მომზადების მოკლე ვადიანი პროგრამების ორგანიზება. ამ მიმართულებით უკვე ჩატარდა გარკვეული სამუშაო და სულ მალე დაიწყება ასეთი პროგრამების განხორციელება, ჯერჯერობით, პროექტების სახით.

15; რამდენად დამაკმაყოფილებელია საქართველოში უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადების ორგანიზების ხარისხი? პასუხი: ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში დამაკმაყოფილებელია უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადების ხარისხი. აქ ნამდვილად გვაქვს პრობლემა. ამ საკითხს მეტი ყურადღება სჭირდება.

16; რამეს ხომ არ დაამატებთ? პასუხი: გმადლობთ, რომ ატარებთ საჭირო კვლევას. ჩვენ სიამოვნებით გავაგრძელებთ თქვენთან თანამშრომლობას.

კითხვარი პროფესიული განათლების ექსპერტებისათვის.

კვლევის მიზანია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა ჩართულობის საკითხის შესწავლა დარგის ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.

კითხვების რაოდენობა- 16.

რესპოდენტი- პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების სამმართველოს თანამშრომელი მაია ცულაძე.

1; რამდენი ხანია, რაც საქართველოში უსინათლოები ჩართულნი არიან პროფესიული განათლების პროცესში? პასუხი: 2013 წლიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მეთოდოლოგიური და ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიული განათლების სისტემაში. აღნიშნული პერიოდიდან, სხვადასხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ შორის მხედველობის სირთულეებით, შესაძლებლობა აქვთ წელიწადში 2-ჯერ ჩაერთონ ფორმალურ პროფესიულ განათლებაში.

2; რამდენმა უსინათლომ მიიღო პროფესიული განათლება? პასუხი:

არსებულ მონაცემთა ბაზის მიხედვით, 2013 წლიდან დაახლოებით 54 სხვადასხვა ტიპის მხედველობის სირთულის მქონე პირი ჩაერთო პროფესიულ განათლებაში (აქედან 1 2017 წლის გაზაფხულის მიღებაზე), თუმცა შესაძლოა, ყველა ჩარიცხულ პირს არ ჰქონდეს დასრულებული პროფესიული განათლების მიღება.

3; საქართველოს მასშტაბით, რამდენი პროფესიული სასწავლებელია, რომელშიც უსინათლოებმა მიიღეს პროფესიული განათლება? პასუხი:

არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით, 2013 წლიდან მოყოლებული, მხედველობის სირთულეების მქონე პირები ძირითადად 13 სხვადასხვა სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში ირიცხებოდნენ.

4; რამდენი პროფესიული სასწავლებელია საქართველოში, სადაც ფიზიკური გარემო ადაპტირებულია უსინათლოთა სპეციალური საჭიროებების შესაბამისად? პასუხი:

რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, საქართველოს მასშტაბით, 5 პროფესიულ სასწავლებელში უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით არის გარემო ადაპტირებული, რაც თავის მხრივ მხედველობის სირთულეების მქონე პირებისთვის არსებული გარემოს ადაპტაციებსაც მოიცავს.

5; საკმარისად არის მხარდაჭერილი პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტების მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის პროგრამები? პასუხი: მასწავლებლის სახლს აქვს ტრენინგები მობილობასა და სივრცით ორიენტაციაში, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სპეციალისტებისთვის. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიულ სასწავლებელს აქვს შესაძლებლობა დაიქირაოს მობილობისა და სივრცითი

ორიენტაციის სპეციალისტი მხედველობის სირთულეების მქონე ინდივიდუალური პირისთვის.

6; პროფესიული განათლების პროცესში ჩართული უსინათლოები უზრუნველყოფილნი არიან მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოებით? პასუხი: ამჟამად პროფესიული პროგრამების 27 სახელმძღვანელოსთვის არის შექმნილი აუდიო ვერსია. 2017 წელს 26 სახელმძღვანელოს აუდიო ვერსიის შექმნა დაგეგმილი.

7; პროფესიული განათლების პროცესში, რამდენად არის დაკმაყოფილებული უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებული მოთხოვნები? პასუხი: პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სწავლის პროცესში ისარგებლონ დამხმარე კომპიუტერული ხმოვანი პროგრამით და ასევე, სპეციალისტის დახმარებით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული პროგრამის გამოყენებას ასწავლის. როგორც უკვე ზემოთაც მოგახსენეთ, პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტებისთვის ყოველწლიურად მზადდება ხმოვანი სახელმძღვანელოები. ასევე, სამინისტროს მიერ მოხდა დამხმარე ტექნიკური მოწყობილობების შეძენა, როგორცაა პორტაბელური ვიდეო გამადიდებელი და ბრაილ დისკლეი. იგეგმება ბრაილის დისკლეისთვის ქართულენოვანი პროგრამული უზრუნველყოფის გაკეთება.

გარდა ამისა, პროფესიული განათლების უსინათლო სტუდენტებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების სპეციალისტის და ასისტენტის მხარდაჭერით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ.

8; რამდენად დამაკმაყოფილებელია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა ჩართულობის ხარისხი? პასუხი: არ ვფლობ ინფორმაციას უშუალოდ სასწავლო პროცესში უსინათლო პირების ჩართულობის ხარისხის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია, პროფესიული სასწავლებლების სპეციალისტებს ექნებათ.

9; როგორია პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოების აკადემიური მიღწევები? პასუხი: სამწუხაროდ, არ ვფლობ აღნიშნულის შესახებ ზუსტ ინფორმაციას, თუმცა, არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით, კვალიფიკაცია 19-მა პირმა მიიღო, ბაზაში მითითებული იყო, რომ მათი უმეტესობა ჯერ სწავლის პროცესშია. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეტმა პირმა მიიღო კვალიფიკაცია, რაც თავის მხრივ, კარგ აკადემიურ მიღწევებს გულისხმობს (სხვანაირად კვალიფიკაციის მინიჭება არ ხდება).

10; ფინანსურ-მატერიალური რესურსით საკმარისად არის უზრუნველყოფილი უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესი? პასუხი: 2017 წლიდან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის გაზრდილ ვაუჩერს უზრუნველყოფს. აღნიშნული თანხა, სტუდენტებისთვის სწავლა-სწავლებისთვის საჭირო ხელშეწყობების უზრუნველსაყოფად გამოიყენება. ხოლო ხელშეწყობების განსაზღვრა, ინდივიდუალურად, ცალკეული სტუდენტის საჭიროებების მიხედვით ხდება.

11; საკმარისად არის მხარდაჭერილი პროფესიული განათლების ბენეფიციარი უსინათლოების ტრანზიციის პროცესი? პასუხი: ამჟამად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ზოგადიდან- პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციისა და პროფესიული ორიენტაციის პროცესის გაძლიერებაზე, რაც თავის მხრივ, უსინათლო პირების ტრანზიციის ხელშეწყობასაც გულისხმობს.

12; არსებული მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტად, რომელი პროფესიის შესწავლით არიან დაინტერესებულნი პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოები? პასუხი:

არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით, მხედველობის სირთულეების მქონე პირები, საკმაოდ განსხვავებულ პროფესიულ პროგრამებს ირჩევენ.

13; ფლობთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ტოტალური უსინათლობის მქონე, რამდენი უსინათლო დასაქმდა იმ პროფესიით, რომელსაც პროფესიულ სასწავლებელში დაეუფლა? პასუხი: არ ვფლობ ზუსტ ინფორმაციას. არსებულ მონაცემთა ბაზაში, მხედველობის სირთულეების მქონე 8 პირზეა მითითებული, რომ დასაქმდა, თუმცა აღნიშნულ ბაზაში, მხედველობის სირთულეების მქონე სტუდენტების დიდ ნაწილთან მითითებულია, რომ ჯერ სწავლის პროცესშია. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მეტი პირი დასაქმდა. ამასთანავე, არ ვფლობ ინფორმაციას, თუ დასაქმებული პირებიდან, რამდენია ტოტალური უსინათლობის მქონე.

14; როგორ ფიქრობთ, უახლოეს პერიოდში, შესაძლებელია საქართველოში, პროფესიულ განათლებაში, სხვა ქვეყნებში აპრობირებული მაგალითების გათვალისწინებით, სპეციალური სასწავლო პროგრამების სახით, ისეთი პროფესიების სწავლების შეტანა, რომლებიც მეტად შეესაბამება უსინათლოთა საგანმანათლებლო შესაძლებლობებს და შრომით უნარებს? პასუხი: მოგახსენებთ, რომ საქართველოში პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების დანერგვა, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მეთოდოლოგიური მხარდაჭერით მოხდა. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სწორედ ნორვეგიული გამოცდილებით ხელმძღვანელობდა. სწორედ მათი რეკომენდაცია იყო, არ მომხდარიყო პროგრამებზე შეზღუდვების დაწესება, დიაგნოზების მიხედვით და პროფესიული განათლების მიღების მსურველი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, თანაბრად ხელმისაწვდომი ყოფილიყო სხვადასხვა პროფესიული პროგრამები. მიმაჩნია, რომ როდესაც პროფესიული ორიენტაციის და ტრანზიციის პროცესი გაძლიერდება, პროფესიული განათლების მსურველ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის მხედველობის სირთულეების მქონე აპლიკანტებს, მეტად ინფორმირებული და მათთვის საუკეთესო არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მიეცემათ, რაც თავის მხრივ, პროგრამებზე რაიმე ზოგადი შეზღუდვების დაწესების საჭიროებას მოხსნის.

15; რამდენად დამაკმაყოფილებელია საქართველოში უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადების ორგანიზების ხარისხი? პასუხი პროფესიული განათლების წინარე მომზადება, კვლავაც აქტუალურ საკითხს წარმოადგენს არამარტო უსინათლო, არამედ ზოგადად, ყველა მოსწავლესთან და ზრდასრულთან მიმართებაში. აღნიშნული მიმართულების გაძლიერება, ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა.

16; რამეს ხომ არ დაამატებთ? პასუხი: გმადლობთ, საჭირო კვლევაა.

კითხვარი პროფესიული განათლების ექსპერტებისათვის.

კვლევის მიზანია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა ჩართულობის საკითხის შესწავლა კონკრეტული პროფესიული სასწავლებლის (პროფესიული კოლეჯი „სპექტრი“ მაგალითზე).

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.

კითხვების რაოდენობა 15.

რესპოდენტი- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი- მეგი ხუნაშვილი.

1; რამდენი ხანია, რაც სასწავლებელში უსინათლოები ჩართულნი არიან პროფესიული განათლების პროცესში? პასუხი: ჩვენს სასწავლებელში უსინათლოებმა სწავლა 2014 წლის შემოდგომის სემესტრიდან დაიწყეს. გამოდის, რომ მესამე წელი სრულდება, რაც ამ სასწავლებელში უსინათლოები სწავლობენ.

2; რამდენმა უსინათლომ მიიღო სასწავლებელში პროფესიული განათლება? პასუხი: სამი წლის განმავლობაში, საერთო ჯამში, ჩვენს სასწავლებელში ჩაირიცხა სულ შვიდი უსინათლო. აქედან ხუთმა- მიიღო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი; ორმა- სწავლის დასრულება ვერ შეძლო გაცდენების კრიტიკული რაოდენობის გამო. გაცდენები, ძირითადად, გამოწვეული იყო მათი პირადი პრობლემებით.

3; სასწავლებელში ფიზიკური გარემო ადაპტირებულია უსინათლოთა სპეციალური საჭიროებების შესაბამისად? პასუხი- ძნელია იმის თქმა, რომ სასწავლებელში ფიზიკური გარემო სრულად არის ადაპტირებული უსინათლოთა სპეციალური საჭიროებების შესაბამისად, მაგრამ, ძირითადად, ეს პრობლემა მოგვარებულია. სასწავლებლის შენობის დერეფნებში მოწყობილია რელიეფური ბილიკები და კედლების გამყოლი სახელურები უსინათლოთა ორიენტაციისათვის. შენობის კიბეების ბაქნებზე და მოსახვევებში გაკეთებულია რელიეფური მანიშნებლები. ზოგი ოთახის კარზე დამაგრებულია ბრაილის შრიფტით დაწერილი აბრა, სადაც მოცემულია ოთახის ნომერი.

4; სასწავლებელში საკმარისად არის მხარდაჭერილი უსინათლო სტუდენტების მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის პროგრამები? პასუხი: მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის მხარდაჭერის კუთხით, იყო პრობლემები, რაც ამ პროცესის დაგვიანებით დაწყებაში გამოიხატებოდა. ხშირად, ვერ ხერხდებოდა უსინათლოსათვის მობილობის ტრენერის თავისდროზე გამოყოფა. დაგვიანება არ

იყო სასწავლებლის მიზეზით გამოწვეული, ეს უკავშირდებოდა დაფინანსებას და სპეციალისტის დანიშვნის პროცედურებს. თუმცა, მას შემდეგ, რაც მობილობის ტრენერი დაინიშნებოდა, პროცესი გამართულად მიმდინარეობდა და ამ მხრივ, შეფერხება არ იყო.

5; პროფესიული განათლების პროცესში ჩართული უსინათლოები უზრუნველყოფილნი არიან მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო სახელმძღვანელოებით? პასუხი: რაც შეეხება უსინათლო სტუდენტების ადაპტირებული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას, აქ საქმე ასეა, რომ ყველა მათგანს ვაწვდით სახელმძღვანელოს ელექტრონულ ვერსიას, მაგრამ ყველას არ შეუძლია ხმოვანი კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობა და ასეთ შემთხვევაში გვაქვს პრობლემები, რადგან ჯერჯერობით, ვერ ვახერხებთ სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიისა და ბრაილის შრიფტით მომზადებას.

6; პროფესიული განათლების პროცესში, რამდენად არის დაკმაყოფილებული უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებული მოთხოვნები? პასუხი: შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს სასწავლებელში უსინათლოთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით განპირობებული მოთხოვნები, მხოლოდ ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული. მაგრამ ისიც უნდა დავამატო, რომ ამ მხრივ, მდგომარეობა ყოველწლიურად უმჯობესდება და გვაქვს იმედი, რომ შემდგომში ყველა პრობლემას გადავწყვეტთ.

7; რამდენად დამაკმაყოფილებელია პროფესიული განათლების პროცესში უსინათლოთა ჩართულობის ხარისხი? პასუხი: ის უსინათლოები, რომლებმაც ამ სასწავლებელში მიიღეს განათლება ან ახლაც აქ სწავლობენ, აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში. არის, რა თქმა უნდა, გამონაკლისი შემთხვევებიც, მაგრამ ეს არ აისახება ძირითად მდგომარეობაზე.

8; როგორია პროფესიულ განათლებაში ჩართული უსინათლოების აკადემიური მიღწევები? პასუხი: უსინათლოთა აკადემიურ მოსწრებაზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მხრივ, არ გვაქვს ცუდი შედეგი. ზოგიერთი მათგანი მაღალი აკადემიური მოსწრებითაც გამოირჩევა.

9; ფინანსურ-მატერიალური რესურსით საკმარისად არის უზრუნველყოფილი უსინათლოთა პროფესიული განათლების პროცესი? პასუხი: ჩვენს სასწავლებელში უსინათლოთა პროფესიული განათლება ფინანსურად უზრუნველყოფილია იმ ფარგლებში, რა დაფინანსებაც ჩვენ გაგვაჩნია ამ მიზნით, სახელმწიფოსაგან. თუ გაიზრდება დაფინანსება, რა თქმა უნდა, ამ კუთხით, მდგომარეობა გაუმჯობესდება.

10; საკმარისად არის მხარდაჭერილი პროფესიული განათლების ბენეფიციარი უსინათლოების ტრანზიციის პროცესი? პასუხი: სასწავლებელში მუშაობს პროფესიული კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი. პოტენციურ დამსაქმებლებთან გვაქვს კონტაქტი, მაგრამ ძნელია იმის თქმა, რომ საკმარისად არის მხარდაჭერილი უსინათლოთა დასაქმების პროცესი.

11; არსებული მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტად, რომელი პროფესიის შესწავლით არიან დაინტერესებულნი ამ კონკრეტული სასწავლებლის უსინათლო

სტუდენტები? პასუხი: იმ ხუთი უსინათლო სტუდენტიდან, ვინც ჩვენთან მიიღო პროფესიული განათლება, ოთხმა- ოფისის მენეჯერის პროფესია შეისწავლა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ყველაზე მოთხოვნადი, ოფისის მენეჯერის სპეციალობაა.

12; ფლობთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ტოტალური უსინათლობის მქონე, რამდენი პირი დასაქმდა პროფესიით, რომელსაც ამ სასწავლებელში დაეუფლა? პასუხი: იმის შესახებ, თუ ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებული რამდენი უსინათლოა დასაქმებული იმ სპეციალობით, რომელიც ამ სასწავლებელში შეისწავლა, ოფიციალური მონაცემები სამწუხაროდ არ გაგვაჩნია. ჩვენი პირადი კონტაქტების მეშვეობით კი ვიცით, რომ სამწუხაროდ არცერთი ტოტალური უსინათლო არ არის დასაქმებული იმ პროფესიით, რომელიც ამ სასწავლებელში შეისწავლა.

13; როგორ ფიქრობთ, უახლოეს პერიოდში, შესაძლებელია საქართველოში, პროფესიულ განათლებაში, სხვა ქვეყნებში აპრობირებული მაგალითების გათვალისწინებით, სპეციალური სასწავლო პროგრამების სახით, ისეთი პროფესიების სწავლების შეტანა, რომლებიც მეტად შეესაბამება უსინათლოთა საგანმანათლებლო შესაძლებლობებს და შრომით უნარებს? პასუხი: თუ პროფესიულ განათლებაში შეტანილი იქნება უსინათლოთა შესაძლებლობებზე მორგებული სპეციალობების სწავლება, ეს ძალიან კარგი იქნება და სწავლების პროცესის ფარგლებში ჩვენც შევიტანთ წვლილს, ჩვენი მუშაობით.

14; რამდენად დამაკმაყოფილებელია საქართველოში უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადების ორგანიზების ხარისხი? ამ მხრივ, საჭიროა მუშაობა. ჩვენს სასწავლებელში მოსულ უსინათლოს, წინასწარ, ვაცნობთ რამდენიმე სპეციალობას, ვაძლევთ საშუალებას, რომ თვითონ აირჩიოს, თუ რომელი სპეციალობის დაუფლება სურს, მაგრამ ეს ხომ არ არის მისი პრეპროფესიული მომზადება? ეს სამუშაო უფრო ადრე უნდა ჩატარდეს, იქამდე, ვიდრე უსინათლო ჩვენი სასწავლებლის სტუდენტი გახდება.

15; რამეს ხომ არ დაამატებთ? პასუხი: მადლობა, რომ ასეთ საჭირო საკითხზე მუშაობთ. ჩვენ კი, მზად ვართ, რომ კვლავაც ვიმუშაოთ უსინათლოთა ინკლუზიაზე პროფესიულ განათლებაში.

დანართი N5 .

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროფესიათა ჩამონათვალი

#

პროფესიების ჩამონათვალი

- 1 ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი
- 2 აგრობიზნესისპროფესიულიპროგრამა
- 3 აგროლოჯისტიკისოპერატორი
- 4 ავტომობილისზეინკალი
- 5 ავტომობილისშემკეთებელიელექტრო-ტექნიკოსი
- 6 ბაგა-ბაღისაღმზრდელიპედაგოგი
- 7 ბარმენი
- 8 ბიბლიოთეკარი
- 9 ბუღალტერი
- 10 გამყიდველ-კონსულტანტი
- 11 გიდი
- 12 დურგალი
- 13 ელექტრიკოსი
- 14 ელექტრომექანიკოსი
- 15 ელექტრონულიდაციფრულიხელსაწყოებისდიაგნოსტიკოს-შემკეთებელი
- 16 ელმავლისმემანქანე
- 17 ექთნისთანაშემწე
- 18 ვებპროგრამისტი
- 19 ვებტექნოლოგიები
- 20 ვეტერინარია
- 21 ზეინკალი
- 22 ზეინკალ-სანტექნიკოსი
- 23 ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მებოცვრეობა, მეფრინველეობადაა .შ)
- 24 ინფორმაციულიტექნოლოგი
- 25 კალატოზისმოსამზადებელიპროგრამა
- 26 კომპიუტერულიგრაფიკადაანიმაცია
- 27 კომპიუტერულიქსელებისადასისტემებისტექნიკოსი
- 28 კომპიუტერულიქსელისადმინისტრატორი
- 29 კონდიტერი
- 30 ლითონმცოდნე, ხარისხისკონტროლისსპეციალისტი
- 31 მებათქაშისმოსამზადებელიპროფესიულიპროგრამა
- 32 მებაღე (დეკორატიულიმცენარეების)
- 33 მეფილე-მომპირკეთებელი
- 34 მეფუტკრეობა
- 35 მექანიკისინჟინერიისტექნიკოსი
- 36 მზარეული

- 37 მიმღები-რეცეფციონისტი
- 38 მოლარე
- 39 მღებავი
- 40 მშენებლობისმწარმოებელი
- 41 მცირეზონისმწარმოებლისპროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამა
- 42 მძიმესამშენებლოტექნიკის (ავტოგრიდერი, სატვირთველიდაჰიდრავლიკურიექსკავატორი) ოპერატორი
- 43 ნივთიერებებისადამასალებისქიმიურიანალიზისლაბორანტი
- 44 ოფისისმენეჯერი
- 45 პარფიუმერულიდაკოსმეტიკურიწარმოებისსპეციალისტი
- 46 რადიოდასატელევიზიოსისტემებისმომსახურებისდაექსპლუატაციისოპერატორი
- 47 რესტორნისსერვისმენეჯერი
- 48 რძისგადამუშავებელი
- 49 სადაზღვევაგენტი
- 50 სავალინაწილისტექნიკოსი
- 51 საკერავიმანქანებისოპერატორი
- 52 სამკერვალონაწარმისსპეციალისტი
- 53 სარეკლამოგენტი
- 54 სარესტორნოსაქმისმწარმოებელი
- 55 სასტუმროსაქმისსპეციალისტი
- 56 სომელიე
- 57 სოფლისმეურნეობისბიზნესისმწარმოებელი
- 58 სტილისტი (ქალი, მამაკაცი)
- 59 ტანსაცმლისდიზაინი
- 60 ტანსაცმლისმხატვრულიკონსტრუირება
- 61 ტელერადიორეპორტიორი
- 62 ტუროპერატორი
- 63 ფარმაცევტისთანაშემწე
- 64 ფეხსაცმლის, ტყავისნაწარმისადააქსესუარებისსპეციალისტი
- 65 ქვისადასხვამასალებისდეკორატიულიდამუშავება
- 66 ქიმიურიდასასურსათოპროდუქტებისექსპერტი
- 67 შემდულბეელი
- 68 ძრავის შემკეთებელი .